

05
2-75

ს. ძუჯაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ მ ა მ ბ ე

05, 1898, 5

თვიური ქურონალი

წელიწადი მეხუთე



№ V

მაისი, 1898

ტფილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюня 1898 г.



შ ი ნ ა ა რ ს ი

I—ქოჩორა ხე.—აღზრდის ისტორიიდან ჩვენში გ. ბაზ- ნაგასა	83 1
II—ამირანის უვილნი.—ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება)	33
III—წარგები.—ჰენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი ივ. ზუკა- ბაშვილისა	49
IV—სიკვდილი და სიცოცხლე.—ხუთმოქმედებიანი კო- მედია დუტუ შეგრელისა	53
V—მეზობრები.—ამბავი სტუდენტთა ცხოვრებიდან ა. ნ. ზატაშენკოსა, თარგმანი ი. ა.—მისა	77
VI—გლენი-კაცის ისტორია.—ნაწილი მესამე.—ერკმან- შატრანისა, თარგმანი ი. მაჭავაცაძისა.	89
VII—„ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღბილები.—LIV, LV.— აღ. ს.—შვილისა	1
VIII—ხელოვნება სოციალურიზმის აზრით.—გ. გო- უილისა, თარგმანი ან-ანისა	21
IX—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—II თ.—დი ბრ. ორბელიანი.—კიტა ახაშაძისა	40
X—ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი—ივ. ბუქუ- რაშვილისა (დასასრული)	70
XI—ახალი წიგნები	100

ქორეა ხე

აღზრდის ასტორაიდან ჩვენში

I

სოფელი ბლაგვიანი მდებარეობს ტფილისიდან ოც და ათ ვერსის მანძილზე სამხრეთისკენ. ღრმა მოზრდილი ღელე, როცა მთას უახლოვდება, ფართოვდება, იშლება და მთის კალთის რამდენსამე ნალარს უერთდება; აი ეს მთის კალთა რომ თავდება და ღელე იწყება, სწორედ იქ არის ბლაგვიანი.

სოფელს შუაზედ ნაკადი ჩამოუდის. ეს ნაკადი ვენახებსა რწყავს გაღმა-გამოღმა გატანილი რუებით, თითონ ხევში კი ზაფხულობით ძლიერ მოწანწკარებს წყალი და იმისი დახავსებული გუბეები კამეჩების საყრელად-ღა ვარგანან. ბლაგვიანელები სასმელად წყაროს წყალსა ხმარობენ, რადგან კლდის ძირში, სოფლის თავში, რამდენსამე ადგილას გადმოდის წყალი. სოფლის უკან, ასე ერთ ვერსზე, შვინდიან-თხილიანი ტყე იწყება, რომელიც ზევით-და-ზევით აყრილ ტყეს უერთდება. სოფლის წინ სახნავებია გადაჭიმული. მოსავლიანი ადგილია, მეტადრე თუ ნოტიოა გაზაფხული დაუდგა. იქაური სიმდიდრე ხორბალია. თათუხს სთესენ. შავფხა გვარობს.

ბლაგვიანში, ხევის პირას, განმარტოებით იდგა მიწური სახლი; მარტო დერეფანი-ღა ამოჭლოდა მიწას და ყელი შეეღერებინა. სახლის წინ მარჯვნივ ბაღა გაეშენებინათ, მარცხნივ კალო-საბძელი იყო გამართული, წინ ბაკი; შუაზე პატარა ეზო-ღა დარჩენილიყო. მთელი მიდამო სუფთად იყო შენახული. ყველაფერს გამსჯელი პატრონის ხელი ეტყობოდა.



შუადღე იყო მოტანებული. ცხელოდა. სახლის პატარა-
ნები ჰერს შეჭფარებოდნენ. ქათმებსაც კი ჩრდილი მოეძებნათ
და ფიჩხების ქვეშ მიწაში ბუდარაობდნენ. ოთახში დიდ ტახტ-
ზე შავებით მოსილი ქალი იჯდა და ახალუხსა ჰკერავდა. იმის
5 გამხდარ თეთრ სახეს ნალველი დასჩნეოდა. ხანდახან აიღებდა
თავს და მოხუცს შეხედავდა ხოლმე, რომელიც მეორე ტახტ-
ზე იჯდა იმის პირდაპირ. დიდრონი შავი თვალები აზრიანად
და ღმობიერად იყურებოდნენ.

10 მოხუცი პატარა ტახტზე იჯდა ბუხართან. გრძელი მუქი
ახალუხის ზევითი ღილები გახსნილი ჰქონდა, შალის განიერი
შალვარი პატიკებში ჩაეტანა და ჩახსაკრავის ფოჩები გადმოე-
ფინა. ერთი ფეხი მოერთხო, მეორე წინ გაეშოტნა. წინდებით
იჯდა, ქოშები ტახტის წინ ეწყო. მოხუცი ერთხანს ჩაფიქრე-
ბული იყო. ჯილა წარბები წინ წამოაჯროდნენ. გიშრის კრია-
15 ლოსანს მარცვლავდა და ნელ-ნელა ათამაშებდა. ბოლოს შე-
ხედა მომუშავე ქალს და გაეხმაურა:

— კიკოს ახალუხსა ჰკერავ, ჩემო რძალო?

— დიად, ბატონო!

— შეკერე, მოამზადე ყმაწვილი, აგერ მარიამობისთვის იწყუ-
რება და დრო არის პატარა წავიყვანო ქალაქში. ჰაი და ჰაი!
25 რა შეუძლიან დროს? თითქო გუშინ იყოვო, შენს მეუღლეს,
ჩემს საცოდავს დავითს, რომ ვამზადებდი სასწავლებელში წა-
საყვანად. „ათასი წელი წინაშე შენსა, უფალო, ვითარცა დღე
ერთი...“ რამდენი იტირა მაშინ კურთხეულმა შენმა დედამ-
თილმა!.. რა უეცრად გაქრა, შვილო, ჩვენი ნათელი, რა გა-
30 მოუტყვრა ისე მოულოდნელად საღსალამათ კაცს?!

მოხუცმა ამოიოხრა და თავი ჩაჰკიდა. ქალმა უფრო ძირს
დახარა თავი და ცრემლი გადმოადგა წამწამზე.

— დარდს ნუ გადაჰყვები, შვილო, — განაგრძო მოხუცმა
და თან ბურნუთის კოლოფი გახსნა, — ჩვენი პატარა კიკო და-
45 გვიტოვა იმან თავის! სანაცვლოდ; მალხაზი, გონება-მახვილი და
აზრიანი ბავშვია, გულკეთილიც არის; სწორედ თავის მამა-
სწავლა არ გაუჭირდება, იქაც თავს შეაყვარებს ყველას, გაივ-

ლის დრო, დაამთავრებს სწავლას და სიხარულით შევიცვლის სიმძიმის ცრემლებს. მე ხომ მარტო ვე ბავშვი-ლა მაკავშირებს ამ ცოდვილ ქვეყანასთან.

— ბატონო, ამბობენ, ძალიან ძნელია იქ სწავლა, მასწავლებლები უდიერად ეპყრობიან. ყმაწვილებსაო? — შეეკითხა რძალი.

— ჰო, სწავლის ძირი მწარეა, მაგრამ ფიქრი არ არის ამ ყმაწვილისა, „კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს“. ხომ იცი, რა ეადვილება სწავლა, რა გამჭირახი გონებისაა? ადვილად შეითვისებს ყველაფერს. ბეჩავი მაგის მამაც ეგეთი იყო, ოღონდ ერთი ყური მოეკრა, ოღონდ ერთი ჩაეგონებინათ რამე, თორემ შეუთვისებელ-გაუგებარი არა დარჩებოდა-რა. აკი სახელოვანი კაციც დადგა.

— ამბობენ, ბატონო, ქალაქელები დამშეულებივით არიან, სულ გამორჩენაზე დგანან, ყველას ხელში შესცქერიანო; მეშინიან ყმაწვილი არ მომშივ-შემიციონ.

— ჰო, ქალაქში სიღარიბეს უფრო მეტი სიმკაცრე ეტყობა, ნაკლებულობა იქ უფრო უტეხს კაცს გულსა და თვალს, იქნება იმისთვის რომ იქ უფრო დიდი მზღვარი სძევს მდიდრებსა და ღარიბებ შუა და თანაც იქ უფრო ბევრია თვალგულის მომტაცი ფულით საშოვნელი რამ. ქალაქელები უფრო გულქვავეები არიან, მართალია ეს; იქ ყველას თითქო მარტო თავის თავი ახსოვს; შეიძლება, ერთ შენობაში სცხოვრობდეს რამდენიმე სახლობა, ერთმანეთისა კი არა იცოდნენ-რა. მაგრამ მაგისი ნუ გეფიქრება, შვილო; აი შე ხომ ცხრა თუმანი დამინიშნეს ჩემი ნამსახურობისთვის ულუფად, სულ მაგას მოვახმაროთ, კარგ ადგილას დაეაბინაოთ, ჩვენ კი როგორმე გადავივლით, იოლას წავალთ, ღმერთთა მოწყალე.

ქალს გულმა გაუღიმა და მადლობის თვალით შეხედა მადლიანს მოხუცს.

II

ამ ლაპარაკში იყვნენ რძალ-მამამთილი, რომ ეზოში მოისმა ბრაგი-ბრუგი და ოთახში შეიჭრა გაქარხლებული პატარა; ერთ ხელში ლიტრა ეჭირა, მეორეში ყვავილების კონა. ფეხ-და-ფეხ ხტომით ლეგა ძალი შეჰყვა.

5 — აი, პაპავ, ცოვი წყალი, — უთხრა და ლიტრა მიართვა მოხუცებულს, მერე მიუბრუნდა დედას და თაიგული მიართვა:

— დედილო, ნახე, რა ლამაზი ყვავილები დაკვრიფე წყაროს თავზე!

10 დედამ სიყვარულით შეხედა ბავშვს, მაღალი შუბლიდან დასველებული თმა გადუწია და აკოცა.

— მერე რა მოგარბენინებდა, ბიჭო? ცხენს გადაუნაცვლე? — შეეკითხა პაპა.

— მერანა კარგ ბალახზე დაეხე, ხეე-გაღმა რომ ნათიბია, იქ. ალაბეშა მორბოდა და მეც მოვდეგდი.

15 ალაბეშა არა შორდებოდა პატრონს, თვალეში შესცქეროდა და იმასთან ერთად ხან მოხუცთან მირბოდა, ხან ქალთან.

20 — მაშ ახლა ქალაქშიაც წაიყვან, ბიჭო, მაგ შენს ალაბეშას, — უთხრა მოხუცმა, — აბა, შეილო, მოიტანე შენი წიგნები, გადავათვალიეროთ, რაც გისწავლია. სკოლაში მასწავლებელთან არ შერცხვე, იტყვიან, ეს როგორი შეგნებული ოჯახის შვილია, არაფერი არა იცის-რაო.

25 ქალაქის ხსენებაზედ ყმაწვილს დარღმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ მალე გამხნედა, მამაცად მივიდა ხატის წინ რომ თახჩა იყო და წიგნები გადმოალაგა: ვაჟკაცი იყო, ჯავრს ვერ შეიმცნედა. გადაშალა დავითნი და დაიწყო: „უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველნი...“ და ჩაათავა ბოლომდის.

30 — დიად, რომ უფლისაა ყოველი, იმის შექმნილია ხილული და უხილავი! — განმარტა მოხუცმა და ჰკითხა:

— რა არის ქვეყანა?

— ქვეყანა ჰქვიათ ყველაფერს, რაც კი შექმნილია ღვთისაგან, ხილული და უხილავი.

— ის რა ქვეყანაა, უხილავი რომ არის?

— ანგელოზების საფანეა. ზეცის ძალთა გუნდები სცხოვრობენ იქ: საყდარნი, სერაბინნი და ქერაბინნი, უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარ-ანგელოზნი და ანგელოზნი.

— რამდენ ღღეს შეჰქმნა ღმერთმა ქვეყანა?

— ექვსს!— და სულ თითებზე ჩამოუთვალა, რომელ ღღეს რა გაეკეთებინა ღმერთს; თან თავმოწონედ გადახედა დედას, აი არც ერთი არ შემეშალა, რაც დილას შენ მომაგონეო.

— პირველ კაცს რა ერქვა?

— ადამი! იმისგან წარმომდგარა ხალხი დედამიწის ზურგზე და ის ყველას მამათმთავარია.

— კიდევ ვინ იყვნენ მამათმთავრები?

— აბრამი, ისაკი, იაკობი და კიდევ ქართლოსი, ჩვენი მამათმთავარი.

— მეფეები?

— დავით, სოლომონ, ალექსანდრე მაკედონელი, მირიანი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ირაკლი.

— რითი ისახელეს თავი?

— დავათ მეფემ დავითნი დასწერა, სოლომონი ბრძენი იყო, ალექსანდრე მაკედონელი დიდი მეომარი იყო, მირიანი ჩვენი მეფე იყო, ქრისტიანობა იმან მიგვადებინა.

— ის რომელი მეფე იყო, რომ საქართველო ინდოეთშიაც კი ასახელა?

— ვახტანგ გორგასლანი იყო! იმან თითონ მოკლა ინდოეთის მეფე; ბალათარ გმირიც იმან მოკლა და წყალს მისცა. „ბალათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი...“

— აბა თამარის ლექსი სთქვი.

— „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული, ვსთქვენით ქებანი...“

— სადა სწვრია ეგ?

— „ვეფხისტყაოსანში“, შოთა რუსთაველის წიგნში. აი კიდევ სხვა ლექსი:

„უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
 ისპაანს დაუდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე...“

— ერეკლეზე რაღა იცი?

— გმირთა გმირი იყო და მამა ქართველებისა. აი იმაზე ლექსი:

„აღზდექ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია...“

10 და როცა ყმაწვილმა სთქვა: „აწ-ლა გამოვცნოთ, მოძმენო, ვინც-ლა იქმს ერეკლობასაო“, მოხუცმა სთქვა, აკი ვერა-ვინ შესძლო ერეკლობაო.

— მოციქულები?

15 — ანდრია, პეტრე, იოანე, ნინო ქართველთ განმანათლებელი.

— წმიდა ნინოს რაღა ჰქვიან ქართველთ განმანათლებელი?

20 — იმიტომა ჰქვიან, რომ მირიან მეფესა და ქართველებს თურმე იმან მიაღებინა ქრისტიანობა. უწინ ჩვენ წარმართები ვყოფილვართ და კერპები გვყოლია—არმაზი, გაცი და გაინი.

— როდის მოხდა ეგ ამბავი?

— მეოთხე საუკუნეში.

— ეხლა რომელი წელიწადია ქრისტეს აქეთ? დამიწერე!

25 — ათას რვაას სამოც და ხუთი ჩყე.

— ასოებით კიდევ რასა ვანგარიშობთ?

— ფულს!

— ეს რა ფულია?

— ორ-აბაზიანი, ს ზის.

— მანეთში რამდენი აბაზია?

30 — ხუთი!

— უზალთუნი?

— ათი!

35 — ათჯერ ათი რამდენია?

— ასი!

— ასის მეოთხედი?

— ოც და ხუთი!

— მთვარის ანგარიში გახსოვს?

5 — დიად, ბატონო! იანვარში ესე უნდა დავთვალოთ: იანვარი, იანვარი, იანვარი, ნიადაგი და თვისთავი; ზედნადებიც უნდა მივთვალოთ, თვის რიცხვიც. თუ ოც და ათზე ნაკლები გამოვიდა, მთვარე იმდენი დღისა იქნება, თუ მეტი, მაშინ ოც და ათი უნდა გამოვაკლოთ და რაც დარჩება, იმდენისა იქნება მთვარე. სხვა თვეებში იანვარი ერთხელ იხსენება, ესე: იანვარი, თებერვალი, მარტი...

— კარგი, აბა მიჩვენე, რა გადასწერე.

15 ყმაწვილმა ამოიღო რვეული და „გვირგვინი“. ამ წიგნში რომ თხრობაა, „თავის თავის განმსყიდველისა და მოწყალებად მიმცემელისათვის“, ის თხრობა გადაეწერა.

მოხუცმა შეიბა სათვალეები და ჩაათვალიერა რვეული.

— ბარაქალა! მიგიმგზავსებია; ბოლოს კი ცოტა აჩქარებულხარ. ზღაპარი? ზღაპარი დაისწავლე რამე დღეს?

20 — დიად, ბატონო, დედამ ჯომარდისა და ნამარდის ზღაპარი მიამბო.

— კარგი, შვილო, ზღაპარი და გამოცანები ამაღამ მითხარი; საგალობლებიც მაშინა ვთქვათ, — უთხრა მოხუცმა და ჯგარი გადასახა.

5 ყმაწვილმა ხელზე აკოცა პაპას, ჩააღაგა წიგნები, შემოტრიალდა ქუსლზე და კარს ეცა. ალაბეშა რომ აქამდინ დინჯად იწვა კარის ბჭეში და გულმოდგინედ ყურს უგდებდა წრთენას, ეხლა წამოვარდა და ხტომით გაჰყვა ცელქს: იცოდა, რა კარგი იყო შრომის შემდეგ ხალისი.

— ნიჭიერია, ღმერთმა აკურთხოს; ეს ყმაწვილი გვასახელებს; მაინც ჩვენ გვარს სწავლა ეხერხება, — სთქვა მოხუცმა დაფიქრებით.

დედას სიამოვნების ღიმილი უქროდა სახეზე.

3 — სადილობის დროა ჯერ არ არის, ჩემო რძალო?

— გახლავსთ, ბატონო!—მიუგო ქალმა და გადადო საკერავი იანი ნაალზე.

III

მე გადახრილი იყო, როცა კიკო და პაპა ტფილისში შევიდნენ. მერანაზე ისხდნენ. კიკო უკან იჯდა. ცოტა უხერხულად კი გრძობდა თავს, რადგან გატენილი ხურჯინი მუხლებზე ეხებებოდა.

პაპას სუფთა ანაფორა ჩაეცვა, წოწოლა ბუხრის ქუდი ცოტა უკან გადაეწივნა—შუბლი გამოეჩინა, განუშორებელი ქოშების მაგიერად წაღები ეცვა. წითელ-ტარა შეიდ-ტოტიანი მათრახი ექირა ხელში.

დიდ საბაეოს რომ დაუახლოვდნენ, კიკოს ცხვირში საზარელი სუნი ეცა: ჩამეავეებული პურისა, ჩამპალი კომბოსტოსი, წაღებისა, ლობიანი მაზარებისა და კიდევ სხვა განსაკუთრებული ბუღისაგან შეზავებულმა სიმყარლემ ცუდად აუჩუჩუნა სუფთა პაერს ნაჩვევი ნესტოები. გაიხედა და ერთ გრძელ სახლში ჭიანჭველასავით ირეოდნენ ჯარისკაცები, შედი-გადიოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ილანძლ-ილრიჭებოდნენ. ის საძაგელი ბული იმათი სადგომის კარ-ფანჯარიდან გამოსჩქროდა. არ უამა პატარას.

შეთანბარში და მოედანზე რომ ხალხი აირია, ყმაწვილი ცოტა შეკრთა; ფეხებს მაგრა უჭერდა ცხენს, პაპასკენ იწევდა წინ: იმისთვის პაპას ზურგი-ლა იყო ერთადერთი საიმედო ნავი ამ ხალხის ზღვაში.

მერუსტეების ქუჩაში უფრო სიწყნარე ჩამოვარდა და ყმაწვილმა თვალიერება დაიწყო; გაუკვირდა: ეს რამდენი ქოშჩუსტი შეუკერიათ, რამოდენა ფეხშიშველა ხალხს შემოსავსო.

სიონის ქუჩაში ეტლები, ურმები, ცხენები, ქვეითი ხალხი ერთმანეთში დომხალივით არეულიყო, გზას არ იძლეოდნენ; ძლივ გაახწიეს. გავიდნენ მიყრუებულ ქუჩებში. ერთ მაღალ ფანჯარაზე ტან-გაკრეპილი თავ-მანჯგვლიანი ფინია გადმო-

დგარიყო, იყფებოდა. კიკოს გაელიმა: ჩემ ალაბეშას ეს წუწკი
 ლუკმადაც ხომ არ ეყოფაო.

მანამ ხალხით სავსე ქუჩებზე მოდიოდნენ, პაპა ჩუმად იყო,
 მარტო იმასა ცდილობდა მარჯვედ გაეარნა, რომ მერანას არა-
 ვინ შეჭხლიყო, ან არავის დასჯახებოდა ის: ფიცხი ცხენი იყო,
 ქალაქს შეუჩვევარი და ეშინოდა. ხალვათ ადგილებში რომ გა-
 ვადნენ, მერე კი ქუჩებს დაუწყო მოხუცმა თვალიერება და
 სულ ჰკვირობდა, ეს ჩვენი ქალაქი რა სწრაფად იზრდება და
 მშვენიერდებაო, ყველა მიღეთის ხალხი აქეთ იწევსო.

მივიდნენ. ჩამოხდნენ. სახლიდან ვიღაც ბანჯგვლიანი შავი
 კაცი გამოვიდა მოკლე, ძალიან მოკლე ტანისამოსში, მოიკი-
 თხა მგზავრები და ხურჯინი დაითრია.

ცხენი რომ დააბინავეს და დაბრუნდნენ, პაპა სხვაგან წავი-
 და, პატარა კი შინ დასტოვა. კიკომ მიიხედ-მოიხედა, დაათვა-
 ლიერა თავისი ახალი ბინა: ოთახის ორივე ფანჯარას სხვა
 სახლის ყრუ კედელი აჭფარებოდა, კარი და მესამე ფანჯარა
 პაწაწინა მურღალ ეზოს გადასცქეროდნენ, ეზო კი არა, რაღაც
 ხარო იყო ნესტიანი კედლებით შემოზღუდული. შევიწროვდა
 ბავშვი, მარტოობა და ტყვეობა იგრძნო, გული დაეხშო, თვალს
 ცრემლი მოედინა, ატირდა. ის ბითუმი კედელი, რომელიც
 ფანჯრებს ვაგლახად აპყუდებოდა წინ, თითქო პატარის ცხოვ-
 რების გზას გადაჰლობებოდა და ბედი დაეხშო იმისთვის.

IV

მეორე დღეს ადრე აღგნენ პაპა და კიკო, სუფთად გამო-
 ეწყვნენ, ახსენეს ღმერთი, წავიდნენ სასწავლებელში. დარბაზი
 სავსე იყო ყმაწვილებით, გძელ შავ სკამზე ჩამომწკრივებუ-
 ლიყვნენ. ჩამოჯდა კიკოც, მაგრამ სკამსა და იმაზე მიკრულ
 საწიგნეს შუა იმოდენა მანძილი იყო, რომ ყმაწვილი წიგნს
 ვერა სწვდებოდა; თანაც საწიგნე მაღალი გამოდგა, თითქმის
 მთლად დაფარა პატარა. გაუკვირდა: ეს რა ჯურის ავეჯი სკო-
 დნიათო. დარბაზის კედელთან დიდი მაგიდა იდგა წითელ მაუდ



გადათარებული, ზედ ეწყო საწერ-კალამი, წიგნები, ყარანდაშები, შიმშა, ზანზალაკი. ნეტა ეს ზანზალაკი რალათ უნდათო, გაიფიქრა კიკომ.

მაგიდასთან სავარძელში ცმუკაედა წამოქარხლებული ქე-
რა კაცი, თმა აბურძგნოდა, გატყაპნილ განიერ სახეზე პაქუა
წითელი ცხვირი მოუსვენრად იძროდ-იფხლიკებოდა, აღი-ჩა-
ღიოდა; თეთრი თვალეზი შფოთავდენენ, დაუცხრომლოდ გადარბ-
გადმობობოდნენ, ვერ წყნარდებოდნენ. ხელში ლორნიონს ათა-
მაშებდა ოქროს ძაფით ყელზე ჩამოგდებულს, მალმალ ცხვირ-
თან მიჰქონდა, მაგრამ ღილივით ამომჯღარი მოუხდენარი ცხვი-
რი იმას ვერ ამშვენებდა. ყელ-წაკვერცხილ წალამაზებულ წუ-
ღებიდან აბრეშუმის ქრელი წინდები მოუჩანდა; ფეხს ანძრევ-
და, წულას ატოკებ-აჭირილებდა.

მარჯენივ შავგვრემანი მღვდელი ეჯდა სუფთად ჩაცმული.
როცა უფროსს ეუბნებოდა რასმე, ყურში ჩასჩურჩულებდა, თან
ფაქიზ ხელს პირზე იფარებდა. ნეტა ეს მღვდელი რა საი-
დუმლოვებას ელაპარაკება ამ კაცსაო, გაიფიქრა კიკომ.

მარცხნივ ეჯდა წვერ-შეკვერცხილი კოპწია ახალგაზდა
კობტად ჩაცმული. ხშირი თმა ეყარა მარჯვედ აკრეჭილ-ალა-
მაზებული. ღიმილში ტუჩების ქიმები მალლა ეწეოდა, აღმა-
სივით კბილები უჩნდებოდა: ღიმილი ღრინვას უგვანდა. ეს კა-
ცი მოეწონებოდა პატარას, რომ იმისი თვალეზის სისასტიკეს
არ დაეფთხო ის.

ყმაწვილებს თავს დასტრიალებდა მშვენიერი ხუჭუჭი გძე-
ლი თმით შემკული ახოვანი ვაჟკაცი. შენიშვნებს რომ აძლევ-
და, ლომივითა გრგვინავდა; დიდრონ თვალეზს რომ გადმოუ-
ტრიალებდა, გეგონებოდათ ჩანთქმა ჰსურს პატარებისაო. ეს
ჩვენი ამზდელიაო, წასჩურჩულეს კიკოს, ეგრე საშიში ჩანს,
თორემ კეთილია, ჯავრის ჩაყოლა არ იცის, ადვილად არვის
დაღუპავსო.

გაიწკრიალა ზანზალაკმა, დაიწყო გამოცდა. კიკოს უნებ-
ლიედ გული აუფანცქალდა; მიიხედა კარებისკენ, უნდოდა პაპა
დაენახა, მაგრამ დარბაზში აღარც ის იყო, აღარც სხვა გარე-
შე ხალხი: უცხოები სულ დაეთხოვათ.

— ნიკოლაი კანცაროვ! — ამოიკითხა უფროსმა.

კიკომ მიიხედ-მოიხედა, ნეტა ვის ეძახიანო.

— ნიკოლაი კანცაროვ! — მოისმა გაჯავრებით.

— მე ყანწარაშვილი გახლავარ, ბატონო, კიკო ყანწარა-
შვილი, — მიუგო ყმაწვილმა.

მასწავლებელმა ისე გაიღიმა, თითქო ღრინავსო. მღვდელ-
მა ხელი აიფარა და რალაცა წასჩურჩულა უფროსს. უფროსი
აინთო და შესძახა:

— დახე! სახელი და გვარიც არ იციან! ოჯახებიდან კი
არა, ნამდვილ ტყიდან არიან გამოსულები...

გამოიყვანეს. პაჭუამ ახედ-დახედა ყმაწვილს და შეუტია,
წამოხტა, ჩოხის კალთას ხელი წაატანა, ახალუხს თითი წაპ-
კრა. ყმაწვილი შეკრთა და კალთებზედ დაიხედა, ცუდად ზომ
არა მაქვს-რაო. მაგრამ რუხვი სკლატის ჩოხა, ჩოხასთან შეხა-
მებუღლი შალღარი და ახალუხი, ქობტა მესტები, ბუზმენტის ქა-
მარი, ყველაფერი რიგზე და ლაზათიანი იყო; ეს იყო, ხანჯა-
ლი აღარ ამშვენებდა ტალღარს, პაპამ დილას შემოახსნეინა,
მოსწავლეს არ შეშვენისო. უფროსი კი უფრო ბრაზდებოდა და
სხვა ყმაწვილზე უთითებდა, რომელსაც თეთრი ტილოს ხალა-
თი ეცვა.

— ჩოხა-ახალუხში რომ გამოწყობილხარ და ბუზმენტის
ქამარი შემოგიტყავს, იმაზედ გიჯავრდება, იმ ყმაწვილივით
უნდა ჩაიცვა, — გადაუთარგმნა აღმზრდელმა.

გაუკვირდა პატარას, ამ ბიქს ეს რა ტოპრაკი აცვია, ან რა
მოსაწონია, ან გასაჯავრებელი აქ რა არისო.

ბოლოს წიგნი მიაჩჩეს ხელში და თითი დაუდეს ერთ
აღლაგზე, წაიკითხეო. კიკოს გაუხარდა, ახლა კი გამოვიჩენ ჩემს
სწავლა-ცოდნასაო, მაგრამ იმის საუბედუროდ, წიგნი ქართუ-
ლი არ გამოდგა, უცხო ენაზე იყო დაწერილი. გაჩერდა. სა-
ხეზე სასოწარკვეთილება აღებეჭდა.

— არ იცის! ასოც არ იცის!! ჩამოჰყავთ ვეება ვაჟაკები,
არაფერი კი არა იციან-რა! ნამდვილი ნადირები არიან... — ბო-



ბორაქობდა უფროსი.—ჩასწერეთ დაბალ მოსამზადებელი კლასში!—უბრძანა მღვდელს.

— პატარავ! შენ არაფერი არა გცოდნია-რა და სულ დაბალ კლასში მიგიღეს, —უთხრა მღვდელმა.

კიკოს ეწყინა, როცა უთხრეს, არა გცოდნია-რაო, ვიცო, მიუგო და ჩამოუთვალა, რაც იცოდა. მღვდელმა პირზე ხელი აიფარა და ჩასჩურჩულა პაქუას.

— დახე მაგას!—შესძახა იმან და აღმური აუვიდა.—ვიცო! რა იცი? არაფერი არა იცი-რა... ის უნდა იცოდე, რასაც გთხოვენ! ვისთანა ჰბედავ ლაპარაკს? ხმა-მეთქი!..

— შენი შეგირდი იქნება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე მაგას!—უბრძანა მასწავლებელს.

— მაგაზედ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო!—მიუგო იმან და გაუღიმ-გაუღრინა.



ის იყო ირიქრაქა, კიკომ რომ გამოიღვიძა და შეიშმუშნა. ჩათბუნებულს ლოგინიდან ადგომა ეძნელობოდა. ციოდა, ჰყინავდა. სიცივეს თავი ებოვნა და თავისუფლად ეცელქნა ოთახში. შუშებზე შტოები გამოეყენა. მრავალი ფოთოლი მოექარგა. ან კი რა დაუშლიდა? მე ვიცი, ანთებული ბუხარი შეაკრობდა!

ეძნელებოდა კიკოს ადგომა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, მანამ ჩაიცვამდა და სასწავლებელში მივიდოდა, გაკვეთილები კიდევ დაიწყებოდნენ. გვიან მისვლისათვის კი ისეც, ვინ იცის, რამდენჯერ დაუსჯია ოსტატს. მაინც-და-მაინც რა ენაღვლებოდა ოსტატს, თუ სახლის პატრონი სარფის გულისათვის განაპირას დაბინავდებოდა და ყმაწვილი ველარ მოასწრობდა სასწავლებელში დროზედ მისვლას? რა იმისი საქმე იყო ეს?!

ადგა, მოემზადა, პური მოიტეხა. წიგნებს რომ აწყობდა აბგაში, უნდოდა გაკვეთილები გადაეთვალეირებინა, მაგრამ

აღარ გადაშალა: გუშინ ისეც ბევრი, ძალიან ბევრი იკითხა, თუმცა მაინც ვერა შეიგნო-რა, ვერა დაისწავლა-რა. რომ არ იცოდა, რასა კითხულობდა, რომ არ ესმოდა წაკითხული, როგორ დაისწავლიდა?!

გზაზე სიცივემ ძალა უყო ყმაწვილს, ფეხი ააჩქარებინა. კუკიის ხიდზე ქარმა სასტიკად დაუბერა, სახე-ყურები დაუშინა, გაამწვა, მაგრამ კიკო მაინც შედგა ცოტა ხანს და გახედა კრწანისის კლდეს. ხრიოკ მთის წვერზე რომ ქოჩორა ხე იდგა, ის ქოჩორა ხე მოჩანდა ხიდიდან და იმის დანახვა მოსწყურდა პატარას. იმ ხესთან გადადიოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი გზა. სოფლიდან მომავალი იმ ხეს რომ მოახწევდა, მთელი ქალაქი ხელისგულივით გადაეშლებოდა წინ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადაგედგათ უკან, ქალაქი მიეფარებოდა, წინ სოფლები და სოფლის გზა გადიქიმებოდა. ბევრჯელ გასჭირებია ყოფა, ბევრჯელ დასჩაგვრ-ასტარებია გული. თავის ყუთში იმ ქოჩორა ხის შტოც კი ჰქონდა შენახული და ხანდისხან დახედავდა, როგორც რამ საიმედო საუნჯეს... გაიხედეთ, ერთი გაიხედეთ, ნეტა იქვე დგა გამარტოებით, ობლად და თან შეუპოვრად ის ქოჩორა ხე, თუ დრომ იმასაც მოუსპო ყოფა!...

კლასში რომ შევიდა კიკო, უფროსმა შეგირდმა, რომელსაც ის ებარა, გაკვეთილები გაუგონა, მაგრამ ყმაწვილმა ვერც საანგარიშო გამოთვალა: დასწერეს, კანცაროვმა გაკვეთილები არ იცისო.

გაისმა ზარის ხმა, ყმაწვილები დასხდნენ თავიანთ ადგილას, კიკო და ააიოდე სხვა ბიჭი კი კედელთან ჩამომწკრივდნენ დაჩოქებულები. ყმაწვილმა გადაავლო თვალი დაჩოქილებს—ყველანი იქ იყვნენ, ვინც თითქმის ყოველთვინ ერთად ეჩოქნენ, ერთი-ლა აკლდა; გაიფიქრა, ალბად დღეს ხილი რამ მოუტანია მიჩენილ ამხანაგ უფროსისათვის, თორემ ისიც ხომ ეხლა ჩვენთან უნდა იყოსო.

შემოვიდა მასწავლებელი. თქვეს ლოცვა. ოსტატმა ერთი გადაავლო თვალი შეგირდებს, ამოიღო ნიშანში ზოგიერთი და დაჯდა. ამოაწყო დავთრიდან ქალაღლები, დაიწყო წერა. ყმა-

წვილები დაინახნენ, — იცოდნენ შავი დღე დაადგებოდა იმას, ვინც თუნდ უნებლიედ დაარღვევდა სიჩუმეს: სხვა-და-სხვა თხოვნებისა და საჩივრების ფასით წერას იყო მიჩვეული და ამეების საწერად მარჯვე დროდ მიაჩნდა გაკვეთილებისათვის გადაღებული საათები. მართლა-და, რა უნდა გაგკეთებინა იმოდენა ხანს? მთელ ოთხ-ხუთ საათს ბავშვებს ხომ ვერ შეაღწევდა?! ან კი რას ეყოფოდა რალაც ოთხი-ხუთი თუმანი თვეში, რომ სხვა ნაირადაც არ ეშრომა ფულის საშოვრად?

— ნეტა ზარის დარეკამდინ მაინც წეროს! — ნატრობდნენ ყმაწვილები და თავისუფლად მიხედ-მოხედვასაც ვერა ბედადნენ, ოსტატმა თვალი არ შეგვასწროს, შავი დღე არ დაგვაცუნოსო.

ოცი წუთი-ლა აკლდებოდა გაკვეთილების გათავებას, როცა მასწავლებელმა გადადო კალამი, დაიძგიფ-დაიტკაცუნა გადაქდობილი თითები, გაიჭიმ-გაიზმორა და ოდნიე მიაველ-მოაველო შავირდებს თვალი; აიღო, ჩაიკითხა ქალაღდის ფარატინი, რომელზედაც აენიშნათ მყუდროების დამარღვეველი ყმაწვილები. რამდენიმე თავჩალუნული ყმაწვილი თავისთავად წამოაღდა წინ.

— რამდენჯერ მიბრძანებია თქვენთვის, ჩემ შემოსელომდინ კრინტი არ დაძრათ-მეთქი! იმ დღესაც თქვენი ჟღივილ-ხივილი გამგეს გაეგონა. დაიჩოქეთ! მოვიცლი თქვენთვისაც...

ყმაწვილებმა აასრულეს ბძანება.

მასწავლებელმა ახედ-დახედა დასჯილებს, გაუღიმი-გაუღრი-ნა და დაიძახა:

— ნიკოლაი კანცაროვ!

კიკო მივიდა მასწავლებლის მაგიდასთან.

— რატომ არ დაგისწავლია?

— გუშინ ბევრი ეიკითხე, ბატონო, წუხელიაც ვკითხულობდი.

— ენახოთ! წაიკითხე.

— „ავდოტრა პეტროვნა“....

— ავდორტია.

— „ავდრტია პეტროვნა ზიმინა ბრლა ნეზდაროვა ინე“...

— ბილნ ნეზდაროვა... — წაიკიჩხე თავიდან!

— „ავდრტია პეტროვნა ზიმინა ბრლა ნეზდაროვა ი“...

— ბილნ! ბილნ-მეთქი... — შედრიალა ოსტატმა და გაუშალა ყბაში. ამდენი ხანია სასწავლებელში გდიხარ და კითხვაც არ იცი ჯერ. რა თქვენისთანა გამოყრუებულების საქმეა სასწავლებელი? მეხრებეაღ უნდა ეყარნეთ, მეხრებეაღ...

ოსტატი მოეტია ახლა სხვებს, მაგრამ იმათ ბედზე გაკვეთილი გათავებულებო და ზარმა გაიწკრილა. მთელმა კლასმა თავისუფლად ამოისუნთქა. კიკო კი ტირიდა და საგონებელს მისცემოდა.

— დედა იწერება, ისწავლე, ნუ ცუდლუტობო, პაპას სიბერე დაერია, ავადმყოფობს და წყალს ნუ მიგვცემ ნურც ჩვენ, ნურც შენ თავსაო. თითქო არ მინდოდეს სწავლა, თითქო არა ვცდილობდე! გუშინ ეინ იცის რამდენჯერ წავიკითხე გაკვეთილები, მაგრამ რომ არ მესმის. ნეტა მესმოდეს, თორემ როგორ არ დავისწავლიდი. როცა პაპა მასწავლიდა, განა ვერა ვსწავლობდი? ახლა ეს წიგნებიც რომ შემძულდა! თვალის დასანახავად მეჯავრებიან... რა საძაგლად შრიალებენ! რა საზარელი სუნი ასლით!... სოფელში რომ წიგნები მქონდა? ახ, რა მიყვარდნენ ისინი! რა კარგ რამეებს მიაშობდნენ ხოლმე! პაპასავით დინჯად ჩამაგონებდნენ, დედილოსავით ტკბილად მეუბნებოდნენ.

VI

მოწმენდილი ღამე იყო, ვარსკვლავები კრთოდნენ, ციმციმებდნენ. მთვარე გუნებაზე მოსულიყო და ეღრმებოდა, პირს ციაგი ეფინებოდა; იმისი პირის ნათელი შავ დედა-მიწას ეფრქვეოდა, გულს უნათებ-ულალებდა, კაეშანს უკუუყრიდა, უქარვებდა. გულკეთილ მნათობს კიკოს სადგომის დახშული ეზო-აივანიც არ დაჰვიწყებოდა, იქაც გაეგზავნა თავისი შუქი, დეეის ეზოც მე შემომხაროდეს, ჯურღმულივით პირი ნუ მოუქუ-

შავს, ერთ წამს მაინც განათლ-გაბრწყინდესო. შუქი ჩაფრენი-ლიყო ეზოში, მიფარფატებულები აივანზე და შეჩერებულები: კიკო რომ ზღაპარს ისმენდა, იმ ზღაპარს ისიც მოეხიბლა, და-ეტყვევებინა.

ზღაპარს ეუბნებოდა კიკოს ბეკო, — ეული, გადაგებულ ბიჭი ბეკო, რომელიც ეხლა კიკოს სახლის პატრონს შეხიზნვო-და. ის ეუბნებოდა ხოლმე სადამ-სადამოობით ყმაწვილს ზღაპრებს, ამბებს, თავგადასავალს. მემრე რამდენი რამე იცოდა, სად არ ყოფილიყო, რა არ ენახა, რა არ გამოეცაღნა!

უნდა გენახათ, რა ხალისით ისმენდა კიკო: თვალები აენ-თებოდა, სულს განაბავდა, ყურადღებად გადაიქცეოდა; სულ წმინდად აჰკრეფდა, რაც უნდა დიდი თხრობა ყოფილიყო, სი-ტყვას არ გამოსტოვებდა, არ შეშლიდა. ბეკომ მუყაითი, ნი-ჭიერი მსმენელი იპოვა და წახალისდა: სულ ახლებს მოუ-თხრობდა, ხალხურ ლექსებსა და გამოცანებს ასწავლიდა.

— „ახლა უნცროსმა ძმამ გასტყორცნა ისარი და გაჰყვა თან, — ამბობდა მთვარის შუქით გაბრწყინვალეებული ბეკო, — ისარი ერთ ხრიოკ ადგილას დარქობილიყო. მიიხედ-მოიხედა და თქვა, ეს რა ბიამანი ადგილი ყოფილაო, მე აქ ჩემ საძებარს როგორ ვიპოვიო. დაღონდა. წამოწვა დასასვენებლად. რომ წა-მოწვა, ენახოთ დედა-მიწიდან გმინვა მოესმა. ახლო ერთი უშვე-ლებელი ლოდი ეგდო, გმინვა იმ ლოდის ქვეშიდან ამოდოდა. გაუკვირდა ეს....“

— ბიჭო, მაგ ზღაპრის გუდას რომ მისჯდომიხარ და ამბებს შეექცევი, ვაკვეთილები კი დაისწავლე? შენ პატრონსა ჰგო-ნია, შეილი სკოლაში მყავს, კაცად იქცევაო. ზღაპრები თუ გინდოდა, აქ რაღა მოგარბენინებდა, სოფლის ბოსლები იქ არ იყო? — მოესმად უეცრად სახლის პატრონის ხმა.

— რა ვიცი, რაც ამ დღე ეს ბავშვი კითხულობს! სულ წიგნს კი ჩასჩინებს და, — მიესარჩლა ბეკო.

— ჩასჩინებს, მაგრამ ალბათ თავში არა რჩება. რა, — მი-უგო მასპინძელმა და მიუბრუნდა კიკოს:

— ბიჭო, თქვენი სამღვთო წერილის მასწავლებელი შემხვდა და მითხრა შენზე, მაგისტანა ჩერჩეტ ბავშვს ძნელად შეეხვედრივარო. ისწავლე! ყოველ წელიწადს ქრთამით და ზღვებით ხომ არ გადაგიყვანენ.

მოშორდა მასპინძელი. ბეკოს უნდოდა გაეგრძო ზღაპარი, მაგრამ კიკო სმენის ეშხზე აღარ იყო: გაკვეთილებისა და მასწავლებლის გახსენებამ ფრთები შეაკვეცა მის ოცნებას და ძირს დასცა, შემუსრა. მთვარის შუქსაც არ უამა ზღაპრის უეცრად შეწყვეტა და გულნაკლული მოშორდა აივანს.

კიკო ხელახლად მიუჯდა წიგნებს, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა რაღაც მისთვის გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს. მაგრამ ეს სიტყვები და ფრაზები სულ უცნობი იყვნენ მის გონებისთვის და ვერ შესთვისებოდნენ იმას, მოუშზადებელ-შეუფერებელი ნიადაგი ხვდებოდათ იმათ და ფეხს ვერ იკიდებდნენ, სხლტებოდნენ; იმის ტვინში ვერ ებოენათ სავანე და უფრთხოდნენ იმას, ებნეოდნენ, ეფანტებოდნენ. მოქანცულმა ყმაწვილმა რომ დაიძინა, იმ უცნაურმა სიტყვებმა და ფრაზებმა ხორცი შეისხეს, გარს შემოეხვივნენ პატარას სხვა-და-სხვა უმსგავსი სახით, აზიებდნენ იმას, ზიზღზე მოჰყავდათ, აწვალებდნენ და თან ხელიდან უსხლტებოდნენ, არა ნებდებოდნენ, სიცილ-ხარხარით თავს ევლებოდნენ, ელმიჭებ-ებრანჭებოდნენ, აწამებდნენ.

იურთები შემოჰკრეს, როცა კიკოს გამოეღვიძა. რა ძალიან უამა, რომ სასწავლებელში წასასვლელად ადგომამდის კიდევ დრო იყო დარჩენილი! გადაბრუნდა ლოგინში, თვალეები მოისრისა და არ უნდოდა ისევ ჩასძინებოდა; ჰსურდა დამტკბარიყო იმ თავისუფალი საათით, რომელიც იმას შერჩენოდა ძილისა და დასაზარ საქმეზე დადგომამდის. ეხლა იმას სწავლა აუტანელ ტვირთად მიაჩნდა, — ისეთი სწავლა, რომელშიაც ის შეაბეს: შეუგნებლად ზეპირობა, შეუსმენელის გაუგებრით განმარტება, უცხოთი უცნობით ახსნა და თან შხრთიალი, შხრთიალი. ესეთი სწავლა იმის გონების ნიადაგში საზრდოს ვერა პოულობდა, ფეხს ვერ იმაგრებდა, იმის გულს წყვდია-



დისავით ეფინებოდა, მთლად იმის ბუნებას ამახინჯებდა. ყმა-წვილმა შეიძულა სწავლა, შეიზიზღა სასწავლებელი, რომელიც დედინაცვლობას უწევდა მას, რომელიც პურის მაგივრად ქვას მიუპყრობდა, რომელიც თევზის მაგივრად გველს აწვდიდა; მთლად მისმა არსებამ უარპყო ესეთი შეუსაბამო წვრთნა.

მართალია, კიდევ ცდილობდა კიკო, კიდევ იბრძოდა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ გული უთხრობდა და მისწევდა, არამედ იმისთვის რომ პაპასი და დედის დაღონებული სახე არა შორდებოდა იმის გონებას. აი ეხლაც ცხადად ესმოდა იმათი ხმა:

— ისწავლე, შვილო, ეცადე! რას შემეფრთხალხარ, დაოჩნებულხარ? ნუ მიგვცემ აღელვებულ წყალს. რის მაქნისია რეგვენი კაცი? თუ არ ისწავლი, ჩვენც დაგვლუპავ და შენს თავსაც. რის იმედი გაქვს?

— სწორედ უცოდინარი დაფრჩები და დავიღუპები. რომ ვერა ვსწავლობ! აი დღესაც ხომ გამიწყრებიან, თუმცა გუშინ იმოდენა ვიკითხე! — ფიქრობდა ლოგინში კიკო და ცდილობდა, მოეგონებინა, რას კითხულობდა გუშინ.

— გრამატიკიდან ბრუნვები გვაქვს: „პრეენიაია ზაბაეა“, „პრეენოი ზაბაეი“... არა, პრეენეი! თუ პრეენოი? უნდა წავიკითხო დილაზედ. ნეტა რა იქნება პრეენიაია ზაბაეა? პრიმერი? — „ნა აღეუტსკიხ ასტრაეახ ეოლიატსია ჩორნიე ი ჩორნობურიე ლისიცი“. არა! ჩორნია ი ჩორნო-ბურია. თუ... ისტორიიდან? — ჰო: „ნავუხოლონოსორ ცარ ვაეილონსკი რაზრუშილ იუდესკოე ცარსტვო“ ი... ი... ახ, როგორ დამევიწყებია ის სიტყვა! კიდევ არითმეტიკა გვაქვს: დელიმოე რაენიაეტსია დელიტელიუ უმნოქენნომუ ნა... დილიტ... რაენ... ზაბაეა... დელიმო... დელამ... ახლა შენ მასწაველი დრამატიკას, პაპილო?! კატელორიასაც? ეგრე არა, შენი ჭირიმე, წინანდებურად მასწავლე....

— დილის ძილი რომ გაგიჭიმია, დღეს სკოლაში წასვლას აღარ აპირობ?

სახლის პატრონის ხმაზე კიკო ელდანაკრავივით წამოვიარდა ზეზე. უბედური დღე იყო იმისთვის: ყველა გაკვეთილები ჰკი-

თხეს. ისტორია მესამე გაკვეთილი იყო. კიკომ ყოჩაღად დაიწყო: „ნაფუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ“, მაგრამ შუაზე რომ ჩავიდა რალაც ეშმაკად დაარახუნეს, ხმაურობაზე სიტყვა შეეშალა და ველარ ჩააყოლა ქვეით. ოსტატმა ხელი აიფარა პირზე, უნდა მოეგონებინა, მაგრამ გადიფაქრა. დაიწყო ბავშვმა გონებაში თავადან, რომ ჩასულიყო დავიწყებულ სიტყვამდინ, მოეგონებინა ის, მაგრამ მასწავლებელი ცუდ გუნებაზე იყო და აღარ აცალა: აიმრიზა, მოკლე შუბლი შუაზე აუნაოქდა, უკან გადავარცხნილმა თმამ შუბლთან აიწია, აიბურძგნა, თვალეები ბოროტად აუბიზბიზდნენ და შეუტია ყმაწვილს. კიკომ შეხედა და უცებ გაახსენდა: ერთხელ გველს ქვა ესროლა, ის შემოაუტრიალდა, ახავთებული თვალეები ჩაანათა, აიწვერა და ის იყო უნდა სცემოდა; პატარა შიშმა გააშრო, მაგრამ პაპა იქ იყო, მიაძახა: ჰაი, შე მხდალო! ჯოხი მანესაო! და თვითონ დაუშვა გესლიანს ყავარჯენი. ეხლა გვერდით პაპა აღარა ჰყვანდა, ეხლა ქომავობას ველარავინ გაუწევდა და ყმაწვილი შიშმა მოლახა, მოკვეთა. ოსტატი კი უფრო გააფთრდა, ეცა შავირდს, სწვდა თმაში. ხომ ვსთქვი კიკოსათვის უბედური დღე იყო-მეთქი: ბრძოლაში საათის ძეწკვი მოედო ბავშვის ხელს, საათი ამოვარდა უბიდან, დაენარცხა იატაკს, დაიმტვრა. ამან მთლად გონება დააბნეინა მასწავლებელს, გააუკაცურა. შავირდი ტიროდა, ეხვეწებოდა, ნუ მომკლამ, ყმად დაგიდგები და ისე გიზღამ, მაპატიეო, მაგრამ ამაოდ. ზარის წკარუნხელა მოვიდა გონს მწვრთნელი. კიკო უსადილოდ დასტოვეს, დაამწყვდიეს.

VII

შემოდგომა მიწურულიყო, მაგრამ დარი ჯერ ისევ მშვენიერი იდგა; მოწმენდილ ცაზე მზე უღარდელად ჭახჭახებდა, თითქო ვერა გრძნობდა, რომ სიცვიეს კიდევ დაეძლია ის, რომ დღეს თუ ხვალ იმისთვის უნდა დაეთმო სამყაროს ბატონობა. დილის სუსხზე დათრთვილულ სართულებზე კი შვა-

ტყობდა კაცი, რომ ზამთარი მოახლოვებულყო, კარს მომდგარიყო.

ხალხი საღამ-საღამოობით ქუჩაშივე ირეოდა, ჯერ შინ არ ჩაკეტილიყო. წერილ-ფეხობას ხომ სულ არ უდგებოდა შინ გული, ქუჩაში გაჰქონდა ჟივილ-ხივილი.

კიკოც კარზე ცელქობდა, „დაგინახეს“ თამაშობაში, პირველობა დაესაკუთრებინა; შველივით დაქროდა ქუჩიდან ქუჩაში, ქუჩები ბლაგვიანის ორლობეები ეგონა. ამ ბოლოს დროს მაინც ძალიან მიეჩვია ის ცელქობას; უბანში ამხანაგები გაიჩინა, კოჭობაში, ქიდილში საპატო ადგილი დაიმსახურა. სწავლისა რომ ვერა გაიგორა, ზურგი შეაქცია იმას და უსაქმოდ დარჩენილმა ცუდად ჯდომას ცუდად ხტომა ირჩია. კრივი კი არ ემარჯვებოდა; კრივის დროს მებარგულობდა, რადგან მარჯვე ყარაულობა იცოდა.

კიკო რომ შინისკენ გაქანდა, გზაზე თავის ამხანაგ დევრიშვილს შეეფეთა და კინალამ გადაიხება. დევრიშვილმა კიკო განზე გაიხმო და ჩასურჩულა: სუფნიშნის ქუჩაში კრივია, ჩვენები კრივობენ და წავიდეთო. კიკო გაჰყვა. ყმაწვილები რომ მივიდნენ, კრივი ჯერ არ დაწყებულიყო. შეღამდა. მთვარე ამოვიდა. შეიკრიბნენ მებრძოლნი. ერთ მხარეს მართო ათიოდე მოსწავლე ახალგაზდა იდგა. ახალუხებში გამოკვართულიყვნენ, კინკრიხოზე დადებული ნაბდის ქუდები ხელეურებივით გადმოშლილ ქოჩრებს ვერ დასწდომოდნენ, მამაცურად დაემკლავებინათ და რაზმი შეეკრათ. ამ მოსხებილ ახალგაზდების მნახველი განა იფიქრებდა, რომ ეს ის ყმაწვილები იყვნენ, რომლებიც სასწავლებელში სკამებზედ ოთხად ჩაკეცილები ისხდნენ, იკაკვებოდნენ და მასწავლებელს თვალს არიდებდნენ, ეგება ყურადღება არ მოგვაქციოს და გაკვეთილი არა გვკითხოსო! ეს-ლა თავი ამაყად აელოთ, ბეჭებში გაშლილიყვნენ და ამპარტავნულად გადასცქეროდნენ მოპირდაპირებს. მაყურებლების გული დაემორჩილებინათ იმათ. ხალხიდან გამოისმოდა:

— აი, კაცო, შკოლელები! რა ტალიკ-ტალიკი ბიჭებია! ბურჯებივით კი დგანან-და! შეითნებია რაღა, შეითნებია...

მოპირდაპირეში თუნდ ხუთჯერ მეტნი იყვნენ, ქალაქის ბიჭები სულ ერთად იღვნენ.

კრივის დაწყებისას ოთხი-ხუთი მოკრივე ჩადგა მოსწავლეების რაზმში, ცოდვას ამისთანა ბიჭები სიმრავლით დასძლიონ და წახდინონო.

კრივი პირდაპირ დიდრონებიდან დაიწყო: შაგირდები ეშურებოდნენ, აღმზრდელმა არ მოგვასწროსო; შენივთებულ ბრძოლიდან გუგუნნი და ბაგობუკი-ლა გამოდიოდა, რომელსაც ხანდახან სილის მჭახე ტყლაშუნი და მამაცური შეძახება-ლა ასხვადფერებდა. მოსწავლეების რაზმი დაურღვეველად მიიწვედა წინ ნელი ნაბიჯით. გარს ბევრი ეხვია იმათ, ერთს ათი სცემდა და ვერ კი ერეოდა; ცემას არ იმჩნევდნენ ისინი, თითქო ქვისა არიანო, და შეუფერხებლივ მიზიდავდნენ წინ მოწინააღმდეგეების უმთავრეს გუნდს. ქუჩის ბოლომდის ჩააცვილეს. ის იყო აპრობდნენ უკანასკნელად შეეტიათ მდგრად და ყიჟინით გაეფანტათ მოპირდაპირეები, რომ მოულოდნელად თითონ დაშალეს რაზმი და დაიქაქსნენ. გამწვავებული ბრძოლის დროს ამხანაგებმა შეატყობინეს, აღმზრდელი მოვიდაო. მოწინააღმდეგეებმაც გაიგეს მოსწავლეების უბედურება, შეეცადნენ დახმარება გაეწიათ და როგორმე გაეპარებინათ ყოჩაღები. ვის-ლა ახსოვდა, რომ ეს იყო, ეხლა დაუნდობლად ბეგვდნენ ერთმანეთს!

ქუჩაში რომ კრივი იყო გაჩაღებული, კიკო ქუჩის თავში ერთ ალაყაფის კარებთან იდგა დაბარგული: მოკრივე მოსწავლეების ტანისამოსს ჰყარაულობდა. იდგა იქ და გატაცებით გასცქეროდა კრივს, გულის ფანცქალით აღევნებდა თვალს თავისებს, ყველა იმათ წინ-წადგმულ ნაბიჯს აღტაცებაში მოჰყავდა ის. კიკო რომ მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული და კრივის მეტს ველარასა ხედავდა, მოულოდნელად ისეთი სილა მოხვდა, რომ თვალებიდან წინწყალები წამოსცივდა: აღმზრდელი თავს წამოსდგამოდა. ელდა-ცემულმა ყმაწვილმა გაუშვა ხელიდან ყველაფერი და გაჰქრა. აღმზრდელმა კი ამოიღო.



ვერცხლის სათუთუნე და დინჯად დაუწყო თამბაქოს ქალაღ-
ში ხვევა.

კრივი დაიშალა. მოსწავლეები გაეშურნენ იქით, საცა მე-
ბარგულე ეგულეზოდათ. მაგრამ ეხლა იმათ ტანისამოსს სულ-
თამბუთავი დასდგომოდა თავს. რას იზამდნენ? რომ გაქცეული-
ყვნენ, ტანისამოსზედ მაინც იპოვიდნენ და შავ ღღეს დააყე-
ნებდნენ, არა და... მიდიოდნენ თითო-თითოდ ტანისამოსის
ასაღებად. აღმზრდელიც ერთ შეუბღვერდა მისულს, გაარტყავ-
და და უბის წიგნში მოაქცეედა იმის გვარს.

VIII

რა ღამე იყო ის ღამე, კიკომ რომ შინ გაატარა! შიშით
თრთოდა, ძილი არ ეკარებოდა. ჩასთვლემდა თუ არა, სულ
თავის უბედურება ეზმანებოდა, კრთებოდა და თვალი ღია რჩე-
ბოდა.

— ეხლა კი უთუოდ გამომაგდებენ! მაშ უნდა გამომაგ-
დონ რაღა? ნეტა ეხლაც მაპატიონ და მერე მე ვიცი: თავს ჩა-
ვიკლავ წიგნში და ვისწავლი. მე კიკო ყანწარაშვილი ვიყო და
უნიჭოს მეძახდნენ! ვაჩვენებ, როგორ შემიძლიან სწავლა... მაგ-
რამ რომ არ მესმის, რასაც ვკითხულობ! ვერ შემიგნია, რა სწე-
რია წიგნში და, თუნდ ათასჯერ წავიკითხო, რა გამოვა?— არა-
ფერი, სულ არაფერი! აახ! ერთი მესმოდეს წაკითხული, ერთი
ჩვენებური წიგნი მომცა ხელში!— ფიქრობდა კიკო და ბოღმით
ლოგინში ტრიალებდა, ვერ მოესვენა.

ბოლოს ჩაეძინა და სიზმარში ნახა, რომ თავქვე-თავქვე მი-
დიოდა. საღ კლდეში გაჭრილი გვირაბი იყო და იმას ჩასდევ-
და. ყველა მხრით წუშვე ჟონავდა, მონიჭყულაყო და ფეხი
სნღტებოდა. გვირაბი თანდათან შევიწროვდა, ხვრელს დაემ-
სგავსა. კიკოს უკან გამობრუნება უნდოდა, მაგრამ გზა შეკრუ-
ლიყო, სინათლე ძლივს-ღა ჩამოდიოდა ზევიდან. კიკო გაწვა
და ცურვით სწრაფად წავიდა წინ, ეგება გავახწიოვო, მაგრამ
ხვრელი უფრო დავიწროვდა. აღარსაით იყო შევლა, სული

შეეხუთა, განწირულებით შესძახა „პაპავ!“ და გამოეღვიძა. ოფლში გაწუწულიყო, შიშის ზარს აეტანა; გონს ძლივს მოვიდა.

აღვა, ტანთ ჩაიცვა და წავიდა. ფეხები უკანა რჩებოდა. იმის იმედი-ლა ჰქონდა, რომ იქნება აღმზრდელმა დაგვიფაროს და გამგეს არ შეატყობინოსო. აღმზრდელი თუმცა სასტიკად ეპყრობოდა ყმაწვილებს, მაგრამ დასაღუჰად კი გაუჭირებლივ არავის გაიმეტებდა, არ გამოარისხვინებდა სკოლიდან; არც აღვილადა სწერდა მოწაფეებს შეეს დავთარში, არ დაასმენდა და უფრო თითონ ახდევინებდა დანაშაულს.

კიკოს ამ იმედმაც უმტყუნა: სკოლაში მისვლის უმაღ გამგეს სადგომის დერეფანში შეიყვანეს, კლასში შესვლა აღარ აცალეს. გუშინდელი მოკრივე მოსწავლეებიც იქ იყვნენ ჩამწკრივებულნი; მუხლები ჩაჰკეცოდათ, წელში მოხრილიყვნენ, თავი ჩაეკიდნათ, ავალეებში უღონო ჯავრი უქროდათ, დაბეჩავებულებიყვნენ და უიმედობა დასჩნეოდათ. ვინ იცნობდა ამ მომჩვარებულ მოსწავლეებში გუშინდელ ხალისით სავსე ბრგე ახალგაზდობას?!

გამგეს ოთახიდან ჭიქების ჩხარჩხური გამოდიოდა—ბატონი ჩაის მიირთმევდა. გაიარა აღმზრდელმა, მაგრამ ყმაწვილებს ზედაც არ შეხედა. ეს ცუდი ნიშანიო, — იფიქრეს იმათ. რომ დაეტუქსა, უფრო იმედი მიეცემოდათ, ამითი გაივლისო. მსახურმა ჭიქები გამოიტანა და, ყმაწვილებთან რომ გაიარა, დასცინა, ცემა-ტყევა თუ მოგწონთ და ატანა შეგიძლიანთ, ეხლა გამოჩნდებაო. მოსწავლეებს ფერი ეცვალათ, მიხვდნენ, რომ მხეპლებით ცემას უპირობდნენ იმათ. სკოლაში მხეპლები თუმცა აკრძალული იყო ეხლა, მაგრამ გაჭირებაში კიდევ ხმარობდნენ, რადგან გაჭირების ტალკვესად მიჩნდათ. მიხვდნენ ყმაწვილები, რა შეურაცხყოფას უპირობდნენ და შეტოკდნენ.

კიკოს ელდა ეცა, ჭირის ოფლი დაასხა. თავის თავი რომ ისე საზიზღრად გაღაბული წარმოიდგინა, სირცხვილით აღმუერი აუფიდა სახეზე. თანაც ერთი შემთხვევა მოაგონდა და შიშის ზარმა აიტანა: ერთხელ ჯარი იდგა ბლაგვიანში; ერთმა



ჯარის-კაცმა რაღაც დააშვა და უფროსმა გააღახვინა ვაჟკაცი; დასცეს ძირს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დაასხდნენ ზედა და სადაგლად დაშხიპეს, სისხლი აღინეს; მისი ღრიალი ზეცას აღიოდა, გულშეწუხებული წაიღეს.

მოაგონდა ეს და ძრწოლა დაიწყო. გაახსენდა, პაპა რომ იტყოდა ხოლმე იმაზე, კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო, და მწარედ გაიღიმა. „მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მღვართა ჩემთაგან განმარინე მე“, — გაივლო გონებაში უნებლიედ და ხსნაზე დაიწყო ფიქრი; აზრად მოუვიდა, თავისთვის ეშველნა, დაეხწია თავი ამ უბედურებისაგან. გაუძლიერდა ეს სურვილი, მთლად შეიპყრო ის ამ სურვილმა; იმის გონებაში ყველაფერს ნისლი გადაეფარა, ამ მისწრაფების გარდა, ეს სურვილი კი თანდათან გაირკვა, გაბრწყინდა, მთლად შეიპყრო ის და უნებლიედ აამოქმედა. კიკო ნელ-ნელა დაუახლოვდა კარებს, გასხლტა დერეფნიდან, გაძვრა ალაყაფის კარებში და დაეშვა შინისკენ.

IX

კიკომ მიიღბინა შინ, აიპარა ბანის კიბეზე და ჩამოჯდა. ბევრი ხანი კი ვერ დაჰყო იქ: შიშმა აიტანა; იფიქრა, უთუოდ მიპოვნინაო და ისევ კარზე გამოვიდა. გაიარა რამდენიმე ქუჩა, — იმ ქუჩებზე იშვიათად გაეელო. არ იცოდა, სად მიდიოდა; მარტო ერთი სურვილი იყო იმის ტვინში გამორკვეული, რომ გასცლოდა, დაშალვოდა თავის მტარვალებს. ეს მტარვალები რომ ეხლა ეძებდნენ იმას, ფეხდაფეხ მისდევდნენ, ამაში ის დარწმუნებული იყო.

ხილზე რომ გადიოდა ფეხ-აჩქარებით, გაიხედა თავის სოფლისკენ და კლდის წვერზე ქოჩორა ხე დაინახა. ერთ წამს შედგა, გაუღიმა, თავი დაუქნია: ქოჩორა ხე მფარველ-პატრონად დაესახა იმის ტანჯულ გონებას, იმან ანდამატივით მიიზიდა გაწამებული ყმაწვილი: ის ხომ იმის სოფლის გზაზე იდგა; იმის იქით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ქალაქი თვალითაც აღარ

გამოჩნდება, იმის იქიფ ხომ თავისუფლებაა. აახ! მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მღევართა ჩემთაგან განმარინე მე.

კიკო დაჰყვა ქუჩებს და გასცდა ქალაქს. ჯარისკაცების სადგომს რომ მიატანა, ნაცნობი აუტანელი ბული ეცა ცხვირში და უნებლიედ ფეხი ააჩქარებინა: სასწავლებელი, მასპინძლის სახლი, მთელი ქალაქი ამ საძაგელ სუნს დაადარა, ეს სიმყრალე იმათ გამომსახველ ნიშნად დასახა. მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მღევართა ჩემთაგან განმარინე მე, გაიმეორა გონებაში. გორხანებთან რომ გაიარა, თქვა, თუ მართლა ღამღამობით ყველა ამ საფლავებიდან სამსამი ლეკვი ამოდის, დიდი წკავწკავი უნდა იღვეს ხოლმე აქ სიბნელეშიო.

— მაგრამ ეს ხომ ტყუილი იქნება: მე ქრისტიანებში ვიყავი, განა ისინი თათრებზე უდიერები არ არიან? თუ აძალღებია, იმისთანები უნდა აძალღდნენ, — გაიფიქრა კიკომ და დაუმატა: — მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მღევართა ჩემთაგან განმარინე მე.

წინანაურის წყაროსთან რომ მივიდა, პირზე წყალი შეისხა, რამდენიმე ყლოუბიც ჩაყლაპა. წყალი თბილი ეჩვენა, გაიფიქრა, ნეტა ზამთრობით წყარო უფრო თბილი რად არისო, ალბად ღმერთს სიცივისაგან დასუსხული ხალხი შებრალებიაო. ავიდა აღმართს. გაჰყვა წინანაურის ბაღების ორღობეებს. ვენახები სულ დაკრეფილები იყო, კაკლებიც დაებერტყათ, გზაზე გადმოშვებულ კენწეროებს-ლა შერჩენოდათ რამდენიმე. ორიოდ ჩამოაგდო ქვით. მივიდა წინანაურის ეკლესიასთან, საყდრის პირდაპირ რომ ხატი იყო დასვენებული, იმას ემთხვია; ჯიბეში ორი გროში ეგდო, ის ბრმა გლახაკს ჩაუდო ხელში, იმ ხატს რომ შეჰკედლებიყო. ჩაირბინა თავ-ქვე, გახდა კლდეზე მოჩახჩახე ნაკადს, შეუდგა აღმართს. საბაჟოსთან რომ მიდიოდა, მებაჟის სახლს განძრახ ახლო აუარა ხტომით, ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო. დაადგა სალ კლდეზე ამაველ გზას.



ეს გზა მგზავრის ფეხით არის გაკვალული, მკეთებლის ხელი არ მოხვედრია იმას. სულ ოღრო-ჩოღროა. არაფერ ეტლს არ შეუძლიან აქ გავლა; საურმე გზა სხვა არის. ცხენსაც უნდა ჩამოუხდეთ. ჯანდაკ ვისმე ან პატარას თუ შეშვენის აქ ცხენდა-ცხენ ავლა. ნაცური ცხენის ნაღისაგან დათლილია სიპი. ნიავღვრისაგან დაღარულია მთელი კლდე. მცენარეს ვერ მოუკიდნია ზედ ფეხი, გრაკლა ან ძეძვი-ლა გამაგრებულა აქა-იქ, კლდის ნაპრალებისთვის ჩაუჭიდნია ფესვები, ლოდებისათვის შემოუხვევია ზედ და დიდის გაჭირებით პოულობს საზღოს: ძალი ხეებისა, ცოტათი იციან იოლას წასვლა.

კიკომ იცოდა, რომ ამ გზის უეცრად შებრძოლება არ ივარგებდა, აჩქარებულ მგზავრს ხელადეე მოსჭრიდა მუხლს და ნელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს. გაერთო. ხან ქვას ისროდა, თუ კარგი გასასროლი ნატეხი შეხვდებოდა, ხან კალმის დანით გრაკლასა სჭრიდა და აჭრელებდა, ხან ძეძვის ფარასა ჰკრეფავდა, დედა-ჩემი ამას ხველებისთვისა ხმარობსო, ხან ქვაზე გაწოლილ ჯოჯოს აფთხობდა: ყმაწვილი იყო, ვარამი დაეიწყებოდა, წუთით სიამოვნებდა. დარიც ხელს უწყობდა: იმისთანა თბილი და ნათელი დღე შემოდგომის მიწურულეებში იშვიათია. მგზავრები ათასში ერთხელ ხვდებოდნენ: სოფლიდან წამოსული ხალხი ჯერ კლდეს არ ჩამოჰფენოდა.

აღმართის მესამედი ექნებოდა ავლილი, როცა გზის პირში მოძებნა პატარა ნაპრალი, საიდანაც ორთქლი ამოდებოდა. ეხლა თბილოდა და ორთქლი კარგად არა ჩანდა, ხელი რომ დაგედოთ კი იგრძნობდით სითბოს; ზამთარში იმ ნაპრალის გარშემო თოვლია ხოლმე გამდნარი და კლდიდან ორთქლი თვალსაჩინოდ ამოდის. პაპამ პირველად რომ უჩვენა კიკოს ის ადგილი, უთხრა აქ თბილი წყალი მომდინარეობს კლდის გულში და ეს იმისი ორთქლიაო. კიკომ რამდენიმე კენჭი ჩააგდო ნაპრალში და თან გაიფიქრა, ნეტა მართლა გოგირდზე მომდინარეობს ეს წყალი, გოგირდსა ხსნის და ისე თბება, თუ დედამიწის გულში რომ ცეცხლს ამბობენ, ის ცეცხლი ათბობსო.

კიდევ კარგა გზა გაიარა და ორსულ კლდეს მიახლოვდა. აქ გზა ხევს ჩაუხვევს, რომელიც ერთ ალაგას გაფართოვებულია ესე ასიოდ ნაბიჯის სიგანეზე. ამ ვაკის პირში, გზის გაღასწვრივ, ტყუბად ამართულია ორი კლდე. იმათი მოთეთრო გვერდები მთლად ჩამოლესილ-ჩამორეცხილებია. ძველებურ კოშკებსა ჰგვანან ნაგებობით, მხოლოდ მუცლები უფრო გამობღერილები აქვთ. იმათ სიბ გვერდებზე ბალახიც კი ვერ იმაგრებს ფესვს, მხოლოდ ხავსი მოჰკიდებიათ. ამ კლდეების თავზე გრაკლის ჯაგები დაზდილან, ქაჩორივით გადმოჰფენიან. აფრთოვანებულ ოცნებას გაქვავებულ ადამიანებს შეუძლიან დააგვანოს ისინი. კლდე ხმას ისხლეტავს, მკაფიოდ აბრუნებს. ამ კლდეს ეძახის ხალხი ორსულ კლდეს. იშვიათად გაივლის აქ მგზავრი, რომ არ შესძახოს კლდეს:

— ქალი გყავს, თუ ვაჟი?

— ვააჟიიი!—მიუგებს მაშინვე კლდე.

ეს მიყრუებული ხევი საშიში აღვილია: აქ ბევრჯელ გაუძარცვავთ ან მოუკლავთ მგზავრი.

კიკომ გადარბინა ვაკე, მივიდა კლდესთან და ძირიდან დაუწყა თვალიერება. მერე შესძახა,—ქალი გყავს თუ ვაჟიო და კლდემ ხმა მისცა, ვაჟიო. ეს ხმა ყრუდ გაიმეორა ხეობამ.

• ორსული კლდიდან გზა უფრო ფართოვდება, გზის ნაპირებს ხშირი ჯაგი მოსჯარვია: კლდეს ნიადაგი გადაჰფარებია და მცენარეებს მკვიდრად მოუკიდნიათ ფესვი. მგზავრი აქ უფრო ხალისიანად ასდევს გზას, რადგან ფეხი აღარ უსხლტება და აღმართის დათაგებასაცა ჰკრძნობს.

თუ გზის მოკლედ მოქრა გასურთ, ორსულ კლდის ცოტა ზევით მარჯვნივ შეუხვევთ და ღრმა ვიწრო ხევს შეჰყვებით. ეს ხევი ჩარეცხილია წყლისაგან, ძნელი სავალია, ორ-სამ ადგილას კიბეებივით არის ასახვლელი და ხელი თუ არ მიიშველეთ, ვერ ახვალთ; მცირე წვიმის დროსაც კი ნიაღვარი აქ დიდი ქშუილითა და ღრიალით მოქანობს. ცხენი ვერ დადის ამ ბილიკზე. საშიში გზაა: ჩასაფრებულ ავაზაკს ადვილად შეუძლიან აქ ნაფნები ჩაიდინოს; შეიძლება, მხეციც შეეფეთოს მგზავრს.



ბილიკს რომ აანახევრებთ, მარჯვნივ გამოქვაბულ კლდესა ნახავთ, რომელიც ოთახივით არის წამოხურული. კლდე იცრემლება გამოქვაბულში და ნაქონი გამოქვაბულშივე გროვდება. ვაი რომ ცოტაა, თორემ მშვენიერი ცივი წყალი იცის.

კიკომ ამ პატარა ბილიკისკენ შეუხვია. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მელა დაინახა ლოდის ძირში მიწოლილი; კული გვერდზე გადაეგდო, კბილები დაეღრიჭა და მყუდროზე იშუშებოდა. ყმაწვილი ჯერ შეკრთა, მაგრამ მერე იცნო მხეცი და გამოუდგა. მელამ იქვე ლოდებისკენ შეუხვია. კიკომ ორჯელ-სამჯერ-ღა მოჰკრა თვალი იმის ფაფუკ კულს, რომელიც სუბუქად მიცურავდა ჰაერში, მიწას არ ეკარებოდა. გამოქვაბულს რომ მიახწია, შიგ შევიდა დასასვენებლად. პაწაწინა აუზი წყლით სავსე დახვდა. მგზავრი წამოუწვა წყალს და ხარბად დალია. დაღალვა იგრძნო, ფეხები უჭუოდა და პური მოშივნოდა. დილას პურის ნატეხი ჩაედო ჯიბეში და იმას შეექცა, თან წყალში ასველებდა. უამა, მალე კი გაუთავდა, მარტო საღერღელი აუშალა.

— ახლა მიპოვნონ ჩემმა მტრებმა! რომ მიპოვნონ კიდევ, რას წაიღებენ? სულ ქვით ჩავაშეშებ, მანამ აქ ამოვლენ! ტარიელი ხომ დევებსაც გაუმკლავდა, ქვაბი რომ იპოვნა. ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვე, დევთა შეეკაფნეს. შემოვები, ამოვწყვიტე. დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდინ აიწეოდა, მათითა ლახტის ცემითა... დედი! დედიჯან! აქაც რომ საუნჯე იყოს დაფარული! მაშინ დედასაც მოვიყვანდი, პაპასაც და...—ოცნებობდა პატარა, მაგრამ გვიანდებოდა, დრო იყო გზას შესდგომოდა.

გამოვიდა გამოქვაბულიდან, აიარა დანარჩენი აღმართი, აივაკა. ქოჩორა ხე ცოტა უკან დარჩენილიყო. დაუბრუნდა, მიესალმ-მიესაყვარლა, მოეხვია, შესჩივლ-შესტირა, ქოჩორამ იგრძნო პატარას გულის ტკივილი, წყენა დააჩნდა, აღელდა და აღშფოთებული დასცქეროდა თავს; მკრთალ ფოთლებს აშრიალებდა, ესაუბრებოდა: ბეჩავთ ბედს მოუთხრობდა, ჩაგრულთ ხვედრთან ბრძოლას ავალებდა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა,

ირხეოდა, ტოტებს მისკენ იწვდიდა—პატარის დაყვავება, დანიმედება, მოხვევნა, გულში ჩაკვრა მოსურვებოდა.

კიკომ გადახედა იქიდან ქალაქს, იაზრა, საცა იყო იმათი სკოლა და სიძულვილით, სიბოროტით აიესო; მუშტი მოუღერა, მიაფურთხა და კბილების კრაჭუნით გატრიალდა უკან. ქვაყრილთან რომ გაიარა, საქოლაებს თითოა ქვა მიაგლო, ესე უნდა, ესეთი წესიაო.

გადაადგა თავქვეს. გაეშალა წინ ნაცნობი ადგილები: მოხდენილი პატარა ვაკე, რომლის ბოლოს მოცისფრობდა კუმისის ტბა; ტბის გარშემო მარილ-ნაფტ-ქვევი ნაპირები მოსჯროდნენ, სპეტაკ ჩარჩოში ჩაესვათ საგუბარი; ტბის მარცხნივ მიკამკამებდა მტკვარი, რომელსაც მარჯვნივ იაღლუჯა ასდევნებოდა, მდინარეც და ეს გორებიც შორს ბუნდოვან სივრცეს ეფარებოდნენ. ტბის მარჯვნივ კუმისის მთები შესდევდნენ, სამხრეთისკენ იწვედნენ, ალგეთის ხეობაში იკარგებოდნენ. მინდორზედ, ტბისა და კუმისის შუა, თეთრად მიიხლაკნებოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი შარა, გეზათ ასდევდა გადასახედავის აღმართს, მემრე.... აახ! რამდენჯერ სიხარულით ასტოკებია კიკოს გული, ამ გზისათვის რომ დაუხედნია; ეხლა კი გული აუკვნესდა, მუხლი მოეჭრა, თვალს ცრემლი მოადგა.

— დედას და პაპას ჰგონიათ, ეხლა სასწავლებელში ვარ, კარგათა ვსწავლობ, ზევით კლასში გადავალ, ის კი არ იციან, რა ამბავია ჩემ თავს, რა უბედურება მეწერა. წინად, როცა მივიდოდი, როგორ გაეხარდებოდათ ხოლმე! ეხლა კი ელდა ეცემათ. დავილუპე! იმათაც ყელი გამოეჭკირი... ან როგორ უნდა ვიმართლო თავი? ვინ რას დამიჯერებს? ყველა იტყვის, გაქსუებულა, უზარმაცნია, უნიჭო გამომდგარაო... დავბრუნდები! ისევ დავბრუნდები!... მემრე ხომ მომკლავენ, უფრო ამითეალწუნებენ, დვენას დამიწყებენ. ვერც ვისწავლი, როგორც იმათ უნდათ, ისე ვერ ვისწავლი: არ მესმის! არ შემიძლიან! ფიქრობდა კიკო და იტანჯებოდა. ვერ დასდგომოდა გადაწყვეტილ აზრს, ვერაფერი ვერ გამოერკვია იმის გონებას, ირყეოდა, ხან ერთ კედელს აწყდებოდა ხან მეორეს; ვაისაგან გა-

მოქცეულს შინ უი დახვედროდა; ცხოვრების ზღვა აპლელვ-
 ბოდა და ტალღის ბიამანზე გაეტყორცნა, გაერიყნა.



შარშან შემთხვევით სოფელ მქადისყუას გავატარე ზაფხუ-
 ლი. გავლით ვეწვიე ჩემ მეგობარს, მაგრამ იმ მხრის სიმშვე-
 ნიერემ გული დამიხვია და დავყვე მასპინძლის გულითად თხოვ-
 ნას. მით უფრო აღვიღად დავთანხმდი ჩემ მეგობარს და დაერ-
 ჩი, რომ იმისი მარჯვედ და აზრიანად მოწყობილი საესე სახ-
 ლი ჩემ იქ ყოფნას ვერ შეიმჩნევდა, მე იმათ ვერაფრით ვერ
 შევაწუხებდი.

ბალისკენ ერთი გაცალკევებული ოთახი იყო და ის მო-
 მიჩემეს მე. ჩემ ფანჯარას ხეხილი ეალერსებოდა, ყუდროზე
 ვარდის ბუჩქები გალაღებულიყვნენ, გარშამო ჩიტუნიებს გა-
 ჰქონდათ ჟღივილ-ხივილი, მეტადრე იმის შემდეგ, რაც ნამცე-
 ცებს უყრიდი ჩაისა თუ სადილ შემდეგ. იმოდენად პატიესა-
 მცემდნენ იმ მადლიან ოჯახში, რომ სადილ-ვახშამსაც კი ცალკე
 მიგზავნიდნენ, რომ არაფერი მოკრთალებოდა არ დამჭირებოდა,
 ან არ შემეწუხებინა ვინმე, ან არ შეგწუხებულყოფი. ჩაის შემ-
 დეგ რომ გავიდოდი, სადილად-ღა ვბრუნდებოდი შინ.

მქადისყუას დაქანებული ადგილი უჭირავს. სოფლის
 ზევით აღმართი ტყით არის შემოსილი მთის წვერებამდინ.
 გადაღმა დიდი ხეობაა გადაშლილი. სოფელს ქვევით პატა-
 რა მდინარე ჩამოუდის. თითონ სოფელი ბაღებში ზის. ეკ-
 კლესია ქვემო უბანში დგას, ხევის პირას, გარს კოშკებიანი
 მაღალი გალავანი არტყია. ძველად ეს ეკკლესიაც იყო და ამ
 ხეობის ციხეც. საყდარს ორი სამწირველო აქვს, მეო-
 რე—უმთავრეს საკურთხეველის მარჯვენე. ძველი მხატვრობაა.
 ნიფთების დასაცველ ოთახში, საკურთხეველის მარცხენე, რალაც
 შემთხვევით ძველი სათემო დროშები შენახულან აქამდინ, ზან-
 ზალაკებით და ფოჩებით შემკული გძელ-ტარიანი დროშები. ამ

დროშების ქლრიალს ბევრჯელ სამიროდ აუღელვებია საქუ-
რების გული, ბევრჯელ დანთხეულა ამ ციხე-ეკლესიასთან მა-
მულიშვილების წმინდა სისხლი და გზუვალ ღვარად ჩადენილა
მტრების წინ,—ასე მოგვიახრობს ჩვენი წარსული. მოწიწებით
გავსინჯე ეს ნაშთები და მღვდელსა ვთხოვე, სიწმინდესავით დაე-
ცვა ისინი.

ეკლესიის ეზოში რომ დახავსებული ხე იდგა, იმის
ჩრდილში მომწონდა ხანდახან ჯდომა. რამდენიმე მოსწავლე
ყმაწვილი იყო იმ სოფელში, ისინი მიდარილებდნენ და რო-
ცა მივიდოდი იქ, შეგროვდებოდნენ, გარს შემომეხვეოდნენ,
მკითხავდნენ, მიამბობდნენ, ცელქობდნენ. წირვა-ლოცვაზედაც
მიყვარდა იმ ეკლესიაში სიარული. ზე-ამზიდველი ლტოლვი-
ლება იქით იყო, და იქაური დიაკვნის კითხვა-გალობა მიზი-
დავდა. პირველად შევხედი ისეთ მეტყველ დიაკვანს. ის რომ
წიგნს გაშლიდა, სიტყვები მარგალიტებით დამარცვლილ-
დამთავრებული იწყებდნენ იმის პირიდან დენას, შეუბრკოლებ-
ლად გადმოჩხრიალებდნენ, ქართული კილოთი ალაპარაკდე-
ბოდნენ, ყურს ეალერსებოდნენ, ესიყვარულებოდნენ, გულს
ნახად ჩასჩურჩულებდნენ, ლმობიერად ესაუბრებოდნენ, მუდა-
რით გარს ეხვეოდნენ; ხან კი შერისხ-შეუტყვედნენ, მუქარით
განზე გაუხტებოდნენ, გაუწყრებოდნენ, მაგრამ მერე ისევ დაუ-
ტკებოდნენ, მიუალერსებდნენ, ზეცისკენ ეზიდებოდნენ. ხომ
მარტოდ-მარტო გალობდა, მაგრამ გალობაშიაც რალაც ნაც-
ნობი, საამო, გულთან აღრიდანვე დაკავშირებული ხმები მო-
მესმოდა. გალობის დროს ზევით უყვარდა მზერა.

თითონ კაცს დაგრძელებული თმა შუაზედ გაეყო, წვერი
მოეშო. დაჩაგრულ სახეზედ ბედისადმი მორჩილება აღბეჭდო-
და. საწიგნესთან რომ წმიდანის ხატა ეკიდა, იმ ხატს დამსგავ-
სებოდა.

წირვა-ლოცვის დროს საწიგნეს უკან იდგა ხოლმე ყვარ-
ჯენზე დაყრდნობილი მოხუცი დედა-კაცი. ეტყობოდა, თავის
დროზედ ლამაზი უნდა ყოფილიყო. დიდრონი შავი თვალები
ეხლაც უბრწყინავდნენ, როცა დიაკვანი რაიმე საგულისხმოს

წაიკითხავდა, ან რომელსამე საგალობელს ჩააკაკანებდა მარჯვედ. ბევრჯელ კი დიაკვნის ცქერაში თვალები ცრემლით ევსებოდა, სახეზე სევდა აჩნდებოდა და წაიბუტბუტებდა:

— ღმერთო! რა შეგცოდნე იმისთანა, რომ გამიუბედურე შვილი? განა ამას გამოველოდით ამისაგან?..

ეს მოხუცი დიაკვნის დედა ყოფილიყო.

ეს დიაკვანი ძალიან მოკრძალებით მექცეოდა: სალამს შორიდან მაძლევდა, ცდილობდა, გზა აექცია, ეჭვით მიყურებდა. როცა უეცრად შევხვდებოდი სადმე, განზედ ხტებოდა, მთელ გზას მითმობდა. მაინც კი უყვარდა შორი-ახლოდან ჩემი თვალღერება, მეტადრე მაშინ, როცა ეკლესიის ეზოში ვიყავი და ყმაწვილები გარს მეხვივნენ. ბევრჯელ შემინიშნავს ამ დროს, რომ მწარედ გაუღიმიო, ხელი ჩაუქნევია და გაგვცლია. ხანდახან ჩვენკენაც წამოვიდოდა ხოლმე, თითქო ჰსურს ჩვენს საუბარში მონაწილეობა მიიღოსო, მაგრამ ისევ გატრიალდებოდა. ერთხელ მოგვიახლოვდა, მკაფიოდ მოგვაძახა: „ჩორნია ი ჩორნობურია ლისიცი ვოდიატსია ნა ალეუტსკიხ ასტრავახ!“ და გაიარა.

ამ დიაკვანმა ძალიან მიიქცია ჩემი ყურადღება და მე თითონ გამოვეხმაურ-გამოვემცნაურე. როგორც იყო, შევიჩვიე.

კიკო ყანწარაშვილი ყოფილიყო ეს დიაკვანი.

— აბაიმე! მაშ ეხლა შკოლაში ცემა აღარ არის?—მკითხავდა ხოლმე კიკო და უკვირდა, ვერ დაეჯერებინა.

— მაშ მასწავლებლები თუ უხსნით ეხლა სიტყვის ძალას და კარგად ექცევით, ამდენი გამოარისხულები რაღად არიან კეთილშობილების შვილები გინდა, სამღვდელოებისა, თუ ისე ხალხისა? დავიჯერო სულ უნიჭოა ამოდენა ხალხი?—მკითხავდა ხოლმე კიკო და უნდოდა გაეგო ამის მიზეზი.

გ. ბარნოვა

აპირანის უპილნი

ისტორიული რომანი

აფხაზეთის ცხოვრებიდან

მესამე ნაწილა

XI

თავადს გოლიცინს ჭრილობა შეუხვიეს და ფრთხილად დააწვინეს ურემზე, რომელზედაც ხალი იყო გაშლილი. გონს მალე მოვიდა და ექმისა ჰკითხა, ამ ჭრილობის შემდეგ შემძლია თუ არა კავალერისტად დაერჩეო? ექიმმა უპასუხა, ცხენზე ჯდომას ძველენურადვე შესძლებთ, მხოლოდ, ეს კია, დაკოჭლდებით, ამიტომ რომ ტყვიამ კუნთი დაგიზიანათა.

მანი შარვაშიძენი, დუელის შემდეგ, მაშინვე გაბრუნდნენ კისლოვოდსკში, ხოლო აფიცერი შილკოვი და ექიმი დაჭრილის წამოსაყვანად დარჩნენ. კისლოვოდსკში მშვიდობით ჩააღწიეს. ექიმმა უშეელა და თავადი გოლიცინი თვითონვე შევიდა თავისს ოთახში. ხელახლა გასინჯა ექიმმა ჭრილობა, შეუხვია, საჭირო წამლები გამოუწერა და წასვლის დროს დაჰპირდა, ხშირად განახეთო. თან გეგმა დააწყვეს, დუელის ამბავი კისლოვოდსკში არავინ უნდა იცოდესო, ხოლო ჭრილობის მიზეზი თუ ვინმე იკთხოს, უნდა ვსთქვათ, ნადირობის დროს ხიფათი შეემთხვა-თქო.

ექიმი შინ რომ დაბრუნდა, მსახურმა მოახსენა, დღეს დილით აღრე გაგარინიანთგან კაცი გეახლათ—თავადის ასული

*) იხ. „მოამბე“ № IV, 1898 წ.

ავთ გახლავსთო. ისიც მაშინათვე გავიდა სახლიდან, მაგრამ გზაში ერთი საზაფხულოდ ჩამოსული ექიმი შეხვდა, რომელიც ის-ის იყო, გაგარინის სახლიდან გამოვიდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ექიმმა გრიგოლმა.

— მგონი, ბევრი არაფერი: — უფროსს ასულს თავადისას ნერვები აშლია, ცოტა სიცხეცა აქვს... საშიში არაფერია: — ალბად თავგებისა შეეშინდებოდა ღამე, — უბასუხა ღიმილით მეორე ექიმმა.

ორივე ერთმანეთს გაშორდა და ექიმი გრიგოლი გაგარინის სახლში შევიდა. წინ კნენა შემოეგება.

— როგორა ბრძანდებით? — ჰკითხა ექიმმა.

— გამდლობთ, მხოლოდ ჩემი ვარია უქეიფოდ გამიხდა... ექიმი მოვიწვიეთ, და იმანა სთქვა, ნერვები აქვს აშლილიო; ნეტავ, რა მიზეზი უნდა იყოს?

ექიმი პირდაპირ ავადმყოფთან შეიყვანეს. ვარიამ რომ დაინახა, ლოგინზე წამოჯდა, შეშინებული.

— ეგ რას სჩადით, ბატონო? — მხიარულად უთხრა ექიმმა: — მე ვიცი, თქვენისთანებს როგორ უნდა დასჯა!

ექიმი დაარხენიებული და მხიარული რომ დაინახა, ვარია მოცოცხლდა.

— დედილო! — ხელად ითვალთმაქცა ქალმა: — წადი, შენი ქირიმე, და სხვა მსუბუქი თავმოსახვევი მომიტანე, ეს მეტად თბილია, — მცხელა.

კნენა გავიდა. ვარია კი მაშინათვე ხელში ჩააფრინდა ექიმმა.

— როგორ არის? მე ყველაფერი ვიცი... დუელი ხომ მოხდა? როგორ არის? — აღელვებით ეკითხებოდა ქალი.

— ვინ? — ღიმილითა ჰკითხა ექიმმა.

— ნუ იცინით, თუ ღმერთი გწამსთ! მითხარით, თქვენ იცით, ვისაც გეკითხებით....

— დამშვიდდით, — ჩურჩულით უთხრა ექიმმა, რაკი კნენას ფეხის ხმას ყური მოჰკრა: — ცოცხალიცაა და მხიარულიცა.

შემოვიდა კნინა და თავმოსახვევი მისცა. დედამ ერთ-
 ბაშათ შენიშნა, რომ ჩემი ქალი გამხიარულებულაო.

— უკეთა ხარ, ქალოჯან?—ჰკითხა დედამ.

— უკვდა ვარ, დედილო.—მხოლოდ იცი, რა გითხრა,—
 მწყურიან.—ქალმა ხელახლა ითვალთმაქცა.

— რა გინდა, შეილიკო?—ჰკითხა კნინამ და შეილს თავ-
 ზე ხელი გადაუსვა.

— ლიმონადი მინდა, დედიკო.... წადი, გამიკეთე—მხო-
 ლოდ შენ უნდა გიმიკეთო.... მე მარტო შენი გაკეთებული
 მინდა.

გახარებული დედა ხელახლა გავიდა. ექიმმა თავი დაი-
 ქნია.

— აბა, კუდიანობაც აგეთი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა!
 —სთქვა ექიმმა.—ჩვენ, მამაკაცები, თავის დღეში ვერ მოვი-
 ფიქრებდით, დედისათვის ლიმონადი მოგვეთხოვნა.

— ჩემო ექიმო, მიხარით ყველაფერი,—ხელახლა დაუ-
 ქირა ექიმს ხელი ვარიამ.—მიზეზი რა იყო?

— რა თქმა უნდა, ცუდ-უბრალო რამ იყო მიზეზი, ხომ
 მოგეხსენებათ, კაცებს, და განსაკუთრებით სამხედროებს, ცო-
 ტა-რომ ეყოფათ, რომ ერთი ჩხუბი და დავიდარაბა ასტეზონ!

— არა, არა!—მითხარით, რა იყო მიზეზი?

— ღმერთმანი, არ ვიცოდე... მგონი, ბილიარდს თამა-
 შობდნენ და აიშალნენ.

— ნუ იგონებთ!—სოტყვა გააწყვეტინა ვარიამ:—კატიას
 გუშინ პარკში ყველაფერი უნახავს და ყველაფერი გაუგონია.

— ააა! მაშ კატია ყოფილა გამცემი!... ისიც კუდიანია.
 გუშინ ერთი სიტყვა მაინც ეთქვა ჩემთვის....

— მერე რა იყო?—ჩააცივდა ვარიამ.

— თავადს გოლიცინს დღეს ცოტათი დაუშავდა ფეხი...
 დღეის ამას იქით ვერც თქვენთან ითამაშებს, და ვერც სხვას-
 თან ვისთანმე.

— როგორ? დაჭრილია?—შეეშინდა ვარიამ.

— ნუ გეშინიანთ—მძიმედ არ არის... ჭრილობა კარგად შეფუხვიე... ტყვია ფეხში არ ჩარჩენილა—მეორე მხარეს გავიდა.

— ღმერთო, გმადლობ! — პირჯვარი გამოისახა ვარიამ. — კარგია, მიაშბეთ ყველაფერი, სანამ დედა არ მოსულა... პირველად ვინ ესროლა?

— თავადმა გოლიცინმა, მაგრამ ააცდინა. ხოლო დიმიტრი შერვაშიძემ ახლაც გამოიჩინა საოცარი სულგრძელება და გმობა. წარმოიდგინეთ, შეეძლო იქვე გაეგორებინა, ერთბაშით მოეკლა—მაგრამ სიცოცხლე შეარჩინა. როცა თავადმა გოლიცინმა ააცდინა, დიმიტრი შერვაშიძემ მარჯვენა ხელში დამბაჩა დაიჭირა, ხოლო მარცხენა ხელით მეორე დამბაჩა გაფრენილს მერცხალს ესროლა და მოჰკლა. „აი, — უთხრა დიმიტრიმ, — თავადო, თქვენც ამ მერცხალსავით მოგკლავდით, მაგრამ სიცოცხლეს შეგარჩენთ, მხოლოდ ისეთ ალაგას კი მოვახვედრებთ, რომ დღეის ამასიქით არავისთან ითამაშოთ, განსაკუთრებით—ჩემს დანიშნულთანაო“... თან, რომელიღაც პეტერბურგელ ქალის გვარი ახსენა, მაგრამ ახლა ვერ მომიგონია, — გაათავა ექიმმა ლაპარაკი და ცბიერულად გაიღიმა.

ვარია მთლად ლაჟღაჟებდა. მეტად ბედნიერადა გრნობდა თავს საყვარელ კაცის ამბის გაგონებაზე.

— საწყალი გოლიცინი! — წარმოსთქვა ქალმა. ამ ხელად კი გულწრფელი იყო მისი სიბრაღული.

— ახლა კი მესმის, რისთვის გახდით ასე ერთბაშად ავად. — უთხრა ექიმმა. — კატიას ნათქვამისაგან, ალბად, მიხვდით, რომ დუელი უნდა მომხდარიყო და ამიტომ გახდით ავად, განა?

— დიაღ, ბატონო ექიმო, ძალიან შემეშინდა... როცა ყველანი დავწექით, კატიამ მაშინ-ღა მიაშბო ყველაფერი; ცოტა აღრე რომ შემეტყო, დღისით, მაშინ არ ვიცოდი, რას ვიზამდი...

— გაგვცემდით ყველას, განა?

— ჰო... არ ვიცი, ღმერთმანი... შეიძლება, დედისათვის მეთქვა.

— შეიძლება, კარგიც გექნათ:—თავადს გოლიცინს უყნობრთელი ექმნებოდა ახლა.

— რილასათვის აიშალენ, მაინც არ ვიცი. კატია ამბობს დიმიტრი შერვაშიძემ გოლიცინს „საზიზღარი“ დაუძახაო. ეტყობა, საპატიო მიზეზი ყოფილა. დიმიტრი შერვაშიძე თავდაჭერილი კაცია:—ეტყობა თავადს გოლიცინს დიდი შეურაცხება მიუყენებია. მაგრამ როდის, სად—კატია მ არ იცის.

— გეყოფათ ამაზე ლაპარაკი, წარსული საქმეა.

ამ დროს ოთახში კნენა შემოვიდა. უკან მოსამსახურე ქალი მოსდევდა და ღანგარით ღიმონადი მოჰქონდა.

— აბა, დალიე, გენაცვალე, ჩემი გაკეთებული სასმელი, —უთხრა კნენამ და თავისის ქალის გამხიარებულს სახეს აკოცა. —ბატონო ექიმო!—მიუბრუნდა მერე ექიმს:—თქვენ ნამდვილი თვალთმაქცი ხართ. მხოლოდ თქვენმა აქ ყოფნამ მოარჩინა ჩემი ქალი.

— არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, —გაიღიმა ექიმმა:—მე შელოცვა არ ვიცი, ახალგაზღობას უნდა ვუმადლოდეთ... ხოლო ამ წამალის გაკეთება მე არ შემიძლია:—და არც აფტეკებში ჰყიდიან.

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა, —დაეთანხმა კნენა კარებს უკანიდან კაკუნი და თავად გაგარინის ხმა მოისმა:

— Entrez, Paul, entrez! —მხიარულად უპასუხა კნენამ.

— ჩვენმა ქალმა გული გაგვიხეთქა დღეს, —უთხრა თავადმა ექიმს და მიესალმა. —რა სჭირს?

—სრულებით არაფერი, თავადო, —თორემ თქვენ თვითონა ხედავთ.

— სრულებით კარგადა ვარ, მამილო, —მხიარულად უთხრა ვარიამ.

— ძმანი შარვაშიძენი დღეს სადილად დავპატიყე, —სთქვა თავადმა:—ძალიან შესწუხდნენ, როცა გაიგეს ვარიას ავადმყოფობა. უნდოდათ მაშინათვე მოსულიყვნენ, მაგრამ მე სადილად ვსთხოვე მოსვლა:



— ნეტავ, რა მიზეზია, რომ თავადი გოლიცინი, ამდენი ხანია, არა სჩანს?— იკითხა კნენამ.

— მარცხი მოუვიდა, — სწრაფად მიუგო ექიმმა და თან ვარიას გადახედა: — სანადიროდ წავიდა და უსაბედად ტყვია ფეხში მოიხვედრა და წიგეს...

— როგორ? — ჰკითხა თავადმა.

— თოფი უსაბედად გაუვარდა და ტყვია ფეხში მოხვდა.

— მძიმედ არის დაჭრილი? დაუშავდება რამე?

— საშიშო არაფერია.

— ფეხი საბოლოოდ ხომ არ გაუფუჭდება?

— მგონი, საბოლოოდ გაუფუჭდეს.

— აფსუსია ახალგაზდა კაცი, მერე ისეთის კარგის ოჯახის შვილი?...

— ჩემის აზრით, კნენა, ფეხი სამსახურს არაფერს დაუშლის.

— თამაშობა ხომ შეეძლება, ბატონო ექიმო, როცა ქრილობა სულ მოურჩება? — როგორღაც უცნაურად ჰკითხა ვარიამ. — რა კარგი მოთამაშეა!

— ვეჭვობ, ბატონო, — გაიღიმა ექიმმა: — მე მგონია დღეის ამას იქით ბალებზე თქვენთან ერთად მეტად ვერ ითამაშებს...

XII

სწრაფად გარბის დრო-ჟამი. ტყუილად კი არა ჰხატავენ დრო-ჟამის ღმერთს, სატურნს, ფრთებიანს. მაგრამ ეს ფრთებიანი მოხუცი განსაკუთრებით მალე მირბის მასავით მოხუცთა და შეყვარებულთა თვალში.

თავადმა დიმიტრი შერვაშიძემ და თავადის ასულმა ვარიამ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაირბინა გაზაფხულმა.

სხვა-და-სხვა საჩქარო საქმეებისა გამო საჭირო იყო, ახალგაზდა მთავარი აფხაზეთისა თავისს სამთავროში ყოფილიყო. არსლან-ბეი დარწმუნდა, ჩემს ძმისწულს კისლოვოდსკშიაც ვერაფერს დავაკლებო და, ამიტომ, თავისის ამალით აფხაზეთ-

ში დაბრუნდა და აქ დაუკავშირდა ოსმალეთში გაქცეულთა თვადს გიორგი დადიანს და თვადს ივანე აბაშიძეს, მამას პატარა მეფის ივანესას, რომელიც ძალათი წაიყვანეს იმერეთიდან რუსეთში, და დარეჯან ბატონიშვილს, განსვენებულის მეფის სოლომონ II-ის ასულს. არსლან-ბეიმ ყველგან ხმა დაყარა: ახალგაზდა მთავარს აფხაზეთისას, თვადს დიმიტრი შარვაშიძეს, რუსებმა მთავრობა ჩამოართვეს და ციმბირში გაგზავნეს იმნაირადვე, როგორც ყველა საქართველოს ბატონიშვილები გაგზავნესო და მერე იმერეთის ახალგაზდა მეფე ივანე აბაშიძეც მიაყოლესო; რუსებს განზრახვა აქვსთ დაიჭირონ ყველა თვადები სამეგრელოსი, გურიასი და აფხაზეთისაო: დასასრულ, რუსებს უნდათ კავკასიის ყველა ხალხნი ჯარისკაცებად წაიყვანონ, როგორც ყირგისებსა, თათრებსა, ყალმილებსა და პოლონელებს უყვესო.

ახალგაზდა მთავარი აფხაზეთისა გამოეთხოვა გაგარინის ოჯახობას და, თან, დაჰპირდა, ჩემს სამშობლოში საქქეებს მოვაწყობ თუ არა, ქრისტიანობისთვის პეტერბურგში გეახლებით და ნაშობვეს ვარიანზე ჯვარს დავიწერო. გამოთხოვების ჟამს ბევრი იტირა ვარიამ.

ვარიას სიყვარულმა აფხაზეთის მთავარი სრულებით გარდაქმნა. თავისს სამშობლოში ენერგიით სავსე და იმედული დაბრუნდა,—რა უნდა იყოს ისეთი, მე არ გავაკეთოვო, მე არ შევძლოვო! ჩემს დანიშნულს დავპირდი—აფხაზეთს ფიანდაზად გაგიშლი-მეთქი და გავუშლი კიდევცა! სოუქსუში, სადაც დედა ელოდებოდა, დიდს ხანს არ დარჩენილა. რაკოცისაგან დაწერილებით გაიგო საქმეთა ვითარება და არსლან-ბეის ახალი ოინები და განზრხენი. იქიდან სოხუმში მივიდა. ციხის უფროსთან, მიხინთან ერთად დააოვალიერა ქალაქის სიმაგრენი, თოფიარალი და სხვა საშუალებანი თავის დაცვისა და დარწმუნდა, ფეხ ქვეშ ნიადაგი მაქვსო; დარწმუნდა, მართალია, მომავალი შენობა აფხაზეთისა სხვის საძირკველზე—რუსების ხიშტებზე, უნდა აღვაგო, მაგრამ მერე ამ შენობას საკუთარს საძირკველზე

დავამკვიდრებო. ამ საძირკვლის დულაბს უეჭველად ვავეურევ არსლან-ბეისა და მისთა მომხრეთა სისხლსაო:

— „სამშობლოს მოღალატეთა სისხლი ამ საქმისათვის ძალიან სასარგებლო იმქნებაო“, — დაუმატა მან.

ამის შეიდეგ ამალითურთ ყველა სოფლები ჩამოიარა. ყოველს სოფელში სოფელელთ თავს უყრიდა და აღმაფრენს სიტყვებსა ეუბნებოდა. კაცი ვერ იცნობდა, ისე გამოიკვალა, — და აფხაზებიც აღტაცებითა და გაოცებით უყურებდნენ თავის მთავარს. როგორც ყველა სამხრეთის ხალხი, აფხაზებიც მალე აპილპილდებოდნენ ხოლმე და ხროვა-ხროვად მოეშურებოდნენ ახალგაზდა ორატორის საყურებლად. ქალებს თვალსა სჭირდა მისი სილამაზე, მისი ბრჭყვიალა მუნდირი. ყრილობაზე თავისი შვილებიც მიჰყვანდათ, ყრილობის გათავების შემდეგ სოფლიდან აღტაცებულის ძახილით აცილებდნენ. მოხუცი სხატადა რჩემოდნენ და თავებს აკანტურებდნენ.

— ეტყობა, მისის პაპის, ქელეშ-ბეგის, სული უდგას, — ამბობდნენ მოხუცი: — დედაკაცებმა და ბავშვებმა ალლოთი იგრძნეს.

— ეინც თავის მამას გაიმეტებს სასიკვდილოდ, ის თავისს დედასაც არ დაზოგავს, — ამბობდნენ სხვები.

— არსლან-ბეიმ თავისი მამა მოჰკლა: — და ახლა თავისს დედასაც, აფხაზეთს, — მოჰკლავს, — ამბობდნენ დანარჩენნი.

რამდენსამე თვეში ხალხმა თითქმის გამოიკვალა აზრი თავისს ახალ მთავრის შესახებ, და არსლან-ბეის ბევრი არაფერი სანუგეშო ამბები მისდიოდა. მიხვდა, რომ ჩემს გავლენას დღით-დღე ძალა ეკარგება და კლებულობსო, ხოლო ჩემის საზიზღარის ძმისწულის, ამ „რუსების ნუკერის“, ძალასა და გავლენას ისე ემატება, რაგორც კოდორის მდინარეს წყალი გაზაფხულზე, როცა მთაში თოვლი დნებაო.

— ჩემს მთებზედა თოვლი დნება და ამასთან წყლები მოდის, — ეუბნებოდა არსლან-ბეი ბრახმორევით თავისს მეგობარს ბეჟან შარვაშიძეს.



— ნუ გეშინიან, თავადო, — დიმიტრი მალე დაიხრჩვება ამ წყლებში: — წყალი მალე მოუღებს ბოლოს, — ანუ გეშებდა მეგობარს ბეთან შარვაშიძე.

— როგორ? — უნდოდ აქნევდა გაჭალარავებულს თავს არსლან-ბეი: — ჯერ როცა მთელი აფხაზეთი ჩემს მხარეს იყო, მაშინაც ვერა დაჯაკელი-რა და ახლა მით უფრო ვერას ვუზამ.

— ეს ჩემი და აურუს ლაყვარის საიდუმლოებაა, — უპასუხა ბეთანმა: — საიდუმლოებას მაშინა ჰქვიათ საიდუმლოება, როცა ორმა იციან; როცა მესამეც გაიგებს, მაშინ ძალა ეკარგება: — მაშინ საიდუმლოება არ არის, თუ მესამემაც იცის. საიდუმლოება და ცოლი ერთი და იგივეა: — იმის იმბავი მარტო ქმარმა უნდა იკოდეს. კიდევ გიმეორებ: წყალი დაჭლებავს ურუსების ნუკერს (მოსამსახურეს).

როცა ასეთის დიდებით მოიარა აფხაზეთი, თავადი დიმიტრი შერვაშიძე სოუქსუში დაბრუნდა. აქ ყოველის მხრივ მოაწყდნენ თავადები და აზნაურები. ყველას, აღმოსავლეთის ქვეყნების ჩვეულების თანახმად, თავის მბრძანებელთან ძვირფასი საჩუქრები მოჰქონდა: ვინ ფული მიართვა, ვინ თვალმარგალიტი, ვინ იარაღი. რამდენისამე კვირის განმავლობაში მისი ხაზინა გაივსო. რა კი ასე გამდიდრდა, მთავარმა იფიქრა, პეტერბურგში ჯვარის წერამდე წავალ და ყველაფერს ვიყიდი, რასაც მერე ჩემი განათლებული მეუღლე მოითხოვს: ძვირფას სამკაულს, ქურქებს და საზოგადოდ ყველაფერს, რაც დიდკაცების ოჯახებში მინახავს — პეტერბურგშიო. დღე და ღამ სულ იმასა ფიქრობდა, რა უნდა ვიყიდო, რა უნდა ექნაო, რომ ჩემს დანიშნულს არა აკლედეს-რაო. ამიტომ სულ შფოთავდა, მოსვენებით იშვიათად ეძინა. რაღაც ეშმაკად, ძველს ტაძარში საიდანლაც ბუმ დაიბუდა და ღამე თავისის ყიყივით ძილს უკრთობდა. ბუ ძახილს დაიწყებდა თუ არა, აურუს ლაყვარი მაშინათვე წამოვარდებოდა და აბეზარ ფრინველს გააგდებდა.

ბუის ძახილი გაისმოდა 1822 წლის ოქტომბრის 15 და 16-სა.

დიმიტრი შარვაშიძე, ის-იყო, დასაძინებლად განემზადა, რომ ბუის კენესა გაისმა.

— ახ, ეს წყეული! კიდევ დაიკენესა,—წარმოსთქვა მთავარმა, გაბეზრებულმა.

— გეახლებით და გავაფრთხოვ,—მოახსენა მოწიწებით აურუს ლაყვარმა, რომელიც თავისს ბატონს ლოგინს უშლიდა.

— კარგი,—უპასუხა მთავარმა.

აურუს ლაყვარმა ბატონს თავი დაანება და სასახლიდან ტაძრის მოღვრემილ შენობისკენ გასწია. გალავანთან რომ მივიდა, მელამურასავით დაიწროუწუნა. შიგნიდან იმეფე წრუწუნითვე უპასუხეს. ლაყვარი შიგ შევიდა და ნაბადში გახვეული კაცი დახვდა.

— რისთვის მეძახდი, ბატონო?—ჰკითხა ლაყვარმა.

— სიკვდილი მოგიტანე ურუსების საზიზღარ ნუკერისათვის,—უპასუხა ნაბადში გახვეულმა.

— სიკვდილი!—მე, ეს მეორე წელიწადია, ქამარში გაყრილი დამაქვს მისთვის სიკვდილი, მხოლოდ ვერ მოვახერხე მისს გულსა და ფილტვებში ჩამეშვა,—უპასუხა თავის მხრივ ლაყვარმა.

— შენი სიკვდილი რკინისაა და ნიშანს აჩენს, ჩემი სიკვდილი კი კვალს არ აჩენს,—უპასუხა ნაბადში გახვეულმა.—აი, გამომართვი.—ნაბდიანმა აურუსს პატარა შუშა გადასცა.—რამდენიმე წვეთი წყალში ან სხვა რამ სასმელში გაურიე, და ურუსებს საუკუნოდ დაეკარგებათ თავიანთი ნუკერი.

— დიდი ხანია, სასიკვდილეთა,—გაიღიმა ლაყვარმა და შუშა უბეში ჩაიღო.—აი, კისლოვოდსკში მისი მოკვლა ადვილი საქმე იყო და მეც დროზე შეგატყობინეთ, მაგრამ, რად გინდათ, თქვენ ვერ ივარგეთ, ის კი არაა, რამდენიმე კაცი თქვენ თვითონ მოგიკლეს... მე ბრალი არა მაქვს.

— არც არავინ გეუბნება, ბრალი გაქვსო,—უპასუხა ნაბდიანმა,—აბა ვინ იფიქრებდა, რომ ის წყეული რუსების ნუკერი ასეთი მოსაზრებული იქნებოდა! ასწია და ცხენის მძოვისისაგან საფარი გააკეთა და ამასობაში ამაღაც მიეშველა.—აბა,

იცოდე, ხვალ ღამ აქ მოგელი და ამბავი უნდა დამახვედრო, რომ ამ მახინჯ შარვაშიძისა, მუხანათ დიმიტრისა, მარტო მძოვრი-ლაა დარჩენილი.

— შენი საწამლავი მალე გასკრის?—ჰკითხა ლაყვარმა.

— სატევარსა ან ტყვიანზე უფრო ჩქარა... არც იყვირებს, არც ეტკინება-რამ... საშინელი საწამლავია.

— აჰ, ბატონო!—გაეხარდა ლაყვარს:—მაშ რა კი აგრეა, ერთს საათს უკან აქ ვიქნები და გახარებ, რომ დიმიტრი შარვაშიძე მძოვრად გადაიქცა-მეთქი... დაწოლის დროს ყოველთვის თითო ქიქა წყალსა სვამს ხოლმე... აი ამ ქიქაში ჩაყრი.

— კარგი... მალე წადი—გიცდი.

— მხოლოდ, ბატონო, ცოტა ხანს უკან ისევ დაიკვნესე ბუსავით, რომ ისევ შემეძლოს გამოსვლა, თორემ დარაჯი გამაჩერებს და მკითხავს, მეორეჯერ რად გამოდინხარო? მაშინ კი ვეტყვი, ბატონმა იმ დაწყევლილის ბუის მოკვლა მიბრძანა-მეთქი.

— კარგი. წადი. სოფელ ქიქში დიდი ჯილდო დაგხვდება. სასახლეში რომ შებრუნდა, აურუს ლაყვარმა საჩქაროზე გაუშალა ლოგინი ბატონს და როცა მთავარი დაწვა, შემოუტანა ქიქით წყალი, რომელშიაც მთლად ჩაასხა ნაბღიან კაცის მოცემული საწამლავი. მთავარმა სულუთქმელად დალია და თითქო გაქვავდაო...

— ეს რა დამალევიანე?—ჩავარდნილის ხმითა ჰკითხა დიმიტრი შარვაშიძემ მსახურს და ლოგინზე თავდაღმა დაემხო.

მოღალატემ საჩქაროზედ გამოაცალა თავქვეშიდან ბალიში და თავისის მსხვერპლის დაღმეკილს სახეს გადააფარა. უბედურის მთავრის ტანმა ტოკვა დაიწყო და გაიყინა. აურუს ლაყვარი ქანდაკებასავით რამდენსამე ხანს იდგა და მერე ბალისშს ასწია. მის წინ გაშეშებული ცხედარი ესვენა.

ტაძრიდან ბუის კვნესა მოისმა, ლაყვარმა არც-კი დახედა თავის მსხვერპლსა, ისე გავიდა. რამდენისამე წუთის უკან ტაძრის გაღრმანთან იდგა.

— აბა, რა ჰქენი?—ჰკითხა ნაბდიანმა.

— მოარჩა, — უპასუხა კაცის მკვლელმა. — აბა წამალი ისა ყოფილა!... აფსუს, შუშა კი იქ დამავიწყდა.

რამდენისამე წუთის უკან დარაჯს ტაძრის უკანიდან რამდენისამე ცხენის ფეხების თქარა-თქური მოესმა.

თავადმა ზეტან შარვაშიძემ თავისი დანაპირები აასრულა. მესამე დღეს, როცა მოჩუქმა ჰალიბმა დიდს ხანს ვერა ნახა ვეოც აურუს ლაყვარი და ვერც ახალგაზდა მთავარი, ამ უკანასკნელის ოთახში შევიდა და მისს თავლებს საშინელი სანახაობა კი წარმოუდგა: — აფხაზეთის ახალგაზდა, ლამაზ მთავრის მაგიერ ტახტზე ესვენა სახე-დამახინჯებული ცხედარი. აურუს ლაყვარი გაქრა. სასახლეში ყველას თავზარი დაეცა. მოვიდნენ კნენინა თამარი, მთავრის ძმა მიხეილი, ექიმი ბულათ-ალი-ოლლი.

— საწამლაფი დაუღვევინებიათ... acidum cyanicum, — სთქვა ექიმმა, როცა მოღალატეს მიერ დავიწყებულს შუშას ჩასუნა.

კნენინას ელდა ეცა სიმწარისაგან და იქვე მკვდარი დაეცა.

XIII

მესამე დღეს, უდროვოდ გარდაცველებულის აფხაზეთის მთავრის გვამი შესაფერის დიდებით მიწას მიაბარეს.

იმავე დღეს სოუქსუში მოვიდა ჩვენი ნაცნობი ცალთვლა აფხაზი აჰმედ თეიმურაზი, რომელიც არსლან-ბეიმ ოდესლაც საჯაროდ შეარცხვინა: გააშიშვლა, ტანზე მაწონი გადასხმევიანა, ბოძზე დააკრა და ძაღლები დაასია გასალოკავად. თეიმურაზმა ითხოვა, მთავრის ძმა მიჩვენეთ, საჭირო საქმე მაქვსო. მიხეილ შარვაშიძეს ახსოვდა, თეიმურაზმა რა სამსახური გაუწია მასა და მისს ძმას ერთის წლის წინად, როცა სოხუმის ციხეში მდგარ არსლან-ბეის თოფის წამლის საწყობში წყალი შეუშვა დი მთელი თოფის-წამალი სულ დაუსველა.

— რა ამბავი, ჩემო ერთგულო თეიმურაზ? — ჰკითხა მიხეილმა.

— რა, ბატონო-და, მინდა შოგახსენოთ, როგორც თქვენ-
 შა ერთგულმა, სად არის გველები ბუდე.— ეს ბუდე სოფელ
 ქიქში გახლავსთ. მე თვითონ ჩემი თვალთ დავინახე იქ დღეს
 არსლან-ბეი, დაწყველილი ბეჟან შარვაშიძე და აურუს ლაყ-
 ვარი, სამივე თუთშულის სახლში არიან, იმ ბებერ შაითან
 თუთშულის სახლში, რომელმაც ორი გველი გაზარდა— არსლა-
 ნი და დადა.

მიხეილ შარვაშიძე ამას-ლა ნატრობდა — შური ვიძიო
 როგორმეო, და მაშინათვე გადაწყვიტა ხელად დაჰცემიყო
 „გველთა ბუდეს“ და ძირიან-ბუდიანად ამოგედო, და, თუ მო-
 ხერხებდა, დაეჭირა კიდევაც თავისი ბიძა და მისნი თანა-მოზი-
 არენი. თეიმურაზს მადლობა უთხრა და მაშინათვე რაკოცის-
 თან მივიდა და თავისი განზრახვა გაუზიარა. რაკოციმ მოუწო-
 ნა განზრახვა, მხოლოდ ურჩია— პოდპოლკოვნიკი მიხინიცი და
 სოხუმის გარნიზონის ერთი ნაწილი დაიხმარეო.

— ცარიელი არ უნდა დავაგდოთ არც სოხუმი და არც
 სოუქსუ, — უთხრა რაკოციმ: — ნახევარ-ნახევარი ჯარისა ორივე
 ციხიდან წავიყვანოთო.

რაკოცის რჩევა მოეწონა მიხეილს და ორმავე ერთად
 მისწერეს მიხინს— მოგვაშველეთ ჯარით. რამდენისამე დღის
 უკან მიხინმა ერთი ნაწილი თავისის ჯარისა სოუქსუში მოი-
 ყვანა.

სოუქსუდან იმავე დღეს უნდა გამოსულიყვნენ, რომ მეო-
 რე დღეს განთიადისას მოულოდნელად თავს დასხმოდნენ სოფ-
 ქიქს, სადაც არსლან-ბეი და მისნი მომხრე ჩერქეზები და წე-
 ბელდელეები იმყოფებოდნენ.

— ძმის სიკვდილმა თვალეზი ამიხილა და ბევრი-რამ დავი-
 ნახე ისეთი, რასაც აღრე ვერა ვხედავდი, — უთხრა მიხეილ
 შარვაშიძემ მისის გვერდით მიმავალს რაკოცის.

— სახელდობ რა? — ჰკითხა რაკოციმ.

— აი, თუნდ ისა, რომ კისლოვოდსკის მიდამოში არს-
 ლანი რომ დაგვეცა, იმან რა იცოდა. რომ ჩვენ იქითკენ წავი-
 დოდით? აშკარაა, საზიზღარმა აურუს ლაყვარმა უთხრა ყველა-



ფერი:—როცა გაიგო, რომ ჩვენ იქ წასასვლელად ვემზადებით, ჩემს ძმასა სთხოვა, მახლობელ სოფელში გამიშვი, ცხენი მინდა ვიყიდოვო, ის კი არა, იმიტომ წავიდა, რომ არსლანისათვის შეეტყობინებინა. მაშინ ერთი ექიმიც გვახლდა თან, იმან ტყუილად კი არ გვითხრა, ვილაც გვღალატობსო. ეს მოღალატე—აურუს ლაყვარი იყო. მერეც, როცა ძმა დეფელში უნდა გასულიყო თავად გოლიცინთან, ამ საზიზღარ აურუსს კიდევ უნდოდა მფებში წასვლა, მაგრამ ძმამ არ გაუშვა. ახლა ისიც მესმის, თუ როგორ და ვისის წყალობით გაიქცა შარშან სოუქსუდან არსლანის ცოლი, ესმა-ხანუმი. მისის გაქცევის შემდეგ ორივე მისი მოსამსახურე მოკლულები დახვდათ დღისით-მზისით—ერთი იმ სახლში მოეკლათ, სადაც ესმა-ხანუმი იყო დატოვებული, ხოლო მეორე—მოედანზე, ხალხში. ეს აურუსის ნამოქმედარია, სხვის არავისი.... აი, ერთი ხელში ჩამივარდებოდეს ის შაითანი, ისა, მე ვიცი, რასაც ეუზამდი!....

— ვინ იცის, იქმნება, ჩაგვივარდეს კიდევ კიქში,—უთხრა რაკოციმ.

— აი, ნეტავი კი აგრე იქმნებოდეს, თქვენის სიცოცხლით? —წარბშეკვრით დაილაპარაკა მიხეილ შარვაშიძემ,

ძმის საშინელ სიკვდილის გამო მისი აზრი და ფიქრი დაობლებულ რძალს დასტრიალებდა თავს. გასვენებული დიმიტრი შარვაშიძე ამ რამდენისამე დღის განმავლობაში აპირობდა წასვლას პეტერბურგს. მეც მისის დანიშნულის მეჯვარე უნდა ვყოფილიყავიო. მინდოდა მენახა ეს უცნობი და უსაზღვრო ქვეყანა—რუსეთი. ვინ იცის, რეებს არ მეუბნებოდა ამ ზღაპრულის ქვეყნის შესახებ ჩემი ძმა, რომელსაც ყოველივე ეს უნახავს.. მაგრამ სადღაა ახლა ჩემი ძმა? გველებმა არ დაინდეს.... ამირანის შვილთა ერთი წევრი კიდევ მოაკლდათო. მიხეილს უნდოდა პეტერბურგში წერილი მიეწერა ძმის საშინელ სიკვდილის შესახებ; მაგრამ კალამი ვერ აეღო საწერად, ხელი არ ემოძრაოდა. ვერა, ამ ამბავს ვერ მივწერ; რა სატევარი გამიტარებია ჩემის ხელით გულში მისის, საცოდავ დანიშნულისათვის, და რა ეს ამბავი შემეტყობინებიაო...

ახლა ეს დაშორებული და დაკარგული ოჯახობა უფრო შეუ-
 ყვარდა, უფრო საყვარლად ეჩვენებოდა.

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ორივე რაზმი ღამე ერთს
 ალაგას გაჩერდა, რომ მეორე დილას განთიადისას პირდაპირ
 დასხდომოდნენ მოლაღატეთა სოფელს.

გათენდა. აი სოფელი ჭიჭიკ გამოჩნდა. თვითონ სოფელი
 არა სჩანს, მხოლოდ ხედავენ სახლის სახურავებიდან ამაველს
 მოღურჯო კვამლს. რაკოციმა და მიხინმა ბრძანება გასცეს
 სოფლის აღების შესახებ. მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს ნუ
 ახლებთ ხელსა. მაგრამ არც ესენი დაინდოთ, თუ იარალი აი-
 ღეს და გაგიძალიანდესთო. უმოწყალოდა ჰხოცეთ ყველანიო.

— მთელს სოფელში ქვა ქვაზედ არ უნდა დაჩჩეს! —
 განუმარტა სალდათებს მიხინმა.

— ამ კრაზანათა ბუღისაგან არაფერი არ უნდა დარჩეს! —
 დაუმატა რაკოციმ.

— გველს თავში უნდა დაარტყათ, — ამბობდა მიხეილ
 შარვაშიძე. — ჩვენს გველს ოთხი თავი აქვს: არსლან-ბეი, ბეჟან
 შარვაშიძე, ესმა-ხანუმი და აურუს ლაყვარი... უნდა გავფლი-
 ტოთ. რა თქმა უნდა, უკეთესი იქმნება, ესმა-ხანუმსა და თუთ-
 შულს ცოცხლივ ჩავიგდებდეთ ხელში.

ესმა-ხანუმის სიკვდილი არ უნდოდა მხეილსა. მართალია,
 ცბიერი ქალია და, გარდა ამისა, ჩემის მოსისხლესი ცოლია, —
 მაგრამ მისმა სილამაზემ მომხიბლა და დაატყვევა ჩემი გული.

რაზმები სამის მხრივ შემოერთყენენ სოფელსა, მაგრამ
 საკვირველი ის იყო, რომ წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია.
 პირველში, ეგონათ, სოფელში ჩასაფრებულნი იქმნებიან და
 მოულოდნელად დაგვიწყებენ თოფების სროლასაო. სახლების
 სახურავებიდან კვამლი ისევ ამოდებოდა. მამლების ყვილიც
 ისმოდა.

სალდათები წინ ფრთხილად მიდიოდნენ, თოფი ხელში
 ეჭირათ და ყოველ წამს მარაგად იყენენ საბრძოლველად. აი
 სათოფეზე დაუახლოვდნენ ფაცხებსა. მაგრამ ვარშემო ჩამი-
 ჩუმი არ ისმოდა, — ძაღლის ყეფა რა არის, ძაღლის ყეფაც კი



არ ისმოდა. მხოლოდ აქა-იქ მამლები გასძახოდნენ ერთმანერთსა, სახლებიდან კვამლი ადიოდა, — და ამაზე-ლა თუ ეტყობოდა აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი. სალდათები სოფელში შევიდნენ — ძე-ხორციელი არ დაუხვდათ. მხოლოდ აქა-იქ შეშინებული კატები გამოხტნენ და ისევ დაიმაღლნენ.

აშკარა იყო, რომ სოფლებით თავი გაუნებებით თავიანთ სოფლისათვის, სულ კი ერთის საათის წინ გაკრეფილან იქიდან. უეჭველია, მტერს წინდაწინვე შეატყობინეს ყოველივე; მაგრამ ვინ შეატყობინა? ახალი მოლაღატე ვინ იყო?

— მაინც უნდა ავანაცრმტუტოთ ეს ავაზაკების ბუნავი, — სთქვა მიხინმა.

— მეც ასე მგონია, — დაეთანხმა რაკოცი.

— მით უფრო, — დაუმატა ახალგაზდა შარვაშიძემ, — რომ ამ სოფელში გაიზარდა არსლან-ბეი.

— *Alma mater*, — გაიღიმა ექიმმა ბულათ-ალიოღლიმ: — *Carthaginem delendam esse censeo*.

მაშინათვე ბრძანება გასცეს — სოფელი აეკლოთ. ქვა ქვაზე არ დასტოვოთო. საცოდავი სოფელი ააფორიაქეს. რის დაწვაც-კი შეიძლებოდა, დაიწვა. ფაცხებიდან ყველაფერი გამოჰქონდათ: ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, — ყველაფერი, რის წაღებაც მათგან ვერ მოეხერხებინათ, — ყველაფერი ისე ხროვად დაჰყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. ერთმანერთზედ სუსტად აკოწიწებული კედლები და სახურავები ფაცხებისა ინგრევოდა სალდათების ხელისაგან. ვაზებსა და ხეხილებსა სჭრიდნენ და ფეხებითა სთელავდნენ.

სალდათები მხოლოდ საქმელს არ აოხრებდნენ. რაც გადარჩათ ქალებს წაუღებელი, ერთად თავს უყრიდნენ. ზოგი ქათამსა ბტყენიდა და შამფურის მაგივრად ხიშტსა ხმარობდა შესაწვავად. ვინ ცხვრის ყველსა სჰამდა, ვინ რძესა სვამდა ხარბად, ვინ მჰადებს ეძგერა. მართლა რომ ბალტაზარის ნადიმი იყო, მხოლოდ ბაბილონის აოხრების წინედ არა, — აოხრების შემდეგ.

მოკლე ხანში საცოდავ სოფლისაგან ფერფლი და ნახშირი-ღა დარჩა.....

წ ე რ ო ე ბ ი

(პენრიკ სენკვეიჩისა)

ნოსტალგია მეტად აღონებს მას, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ დაბრუნებულა სამშობლოში. მაგრამ ხანდახან დადონებას ვერ გადარჩენილა იგიც, რომელსაც ადვილად შეუძლიან დაბრუნდეს კიდეც. ამის მიზეზი მრავალგვარია: მშობლიურის რიჟრაჟის გამახსენებელი მზის ამოსულა ან ჩასულა; სხვისი სიმღერის ხმა, რომელშიაც ისმის სამშობლოს ჴანგები; რამდენიმე ერთად ამოსული ხე, რომელიც შორიდან სამშობლო სოფელს მოგაკონებთ, — ყველას ვერ ჩამოსთვლის კაცი! ამგვარ შემთხვევაში გულს რაღაც მიძიმე და მოუშრობელი კაეშანი აწვება და შორეულის, მაგრამ ძვირფასის ხის მოწვევტილ ფოთლად სთვლი შენს თავს. ამგვარ წუთში კაცი მიუცილებელ საჭიროებად სთვლის სამშობლოში დაბრუნებას ანა და რისიმეს შეთხზვას, თუ მოკლებული არ არის შემოქმედებითი ძალას.

ერთხელ, კარგა ხანია მას აქეთ, დიდ ოკეანეს ნაპირას ვსცხოვრობდი ეგრედ წოდებულ ანოკეიმ-ლენდინგში. ჩემს საზოგადოებას შეადგენდა რამოდენიმე მეთევზე. უმეტესობა ნორვეგელები იყვნენ და ერთი გერმანელი; დღისით ივინი ზღვაში იყვნენ, საღამოობით კი ზოკერს აამაშობდნენ, ბანქოს ერთგვარ თამაშობას, რომელსაც მოდის მიმდევარ ქალებზე ადრე უოველ ამერიკის დუქანში თამაშობდნენ. მარტოდ დატოვებული, ავიდებდი ხოლმე თოფს და დავხეტილობდი ცარიელ მინდვრებში ანა და ოკეანეს ნაპირზე. აქ მდინარე ერთოდა ზღვას; აქა-იქ ამოეყანა ჰატარ-ჰატარა კუნძულები და ესლა იმ კუნძულების ცქერითა ვსტკებობდი. წყაღი არ იოფდრმა და ხან-და-ხან შიგ წყალშიაც დავდიოდი და თვალს აქაურ



ჩემთვის უნდა მთავრდება ვადგენები ან კადეუ ვუყურებდნენ მისი კასათობად გამოსულ კუს სწორედ იმ ადგილას, სადაც მდინარე ზღვას ერთვოდა და იხედებოდა მისილული მატარა კუნძული. ის უფელთვის სავსე იყო თევზის მჭერავ ჩიტებით, ზელიკანებით, ალბატონებით და მრავალ სხვა-გვარ ფრინველებით — ხამდვილი ფრინველების რესპუბლიკა იყო, მოუსვენარი და ყურთასმენის წამლები! დღე რომ კარგი გამოვიდოდა, და მოაქროვებელი ზღვაც თითქმის იისფერი განდებოდა, ჩაუჭდებოდა ხოლმე ნაპი და მივიდიდი იმ კუნძულზე. კაცის ნახვას უჩვევი ზელიკანები მომჩერებოდნენ და იმდენად არ ეშინოდათ, რამდენადაც უკვირდათ, თითქმის თავიანთს თავს ეკითხებოდნენ, ეს რა მხეცია, აქამდის რომ არ გვიხანავსო.

ხშირად ამ კუნძულზე დავმტკბარვარ მზის ჩასვლის ურებით; ხამდვილ ზღაპრულია ამ სანახავობის სიმშვენიერე: მთელი ჭორი-ზონტი გააღისფერ-გააქროვებოდა, მერე ღია წითელფერად შეი-დებებოდა, ბოლოს ჭორიზონტს მოდებული ტუცხლი ნელდებოდა, ნელ-ნელა ქრებოდა, მინამ ცახე არ გამოჩნდებოდა მთვარე და ცასა და მიწასე არ გამოეფებოდა საუცხოო ტრეზიკული ღამე.

განუშებული არე, თვალში უწდომელი ზღვა და ნელა-ნელა მიმავალი დღის სინათლე რადაცა მისტიკურ განწყობილებაზე მათეებდნენ. ამ დროს მე ვხდებოდი მანტიკოსტად და ვგრძნობდა, რომ ყველაფერი, რაც კი ჩემს გარშემო იყო, ერთ დიდ სულად იქცეოდა; ეს სული ერთ და იმავე დროს თავს იჩენდა ოკეანეშიც, ცაშიც, მინდვრებშიც, უფელ ორგანიულს სხეულში — ფრინველებში, თევზებში, კუებში და წყლის ნაპირას ამოსულ ბუნქანარ-ბალახშიაც. ხანდახან ვფიქრობდი აგრეთვე, რომ ამ მინდვრებში, ამ კუნძულებზე სტეფორებენ უწინდელ ბერძნების ფანების, ნიშებისა და ნიაღების მსგავსი უხილავნი არსებანი. არა სჭერა კაცს ეს ფანტაზიის ნაყოფი — არსებანი, როდე-საც შენი სჯა გონებაზე არის დამყარებული, მაგრამ ძალაუნებურად იჭერებ ამას, როდეცა სრულებით მარტო ხარ და შენი სული ბუნებას უერთდება. მაშინ სიცოცხლე ტკბილ ძალად იქცევა, რე-შედიც სიზმრებსა გვერის და არა აზროვნებას. ჩემს გარშემო დამკვიდრებული სრულის მდუმარების გულენის ქვეშე ვიმყოფებოდი და ამ დროში კარგად ვგრძნობდი ჩემს თავს. ხან ვფიქრობდი,

როგორ დავსწერდი ჩემს «მეზავრის წერილებს», ხან ვოცნებობდი, როგორც ჭაბუკი, მშვენიერს უცნობ ქალზე, რომელიც როდისმე უნდა ენახა და შექვეყნებოდა, და ამრიგად სულით და გონებით მოშლილი, ამ მიურთუებულ ზღვის ზირას, შუაზე გამწყდარ აზრებით და გამოურეგული სურვილებით, ნახევრად დაძინებული, ნახევრად ფხიზელი — ისე ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს, როგორცდაც არასოდეს უწინ.

ერთხელ დიდხანს დამიგვიანდა კუნძულზე და გვიან ვბრუნდებოდი შინ. წყლი თავისით მიმამჩნებდა ნაზირისაკენ და ნიბუბი უძრავად ეკიდებენ ნავის ზირას. სხვა ადგილებში წყალი ისე წყნარად არ სცემს ნაზირებს, როგორც აქა, ამ სითბოს ქვეყანაში. ისეთი მუდრეობა სუფევდა ჩემს გარშემო, რომ უშველებელ მანძილზე გავიგონებდი კაცის ხმას, მაგრამ ზღვის ნაზირას არავითარი სულდგმული არ იყო. მესმოდა მხოლოდ ნიბუბის ნავზე რახუნა და წყლის ხმა, რომელზედაც იგივე ნიბუბი მისრიალობდნენ. ერთბაშად მადლიდან მომესმა რაღაც ხმა, რომელიც მთელ არე-მარეს მოკლავდა. ავიხედე ზევით, მაგრამ ბნელს ცაში ზირველ ასედავზე ვერაფერი დავინახე, მხოლოდ როდესაც ხელმეორედ მომესმა ხმა სწორედ ჩემს ზემოდ, ვიცანი — წერეთის ხმა იყო. ჩემს ზემოდ სანტა-კატრინას კუნძულისაკენ მიფრინავდა მთელი გუნდი წერეთისა და გამახსენდა, რომ ამგვარ ხმებისათვის არა ერთხელ დამიგდია უფრო ბავშვობაში, სკოლაში რომ ვსწავლობდი და სადღესასწაულად შინ მივდიოდი ხოლმე. ერთბაშად რაღაც სევდა მომავსა გულზე.

დავბრუნდი შინ გერმანელის სახლში, მაგრამ ძალი არ შეკარებოდა. თვალ-წინ წარმომიდგნენ სამშობლოს სურათები: ნაძვის ხატარა ტყე, გაშლილი მინდვრები მსხლის ხეებით სამზღვრებზე, გლეხების ქოხები, თეთრი სახლები, ბაღებში მიმალულები. მთელს დამეს ვნადვლობდი, ვდარდობდი ამ მშობლიურის სასახავების გამო. დილას ჩვეულებისამებრ ოკეანეს ნაზირად რომ გავუდი, ვაგრძენ, რომ ეს ოკეანე, ცა, მინდვრები, ნაზირის ქვიშა და კლდეები, — რომ უკვლავ ეს უცნობა ჩემთვის, რომ არც მათ ჩემთან და არც მე მათთან სურათთა არა გვქონდა-რა. გუშინ ისინი ჩემთანებდა მიმჩნდა და მეგონა, რომ ჩემის მავის ცემა და ამ დიდებულის ბუნებისა

გაერთიანებულა, დღეს კი ჩემს თავს ვეკითხებოდი, რასი ვარ აქა და შინ რად არ ვბრუნდები. გრძნობა მოსვენებისა და სიცოცხლის სიტკბოებისა განქრას სრულებით. დრო, რომელსაც უწინ ისე მშვიდობიანად და სსსამოგონად მიზომავდა ზღვის ტალღის მოქცევა და უაქცევა, ესლად დაუბოლოებელი მეჩვენებოდა. ესლად სამშობლოზე ვფიქრობდი, იმაზე, თუ რა დარჩას უცვლელი იქ და რა გამოიწვავს ჩემს იქ არ ეფინაში. ამერიკა და მოგზაურობა აღარ შეინტერესებდა და მათ მაგიერ შელანდებოდნენ სხვა სურათები, რდესდაც ნახანნი. ვერ შექმდე მათი თავიდან მოშორება, თუმცა სიამოვნებას ვერა მგვირდნენ. ზირიქით! რადაც სეგდასა და სიმწარეს ვგრძნობდი, რდესაც ვადარებდი მიძინებულსა და უსიხარულ ცხოვრებას ჩვენის სოფლისა ამერიკელთა თავბრუ-დამსხმელ ცხოვრებას. მაგრამ რაც უფრო უიმედოდა და მიძინებულდა მეჩვენებოდა უოველივე ჩვენი, მით უფრო მიუვარდა ეს ჩვენი და მით უფრო ვდარდობდი მისთვის. რაც დღე მიდიოდა, ეს სურათები უფრო-და-უფრო ირკვეოდნენ ჩემს თავში; ბოლოს ცნებას გამოართოვას ისინი, რიგ-რიგად დაწყო, გაცნობელებ ერთის იდეით და ერთ მშვენიერ სურათად გარდაქმნა.

მე ვქმნიდი ჩემთვის ჩემს ქვეყანას. ერთის გვირის შემდეგ, თუ უფრო გვიან, რდესაც ერთხელ დამით ნორვეგელები წავიდნენ ზღვაში, დავუქეი ჩემს თათხში და ჩემმა კალამმა დასწერა შემდეგი სიტყვები:

«სოფელს ცხვრის თავაში, სსსოფელ სსსამართლოში ისეთი სინემე იყო, რამ...»

ამხიარად წერობის წყალობით დიდი რკენეს ნახირას აღიწერა «ნახშირით ნაწერი». *)

ივ. ზურაბიშვილი

*) შარშან, 1897 წ. შესრულდა 25 წელიწადი ლიტერატურულის მოღვაწეობისა პოლონელ მწერალისა—მერიკ სენკევიჩისა, რომლის პირველი ბელეტრისტული თხზულება იყო „ნახშირით ნაწერი“—„Szkice wenglem“. ამ თხზულებამ პირველშივე გაუთქვა სახელი მის დამწერს.

სიკვდილი და სისოცხლე

ზუთ-მოკმედეზიანი კომედია

მომქმედნი პირნი:

თავადი ალმასხან წვივეგრძელიძე.

დარიკო, ამისი ქალი.

ანეტა, ალმასხანის ცოლი და დარიკოს დედინიცვალი.

დარისპან ვარდიშვილი.

სუსანა, ამისი ცოლი.

პლატონი { ამათი შვილები.

ქეთო

თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი.

მამისეული, მოხუცი გამდელი.

მოსამსახურე ბიჭები.

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროს, სოფლად; პირველი და მეოთხე—დარისპან ვარდიშვილის სახლში, მეორე, მესამე და მეხუთე—თავად ალმასხან წვივეგრძელიძისას.

მოქმედება პირველი

არა მდიდრულად, მაგრამ შნოიანად მორთული ოთახი. კარი იღება და შემოდინან ქეთო და პლატონი.

გამოსვლა პირველი

ქეთო. (კარებშივე ყვირის) დედა, დედა, სადა ხარ? პლატონი მოვიდა! (სახე გაბრწყინებული დასჩერებია წერილს).

პლატონი. შენ წერილი წაიკითხე და დასტკბი, მე დედას მოვძებნი. (გასვლას აპირობს და შეხვდება სუსანას).

გამოსულა მეორე

- სუსანა.** (შემორბის ხელებ-წაკაპიწებული) მოდი, შვილო, გენაცვალოს დედაშენი. (გაღებვევა პლატონს და რამდენიმე ჯერ აკოცებს) შენი ჭირიმე, ჩემო თვალის სინათლევე, ჩემო დამტირებელო ბიჭო! (ჩახედავს თვლებში და კიდევ აკოცებს) გმადლობ, შენ ღმერთო, (აღაპყრობს ხელებს) რომ ამ დღეს მომასწარი! (მოხვევს ხელს; ამ დროს ქეთო მიტრიალდება და წერილს აკოცებს).
- შლატონ.** (ტაშს დაჰკრავს) ააა, დაგიჭირე, დაგიჭირე! (სუსანას) დედა, ქეთომ წერილს აკოცა.
- ქეთო.** (დარცხენილი) როდის, როდის?
- სუსანა.** (ღიმილით) ვისია წერილი? (შეხედავს პლატონს და თითის ქნევით მიუბრუნდება ქეთოს) მომეცი ახლავე! მე ყმაწვილ ქალებისა და კაცების მიწერ-მოწერის არაფერი ვიცი (მიუახლოვდება და წერილის წართმევას უპირობს).
- ქეთო.** (ხეწვნით) მაცა, დედა, ერთ წამს! (გაიქცევა კუთხეში და განაგრძობს კითხვას).
- სუსანა.** აღარც კი გრცხენია, გოგო?... (ხელს ჩაიქნევს და მიტრიალდება პლატონისაკენ) ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარიც ვეღარ დაიკავებსო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი... (მივა პლატონთან) სხვა, ბიჭო, მომიყევი შენი ამბავი! (დაადებს მხარზე ხელს და უყურებს) ცოტა კი გამხდარხარ, შენი ჭირი დედა-შენს, მარა მალე მტერი მოგიკედეს, მალე მე შენ გაგასუქო. (წვერზე ხელს მოჰკიდებს) გაათავე, გაათავე სწავლა?
- შლატონ.** გავათავე, დედა, გავათავე... არ კმარა რაც ხანი ვსწავლობ? კაცი დავბერდი აგერ და სულ სწავლაში ვარ.
- სუსანა.** (ღიმილით) რას ამბობ, გენაცვალე! რა დროს შენი სიბერეა! ბებერი ჯერ შენი კი არა, მე და მამა-შენიც არა ვართ! მართლა, დარისპანი არ გინახავს?

- შლატან.** არა. სად წავიდა? ქეთომ მითხრა, 'შენ შესახვედრად წამოვიდაო, მაგრამ მე არსად მინახავს.
- სუსანა.** (დაღონებული) სად წავიდა აბა?
- ქეთო.** (ინახავს წერილს) არ იცი მამი-ჩემის ამბავი? ყანაში გადავიდოდა სადმე და შერჩებოდა მუშებს.
- სუსანა.** დღეს რაღა ეყანებოდა? (ქეთოს) რაიო, რას გწერს შენი ტარიელი? (ქეთო თავს დაღუნავს) ახლა რაღა დროს სირცხვილია, წერილი უბეში გაქვს? (პლატონს) ჩამოვიდა სამსონი?
- შლატან.** ერთად ჩამდევდით.
- სუსანა.** როდის გნახავთო?
- შლატან.** მივა სახლში და მაშინვე წამოვა. ამ შემოდგომაზე ქორწილიც უნდა გავაჩალოთ! (შეხდავს თავდახრილ ქეთოს) არა, ქეთო?.. თუ შენ უფრო აღრე გინდა? თუ გინდა, დღეს დაურწყება და ეს არის და, გახსნილდება თუ არა, მაშინვე დაგწერთ ჯვარს.
- სუსანა.** (ხელის ქნევით) არა, გენაცვალე, არა. ნეტა შემოდგომამდის გამოვაწყობდეთ ბარგს და მოვემზადებოდეთ!
- შლატან.** (ღიმილით) იქნება კი არ უნდა თქვენი ბარგი ამ ქალს?.. (ქეთოს) აბა, ქეთო, როგორ გირჩევენია, უბარგოთ ახლიავე, თუ ბარგით შემდეგ?
- ქეთო.** (წყენით) რა იყო, შემოგელიათ ასე უცებ სალაპარაკო?
- შლატან.** (ღიმილით) ჰო, ჰო, ვითომ და ასე!.. მორცხვობს!.. ის კი არა, მარტო როცა ვიყავით, სულ სამსონზე მელაპარაკებოდა.
- ქეთო.** (შეტევით) როდის, როდის?.. მოსელისათანავე სტყუი, არა გრცხვენია?
- შლატან.** ჰმ, ჰმ!.. პილპილი თუ არ გიქამია, პირი რად გეწვის?.. პირველი კითხვა რა იყო შენი დღეს? (სუსანას) შენ ნუ მომიკვდე, დედა, არც კი გავეკოცნე, რომ „სამსონი“-იო, მომძახა.
- ქეთო.** რა ვუყოთ მერე? მწერდა, იქნება, პირველად თქვენთან ამოვიდე პლატონთან ერთადო, და ველოდი.



- სუსანა.** აჰ!.. მაგას როგორ იზამდა, რომ დედ-მამა ან... და აქ მოსულიყო? სახლშიაც არ შემოვეუშვებდი, მაგრე რომ ექნა. ჯერ დედმამისაა შვილი და მერე სხვისა. ახლა პლატონი, მისი ქირიმე, შინ მოუსვლელი რომ სხვაგან წასულიყო, როგორ იქმნებოდა? (შეხედავს პლატონს, რომელიც ამ სიტყვების გავონების დროს შეკრთება და თავს დაღუნავს) ჩვენ, მშობლებს, მაგათზე ამოგვდის მზე და მთვარე, მაგათით გვიდგა სული და ეგენი კი ვილაც გამბიოებთან უნდა მირბოდნენ ჩვენ ნახვამდის?
- ქეთო.** კარგია, დედა, კარგი! ჩვენ არავის არ ვეცილებით...
- სუსანა.** ვიცი, რა შვილებიც ბრძანდებით!.. ქალს ყოველთვის განზე უჭირავს თვალი, ვაჟი კი, ვენაცვალე ჩემ ბიჭს (გაღუჯავს პლატონს თავზე ხელს) დედ-მამისაა.
- ზლატან.** (დახედავს საათს და დაღონებით) ამდენს ხანს სად არის მამა?
- ქეთო.** წავალ, გავგზავნი ვისმეს, დაუძახონ.
- ზლატან.** კარგი იქმნება სწორედ (ქეთო წასვლას აპირობს).
- სუსანა.** მოიცა, მოიცა, მე წავალ. სამზარეულოში საქმე მაქვს მაინც, (პლატონს) აბა, არ მოიწყინო, გენაცვალე, და სადილიც მალე იქმნება.
- ზლატან.** ნუ სწუხდები, დედა, შენი ქირიმე. მეჩქარება, ახლავე უნდა წავიდე.
- სუსანა.** (გაკვირვებით) სად?
- ზლატან.** აღმასხანისას. ნიკომ წერილი გამომატანა და მთხოვა, მისვლისთანავე გადაეციო. წამოსასვლელი ფული არა აქვს და უთვლის მამას, გაუგზავნოს.
- სუსანა.** დღეს რა დროს შენი სადმე წასვლაა, დაღალულ-დაწვეტილი ხარ? თუ მართლა საჩქარო წერილია, ბიჭის ხელით გაეუგზავნოთ.
- ზლატან.** არა, დედა, თვითონ მე უნდა მივუტანო აღმასხანას. ნიკომ დამაბარა, შენის ხელით გადაეცი, რომ ანეტას არ ჩაუვარდეს ხელშიო. ხომ იცი, როგორ სძულთ ერთმანეთი ნიკოს და მის დედინაცვალს?

- სუსანა.** (გულდაწყვეტილი) კარგი, შვილო, შენი ნებაა; სადილი ჭამე და წადი.
- ზლატონ.** სადილი როდის იქმნება და მეც სრულიად არ მშიან.
- სუსანა.** ახლავე, ახლავე შენ ნუ მომიკვდე! დარისპანის უნახავი ხომ მაინც ვერსად წახვალ? (გაღის).

გამოსვლა მესამე

- ზლატონ.** (ამოიოხრებს და გაივლ-გამოივლის; შემდეგ შედგება და ქეთოს) არა, სად წავიდა? მე მომელოდა და იმის მაგიერ, რომ რკინის გზის სადგურზე მომგებებოდა, სახლშიაც აღარ დამხვდა?..
- ქეთო.** მეც მიკვირს, სად წავიდა? ალბად, რამე საქმე შეხვდა. (სიჩუმე) წავალ და, თუ არაფერ გაუგზვნია დედას, გავაგზავნიც (გაღის)

გამოსვლა მეოთხე

- ზლატონ.** (დახედავს საათს და აღშფოთებით) დრო კი მიდის და მიდის... რამდენიმე საათია ჩვენ სოფელში ვარ და დარიკო კი ჯერ არ მინახავს, ჩემი მაცოცხლებელი დარიკო, ჩემი სული და გული, ჩემი ღვთაება!.. პირდაპირ მასთან მისვლას ვფიქრობდი და პირდაპირ კი არა, მგონია, დღეს ვერ დავიხსნა თავი ჩვენებისგან... (დაფიქრდება) კარგი, რომ ქეთო შემხვდა გზაზე და აქეთ წამოვედი, თორემ, როგორც განზრახვა მქონდა, ხაბაკი რომ გამომგზავნა და მე კი აღმასხანისას წავსულიყავი, ხომ ერთი ალიაქოთი ატყდებოდა... როგორი გული მოუვიდა დედა-ჩემს, როცა შეიტყო, სამსონს პირველად ქეთოს სანახავად უნდოდა მოსვლა, სანამ მშობლებთან წავიდოდა?



სახლშიაც არ შემოუშვებდი, მაგრე რომ ^{ნაციონალური} ~~ქართული~~ სანამ ცოცხლები ვართ მშობლები, შვილებს ჩვენს მეტი არავინ არ უნდა გახსოვდეთო, გაგონილა?... ეეჰ... (დაჯდება და თავს ჩალუნავს; შემოდის ქეთო).

გამოსვლა მეხუთე

- ქეთო.** გავგზავნეთ კაცი მამასთან. სადილიც ახლავე იქმნება და ნახევარი საათის განმავლობაში შეგეძლება წასვლა. ისინი სადილს გვიან სჭამენ და სწორდთ ნამდვილ არისტოკრატიულ ვიზიტის დროს მიხვალ.
- ზლატან.** (სახე გადაეშლება) მართლა?... ხომ იცი, სული და გული დარიკოსთან მაქვს, და რა ძნელი უნდა იყოს, ჩემთვის ამდენს ხანს მისი უნახაობა?... (ქეთო მწარედ ამოიოხრებს. სიჩუმე) შენ რამდენი ხანია მასთან არ ყოფილხარ?
- ქეთო.** (ნაღვლიანის ხმით) აგერ ერთი წელიწადი იქმნება, არ გვინახავს ერმანეთი.
- ზლატან.** (გაკვირვებით) რატომ?!
- ქეთო.** რა ვიცი... (შეხედავს მწუხარებით) დარიკო გამოიცვალა: ახლა სრულიად ის აღარ არის, შენ რომ გინახავს?
- ზლატან.** (აღლევებული) რას ამბობ? განა შენ და დარიკო ისევ ისე მოყვარული და მეგობრები არა ხართ?
- ქეთო.** მეგობრად კი არა, უბრალო ნაცნობადაც აღარ მკადრულობს. გეუბნები, გამოიცვალა და ის აღარ არის, რაც იყო.
- ზლატან.** (წამოდგება და მეტის-მეტად აღლევებული) რაში მდგომარეობს ეგ გამოცვლა, მითხარი მაინცა!
- ქეთო.** რაში და იმაში, რომ ყველაფერი უარპყო, რასაც წინად თაყვანს სცემდა და ჩვეულებრივ კნიაჟნად გადაიქცა. ხომ გახსოვს, აქ რომ იყავი, რა გეგმებს

ვაწყობდით ერთად? თურმე ყველაფერი უბრალოდ გატაცება იყო მხოლოდ და სხვა არაფერი. მაშინ დარიკოს ჯერ არ ეგემა იმ წრის ცხოვრება, რომელსაც ეკუთვნოდა და ჩვენი გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ რამდენიმე ხნით ჩარევა მისი იმ წრეში და საუკუნოდ გარდაქმნა ერთი შეიქმნა! შარშან საშობოდ ტფილისს წავიდა მამიდასთან და მერე ჩვენი აღარაფერი გახსენებია. მთელი ზამთარი ტფილისში იყო; ზაფხული ბორჯომში გაატარეს და მხოლოდ შემოდგომაზე ჩამოვიდნენ ორივე მამიდა-ძმის წული და, რთველი გათავდა თუ არა, ისევ წავიდნენ.

შლატან. შენ არ უნახავხარ, რომ ჩამოვიდა?

ქეთო. არა... ერთხანს ვიცადე, აგერ მოვა-მეთქი, მაგრამ რომ აღარ მოვიდა, თვითონ წავედი მის სანახავად. წარმოიდგინე, ისე მიმიღო, თითქო კიდევ ერთცხენება ჩემი ამხანაგი რომ იყო და ჩემთან ერთად იჯდა ერთ სკამზეო. მეც რაღას ვიზადი? ავდექი და, ორი სიტყვა რომ არ მითქვამს ისე, წამოვედი. მერე აღარ მინახავს... წელს მამიდა მისი საზღვარ გარედ წავიდა და ის კი იძულებული შეიქმნა, აქ მოსულიყო. ახლა მაინც მომიგონებდა, მეგონა, მაგრამ არც კი უკითხავარ...

შლატან. (აღშფოთებული ამოიღებს საათს) მეორე საათი დაიწყა...

ქეთო. მაინც იჩქარი და მაინც?

შლატან. შენმა ლაპარაკმა კიდევ უფრო აღმიძრა მისი ნახვის სურვილი. სანამ ჩემის თვალით არ ვნახავ, ვერ მოვისვენებ.

ქეთო. განა ეჭვი გაქვს ჩემი ნათქვამის სიმართლეში?.. გგონია, რომ გატყუებ?

შლატან. არა, შენ რად მომატყუებ, მაგრამ, იქნება, თვითონა ხარ მოტყუებული?.. ნუ გეწყინება და... შეიძლება, პირადად გაწყენია რამე და შენ... (ველარ ათავებს).



- ქეთ.** მე ძალიან ვწუხდი, როცა ყველა ამას გელაპარაკებოდი, რადგან ვიცი შენი გრძნობა დარიკოს მიმართ, მაგრამ რა უნდა მექნა, როცა მართალის თქმა იყო საჭირო?... მე დარიკო შენზე ნაკლებ არ მიყვარდა, რადგან თან შეზრდილ დად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა კი...
- შლატან.** (აჩქარებით) შეიძლება, შეიძლება... მეც იმიტომ მეჩქარება, რომ მინდა მალე დავრწმუნდე... (სიჩუმე) ახლა რომ ვინმემ გითხრას სამსონზე, გაფუქტა, კაცად აღარ ვარგა, სიმთვრალისა და გარყვნილობის მეტს არაფერს აკეთებსო, დაიჯერებ?
- ქეთ.** ძნელი დასაჯერი იქნება, მართალია, მაგრამ შენ თუ მეტყვი...
- შლატან.** (გააწყვეტინებს) სტყუი!.. თუ გიყვარს, არც მე დამიჯერებ და არც სხვას, სანამ თითონ არა ნახავ ყველაფერს... მეც სწორედ ასევე არა მჯერა, რაც მითხარი დარიკოზე.
- ქეთ.** (წყენით) ნუ დაიჯერებ.
- შლატან.** კარგი, კარგი; დევანებოთ ამაზედ ლაპარაკს თავი!... (სიჩუმე) შენ რას შერებ? არ მოგწყენია ჯერ აქ ცხოვრება?
- ქეთ.** არა... თავს ვიქცევ, თუ ხელსაქმით, თუ ბავშვების სწავლებით... ხანაც ხალხში დარჩენილ ლექსებს, ზღაპრებს და სხვა ზებირგარდმოცემებს ვაგროვებ. ასე მიდის დრო და მეც სრული კმაყოფილი ვარ!.. შენ რას აპირობ? სამსახურში შეხვალ, თუ ქალაქში დაბინავდები თავისუფალ ექიმად?
- შლატან.** (ამოიოხრებს) მე სწორედ აღარ ვიცი, რას ვიზამ... მინდოდა კი, აქ მეცხოვრა... ქალაქებში უჩემოდაც ბევრი ექიმებია. სამსახურში კიდევ იმიტომ არ შევალ, რომ ჩვენში არ მომცემენ ადგილს და, ზოგერთებივით, ცხრა მთას გადაღმა ხომ ვერ გადავიკარგები, როცა ჩვენს ხალხს ასე სჭირია ექიმი?

ქეთო. მშვენიერი აზრია! ვერ წრმოიდგენ, როგორ იტან-
 ჯება ხალხი უეჭიმოდ, მკითხავ-მარჩიელების ამარა-
 დარჩენილი, და რამდენი უდროვოდ ესალმება სი-
 ცოცხლეს! სწორედ სამადლო საქმეს იზამ, თუ სო-
 ფელში დაბინავდები... (ამოიხრებს) ნეტა სამსონი ც-
 ექიმი ყოფილიყო!

შლაცთან. რატომ? იურისტმა რა დააშავა? განა სასჯულო და
 სამოსამართლო საქმეების მცოდნე ნაკლებად სჭირ-
 დება ჩვენ ხალხს ექიმზე? განა ჩარჩ-აბლაკატები ნა-
 კლებ ზარალს აძლევენ მას მარჩიელ-მკითხავებზე...
 სამსონსაც განზრახვა აქვს, რომელიმე სამაზრო და-
 ბაში დაბინავდეს და ხალხს ემსახუროს, უსინიდისო აბ-
 ლაკატების ბრქყალებიდან დაიხსნას.

ქეთო. (აღტაცებით) აი, ნამდვილი, მამულისშვილური საქმე
 თქვენ განგიზრახავთ! აქამდის ვინც რამე ისწავლა,
 მარტო თავის თავისთვის ზრუნავდა და თავის ჯაბესა
 და კუქს ემსახურებოდა მხოლოდ. ამიტომაც ხალ-
 ხიც დაშორდა ნასწავლ კაცს და მაგრე რიგად აღარ
 აფასებს სწავლას, რადგან ყოველი ნასწავლი თავის
 გამტყავებელ მტრად მიაჩნია და არა გულშემატკივარ
 მოყვარედ!..

შლაცთან. ახლა კი ჩვენ გადავწყვიტეთ, დაფუხლოვდეთ ხალხს,
 შევაყვაროთ ჩვენი თავი, შევაყვაროთ საზოგადოდ
 ნასწავლი კაცი და სწავლა... როცა ეს მოხდება,
 როცა ხალხი დაინახავს, რომ ჩვენ მართლა გული
 შეგვტკივა მისთვის და მისი ჭირი ჩვენ ჭირად მიგვა-
 ჩნია, მაშინ, რასაკვირველია, თითონაც პატივისცე-
 მით მოგვეპყრობა და დაგვიჯერებს, რასაც ვურჩევთ
 და ვეტყვიტ... მაშინ და მხოლოდ მაშინ დადგება
 ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში.

ქეთო. (გახარებული გადაეხვევა) და შენ და სამსონი პირველი
 მერცხლები ხართ ამ ახალი ხანის დადგომის მახა-
 რობლად მოვლენილნი, არა?

პლატონ. (ღიმილით ჩაიკრავს გულში) პირველი მერცხლობა შენ უფრო გეკუთვნის, ჩემო კარგო, რადგან შენ უფრო ადრე შეუდგე ამ საქმეს, (შემოდინან სუსანა და ბიჭი და შემოაქვთ საქმელ-სასმელი).

გამოსვლა მეექვსე

სუსანა. (შლის სუფრას) აბა გენაცვალე, შექამე რამე და წადი, რახან არ იშლი. დარისპანიც ეგერ მოდის?

პლატონ. ღმერთმანი დედა, არა მინდა-რა.

სუსანა. რას ამბობ, ბიჭო?.. რა ხანია, ჩემი გაკეთებული საქმელი არ გიქამია?.. მოდი, გენაცვალოს დედა, დაჯექი,! (შემოდის დარისპანი).

გამოსვლა მეშვიდა

დარისპან. (კარებშივე ყვირის მხიარული) ოოო, დოხტურს გაუმარჯოს, დოხტურს!.. (გადაეხვევა პლატონს და ჰკოცნის რამდენიმეჯერ) სად შემცილდი, ბიჭო, მე შენ შესახედრად წამოვედი.

პლატონ. არ ვიცი.

სუსანა. (დარისპანს) სად დაიკარგე, კაცო? რა ხანია, აქ არის და შენ მოსვლას კი აღარაფერი ეშველა.

დარისპან. დასწყევლოს ღმერთმა! იმ მგლის არჩივ ხარს ღობე გაეგლიჯა ერთგან და იმას შეერჩი. (მიუბრუნდება პლატონს) სხვა, ამბავი, ხაბარი?.. როგორა ხარ, როგორ იმგზავრე?..

სუსანა. რა დროს ეგენია ახლა?.. შია, მოუკვდა ჩემი თავი!.. დაჯექი, გენაცვალე, პლატონ, თვარა გაცივდა ყველაფერი.

დარისპან. მეც სწორედ ძალიან მშინ და, მაშ, დავსხდეთ! (ჯდება და უჩვენებს პლატონს თავის გვერდით სკამს) და-

ჯექი! (პლატონი დაღონებული ჯდება და საათს დახედავს) რა იყო, საათს რას უყურებ? მოხვედი, ხომ არსად მიდიხარ? (პლატონი მიაჩერდება სუსანას და ქეთოს, რომელნიც პირდაპირ სხედან).

სუსანა. ნიკოს წერილი გამოუტანებია აღმასხანთან და უთხოვია, როგორც მიხვიდე, მაშინვე უსათუოდ შენის ხელით გადაეციო.

დარისშან. (შეხედავს ქეთოს) ჰოოო!.. (პლატონს) მოიცა, ნუ ჩქარობ!.. ჯერ ვქამოთ. იქ მისვლას მერეც მოესწრები!

შლატონ. მაინც არა მშოიან და ერთ წამს მივიდოდი და მოვიდოდი ისევ.

დარისშან. (სახე ექმუნება; დაასხავს ღვინოს ჭიქებზე და მიუწკარუნებს თავის ჭიქას პლატონისას) კეთილი იყოს შენი მოსვლა და ჩვენი დახვედრა! იცოცხლე, შეილო, ღვთისა და კაცის სასიამოვნოდ, შენი თავის სასახელოდ და ქვეყნის სასარგებლოდ! ღმერთმა ურცხვენელი ცხოვრება მოგცეს და შენს ბედნიერებას მოგვასწროს! სუსანას) ალაფერდი, დედაკაცო! (სვამს).

სუსანა. (აიღებს ჭიქას) იცოცხლე, შეილო, როგორც შენ გინდა და აგრეთვე ჩვენც! ღმერთმა შენი კაი ცოლშვილი გვაჩვენოს და გაგვახაროს!

დარისშან. (ქეთოს) შენ რამ დაგაღონა, გოგო? სამსონის ამბავი არაფერი მოგსვლია?

სუსანა. წერილი მოუყიდა მისგან.

დარისშან. (ღიმილით) რაიო, რას გწერს?

ქეთო. მპირდება, მალე მოვალო.

დარისშან. სხვა რაღა გინდა აბა?

ქეთო. არაფერი.

დარისშან. არა, ვიცი, რაც გინდა, მაგრამ ცოტა მოიცადე! (ქეთოს შერცხვება და თავს დახრის).

შლატონ. (დახედავს საათს და წამოდგება) აწი კი წავალ.

დარისშან. (ხელს ჭკიდებს კალთაზე) მოიცა, მოიცა, რას მირბიხარ?

შლატონ. (ხეწნით) ნება მომეცი, მამა, შენი ჭირიმე, წავიდე და ახლავე მოვალ.

- დარისზან.** (ხელს გაუშვებს და უკმაყოფილოდ) წადი, შვილო, წადი, მე არ გაკაეებ, მაგრამ საჩქარო კი არაფერია.
- პლატონ.** ძალიან საჩქაროა, მამა, ნიკოს წამოსასვლელი ფული არა აქვს და სწერს მამას, მალე გაუგზავნოს.
- დარისზან.** ვიცი, ვიცი, რა ანდამატიც გიზიდავს ალმასხანის სახლისკენ, მაგრამ ფრთხილად იყავი, ფრთები არ შეიტრუსო იმ სანთელზე, რომლისკენაც მიისწრაფვი! ჭკუიანად იყავი, ჭკუიანად! (პლატონი თავს დაჰხრის) ხომ იცი, ბავშვი აღარა ხარ და სიბავშესაც თავი უნდა დაანებო! კაცი შენხელა უნდა!.. თვალები გაახილე და ისე იარე, ფეხი არსად წამოჰკრა და ხრამში არ გადავარდე, მტრის გულის საქმე არ დაგვმართო!... (პლატონი ვადის).

გამოსვლა მერვე

- დარისზან.** (ქეთოს) არ უთხარი, რაც გინახავს, ველარ ნახავ და ტყუილად მიეშურები-თქო.
- ქეთო.** (მწუხარებით) ვუთხარი, მაგრამ არ დაიჯერა.
- დარისზან.** მაშ, მიბრძანდეს და გაიგებს! თავის თვალით რომ ნახავს ყველაფერს, მაშინ ხომ დაიჯერებს?... (სიჩუმე) დიდი არეულობაა თურმე ალმასხანისას: ძალდი პატრონს ვერ იცნობსო, რომ იტყვიან, სწორედ იმის თანა ამბავია. საბრალო ალმასხანი! რა კაცი იყო და რა ტყუილად დაიღუპა თავი! თუმცა ახი კია იმაზედ! რაღა დროს მასი ცოლი იყო? ან და თუ მაინც და მაინც უნდოდა, თავისი შესაფერი ვერ მოძებნა, ოკი წლის გოგო რომ არ შეერთო?
- სუსანა.** (ხელებს აღაპყრობს და თვალცრემლიანი) დედაშვილობის გამჩენო ღმერთო, შენ უწინამძღვრე ჩემ პლატონს და დაიფარე ყოველი განსაცდელისაგან, გადაარჩინე ყოველ გვარ ხიფათს!

დაჩისხან. „დედა და მამა შვილისთვის და შვილი თავის თავისთვის“-ო, ნათქვამია... რა ვქნათ, ჩემო სუსანა? ქვეყანა ასე მომდინარეობს...

სუსანა. (თვალეების წმენდით) არა, ჩემი პლატონი, ვენაცვალე, სხვებისთანა არ არის... ის თავის დღეში არ დაგვივიწყებს.

დაჩისხან. დავიწყების რა მოგახსენო და ჩვენ თავს რომ სხვა ურჩეენია ახლა, ეს კი ცხადია. (ამოიოხრებს) ეეჰ, თავისი შესაფერი მოძებნოს და ერჩიოს, რა გაეწყობა? დარიკო კი მაგისი საქმეა? ის დიდი წვივგრძელიძის ქალი ბრძანდება და ჩვენ პატარა ვარდი შვილები ვართ. ჩვენ იმასთან რა ხელი გვაქვს?... (სუსანა თვალეებზე ხელს მიიფარებს და თავს აქნევს, ქეთო თავდახრილია).

ფარდა.

მოქმედება მეორე

(ბალი. მარჯვნივ დგას გრძელი სკამი, მარცხნივ მოჩანან შენობები. სკამზე ზის მამისეული და წინდასა ქსოვს; შემოდის მარცხენა მხრიდან დარიკო).

გამოსულა პირველი

დაჩიკო. (როცა მამისეულს დაინახავს, შედგება და თავისთვის) ეს ბებერი რომ ყოველთვის ბალშია! თავისუფლად ვეღარ გაგვივლ-გამოგვივლია!

მამისეული. (დაინახავს დარიკოს) მობრძანდი, მობრძანდი, ბატონი შვილო, ახალ ამბავს გეტყვი.

დაჩიკო. (უკმაყოფილოდ) შენ რომ ახალი ამბავი არ შემოგელევა! რა უნდა მითხრა?

ძამასკუდი. რა და ის, რომ (შეაჩერდება თვალეში) ამ დილას პლატონ ვარდიშვილი ჩამოსულა, დობტურად გამოზრდილი.

დაწაკო. (დაცინვით) უჰ, დიდი ამბავი მომხდარა!

ძამასკუდი. დილაღ, დიდი ამბავია ჩვენი სოფლისთვის. სტანციაზე ჩემი ტრიფონი შეხვედრია და ერთად წამოსულან. უთქვამს, მე აქ დავბინავდები და უთხარი ყველას, რომ ნურავინ მომერიდება და, ავად გახდეს თუ არა ვინმე, მაშინვე შემატყობინონო; გაჭირვებულებს არაფერს არ გამოვართმევო.

დაწაკო. თუ აგრეა, რაღას უყურებ? რატომ არ გაიქცევი და არ გაასინჯებ ფეხებს, რომ გისივდებიან?

ძამასკუდი. იქით გაქცევა რად მინდა, როცა აქაც მოვა?

დაწაკო. აქ როდის მოვა, ვინ იცის, და მე რომ შენ ვიყო, ახლავე მივაშურებდი.

ძამასკუდი. ახლავე მოვა... ის კი არა, პირდაპირ აქეთ მოდიოდა თურმე, რომ ქეთო არ შეხვედროდა გადასახვევთან.

დაწაკო. (შემკრთალი) რას ამბობ?!

ძამასკუდი. ბეჩა, როგორ ჰკვირობ? იყო დრო, ძალიან გესიამოვნებოდა მოსვლა?

დაწაკო. (გაანჩხლებული) თავი დამანებე, თუ ქალი ხარ, გულისწუ მიწუხებ!

ძამასკუდი. რას მიწყრები, შე დალოცვილო? თუ აგრე გეჯავრები, მიბრძანე და მოგშორდები.

დაწაკო. ძალიან კარგს იზამ სწორედ, თუ მომშორდები! (ჯდება).

ძამასკუდი. (დგება) კი, მაგრამ სტუმრები რომ მიგიტოვებია და აქ მოსულხარ, რა მიზნია?

დაწაკო. შენი საქმე არ არის, ძიძა, გეუბნები, თავი დამანებემეთქი.

ძამასკუდი. მივდივარ, მივდივარ! (გაღის).

გამოსვლა მეორე

დაწაკა. (გააყოლებს თვალებს) წინ წყალი, უკან მეწყერი!.. (საზოგადოებას) ძლივს არ მოვიშორე თავიდან? დასწყევლოს ღმერთმა, მარტო ვისიმე ნახვა რომ გინდოდეს, ვერ მოახერხებ! სადაც გგონია და არა გგონია, წამოგეჩხირება ეინმე თვალეში. (სახე გაუბრწყინდება) То-ли дѣло Боржомъ! რამდენი საიდუმლო ადგილებია, სადაც შეგიძლიან თავისუფლად დაუნიშნო, ვისაც გინდა, „რანდევე“... (იუბრება სახლისკენ) ისიც რომ აღარ მოდის!... (ფეხს დაჰკრავს მიწაზე) Фу, ты противный!... მე აქ იმის ნახვის სურვილით ვიღვევი და ის კი ზის და ანეტას ნარდს ეთამაშება!.. (სიჩუმე) ნუ თუ პლატონი მართლა დღესვე მოვა?.. არა, ქეთო ეტყოდა ყელაფერს და აღარ მოვა. აბა რისთვის უნდა მოვიდეს, როცა ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია?.. მე ის ნამდვილ სიყვარულით არაოდეს არ მყვარებია. ან კი რა ღროს ჩემი სიყვარული იყო მაშინ? უბრალო ბავშური გატაცება იყო მხოლოდ და სხვა არაფერი (გამოჩნდება მომავალი მარცხენა მხრიდან ნესტორი).

გამოსვლა მესამე

დაწაკა. (დაინახავს ნესტორს და გახარებული) მოდის, მოდის!.. მოიცა, მე შენ რა გიყო, რომ ამდენს ხანს მაკლდევინე!.. (სახე შეტკუზვნილი სხვა მხრისკენ დაიწყებს ყურებას; მოდის ნესტორი და თვალეებზე ხელებს აფარებს) დამანებე თავი, შე საძაგელო! (წამოვარდება ზეზე ვითომ გულმოსული) რისთვის მოსულხარო?

ნესტორ. ბრძანებისამებრ თქვენისა გაიხელით.

დაწაკა. (აჯავრებს) ბრძანებისამებს თქვენისა გაიხელით... როგორც კი გითხარით, მაშინვე უნდა მოსულიყავით.

ახლა საჭირო აღარა ხართ. შეგიძლიანთ, დაბრუნდეთ და განგრძობთ კნენა ანეტასთან ნარდის თამაში.

ნესტორ. (ღიმილით) ბატონი ბრძანდებით, აღარ შეგაწუხებთ. (გატრიალდება წასასვლელად).

დარეკო. სად მიხვალ? (ხელს ჰკიდებს ჩოხაზე) გადირიე, თუ როგორ არის შენი საქმე?

ნესტორ. შენისთანა მრისხანე ბატონი რომ კაცს ეყოლება, უნდა დაემორჩილოს, აბა რა ჰქნას? მიბრძანე, მოდიო მოვედი; მიბრძანებ, წადიო, მივდივარ.

დარეკო. (აჯავრებს) მიბრძანე, მოდიო, მოვედი... როდის მოხვები? ერთი საათია, ეზივარ და გელი.

ნესტორ. კარგია, შევერიგდეთ! (ხელს გადაუსვამს თავზე და აკოცებს).

დარეკო. კოცნაში კი მარჯვე ხარ...

ნესტორ. სხვაში რაში არა ვარ მარჯვე? ვინდა, მითხარი, და შენი გულისთვის ხუთ კაცს მოვკლავ! (გაღიწევს სახელს) ხომ უყურებ ამ მკლავს? სწორედ ყარამანი ვარ, ყარამანი!

დარეკო. ჰო, კარგი, ვიცით, რაცა ხარ. გეყოფა მასხარობა. (სიჩუმე) იცი, რატომ დაგიბარე?

ნესტორ. არა.

დარეკო. მინდა გკითხო, როდის თხოვ მამა-ჩემს ჩემს თავს?

ნესტორ. როცა ვინდა.

დარეკო. მე მინდა, ახლავე თხოვო.

ნესტორ. (გაკვირვებით) ახლავე?!... ახლა რა დროსია?

დარეკო. ჰო, ახლავე... რა უდროვოა? მე მინდა, მალე დავიწეროთ ჯვარი და ბორჟომში წავიდეთ. ოჰ, რომ იცოდე, რანაირად შემეყვარდა ბორჟომი?

ნესტორ. კარგი დაგმართოს ღმერთმა, კარგი ბორჟომში წასვლა იყოს, მარა რომ მზად არა ვართ?

დარეკო. რა მომზადება გვინდა? წადი ახლავე და უთხარი ამასხანას, რომ მე და დარეკოს გვიყვარს ერთმანეთი და ნება მომეცი, ცოლად შევიერთო-თქო. ისიც ნე-

ბას მოგვცემს, რაკი შეიტყობს, რომ მეც მიყვარხარ და გათავდა, ჯვარი დავიწეროთ და ბორჯომში წავიდეთ.

ნესტორ. სიტყვით ყველაფერი აღვილია, მაგრამ საქმით კი... უარი რომ გვითხრას აღმასხანმა? (თავისთვის) უარს იტყვის კი არა, მომკლავს, ეს რომ გავუმხილო.

დაწაკა. უარს რად გვეტყვის?

ნესტორ. რად გვეტყვის და იმისთვის, რომ სხვისთვის უნდობარ.

დაწაკა. ვისთვის?!

ნესტორ. ვისთვის და გრიგოლისთვის.

დაწაკა. (წამოვარდება და გაანჩხლებული) Ахъ, что за мерзость!.. ვინ გითხრა, ვინ გითხრა? მითხარი მალე!

ნესტორ. ვინ მითხრა და ჩემმა თვალმა და ჩემმა ყურმა. განა შენ თვითონ ვერ ატყობ, რომ გრიგოლი წინადადების გასაკეთებლად არის მოსული?.. აღმასხანი და ის, რა ხანია, მოლაპარაკებულნი არიან და საქმე გათავებულნი აქვთ.

დაწაკა. შენ იცი ყველა ეს და მერე ასე დამშვიდებული ხარ?

ნესტორ. მე რა ვქნა?.. ხომ ვერ მოვკლავ გრიგოლს და სხვა რა შემიძლიან?

დაწაკა. რატომ ვერ მოკლავ?... დიალაც, უნდა მოკლა, თუ სხვაფრივ არაფერი ეშველება საქმეს! წელან არ მითხარი, შენი გულისთვის ხუთ კაცს მოვკლავო?

ნესტორ. მე... მე წელან... (ველარაფერს ამბობს).

დაწაკა. (თვალეზხედ ხელს მიიფარებს და ტირილით) Ахъ, какая я несчастная!

ნესტორ. Напротивъ!.. მე რომ შენ ვიყო, დიდ ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ გრიგოლი მითხოვდა.

დაწაკა. რას ამბობ?.. იმ უკბილო ბებერს უნდა წაყვე?

ნესტორ. მის სიმდიდრეს უნდა წაჰყვე, რომ დედოფლურად იცხოვრო.

დაწაკა. ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის?.. შენ, შენ ნესტორი, მირჩევ ამას, რომ გრიგოლს წაყვე?

- ნესტორ.** (დამშვიდებით) გირჩევ.
- დანაკო.** (აღელვებული) მერე ჩვენი სიყვარული?
- ნესტორ.** ჩვენს სიყვარულს რა უშავს... განა სიყვარულისთვის მიუცილებელი საჭიროა ცოლ-ქმრობა? პირიქით, ცოლ-ქმარს შუა სიყვარული რა საჭიროა? შენ შეგიძლია გრიგოლის ცოლი იყო დი მეკი გიყვარდე.
- დანაკო.** (საშინლად ღელავს) რას ამბობ, რას? მაშ, მატყუებდი ამდენს ხანს, მიყვარხარ და შენს მეტი ცოლი არ მინდაო?... ოოჰ, ღმერთო!... (დაიწყებს გულამოსკვნით ტირილს).
- ნესტორი.** (თავისთვის) დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა ხათაბალას გადავეკიდე? სულ შენი ბრალია ყველაფერი, ანეტა! დარიკოს გაუარშიყდი, რომ ჩემზე ეჭვი არ აიღონო, და ესეც დარიკოს გაარშიყება... (დარიკო უმატებს ტირილს) უნდა ისევ დავამშვიდო, თვარა ცუდად არის საქმე. (მიუახლოვდება და ტკბილად) კარგია, შენი ჭირიმე, ნუ ტირი!... (ხელს ჩამოაშვებინებს და ჰკოცნის; დარიკო ჯერ განზე გაიწევეს, მაგრამ, როცა მეორე ჯერ კიდევ აკოცებს, აღარ ეწინააღმდეგება).
- დანაკო.** მაშ, ისევ ისე გიყვარვარ?
- ნესტორი.** მიყვარხარ, როგორ არ მიყვარხარ.
- დანაკო.** და ცოლადაც შემირთავ?
- ნესტორ.** შეგირთავ, თუ კი მოხერხდება.
- დანაკო.** რატომ არ მოხერხდება. თუ მაინც და მაინც გაჯიუტდება მამა-ჩემი, მომიტაცე და ის იქნება!
- ნესტორ.** (შემკრთალი) მოგიტაცო?!...
- დანაკო.** ჰო, მომიტაცე, როგორ გაოცდი?
- ნესტორ.** მერე სად წავიდეთ?
- დანაკო.** ჯვარი დავიწეროთ და ბორჯომში წავიდეთ. ზაფხული იქ გავატაროთ და საზამთროდ ქალაქში ჩავიდეთ.
- ნესტორ.** (თავისთვის) კარგია თქვენმა მშემ! ამას ჰგონია, მილიონების პატრონი ვარ. ის კი არ იცის, რომ სულსა და ხორცს შუა არა მამაღია-რა.

დაწაკო. რა იყო? რას ჰფიქრობ?

ნესტორ. მმმ... ვფიქრობ, როგორ მოვახერხო ყველა ეს? ადვილი საქმე ხომ არ არის?

დაწაკო. ძნელი აქ არაფერია: ჯერ ნახე ალმასხანი და მოელოპარაკე. იქნება დაგთანხმდეს კიდევ...

ნესტორ. კარგი, ვნახავ.

დაწაკო. თუ ნახავ, რაღას უყურებ? ახლავე ნახე!

ნესტორ. ახლა სტუმრები ჰყავს. მარტო როგორ ვნახო?

დაწაკო. (ფეხს დააბრაუნებს) სიტყვას ნუღარ მიბრუნებ!... ახლავე წადი მამასთან და მოელოპარაკე!

ნესტორ. (თავისთვის) ჭირია, ჭირი სწორედ. ისევ ანეტა თუ გამომიხსნის ამ გაჭირვებიდან, თვარა ცუდად არის საქმე! (ღარიკოს) კარგი, მივდივარ.

დაწაკო. (ალტაცებით) ოჰ, ახლა კარგი ბიჭი ხარ, ჩემო ნესტორ! (მოხვევს კისერზე ხელს და აკოცებს) წადი, წადი!... თუ, ვინიცობაა, უარს იტყვის, ამაღამვე უნდა მომიტაცო!... ჯვარი დავიწეროთ და ბორჯომში წავიდეთ!

ნესტორ. (მიმავალი) ანეტა, შენ გამაბი ამ ხლაფორთში, და შენვე უნდა დამიხსნა, თვარა არ ვიცი, არა! (გაღის).

გამოსვლა მეოთხე

დაწაკო. (გახარებული) Наконец и я буду счастлива!... მეც მეყოლება ქმარი ლამაზი, ყმაწვილი... (სიჩუმე) უკეთესი იქნება, თუ მამა ნებას არ მოგცემს! აბა რა სასიამოვნოა, როცა ყველაფერი ჩვეულებრივად ჰხდება? Никакой поэзии, все такъ пошло!.. То-ли дѣло похищение! (ალტაცებით) გაქცევა, შიში, საიდუმლოება, ტყეში ღამის თევა, რომელიმე სოფლის მივარდნილ საყდარში ჯვარის წერა და სხვა და სხვა. რა კარგია, რა კარგი!.. (სცენის სიღრმეში გამოჩნდება პლანტი, რომელიც დაინახავს თუ არა ღარიკოს, წამოვა მისკენ).

გამოსვლა მესუთე

- დანაკო.** (შეხედავს პლატონს და შემკრთალი) პლატონი!.. როგორ გაჩნდა ამ ბაღში?.. (ვითომ არ შეუმჩნევია, თავდახრილი ზის).
- პლატონ.** (მოდის და შორიახლოს ჩერდება) კნიაჟნას ვახლავარ!
დანაკო. (ვითომ ახლა გამოერკვა ფიქრებიდან) ოჰ, თქვენა ხართ?... შემაშინეთ!.. (წამოიწევეს და თავს უკრავს).
- პლატონ.** (გაუწვდენს ხელს) ხელის ჩამორთმევასაც ალა კადრულობთ?
- დანაკო.** (უნდომრად აძლევს ხელს) ისე მოულოდნელად გაჩნდით ჩემ წინ, რომ ჯერაც ვერ მოვსულივარ გონზე.
- პლატონ.** (აკოცებს ხელზე და მღელვარებით) მე კი მეგონა, რომ დამინახეთ, მაგრამ, სჩანს, ისე გაუტაცნიხართ რალაც ფიქრს, რომ მხოლოდ ლეში ყოფილა აქ თქვენი...
- დანაკო.** (წყენით) ამისთანა რიგიანი სიტყვა-პასუხი ახლა ისწავლეთ?..
- პლატონ.** (დაღონებული) უკაცრავად, უკაცრავად? მართალია, მითხრეს კნიაჟნა დარიკო გამოიცვალაო, მაგრამ თუ ისე გამოიცვლებოდით, რომ სიტყვების გამორჩევა დამჭირდებოდა თქვენთან ლაპარაკის დროს, სწორედ არ მეგონა.
- დანაკო.** (თავდახრილი) მე რა ვარ და სხვა რა არის? მართებული სიტყვა-პასუხი ყველასთან საჭიროა.
- პლატონ.** მართალი ბრძანებაა, მაგრამ მაინც და მაინც უმართებულოც არა მითქვამს-რა.
- დანაკო.** რა მართებული სიტყვაა, მაშ, ლეში? ის-ლა დაგრჩათ, რომ მძორიც დაგეძახნათ?
- პლატონ.** ვიმეორებ, რომ უმართებულო აქ არაფერია. სული რომ გამოეცლება ცოცხალ არსებას და მარტო სხეული დარჩება, ლეშიაო, იტყვიან და, თუ გნებავთ, მძორიც...



ღანაკო (გაწყვეტილებს) მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ ლექციის კითხვის გუნებაზე ბრძანდებით, მე სრულიად არა ვარ იმის მოსმენის ქეიფზე.

შლატან. უკაცრავად ვარ ამ კალნერებისათვის, მაგრამ, როგორც ექიმი და ძველი მეგობარი, ნებას მივცემ ჩემს თავს და გკითხავთ, ავად ხომ არ ბრძანდებით?.. (მიუახლოვდება) მაჩვენეთ აბა მაჯა! (უნდა ხელი მოჰკიდოს).

ღანაკო. (მოშორდება) არამც თუ ავად არა ვარ, პირიქით ჩინებულად ვგრძობ თავს.

შლატან. (უნდა თვალეში ჩახედოს, მაგრამ დარიკო თავს დაბრის) ფიცი მწამს და ბოლო ძაკვირვებს. როგორღაც ერთობ ღელავთ და ფერიც ხშირად გეცვლებათ ხოლმე.

ღანაკო. ეს იმიტომ, რომ თქვენი შემეშინდა!

შლატან. საკვირველია, ამისთანა საშიშარა შევიქენი, რომ ჩემი შეგეშინდათ?... არა, აქ რაღაც ამბავია; რაღაც სნეულებას დაუბუღია თქვენში და გირჩევთ, მითხრათ!

ღანაკო. არა, ჩემში არავითარი სნეულება არ არის დაბუღებული... და რაღაი მაგისთანა გულკეთილი ექიმი ბრძანდებით, გეტყვით, რომ ჩვენს გამდელს ფეხები უსივდება ხშირად და თქვენი ნახვა უნდა. მიბრძანდით და იმას უაქიმეთ!

შლატან. ვნახე და მოვარჩენ კიდევ. აი, ახლა მელაპარაკებოდა.

ღანაკო. (იცინის) ხა, ხა, ხა!.. მოასწარით კიდევ მისი ნახვა?

შლატან. დიად, გადასაბიჯთან შემხვდა და ვიამბო თავისი სნეულების ამბავი. ის პირველი პაციენტი იქნება ჩემი ამ სოფელში და მეორე, უეჭველია, თქვენ. ბარემ თქვენც მიბრძანეთ თქვენი ავადმყოფობის მიზეზი და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოვარჩენთ.

ღანაკო. გმადლობთ, მაგრამ ჯერ არა ვარ ავად და, თუნდაც გავხდე როდისმე, თქვენ მაინც არაფრისთვის არ მოგმართავთ.



- შლატან.** მიკვირს, ასე რამ შეგაძულათ ჩემი თავი? იყო დრო...
- დანაკო.** (გააწყვეტინებს) Было время, но сплыло!.. თქვენ რომ დროზე ლაპარაკობთ, მაშინ უკუყო და გამოუცდელი ბავშვი ვიყავი.
- შლატან.** ახლა კი სიბრძნით საესე და გამოცდილებით აღჭურვილი ქალი ბრძანდებით, არა?
- დანაკო.** (მტკიცედ) დიალაც, და ყველაფერი დავიწყებულობა, რაც იყო.
- შლატან.** ყველაფერი?
- დანაკო.** ყველაფერი.
- შლატან.** სამუდამოდ?
- დანაკო.** (გავრძელებით) სამუდამოდ... На вѣки и безповоротно.
- შლატან.** Даже безповоротно?
- დანაკო.** Да! (თავს დახრის).
- შლატან.** კეთილი და პატიოსანი!.. (აღელვებული გაივლ-გამოივლის; შემდეგ შედგება დარკოს წინ და ხმის კანკალით) ბარემ ისიც მითხარით, ვისში გამცვალეთ? ვინ დაიჭირა ჩემი ადგილი თქვენს გულში?
- დანაკო.** ჯერ ერთი, ვინ მოგახსენათ, რომ თქვენ როდისმე გეჭირათ ადგილი ჩემს გულში? და მეორეც ის, რომ მე სრულიადაა არ ეთვლი საჭიროდ, ანგარიში მივცე ვისმე და მით უმეტეს თქვენ. მე თქვენ გითხარით და კიდევ გეტყვი, რომ ბავშვი აღარა ვარ.
- შლატანი.** (გრძნობა ნარევი ირონიით) ის მაინც შემატყობინეთ, რა ხანია მას აქეთ, რაც თქვენ ასე დაბრძენდით, ან ვინ იყვნენ ის მასწავლებლები, რომელთაგანაც ჭკუა ისწავლეთ და გამოცდილება მიიღეთ?
- დანაკო.** (გაანჩხლებით) კიდევ და კიდევ! უმორჩილესად გთხოვთ, თავი დამანებოთ.
- შლატანი.** (ნაღვლიანის ღიმილით) არა, ასე ადვილად ვერ მოგშორდებით!... ჯერ უნდა მითხრათ, რამ გამოგცვალათ ასე საშინლად და დაგაეიწყათ წარსული? რამ მოგხიბლათ და მოგაჯადოვათ?... ნუ თუ იმ ცხოვ-

რებამ, რომლითაც ცხოვრობს ჩვენი ნიადაგ-გამაღრი კლილი და წეს-აგებულის საზოგადოება, ისე ჩაგითრიათ, ისე ამოვიწებათ ლაფით თვალები, რომ ველარაფერს ხედავთ და სიამოვნებით გორავთ წუმბე ტალახში?... (დარიკომ უნდა რაღაცა სთქვას, მაგრამ ვერ მოასწრობს) იქმნება, თქვენ გგონიათ, მე მხოლოდ იმიტომ მწყდება გული, რომ აღარ გიყვარვართ?... თქვენი გულის მეუფე თქვენვე ხართ: თქვენ შეგეძლოთ, მე დაგვეიწყეთ და სხვა შეგყვარებოდით, მაგრამ არ შეგეძლოთ, წიხლი დაგეკათ იმისთვის, რასაც თაყვანს სცემდით; არ შეგეძლოთ გადაქცევა იმად, რასაც თვითონვე დასცინოდით და ზიზლით უყურებდით! დიად, მე ყველაფერზედ უფრო ის მაწუხებს, რომ იმედი გამიცრუვდა და თქვენ თქვენი მამიდის, თქვენი დედინაცვლის და სხვათა, რომელთათვისაც აღარავითარი წმინდა აღარ არსებობს, კვალს დასდგომიხართ!...

დარიკო. (საშინლად აღელვებული) შეიტყეთ, რომ არც მამიდა ჩემი, არც ჩემი დედინაცვალი და არც თვითონ მე თქვენი ხელის წამოსაკრავი სრულიადაც არ გახლავართ! მიბრძანდით და თქვენი და დაარიგეთ, ან სხვა ვინმე თქვენი ტოლი.

შლატან. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! (დაცინვითი ღიმილით) თქვენის ბრწყინვალეების ყურები დაჩვეულნი არიან მხოლოდ სამო კომპლიმენტების მოსმენას...

დარიკო. (გააწყვეტილებს მოთმინებიდან გამოსული) Что вы пристали, какъ назойливая муха, какъ противная пчавка?...

შლატან. (ნადვლიანის ღიმილით) აი მართებული სიტყვა-ბასუხი თქვენ გისწავლიათ!... კიდევ კარგი, რომ რუსულად ლაპარაკობთ და ქართულად არ ხარჯავთ ამისთანა სიტყვებს!

დარიკო. თუ გნებავსთ, ქართულადაც მოგახსენებთ, რომ მძულხართ, მეზიზღებით! კიდევ აღარ დამეხსენებთ?

შლატონ. დაგეხსნებით, დაგეხსნებით, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ისევ მალე მომიგონებთ და საჭირო ვიქნები თქვენთვის.

ღანაკო. (გაგრძელებით) ა-რა-სო-დეს!... უწინ თავს მოვიკლავ, სანამ თქვენ რისთვისმე მოგმართავთ!... დიად, თავს მოვიკლავ და თქვენთან საერთო კი არა მექნება-რა.

შლატონ. (აღელვებული ამოიღებს წერილს და უღებს გვერდით) ეს წერილი მამა-თქვენს გადაეცით!... ნიკომ გამოგზავნა... მე კი აღარ შეგაწუხებთ ჩემი აქ ყოფნით... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (თავს უკრავს) ღმერთსა ვსთხოვ, ბედნიერი იყოთ!

ღანაკო. თქვენი ლოცვა თქვენთვისვე შეინახეთ, ის წყევლა-ზედაც უარესია!

შლატონ. (წასვლას აპირობს, მაგრამ დაინახავს მომავალს ნესტორს და შეჩერდება) თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი!.. ჩემი ნა-ამხანაგარი, მესამე კლასიდან რომ გამოაგდეს ლო-თობისთვის!.. (მიუახლოვდება დარიკოს) კნიაჟნა, იქნე-ბა, ნესტორ ჯიქიაშვილია ის ბედნიერი არსება, რომელშიაც გამცვალეთ და ახლაც იმას უცდით აქ?... (სიჩუმე) სთქვით პირდაპირ, რისა გეშინიანთ!... ნეს-ტორი თავადიშვილია, მე არა; ნესტორი ლამაზი ბი-ქია, მე არა... მართალია, ლოთია, გარყენილია და თავშიაც არა უღდევს-რა, მაგრამ...

ღანაკო. (გააწყვეტიანებს) თქვენ ნესტორის ერთი ფრჩხილის ღირსიც კი არა ხართ!.. (გაიქცევა ნესტორისკენ და ჩა-მოეკიდება კისერზე).

გამოსვლა მეექვსე

შლატონ. (მეტად აღელვებული მისჩერებია გადახვეულთ დარიკოს და ნესტორს და კბილების ხრქიალით) **ოჰ, ჯოჯოხეთო, ჯო-ჯოხეთო!...** (თავზედ ხელს მოიკიდებს და ჩქარის ნაბიჯით გადის. ნესტორი და დარიკო, ერთმანეთს გადახვეულნი, მი-სჩერებიან მომავალს პლატონს და იცინიან).

ფ ა რ დ ა

დუტუ მკგელო

(დასასრული იქნება)

მ ე გ ო გ რ ე გ ი

ა. ნ. ზოგაძენათვის

(ამბავი სტუდენტთა ცხოვრებიდან)

მთელი სამი წელიწადი ერთადა ვცხოვრობდით მე და ბუინოვი. თავდაპირველი ჩვენი შეხვედრა შემთხვევით მოხდა; უნივერსიტეტში შესვლამდე არც კი ვიცნობდით ერთმანეთს. რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდან ჩამოვედით და როგორც მე იმის შესახებ არაფერი გამიგონია, ისე იმან არა უწყადა-რა ჩემს შესახებ.

პირველად ერთმანეთს უზარმაზარის სახლის კიბეზედ შევხვდით, როდესაც ორივე მეოთხე სართულში ავდიოდით. ის წინ მიდიოდა, მე უკან მივდედი. მაგრამ უთუოდ იმ დროსვე მოვკარით თვალი ერთმანეთს, როდესაც ეზოს კარების წინ ვიდექით და გულდასმით ვკითხულობდით კედელზედ მიკრულს ბარათს, რომელზედაც მსხვილის ასოებით ეწერა: „იძლევა ქირით ერთი ოთახი მარტოხელა კაცისათვის, ავეჯით და, სურვილისამებრ, სადილითაც.“

ამ ბარათმა ორივეს ყურადღება მიიქცია, მაგრამ, უთუოდ, ბუინოვმა შემატყო, რომ იმის მეტოქე ვიყავი, საჩქაროდ გადაავლო თვალი ბარათს, ხელად ეზოში შევარდა და ასასვლელ კიბეს ძებნა დაუწყა. მე კი, როგორც ყოველთვის, ნელ-ნელა შევუდექი გზას და, იმ დროს, როდესაც ფეხი ჭუჭყიან და ნაგვიან კიბის პირველ საფეხურზე შევდგი, ბუინოვი უკვე

მეორე სართულის ბალკონზე იყო, ხოლო როდესაც იმას მე-
 ოთხე სართულში ოც და მეშვიდე ნომრის კარები გაუღეს, მე
 მხოლოდ მაშინ მივალწიე მესამე სართულამდე.

მაგრამ რადგანაც ორივეს ამ ჟამად ერთი და იგივე საქმე
 გვქონდა, ერთი და იგივე აზრი გვასულდგმულვებდა, ამიტომ
 ერთმანეთს უეჭველად უნდა შევხვედროდით ოც და მეშვიდე
 ნომერში. ასეც მოხდა. ბუინოვის შემდეგ მე გამიღეს კარები
 და, როგორც ის, შემიყვანეს კარგა მოზრდილ ოთახში, სადაც
 თვალი მოვკარი დივანს, რკინის ტახტს, სტოლს, შკაფს, წიგ-
 ნების დასაწყობს და სარკეს, რომელსაც, როგორც პირველად-
 ვე შევატყე, ის უცნაური თვისება ჰქონდა, რომ ყველაფერს
 უკულმა აჩვენებდა.

— რა ღირს ეს ოთახი?—ჰკითხა ბუინოვმა დიასახლისს,
 გარეგნობით დარბაისელს, მაღალის ტანის და მიწიდიველის სახის
 ქალს, რომელსაც მხრებზედ შალი ჰქონდა წამოსხმული.

— ცამეტი მანეთი!—მიუგო დიასახლისმა.

— სამოვრით?—შეეკითხა ბუინოვი.

— დიად, სამოვრით. თუ გნებავთ, სადილიც შეიძლება.
 სადილი ექვსი და ათი შაური ეღირება.

— ჰმ!... მაშ თქვენა ბრძანებთ, ცამეტი მანეთიო?—ხელ-
 ახლად შეეკითხა ბუინოვი, რომელსაც, როგორც ეტყობოდა,
 უსადილოდ უნდოდა ოთახის დაქირავება.—რაღა ცამეტი ბრძა-
 ნეთ? ცამეტი ხომ ნავსი რიცხვია?

— იცით, რა მოგახსენოთ,—სიცილით მიუგო დიასახლის-
 მა,—როდესაც ლაპარაკი ფულზეა, მაშინ ცამეტი სჯობია თორ-
 მეტს.

— ეგ კი აგრეა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის
 ძვირია!

— რადგან ეგრეა, თორმეტადაც შეიძლება.

— არა, ეგეც ბევრია.

ამ დროს დიასახლისს დაუძახეს და ოთახში მე და ჩემი
 მეტოქე-ლა დავრჩით. ბუინოვმა შემომხედა და მითხრა:

— იქნება თქვენა გნებავთ ამ ოთახის დაქირავება? მე არ
 შეგვეცილებით.

— არა, — მიუხედავად, — ამ ოთახის დაქირავება ხელს არ მომცემს. მე პატარა, ესე, შვიდ მანეთიან ოთახს დავეძებ.

— ჰოო? წარმოიდგინეთ, მეც მხოლოდ შვიდი მანეთის გადადება შემიძლიან... და სწორედ ასეთ ოთახსაც ვეძებდი.

— ძნელია მაგ ფასით ოთახის შოვნა, — შევნიშნე, — უკვე სამი დღეა, რაც დავწაწალებ და დავეძებ: პატარა ოთახი არსად არ არის.

— სამი დღეო? მე მთელი კვირაა მეხუთე სართულზე ვაგრივარ... გამიგონეთ, მშვენიერმა აზრმა გამიელვა თავში! მაგრამ, უკაცრავოდ, თქვენ... თქვენ სტუდენტი ბრძანდებით.

— დიად, სტუდენტი გახლავართ.

— რომელი კურსისა?

— მე ეს არის ეხლა შევედი უნივერსიტეტში.

— რომელ ფაკულტეტზე?

— ეხლა ბუნებისმეტყველებასა ვსწავლობ, მაგრამ, ვგონებ, მკურნალობას შევუდგები.

— წარმოიდგინეთ, მეც ესე ვარ; ასე რომ ამხანაგები ვყოფილვართ.

— დიდად სასიამოვნოა!

ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ და ჩვენი გვარები ვსთქვით.

— ის კი არ გითქვამთ, რა აზრმა გაგიელვათ თავში? — შევეკითხე.

— აი, რაშია საქმე: თქვენ გადასდეთ შვიდი მანეთი, მეც მაგდენივე, ეს ოთახი კი თორმეტი მანეთი ღირს; მაშასადამე, თუ ერთად დავსდგებით, თითო მანეთი დავგრჩება. ეს ფული კი თუთუნისათვის გვეყოფა.

— მართალსა ბრძანებთ! თქვენი წინაღობა მომწონს. მხოლოდ არ ვიცი მოვახერხებთ ერთად ცხოვრებას და მოვრიგდებით თუ არა?!..

— აბა, ეგ რა სათქმელია? რასაკვირველია, მოვრიგდებით. როდესაც დიასახლისი შემოვიდა, იმასაც გავაცანით ჩვენი გეგმა. საქმე მალე მორიგდა. დაბრკოლება მხოლოდ ის იყო, რომ დიასახლისის მეორე ტახტი არა ჰქონდა; მაგრამ მე განვა-

ცხადე დივანზედაც კარგად შემოდლიან წოლა-მეთქი და ეს დაბრკოლებაც მაღე ავიცილეთ თავიდან.

და, აი, ამ დღიდან დავიწყეთ მე და ბუინოვმა ცხოვრება ერთ ქერ ქვეშ, ერთ ოთახში. ზაფხულობით ჩვენ ჩვენს სოფელში მივდიოდით, შემოდგომაზე ისევ მოვნახავდით ხოლმე ერთმანეთს და ერთადვე ვდგებოდით. რამდენჯერმე ბინა გამოვიცვალეთ, მაგრამ ეხლა, როდისაც მეოთხე კურსზედ გადავედით, შემთხვევით ისევ იმ დიასახლისთან მოვხვდით, რომელთანაც პირველ წელიწადს ვიდექით, მხოლოდ ამ ეამად დიასახლისს სხვა სადგომი ექირა.

ჩვენ ერთმანეთისათვის ძალიან საჭირონი ვიყავით. უპირველეს ყოვლისა ასეთს ცხოვრებას ეკონომია მოსდევდა: ნაკლები გვეხარჯებოდა სანთელზედ, ჩაიზედ. გარდა ამისა დროსაც ვიგებდით; რადგანაც ორთავეს ერთი და იგივე წიგნები უნდა გვესწავლა, ამ წიგნებს ხმა მალლა ვკითხულობდით და უფრო აღვილად ვითვისებდით. საზოგადოდ, უნდა ვსთქვა, რომ ძალიან მშვიდობიანად და კარგად ვცხოვრობდით. ჩვენ ხასიათებითაც ვგვანდით ერთმანეთს: არც ერთს არ გვიყვარდა ბევრი ლაპარაკი და ამიტომ უთავბოლო ლაყბობით ერთმანეთს თავს არ ვაბეზრებდით. მუდამ თავაზიანად ვიქცეოდით და ასეთის თანხმობის წყალობით ისე შევეჩვიეთ ერთად ცხოვრებას, რომ განშორება შეუძლებლად მიგვაჩნდა.

ჩვენი პატივცემული დიასახლისი მოხელის ქვრივი აღმოჩნდა. როგორც იმის სადგომის მოწყობილება ჰმოწმობდა, წინად გეარიანად უნდა ეცხოვრაო. ეხლა კი, თუმცა დიდს სიღარიბეში არ იყვნენ, მაგრამ მაინც ცხოვრება ძალიან უჭირდებოდათ. დიასახლისს ერთად-ერთი ქალი-შვილი ჰყვანდა, რომელიც ასე თვრამეტის წლისა იქნებოდა. წინად ვერც კი ვამჩნევდით ამ ქალს, თითქმის ბავშვი იყო და, უთუოდ, ბეჯითად დაიარებოდა გომნაზიაში. გარდა ამისა, ძალიან იშვიათადაც ვხვდავდით, რადგან სადილს სხვაგან ვიხლებოდით. ეხლა ჩაის საღამოობით დიასახლისთანა ვსვამდით და, რასაკვირველია, იმის

ქალიც გავიცანით. სახელად ანნა გრიგორის ასული ერქვა. ბუინოვმა პირველ დღესვე ასე დაახასიათა:

— მეტად ლამაზია, მაგრამ, მგონი, თავში საკმაოდ უნდა უქროდეს.

მე თუმცა არაფერი მითქვამს, მაგრამ გულში იგივე გავიფიქრე. ანნა გრიგორის ასული მართლაც ლამაზი იყო. შუათანა ტანისა, მაგრამ მშვენიერი აგებულობის, ცოცხალის, მეტად გამომეტყველის თვალებისა და ალის ფერის ტუჩების პატრონი ანნა გრიგორის ასული მუდამ ბევრს იცინოდა და ეს სიცილი ერთი-ორად უფრო ალამაზებდა, ამშვენებდა.

ჩვენ თითქმის ყველა საღამოს ერთად ვატარებდით. მართალია, მე და ბუინოვს ბევრი ლაპარაკი არ გვიყვარდა, მაგრამ ანნა გრიგორის ასულმა ისეთი დაუღალავი ტიკტიკი იცოდა, რომ ყველას მაგიერობას ის ასრულებდა.

ღიასახლისთან ხშირად ერთი აფიცერი მოდიოდა ხოლმე, გვარად ობნევსკი. ობნევსკი კაპიტანი იყო და მეტად გრძელი უღვაშები ჰქონდა. ნამდვილი თუ გნებავთ, კარგად არც კი ვიცნობდით ამ კაპიტანს, ისიც ნაკლებ ყურადღებას გვაქცევდა და გვეგონა, რომ იმისათვის არც ანნა გრიგორის ასული იქმნება საინტერესო. კაპიტანი ასე ორმოცის წლის კაცი იქმნებოდა და მაშინ, როდესაც ჩვენ სამნი სტოლს ვუსხედით და ვიცინოდით, ის, ანნა გრიგორის ასულის დედასთან ერთად, კუთხეში იჯდა, განუწყვეტლივ მსხვილ პაპიროზს აბოლებდა და სხვა-და-სხვა საგნების შესახებ ემასლათებოდა.

დროს მხიარულად ვატარებდით. ახალგაზდა, ლამაზის ქალის სიახლოვე, იმის დაუსრულებელი ხარხარი და კასკასი, ჩვენც გვამხიარულებდა და ნება-უნებურად გვალაპარაკებდა. ჩაის შემდეგ, როდესაც ჩვენს ოთახში ვბრუნდებოდით, ხშირად განვგარძნობდით ხოლმე იმ საგნის შესახებ ლაპარაკს, რომელზედაც ანნა გრიგორის ასულს ვესაუბრებოდით.

— დიად, — ამბობდა ბუინოვი — ეს სულ იმის ბრაღია, რომ ანნა გრიგორის ასული ლამაზი ქალია. კარგადა ვხედავთ,



რომ ჭკვიანი არ არის, მაგრამ მაინც დიდი გავლენა აქვს ჩვენზედ სილამაზე აღაფროთოვანებს კაცს!...

ეს ამბავი ერთსა და იმავე სალამოს მოხდა, შეიძლება ერთსა და იმავე საათს. ვინ იცის, იქნებ ჩვენ იმ დროს სულ სხვა ნაირ გუნებაზედ ვიყავით, ან იქნება ანნა გრიგორის ასულმა საოითაოდ თვისის მგზნებარე თვალებით მოგვხიბლა, მაგრამ ეს კია, როდესაც ოთახში დავბრუნდით ლაპარაკი აღარ გავგიბამს, როგორც ჩვეულებრივ ვიცოდით. ორივემ ოთახში კუთხიდან კუთხემდე სიარული დავიწყეთ. ორჯელ-სამჯერ დავეჯახეთ კიდევ ერთმანეთს. შემდეგ მივხდით, რომ ასე სიარული შეუძლებელი იყო: ბუინოვი დივანზედ გააჭიმა, მე კიდევ ტახტზედ.

არ ვიცი რას გრძნობდა ამ ჟამად ბუინოვი, მეკი მეტად გამწარებული ვიყავი. ჩემი გული დაკოდლილი იყო. ანნა გრიგორის ასული, ჩვენი მშვენიერი მეზობელი თავიდან არა მშორდებოდა. გაკვირვებული ვიყავი, რომ მხოლოდ ამ სალამოს მომივიდა ეს. ის ხომ წინადაც ისეთი მშვენიერი იყო, როგორც ამ სალამოს.—მაშ რატომ იმისმა სილამაზემ აქამდის არ იმოქმედა ჩემზედ ისე, როგორც ესლა იმოქმედა? ანნა გრიგორის ასული თაველ-წინ მედგა და არა მშორდებოდა: პირველად ვიგრძენ, რომ შეყვარებული ვიყავი.

თითქმის ორი საათი ვიწეკით ამ გვარად მე და ბუინოვი. შემდეგ ერთბაშად წაიოვიძახე:

— ანნა გრიგორის ასული დღეს განსაკუთრებით კარგი იყო!— თან ჭერს შევაჭყიტე თვალები, თითქოს იმას ვეუბნებოდნი და არა ჩემს ამხანაგს.

— ჰო, კარგი იყო!— ზანტად დამემოწმა ბუინოვი.

— შენც ასე გგონია?— თავის აწევით მივმართე. ბუინოვმა გაბრაზებულის თვალით გადმოიხედა და მაშინვე ხმის კანკალით მომიგო:

— ვითომ რატომ არ უნდა მეგონოს? საკვირველია ღმერთმანი! არა, ვის შეუძლიან აღმიკრძალოს და დამიშალოს იმის თქმა, რომ ანნა გრიგორის ასული ლამაზი ქალია?

— მერყე ვინ გიშლის? რამდენიც გინდა, იმდენი სთქვიო.

სიჩუმე ჩამოვარდა. იმ საღამოს ერთმანეთისათვის ხმა აღარ გაგვიცია. ამ სამის წლის განმავლობაში პირველად ვლაპარაკობდით ასეთის კილოთი.

მეორე დღეს სახტად დავრჩი, როდესაც სახლის პატრონთან შევედი და სტოლზედ კამფეტების კოლოფი დავინახე დისახლისის სახლში. ეს პირველი მაგალითი იყო. ანა გრიგორის ასულმა იმ წამსვე მითავაზა კამფეტები, შემდეგ ბუინოვს მიაწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა.

— კარგია, ერთი თუ ორთი გწამთ!— ეუბნებოდა ანა გრიგორის ასული, — უარს როგორ ამბობთ, თქვენი ნაყიდი არ არის?

ტანში საშინელმა ჟრუანტელმა დამიარა. ცეცხლივით ანთებული თვალები ჩემს ამხანაგს გადავანათე. არა, რა ნება ჰქონდა, რომ კამფეტები მოუტანა? ჯერ ერთი, რომ წინად თავში ამისთანა რამ არასოდეს არ მოსვლია, მეორე კიდევ— ვინ მისცა ფული კამფეტებისათვის? მე კარგად ვიცოდი, რომ ბუინოვს, ისე, როგორც მე, ფული არა ჰქონდა და აი, კამფეტები კი უყიდნია, ისიც, როგორც კოლოფზედ შევატყე, საუკეთესო კამფეტები.

მეორე დღეს, ბუინოვს უთუოდ ჩვენი ურთიერთისადმი დამოკიდებულება დაავიწყდა და მკითხა:

— ერთი შენი საათი ნახე, რომელია ეხლა?

მე თავი ზევით ავწიე.

— როგორ, შენი საათი რაღა უყავი?

— სა...ათი... ჰო... აღარ დადის, გასაკეთებლად მივეცი.

აშკარად შევატყე, რომ ბუინოვი ტყუილს ამბობდა. ბუინოვმა საათი დააგირავა, რათა აღებულის ფულით კამფეტები ეყიდნა. არ ვიცი რაღა, მაგრამ მაშინვე თავში გამიელვა, რომ მეც უნდა ვიყიდო რამე და მივართვა ანა გრიგორის ასულს.

როდესაც ბუინოვი წავიდა (ეხლა სიხლადან ერთად აღარ გამოვდიოდით), მე მივიხედ-მოვიხედე და თვალთ ძებნა დავუწყე ისეთ ნივთს, რომლის დაგირავებაც შესაძლებელი ყოფი-

ლიყო. უცბად ჩემი თბილი შალი დავინახე, ხელად მარცხენა მკლავზედ გადავიკიდე და გზას გავუდექი. სალამოს ბუინოვი ჩაის სასმელად დიასახლისთან ჩემზედ აღრე შევიდა, უთუოდ უნდოდა ჩემის იქ არ ყოფნით ესარგებლა და ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ეთქვა ანნა გრიგორის ასულისათვის. როდესაც შევედი, ბუინოვმა რალაც უცნაურად გადამავლო თვალი. ჩემი ყვავილის კონა, რომელიც ანნა გრიგორის ასულს მივართვი, სარკის წინ პატარა სტოლზედ იდგა და ისე მოსჩანდა, თითქოს ერთი კი არა, ორი კონა მიმერთმიოს. ანნა გრიგორის ასული აღტაცებული იყო ამ ყვავილებით, მალ-მალ მივიდოდა სარკესთან და დაიძახებდა:

— ახ, რა მშვენიერი ყვავილებია!—და თანაც ღიმილით გადმომხედავდა ხოლმე.

ამ სალამოს კაპიტანიც იქ იყო. ისიც ძალიან აქებდა ჩემს ყვავილებს. მე სიხარულით ცას მოვეწიე და თანაც ვფიქრობდი, რომ ყვავილების შემწეობით ბუინოვი დავამარცხე-მეთქი. მაგრამ, რასაკვირველია, საქმე ამით არ გათავდა. ჩვენ ერთმანეთს ვეჯობრებოდით და ორივენი ვცდილობდით ანნა გრიგორის ასულისათვის გვესიამოვნებინა. ბუინოვი ბიბლიოთეკაში აცილებდა, სადაც ანნა გრიგორის ასული წიგნებისათვის დადიოდა, მე კი ორჯელ-სამჯერ ბილეთი ვიყიდე და თეატრში დავბატყე. კვირაში რამდენჯერმე გამსესხებელ კასაში შესვლა მიხდებოდა და ეს გარემოება კი თანდათან ჩემი ტანისამოსისა და ნივთების ყუთს ამსუბუქებდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩემი განთქმული ენციკლოპედიური ლექსიკონი უნდა დამეგირავენინა, რომელსაც მთელი უნივერსიტეტი იცნობდა. ანნა გრიგორის ასულს თეატრი ძალიან უყვარდა; როდესაც დავბატყებდი, მხიარულდებოდა, სიცილით მელაპარაკებოდა და მაშინ გამარჯვებას ეგრძნობდი, მაგრამ, სამაგიეროდ, როდესაც თეატრიდან ვბრუნდებოდი, ბუინოვი, რომლის ყუთიც ჩემს ყუთზე გაცილებით უფრო დარბი იყო, მტრულისა და ზიზღის თვალთ გადმომხედავდა ხოლმე.

ასე და ამ რიგად ისე დღე არ გავიდოდა, რომ ანნა გრიგორის ასულისათვის არაფერი მიგვეერთმია, ან რამენაირად პატრივი არ ვგეცა. ჩემი და ბუინოვის დამოკიდებულება ძირითადად შეიცვალა. დილით ერთ დროს არასოდეს აღარა ვდგებოდით. თუ ის ჩემზე წინ წამოაჰყოფდა თავს, მე საბანს წავიხურავდი და თავს მოვიმძინარებდი; თუ მე უფრო ადრე გავიღვიძებდი, მაშინ ის იქცეოდა ასე. ერთმანეთს ვერიდებოდით, ლაპარაკი სრულებით აღარ გვეჩერებოდა. უნივერსიტეტშიაც კი განზე ვუვლიდით ერთმანეთს. ასე გასინჯეთ, სტუდენტებმაც კი შენიშნეს, რომ ჩვენ შორის რაღაც ამბავი მოხდა.

— რა ამბავია, ჩხუბი ხომ არ მოგივიდათ, ერთმანეთს ხომ არ დაშორდით?— გვეკითხებოდნენ ხოლმე ამხანაგები.

ჩვენ, რასაკვირველია, ყველას არას ვუუბნებოდით, მაგრამ ლაპარაკის კილოზედ გვატყობდნენ, რომ ვტყუოდით.

მე და ბუინოვი წიგნებს ერთად აღარ ვკითხულობდით. სრული ათი დღე გავიდა, რაც ჩვენს ოთახში სიტყვა აღარავის წარმოუთქვამს. ერთად ცხოვრება 'მეუძღვებელი, აუტანელი ხდებოდა. ბოლოს ბუინოვმა მომმართა:

— იცი, რა გითხრა, მე მგონია, სხვა-და-სხვა ოთახში რომ გადავიდეთ, უმჯობესი იქნება?!...

მე გაკვირვებული თვალებით შევხედე, თუმცა ეს წინადადება ძალიან მომეწონა. ბუინოვმა განაგრძო:

— ჩვენ როგორღაც ერთმანეთს ვავიწროვებთ...

— შეიძლება, მეც ასე ვფიქრობ!— მივუგე.

მთელი სამი წლის განმავლობაში პირველი გაგონება იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვავიწროვებდით. წინად სიცილად არ გვეყოფოდა ეს ამბავი.

და აი ამ დღიდან გულმოდგინედ შევუდგეთ ოთახების ძებნას. მაგრამ როგორღაც ვერც ერთი ვერ ვშოულობდით ოთახს. უნდა გამოვტყუდე, რომ გულში იმედი მქონდა, ბუინოვი ჩემზედ ადრე იპოვნის ოთახს, გადავა აქედან და მე კი აქვე დავრჩები-მეთქი. სად, ან როგორ ვიშოვნოდი თორმეტ მანეთს, ამის დარდი არა მქონდა. მე დარწმუნებული ვარ, ბუი-

ნოეცი მასვე ჰფიქრობდა, რასაც მე. უთუოდ, ამიტომ დღეები გადიოდა და ჩვენი შესაფერი ოთახები მაინც არსადა ჩნდებოდა. მაგრამ დაშორება გარდაწყვეტილი იყო. ჩვენ მტრები ვიყავით და ერთად ცხოვრება აღარ შეგვეძლო.

მიუხედავად ამისა, სალამოობით ჩაის სასმელად დიასახლისთან მაინც შევდიოდით. წავიდა, განჰქრა წინანდელი მხიარული სალამოები!... მართალია, ანა გრიგორის ასული ისევ ისე კარგ გუნებაზედ იყო ხოლმე და ჩვენში ვერავითარ ცვლილებას ვერა ხედავდა, მაგრამ ჩვენ ორივენი დაბღვერილი ვიყურებოდით, ერთმანეთს ხმას არა ვცემდით და ათასში ერთხელ მხოლოდ ანა გრიგორის ასულს მივმართავდით ხოლმე.

ერთს სალამოს დედაცა და ქალიც რაღაც უცნაურ გუნებაზედ იყვნენ. თუმცა ისეთს ვერაფერს ვერა ვხედავდით, მაგრამ ვგრძნობდით კი, რომ რაღაც არა-ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. ანა გრიგორის ასულს მშვენიერი ახალი კაბა ეცვა და გულზედ ვარდი ჰქონდა მიკრული. კაპიტანიც იქვე იყო, ჩვეულებრივ მსხვილ ჰაპიროსს აბოლებდა, მაგრამ ამ სალამოს დედასთან კი არ იჯდა, როგორც ყოველთვის, არამედ იმის ქალთან.

— იცით, — მოგვიბრუნდა დედა, — დღეს ჩვენსა ახალი ამბავი მოხდა?

— ახალი ამბავი? რა ახალი ამბავი? — შევეყირეთ ორივემ ერთად.

— აი, კაპიტანმა სთხოვა ჩემს ქალს, ცოლად გამოემყვიო.

— ჰოო?!...

— დიად, მართალია, და ორი კვირის შემდეგ ქორწილაცა გვაქვს! — მხიარულად წამოიძახა ანა გრიგორის ასულმა.

ორთავემ პირი დავადეთ. ვერც ერთი გონს ვერ მოვედით. ბოლოს ბუინოვი ფეხზედ წამოხტა და დიასახლისსა და იმის ქალს ბედნიერება მიულოცა. ბუინოვის მაგალითს მეც მივბაძე.

დიდ ხანს აღარ დავრჩენილვართ დიასახლისისას, ესე ათი საათი იქმნებოდა, როდესაც ჩვენს ოთახში დავბრუნდით. მე

სტოლთან სავარძელში ჩაეჯექი, ხოლო ბუინოვი დივანზე
თავსდა. ოცი წუთი სულ-გატრუნულები ვისხედით. შემდეგ
ბუინოვი უცბად წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო. ბოლოს
სიარულიც მოჰბეზრდა, უცბად შედგა, სკამს წამოავლო ხე-
ლი და ჩემს გვერდით სტოლთან დაჯდა.

— მოიხედე, გაქვს რამე?—მკითხა.

— ესე იგი ფულის შესახებ მკითხავ?

— ჰო, ცოტა რამ არა გაქვს?

— როგორ, საწამლავისთვის ხომ არ გინდა?—წაემასხა-
რავე, თუცა სრულებით მასხარაობის გუნებაზედ არ ვიყავი.

— ვინ იცის, იქნება აღარც კი ხუმრობ და თვითონ ჰფი-
ქრობ საწამლავის დაღვევას!...

ცოტა ხანს დავჩუმდით, მაგრამ მერე ერთმანეთს თვალე-
ში შევხედეთ და უცბად გიჟებივით გადავიხარხარეთ.

— და განა ამის შემდეგ სულელები არა ვართ?—სთქვა
ბუინოვმა.

— თითქმის რომ ავრეა!—დავემოწმე.

— მაშ გაქვს რამე?

— ცოტაოდენი. გუშინ საათის ძეწკვი დავაგირავე...
ხომ ნახე კამფეტები? ანა გრიგორის ასულმა გითავაზა კი-
დეც... ჰო, და იმ ფულიდან დამრჩა ათ შაურამდე.

— მაშ იცი რა გითხრა, წავიდეთ თითო ქიქა ლუდი დავ-
ლიოთ....

ხელად ტანთ ჩავიცვით და გარეთ გავედით. იქვე მახლობ-
ლად ერთი პატარა რესტორანი იყო, სადაც წინად ძალიან
ხშირად დავდიოდით ხოლმე. ლუდს ამ რესტორანში იაფადა
ჰყიდდნენ და ჩვენი ამხანაგებიც ხშირად დადიოდნენ იქ. ეხ-
ლაც ხუთიოდე სტუდენტი მოჩანდა. უკვე ყველამ იცოდა, რომ
გადაწყვეტილი გვქონდა ერთად აღარ გვეცხოვრა და სხვა-და-
სხვა ოთახში გადავსულიყავით. ამიტომ როდესაც ერთად რეს-
ტორანში შევედით, სტოლს მოვუსხედით და მხიარულად ლუ-
დის სმას შევეუდექით, ყველა ჩვენკენ მობრუნდა და გაკვირვე-
ბული გვიყურებდა.

— ეს რა ამბავია? შერიგდით კიდევ? აღარ გადასდინხართ ოთახიდან? — გვეკითხებოდნენ ყველანი.

— როგორ არა, გადავდივართ, — მიუგო ბუინოვი.

მე შევხედე ბუინოვს.

— ჰო, რა გაგიკვირდა, გადავდივართ... ხვალვე მოვძებნით ახალ ოთახს.

— საერთო ოთახსა? — ჰკითხეს სტუდენტებმა.

— რასაკვირველია, საერთოს...

მეორე დღეს დიასახლისმა დიდის ბოდისით მოგვმართა, კაპიტანი უნდა გადმოსახლდეს ამ ოთახში და გთხოვთ სხვა ბინა მონახოთო.

გავიდა ერთი კვირა. მე და ბუინოვი ახალს ოთახში დავსახლდით. ეს ოთახი იმით განირჩეოდა პირველისაგან, რომ მეტად პატარა, უშნო და ულაზათო რამ იყო და შესავალიც სამზარეულოდანა ჰქონდა. ორივენი ცხრა მანეთს ვაძლევდით.

— აი, ჩემო ძმაო, ეხლა ხუთიოდე თვე უნდა ვეყარნეთ ამ ოთახში, ვიდრე არ გამოვიწყიდით ყველა ამ ნივთებს, რაც ანნა გრიგორის ასულის მშვენიერის თვალებისათვის დავაგირავეთ! — ამბობდა ხოლმე ბუინოვი.

მე და ბუინოვს ჩხუბი და უთანხმოება აღარაოდეს აღარ მოგვსვლია და უკანასკნელ დრომდე საუკეთესო მეგობრებად დავრჩით.



მ ლ ე ხ ი - პ ა ხ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

წელიწადი პირველი რესპუბლიკისა

1792

ნაწილი მესამე

ერკმან-შატრანასა

პუღეს დავებებლებინე—ჯარიდან გამოპარულია და იმა-
 ლებაო. მაგრამ მადლობისა და ჯილდოს მაგიერ საყვედური
 მიეღო, რადგან ყველამ იცოდა, რომ ვისიც ჯერ არს მისგან
 ვიყავ დათხოვნილი და კანონიერი დათხოვნის ბარათიც მეღო
 ჯიბეში.

ხუთ საათზედ პატარა შეენაყრდით და გავემზადე კიდეც
 წასასვლელად. მარგალიტას კიდეც ჩაელაგებინა ჩემი გუდა და
 შიგ ერთი წყვილი ახალი წაღები ჩაედო, ორი სრულიად ახალთ-
 ახალი პერანგი შოველისა, ნემსი, ძაფი, საკერებელი... ერთი
 სიტყვით, ისე მოვემზადებინე, რომ დიდი ხანი აღარა გამიჭირ-
 დებოდა-რა. შორიდან დილიქანსის ხმა მოისმა; წინ გავეგებენით
 ყველანი და იქ, მოედანზედ გამოვეთხოვე მარგალიტას და ჩვენებ-
 სა... რამდენადაც ნახვა იყო ტკბილი, იმდენად განშორება იყო
 მწარე და, თუ კი ასე ჩამშხამდებოდა, ნეტავი არც კი მოვსუ-
 ლიყავ-მეთქი, ვფიქრობდი. მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ,
 ჩემს სიცოცხლესა და დღეგრძელობას შესთხოვდნენ ღმერთს
 და თან სულ იმას მარიგებდნენ, — გაფრთხილდი და, რაც კი
 ადამიანის ხელთ არის, ყოველი განსაცდელი აიცილნეო.

*) „მოამბე“, № IV, 1898 წ.



სუყველაფერი წამიერი ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში! თითქო ტკბილს სიზმარში ვნახე ჩვენები და უცბად გამომეღვიძაო, ისე ვიყავ სწორედ. დილიჯანსი მიტტელბრონისკენ მიჰქროდა, თან-და-თან უფრო-და-უფრო მაშორებდა ჩვენებს და, ვინ იცის, კიდევ მგღირსებოდა როდისმე იმათი ნახვა თუ არა? ის იმისთანა დრო იყო, რომ ათში ერთი თუ გადარჩებოდა ხოლმე სიკვდილს და ისიც ქუდ-ბედიანი! მერე ვინ იცის, მე ვიქნებოდი ის ბედნიერი?

დილიჯანსში რომ ავედი, მეგონა კუნჭულში სადმე მივიკუნჭები და კარგა ლამაზად გამოვიძინებ-მეთქი. ჯერ ფეხით სიარული ბრძანეთ თქვენა, —სარბრიუკიდან ფალსბურგამდე ისე ავედი, რომ მუხლი არსად მომიდრეკია, —მერე უძილობა, მამა-ჩემთან რომ ვიყავი; ახლა იმდენი მღელვარება და —ისე ვიყავ დაქანცული, რომ ძილი ზიარებასავით შემერგებოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ისე იყო დილიჯანსი გამოქედილი, რომ დასაჯლომადაც არსად იყო ადგილი, არამც თუ დასაძინებლად; სხვათა შორის, ხუთი-ექვსი ვაჭარი იჯდა შიგ და, თუმცა იძახდნენ, ნანსში მივდივართ თაქბაქოს სასყიდლადაო, მაგრამ ეტყობოდათ, იმ ვაჭართაგანნი იყვნენ, რომელთაც ღვთის წყალობად მიაჩნიათ ხალხის გაჭირება და ქვეყნის უბედურებით სარგებლობენ, რომ ჯობეები დაიტენონ. მთელი გზა სულ თავიანთ საქმეებზედ ლაპარაკობდნენ და ხან ასსიგნაცნიების ფასს შეეხებოდნენ, ხან მონასტრებისა და გახიზნული დიდებულების მამულების იაფად ყიდვას და მოგებით გასყიდვას, ხან მეფე ლუი მე-XVI-ის სურათიანი ქაღალდის ფულების დაწვას, ხან რას და ხან რას. მე ყურადღებასაც არ მაქცევდნენ: ერთი უბრალო, უვიცი ჯარის-კაცია, ჩვენსას ვერას გაიგებსო; მაგრამ ღვთის წყალობა გაქვთ, კარგად მეყურებოდა, რომ ნანსში თამბაქოს სასყიდლად კი არა, იმიტომ მიდიოდნენ, რომ რაც პური იშოვებოდა, თითონ ეყიდნათ და მერე თავისებური ფასით გაეყიდნათ. მეყურებოდა კი, მეყურებოდა, მაგრამ რას ვიზამდი? მერე ისე ვიყავ დაღალული, რომ სულის ცხონებას მერჩივნა ძილი. სხვა მკზავრები გაჩუმებულ-

ნი ისხდნენ. ჩემს გვერდით ერთი მოხუცებული დედაბერი იჯდა, ტანისამოსზე ეტყობოდა, რომ ჩვენებური უნდა ყოფილიყო; გაშტერებული შესცქეროდა ერთ კუნჭულს და რალასაც ბუტბუტებდა, თითქო ლოცულობსო.

ისე სოფელში არ შევედით, რომ მაშინვე არ გავეჩერებინეთ და ჟანდარმებს პასპორტები არ მოეთხოვნათ. მცირეოდენი იქვი და, მაშინვე გააკავებდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო. აქა-იქ, სადმე საბძელში ან ბაკში, დამწყვდეულები მოჩანდნენ თავიანთი დარაჯებით. მთელი ქვეყანა ფეხზე იდგა; ვერც შიმშილს შეეყენებინა ხალხის მოძრაობა, ვერც გაჭირებას და განსაცდელს. პირიქით, ეტყობა, რაც მეტია გაჭირება, მით უფრო მედგრად იბრძვის ხალხი თავისუფლებისთვის. და მაშინდელზედ მეტი გაჭირება წარმოსადგენადაც კი ძნელია: სოფლიდან სოფლამდე მოსდევდნენ ჩვენს დილიქანსს ტიტველი დედაკაცები და გულსაკლავად შემოგვეტიროდნენ: გაგვიკითხეთ!... რესპუბლიკის და თავისუფლების გულისთვის! ლუკმა პური მოგვაწოდეთო!

ყველგან „წავა-წავასა“ მღეროდნენ. აქა-იქ დაჭერილ არისტოკრატებით სავსე დილიქანსს შეეხვდებოდით ხოლმე, რომელსაც წინა და უკან ჟანდარმები მიუძღოდნენ.

მახსოვს, ჰემინგის ახლო ახლად გაჩეხილ ტყეში მუშები ბოძებსა სდგამდნენ და ზედ რალაცა მავთულსა სკიმავენენ. ერთმა ჩვენმა თანამოგზაურმა დაგვანახვა ეს ბოძები და გვითხრა: — აგერა ტელეგრაფი!

ყველანი გაკვირვებულნი შევცქეროდით ამ გაჭიმულ მავთულებს და ყველაზედ მეტად მე, რადგან ჯერ ტელეგრაფისა არა გამეგონა. რა და არც კი ვიცოდი, საჭმელი იყო, თუ სასმელი. ჩვენმა თანამოგზაურმა აგვიხსნა, ტელეგრაფი ერთმა გამოჩენილმა კაცმა, სახელდობრ შაპმა, გამოიგონა და მით არის კარგი, რომ თვალის დახამხამებაზე, თუნდა ერთი თვის სავალზე შეგიძლიან აცნობო შენი ამბავი ვისაც გინდაო; აღარც შიკრიკი და მთელი თვის ლოდინი, აღარც უამბობა და მით გამოწვეული წუხილიო... ამ ორი-სამი წლის წინად რომ გამოეგო-

ნა ტელეგრაფი, დიდ ფულს იშოვიდა, მაგრამ დღეს კი სახელისა და დიდების მეტს ვერას შეიძენსო.

ჩვენი მგზავრი ვაჭრები ლუნევილში ჩამოხტნენ და დილიჯანსში სამნი-ლა დაერჩით: მოხუცებული მგზავრი, ჩვენებური დედაბერი და მე.

მივადგებოდით სადმე აღმართს და გააჩერებდა დილიჯანსს ბაპტისტი: გადახტებოდა და ერთ თვალს ისე გაამაგრებდა, რომ აღარ დატრიალებულიყო; ჩავიდოდით დაღმართს და კვლავ დააყენებდა ცხენებს, გადახტებოდა და ახლა ნახევარ საათს გამაგრებული თვალის გახსნას მოანდომებდა; სწორედ 14 საათი მოვანდომეთ ფალსბურგიდან ნანსამდე მისვლას.

ტკბილ ძილში ვიყავ, როდესაც თვალში რაღაც სინათლე მეცა და თანაც დამშეული დედაკაცების თხოვნა შემომესმა. სადღაც სოფელში ვიყავით; დილის ორი საათი იქმნებოდა. მოხუცებულს ჩვენს თანამოგზაურს, რომელმაც ტელეგრაფის დანიშნულება აგვიხსნა, დასძინებოდა და გულიანადა ხერინავდა; კუნჭულში ჩვენბერი დედაბერი მიმჯდარიყო და ცხარი ცრემლითა ტიროდა; ისე სლოკინებდა უბედური, რომ ქვასაც კი შეებრალებოდა. ცდილობდა, რაც კი შეეძლო, ჩვენთვის არ გაეგონებინა თავისი ქვითინი, და მწარის კენესით შესთხოვდა—ღმერთო, შენ იყავ ჩემი შემწეო!

ძალიან შემებრალო საწყალი. გაჩუმებული შევცქეროდი და მიკვირდა, ნეტავ რა აწუხებს, რომ ასე ტირის ეს უბედური-მეთქი.

ბოლოს ვეღარ გამიძლო გულმა და გერმანულად ვკითხე, რადგან მარტო გერმანულს ლაპარაკობდა:

— რა გატირებს, დედავ? ავად ხომ არა ხარ?

შეშინდა და ხმა არ გამცა.

— ნუ გეშინიან, ჩემო დედავ, თუ იმას ტირი, რომ შინ გულის საყვარლები დასტოვე და შენ შორს სადღაც მიდიხარ, ეგ რა სატირელია. გუშინ საღამოს გამოვეთხოვე მოხუცებულ შამა-ჩემს, და ჩემს საყვარელ საცოლოს... მე ჯარის-კაცი ვარ და ხომ იცი, იქნება ისე მოვკვდე, რომ იმათ ნახვას ვეღარ

ველიროსო... მაგრამ აი, როგორც ხედავ, არა ვტირი. მოდი, მიაბზე შენი დარდი და, ჯარის-კაცს, თუმცა ბევრი არაფერი შემიძლიან, სიტყვით მაინც დაგეხმარები და ნუგეშსა გცემ-კაცი კაცის წამალიაო, ხომ ვაგიგონია.

მაშინვე დამშვიდდა საწყალი დედაბერი, ცრემლი მოიწმინდა და მიაბო, პარიზს მივდივარ, ქვეყნის მფარველ კომიტეტის სანახავად, თუმცა არც კი ვიცი, რა არის ეს კომიტეტიო!.. მის შვილს სტრასბურგელ ხაბაზს ასიგნაცია არ აქვს და ამისთვის დაეჭირათ და ციხეში ჩაეგდოთ; ერთ მეზობელს ერჩია, პარიზს წადი, ქვეყნის მფარველი კომიტეტი ნახე და გაათავისუფლებენო... ჩემი შვილის უბედურების მიზეზი ჩვენი მღვდელი არისო, სთქვა: ხალხს იცნობს და, ვისაც კი ცოტა რამ შეძლება გააჩნია, ყველას ციხეში აქერინებსო.

და ისევ ცრემლი წასკდა. მე კი მაშინვე ჩვენი პულე მომაგონდა; ვიფიქრე, ალბად ამათი მღვდელიც ჩვენი პულესავით სხვების უბედურებაზედ აშენებს თავის კეთილ-დღეობას და პატროსან ხალხს აბეზღებს და აქერინებს, რომ ამ ჯაშუშობით ჯილდო აილოს და ჯიბეები გაიტენოს-მეთქი. მით უფრო შემებრალო საწყალი დედაბერი, რომ პარიზში არავის იცნობდა, ფრანგული სიტყვა არ იცოდა და თავისი საქმე ქალაქის პატარა ნაგლეჯით უნდა გაერიგებინა, რომელზედაც „ქვეყნის მფარველი კომიტეტი“ ეწერა. უსამძღვროდ უნდა უყვარდეს დედას შვილი, რომ არც ენის უცოდინარობას შეუშინდეს, არც ქვეყნისას და სამოც დაათის წლის დედაკაცი იმ სიშორე გზას გაუდკეს, იქნება ჩემს შვილს ვუშველო რამეო.

თენდებოდა. მარჯვნივ უკვე მოჩანდა ნანსის წმ. ნიკოლოზის გუმბათი და მის დანახვაზედ უცბად მომაგონდა, რაც იმ ორი წლის წინად ნანსში სისხლის-ღერა ვნახე. ორი წელიწადი არც კი გასულიყო მას შემდეგ და რამდენი ცვლილება მოხდა ამ ცოტა ხანში! სადღა იყვნენ მაშინ განთქმულნი ბულიე, ლაფაიეტი, მეფე ლუი მე-XVI, დედოფალი, თავადი არტუა, ერონდელეები?.. მომაგონდა მაშინდელი ჩვენი ჩასვლა ნანსში; პატარ-პატარა, სისხლით საესე ქუჩები; დაქრილი და დაპატიმ-



რებული ხალხი, რომლებსაც ბუზივით ჟღერდნენ გამარჯვებული ბულიე და მისი მომხრენი; მკვდრებით დატვირთული ურმები ახალ ხილზედ; შეშინებული, იმედ-მიხდილი ხალხი, მოქალაქენი, ხელოსნები, ჯარის-კაცები, ქალები და ბავშვები; ჩემი ძმის ნიკოლოზის საშინელი სისუღელე და გულქვაობა... დედაბოძიანად გამოიცვალა ჩვენი ქვეყანა: ახლა ხალხის ხელთ იყო ძალა და დიდებულების ღალატი და მტრობა უფრო ამგვრებდა მის გულში თავისუფლების სიყვარულს.

ხომ ორი წლის საქმე იყო და ისე მაგონდებოდა ეს ყველაფერი, თითქო დიდი ხნის ამბები ყოფილიყოს. გამიტაცეს ფიქრებმა, სრულიად გადამავიწყდა დედაბერი. ის კი ისევ მწარედა ქვითინებდა—ღმერთო, შენ იყავ ჩემი შემწეო!

შვიდი საათი იყო, როდესაც ნანსში შევედით და ერთ დუქანსა ჩამოვხტით. დედაბერს ვუთხარი, თან გამომყოლოდა. დუქანი სავსე იყო ხალხით—მეურმეებით, მოქალაქეებით, ვაჭრებით; სვამდნენ, სჭამდნენ, ჩიბუხს ეწეოდნენ დი ხმა-მალღივ ლაპარაკობდნენ თავთავიანთ საქმეებზედ. პური და ყველი მოვატანინე, ცოტა ღვინო და საწერ-კალამი. დედაბერს ვუთხარ, დაბრძანდი და შენაყრდი, გულს ნუ გაიტეხ, იქნება კარგად გათავდეს შენი საქმე-მეთქი; და მანამ ის პურს გაიხლებოდათ, მე პატარა წერილი მივწერე შოველს, რომელშიაც მოკლედ ავუწერე მაინცის გარშემორტყმა პრუსიელები-საგან, ქალაქის დანებება, ჩვენი ჯარების გამოსვლა, ჩემი ფალსბურგს ასვლა და მამი-ჩემის და მარგალიტას ნახვა; ბოლოს საწყალი დედაბერის ამბავი ავუწერე და ვთხოვე, თქვენებურად გულკეთილად მიიღეთ ეს უბედური და, რაც კი შეგეძლოთ, საქმით თუ რჩევით, ყოველივე ღონისძიება იხმარეთ, რომ უშველოთ რამე-მეთქი.

გავათავე წერილი, დავკეცე, დავბეჭდე და ადრესი დავაწერე: „ბულუხას ქუჩა, № 11“. დავარიგე, მიხვიდე თუ არა პარიზს, მაშინვე შოველი მოსძებნე და ეს წერილი მიუტანე; ისიც იცოდე, რომ შოველი ძალიან კარგად მიგიღებს და, რადგან გერმანულს ისე ლაპარაკობს, როგორც ფრანგულს, დაწერი-

ლებით უამბობ შენს უბედურებას და ის უთუოდ დაგეხმარება და გიშველის რასმე. იმისთანა მადლობა გადამიხადა საბრალომ, თითქო უკვე გამეთავისუფლებინოს ციხიდან იმის შვილი.

დანახარჯი გადავიხადე, გამოვეთხოვე დედაბერს და ჩვენი ბატალიონისკენ წავედი. ქალაქი სავსე იყო ჯარებით და რადგან ჯარების ბინაზე ველარ ვეტევოდით, მოქალაქეებთან დაეყენებინათ ჯარის-კაცები. მართალი უნდა მოგახსენოთ, ეტყობოდათ, არაფრად მოსწონდათ ჩვენი სტუმრობა. ჯარში მყოფ კომისრებს საერო კრების წინაშე დაებეზლებინათ მდ. მოზელზედ მდგომი ჯარების გენერლები და კონვენტის ბრძანებით უკვე დაებატიმრებინათ ორი გენერალი. გაზეთებში მარტო მაინცის დანებებას და ჩვენი ჯარის ვითომდა სამარცხვინო სიმხდალეს-ლა სწერდნენ. ხმა დადიოდა, უმფროსებს გამოუტყვლიან და ვანდელებთან საბრძოლველად გაგზავნიანო.

აი რა ამბები დამხედა ბინაზედ რომ მივედი. ყველანი შეწუხებულნი და დაღვრემილნი დამიხვდნენ. ან რა გვქონდა სამხიარულო? განა მეტი-ლა უბედურება იქნება, კაცს სიმხდალეს და სამშობლოს ღალატსა სწამებდნენ! ისე იყვნენ შეწუხებულნი ივანე სომი, მარკოზ დივე და თვით ჩვენი მენალარე, რომ წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდათ, ყელი რომ გამოგეჭრათ.

საწყენი ის კი არ იყო, რომ ცილსა გვწამებდნენ, საწყენი და გულსაკლავი ის იყო, რომ ღალატს სწორედ ის ხალხი გვაბრალებდა, რომლის გულისთვისაც ისეთი თავგანწირულებით ეიბრძოდით.

პარიზელი შეთქმულები ჩვენთან ერთად იდგნენ და სულ მარატის მოკვლაზე ლაპარაკობდნენ*). კრებას კრებაზედა მარ-

*) კუსტინის შემდეგ დედოფალი მარიამ-ანტონეტა მოკლეს გილიოტინით, მერე 21 ჟირონდელი დემუტატი და მათ შორის ბრისსო, და ვერნო, ყველანი ვაჟკაცურად, მარსელურის სიმღერით, მიეგებნენ სიკვდილს. ერთმა მათგანმა, ვალიზემ, თვით სამჯავროში მოიკლა ხანჯლით თავი, როდესაც მსაჯულებმა სიკვდილით დასჯა გამოუტყადას. ერთი კვირის შემდეგ როლანის ცოლს მოსტრეს თავი. ამბობენ, ვიდრე თავს შეუშვებდა ჯალათს, იქვე გილიოტინის ახლოს ამართულ თავისუფლების ძეგლს გადახედა და სთქვა: „ოჰ, თავისუფლებავ! რამდენ უსამართლობას ჩადიან შენის სახელით!“ იმ დროს როლანი ვაჟკაცი იყო და გზაში, თავისი ცოლის მოკვლა რომ გაიგო, თითონაც თავი მოიკლა. მერე სხვა ჟირონდელები ზოცეს და სხვათა შორის ბაილი, ბარნავი, რაბო დესენტეტიენი და თვით მეფის ძმა

თავდნენ და კონვენტს სთხოვდნენ, ყველა ჟირონდელებს თავები დააყრევინეთ, რადგან მარატის მკვლელი შარლოტ კორდე ჟირონდელებისაგან იყო გამოგზავნილი დანტონის, რობესპიერის და „ხალხის ერთგულის“, ესე იგი, მარატის მოსაკლავად.

ფილიპე, თანასწორებად წოდებული. მართალია მეფე, ლუი მე-XVI-ს რომ ასამართლებდნენ, ხმა-მადლა გამოაცხადა საერო კრებაზედ: სიკვდილით იქმნას დასჯილიო! მართალია, თავის კარებზედ განცხადება გააკრეინა: ვინც ბატონი შვილობით, ან უდიდებულესობით მახსენებს, ჯარიმას გადავახდევინებ ღარიბთა სასარგებლოდ; მაგრამ დაუმორიეს დალატუნი ისიც ვარიეს და მის შვილის სამძღვარ-გარედ გაქცევის შემდეგ, ისიც დაიჭირეს და მოჰკლეს.

ვინც მოასწრო, გაიქცა. დაერივნენ პარიზიდან გაქცეული ჟირონდელები საფრანგეთს და პარიზისა და მთიულების წინააღმდეგ დაიწყეს ჯარების კრება და ხალხის აშლა; მაგრამ ყველგან დამარცხდნენ და მით უფრო სასტიკად იქმნენ დასჯილნი. ცოცხალი აღარავინ გადაარჩენილა. თითქმის ყველანი დაიჭირეს. ვინც მიიმალა, შიმშილით მოკვდა; პეტრიონი მკვლევისაგან შექმული იპოვეს.

ამოდენი უბედურება და სისხლის-ღვრა უფრო მარატს ბრალდებოდა და სწორედ მარატის მოკვლა განიძრახა ერთმა ყმწვილმა ქალმა შარლოტ კორდემ. კორდე ჟირონდელების მომხრე იყო და ჟირონდელების ზოცვას და საფრანგეთის ყოველ უბედურებას მარატს აბრალებდა, რომელიც მთიულთა მოთავედ მიანდა. საფრანგეთს მოსვენება უჭირსო, იძახდა: ერთს სიკვდილზედ არის დამოკიდებული მრავალთა სიცოცხლეო. დედა არა ჰყავდა; მის მამას თავის წიგნების გარდა არა აგონდებოდა-რა და, რადგან მეორე ცოლი შეერთო, შარლოტ კორდე მამიდასთან ცხოვრობდა და მთელს თავის დროს ფილოსოფოსების თხზულებათა კითხვას ანდომებდა. ერთხელ თვალ-ცრემლიანი ნახა მამიდამ და რომ ჰკითხა: რას სტირიო? უპასუხა: „საფრანგეთს ვტირიო... ვერავინ იტყვის ზვალაც ცოცხალი ვიქნებით, ვიდრე მარატი ცოცხალია“.

თავისი წიგნები ნაცნობებს დაუბრია, გარდა პლუტარხისა, რომელიც თან წაიღო პარიზს. მარატი ავად იყო და საერო კრებას არ ესწრებოდა. 18 ივლისს, საღამოს მარატთან სახლში მივიდა და კარი დაარაკუნა. მარატი პატარა ოთახში იწვა, ის იყო ეხანანა და ზეწარში იყო გახვეული. უბრძანა შემოიყვანეთო. —ამას წინადა გწერდით,—უთხრა ქალმა, რომ ნორმანდიის ამბებს მოგახსენებდით. აი აქ გახლავართ და, თუ მოისმენთ... —დამისახელოთ, ვინ არიან იქ ჟირონდელები—ჰკითხა მარატმა—ქალი უსახელებდა, მარატი სწერდა. როდესაც ყველანი ჩასწერა, უთხრა:—ძალიან კარგი, დღეისწორს ყველანი გილიოტანაზედ ავლენ!

ამ სიტყვებით აღშფოთებულმა ქალმა იძრო დანა და შიგ გულში ჩაურჭო მარატს. ერთი კი დაიყვირა და სული დალია.

შარლოტ კორდეს თავი გაადებინეს. სიკვდილის წინად მამას წიგნი მისწერა და სხვათა შორის გამოჩენილი კორნელის ლექსი განუშეორა: «კაცს საქციელი შეარცხვენს და არა სახრჩობელოა».

მარატი 16 ივლისს დასაფლავეს კორდელიერების კლუბის ბაღში. მის ძეგლზედ ეწერა: „აქ განისვენებს მარატი, ხალხის ერთგული, მოკლული ხალხის მტერთაგან 18 ივლისს 1793“. გამოჩენილმა მხატვარმა დავიდმა დიდი სურათი დახატა „მოკვლა ხალხის ერთგულისა“, რომლის ქვეშ შემდეგი სიტყვები ეწერა: «ძოკლეკს, რადგან კერ გარეყნეს!»

ჩემი და ელისაბედი და მარესკო სულ სისხლის-ძიებას გაიძახ-
 დნენ. ჯარში საშინელი მღელვარება იყო და სწორედ ამ სა-
 შინელ დროს მოვიდა პარიზიდან ჩვენი კომისარი მერლენ ტიონ-
 ვილელი და სასიხარულო ამბავი მოგვითხრო: კონვენტს დაწვრი-
 ლებით ავეუწერე მაინცის საქმე და დავარწმუნე, რომ ჩვენი ჯა-
 რი და გენერლები მოლაღატენი კი არა, საუკეთესო და თავ-
 განწირული მამულისშვილნი არიან; დაქვრილი ჩვენი გენერ-
 ლები უკვე გაათავისუფლეს და მაინცელ ჯარს მადლობა გა-
 მოუცხადეს სამშობლოსადმი ერთგული სამსახურისთვისაო. ისე
 გაგვიტაცა ამ ამბავმა, რომ ყველაფერი დაგვაიწყა და მთელი
 ჯარი ერთხმად იძახდა: კონვენტს გაუმარჯოს! თავისუფალ ერს
 გაუმარჯოს! რაკი გაიგეს მოქალაქეებმა ჩვენი გამართლება, ძვე-
 ლებურად ძმურად მიგვიღეს თავიანთ ოჯახში და ისე გაგვიმა-
 სპინძლდნენ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება.

დადგა 10 მარიაშობისთვე, დღესასწაული საფრანგეთ-ს
 რესპუბლიკისა. სამხედრო მოედანზედ სამშობლოს საკურთხე-
 ველი ააგეს, მშვენივრად მორთეს მწვანით და ომში ნაშოვნნი
 დროშებით და იარაღით და ზედ შუაზე გონების ღმერთი ამარ-
 თეს. ისეთი დიდებული სანახავი იყო, რომ ჩემს დღეში იმის
 დარი არა მინახავს-რა. ბევრი კარგი სიტყვა გაისმა მაშინ სამ-
 შობლოს საკურთხევილიდან ძმობის, ერთობის და თავისუფლე-
 ბის სიკეთეზედ. მერე, რაც კი ჩვენს ჯარში მემუსიკენი იყვნენ,
 ერთხმად დააგრიალეს მარსელური და დაიძრა პროცესისა; წინ
 მოზარდი თაობა მიგვიძლოდა, მამულის ბურჯი და იმედი; მე-
 რე ხალხი, მერე ჯარი; მთელი ქალაქი შემოვიარეთ სიმღერით
 და სიხარულით, და ბოლოს ისევ სამხედრო მოედანზედ გავე-
 დით. იქ მოქალაქეებს უკვე გაეშალათ სუფრა მაინცელი ჯარის-
 თვის და, ღვთის წყალობა გაქვთ, იმათ ინანეს იმ დღეს, რომ
 ქორებს აწყენენ და სამშობლოს ღალატი დაგვწამეს. იმისთანა
 ბედნიერი დღე იარი არ გაუთენდება აღამიანს და ისე ჩამრჩა
 გულში მაშინდელი მხიარულება, თითქო სამს დღეს არ გაუე-
 ლია მას აქეთაო.



უწინ თუ ღმერთსა ვლოცულობდით, რომელიც საიქიოს განცხრომისა გვპირდებოდა და სააქაოს კი ჯოჯოხეთური ტანჯვით გვაწამებდა, ეხლა სამშობლოს საკურთხეველზედ მის ალაგას ადამიანის გონება-ლა იყო ამართული და მას ვაქებდით და ვადიდებდით; ეხლა სისხლით გაუმაძღარი ღვთის წილ ძმობას ეუგალობდით, ერთმანეთის სიყვარულს, სიმართლეს და თავისუფლებას. ბერები და ეპისკოპოსები ისე ცდილობდნენ ხალხის გონების დაჩლუნგებას და დამონაგებას, — ღმერთს ასე უნდაო, — რომ განთავისუფლებულმა ხალხმა ღვთის წინ გამარჯვებული გონება ამართა, ოღონდ სალოცავად კი არა, თავის სადიდებლად. გონების ღმერთის აქეთ-იქით ვოლტჟრას და ჟანჟაკ-რუსსას სურათები იყო დასვენებული სამშობლოს საკურთხეველზედ და, თუნდა ჩამაქვაოთ, მაინც არ დავიშლი ჩემსას, მე ვოლტერი და ჟანჟაკი მიჩვენია ვილაცა წმინდა ტიმოთეს და თეოკტისტეს. ვიცი, ბევრნი იუკადრისებენ ჩემს სიტყვას, ბევრნი დამემღურებიან, მაგრამ რა გაეწყობა. ძალიან ვწუხარ... იმათ სამღურავს კი არა, ძალიან ვწუხარ, რომ ეს ვერ შეუგნიათ და ყოველ თავიანთ უბედურებას ღმერთს აბრალებენ, ალბად ღვთის განგება არისო. ღვთის განგება, ხალხის მატყუარა ბერების მოგონილია: მაშ რით დავმონაგებინათ ხალხი თუ არ საიქიოს დაპირებით? ვინც აქ მეტს იტანჯება ჩვენს სასიამოვნოდ, იქ დაიმკვიდრებს სასუფეველსა ღვთისასაო. რატომ არა ფიქრობენ ჩემი მოკამათენი, რომ მართლა რომ სწამდეთ, თითონაც მოინდომებენ სასუფეველსა ღვთისასა და ამ ქვეყანას განცხრომისა და ქეიფის წილ ტანჯვითა და წვალებით გავლიან! მაგრამ ხომ მოგხსენებათ, კაცია და გუნებაო; ეს უთანხმოება არას დაგვიშლის და როგორც ძმები ვყოფილვართ, ისევე ძმები ვიქნებით შემდეგშიაც. ქეშმარიტებას ძალად ვერავის შეაგნებინებთ.

სამი დღე გასტანა რესპუბლიკის დღესასწაულმა და მას შემდეგ, როდესაც ორლენისკენ გავემგზავრენით, დიდი და პატარა ქალაქ გარეთ გამოვიდა ჩვენს გასაცოლებლად. ნამდვილი ძმობა დამყარებულიყო ხალხსა და ჯარის შორის და ისე

გვეთხოვებოდნენ ქალები და ბავშვები, თითქო ღვიძლ შვილებს ან ძმებს ისტუმრებენ საომრად. პატარა ბიჭები წინ მიუძღოდნენ ჩვენს ბატალიონს და, ვისაც შეეძლო, ჩვენი თოფები მიჰქონდათ.

ბარგის საზიდავად სოფლიდან სოფლამდე ურმები გამოჰყავდათ და, რასაკვირველია, დიდ ხანს მოვუნდებოდით სიარულს. ჯარი ფეხით მიდიოდა და მარტო აფიცრებს ჰქონდათ ეტლები. მშვენიერი დარბები იდგა. გახშირებული მკა იყო, რადგან დამშეული იყო ქვეყანა და ყველა ეშურებოდა მკას და ლეწვას. ამ გზისა მარტო ის მახსოვს, რომ საცა კი ინგლისელს მოასწრებდნენ, მაშინვე დაიქერდნენ და ბარგსა და სახლს გაუჩხრეკდნენ, პიტისაგან გამოგზავნილი ჯაშუშში იქნებოდა.

საკვირველი ის იყო, რომ რაც უფრო და უფრო შევერიეთ საფრანგეთს, მით უფრო ავი თვალთ გვიყურებდა ხალხი. სამშობლოს სიყვარული ღორენში იყო, სამძღვარზედ და ჩვენი ქვეყნის შუაგულისკენ კი მეტად და მეტად კლებულობდა. შევიდოდით სადმე სოფელში და სწორედ ჯვარს გვაცვამდნენ, მანამ პურსა და რამე საჭმელს მოგვიტანდნენ. ჩვენდა საუბედუროდ, ჯამაგირი არ გვეძლეოდა და ყიდვა არაფრისა შეგვეძლო. ჩვენი წინამძღოლი ჟორდი რომ არა ყოფილიყო, რომელიც გვამშვიდებდა და გვამხნეებდა, — ნუ ბიჭებო, ნუ გაბრაზდებით! მთელი ქვეყანა თქვენ შემოგცქერით! ხომ იცით, თქვენზე არის დამოკიდებული სამშობლოს თავისუფლება! — სწორედ რომ ცემას დაუწყებდით იმ უმგზავსებს! ჩვენ იმათთვის სიცოცხლესაც არა ვზოგავდით და ისინი კი, შეშა რა არის, შეშას არ გვაძლევდნენ! კალოზედ არ მიგვიშვებდნენ ხოლმე დასაძინებლად! რომ გავჩუმებულიყავით, საღორეში შეგვრეკავდნენ და პურის წილ ქატოს მოგვიზელდნენ.

და წარმოიდგინეთ, როგორ გვესიამოვნებოდა, როდესაც ორღეანს რომ მივედით, წინ გამოგვეგება ორღეანელი მამასახლისი თავისი ნაცვლებით და ხალხით. გვეგონა, ჩვენ ქვეყანაში ფრანგი აღარსად არისო და სრულიად მოულოდნელად საუეთესო პატრიოტები და რესპუბლიკელები ვპოვეთ შიგ შუა-



გულ საფრანგეთში. დიდი ამბით შევედით ქალაქში. ქალაქში, ლამაზ, კეკლუც ქალებს, ყვავილები და თაიგულები გამოეტანათ და ფეხქვეშ გვიფენდნენ. დაგვეხვიენენ მოქალაქენი—ქალი და კაცი—და ისე დაგვიტაცეს, ორ-ორი და სამ-სამი, თითქო უბრალო ჯარის-კაცები კი არა, ნობათი ვყოფილიყავით რამე.

— დიდება თქვენდა, ორლენელნო! — იძახდა ჟორდი.— დიდი ხანია საფრანგეთში ვართ, მაგრამ თქვენებრ პატრიოტულად არავინ დაგვხვედრია!

ჟორდომ მშვენიერი, გრძნობით საესე, სიტყვით გადუხადა მადლობა.

— ორლენელებს გაუმარჯოს! — შესძახა ჯარმა.

— მაინცელ ჯარს გაუმარჯოს! — გვიპასუხა ხალხმა.

მართალია, ნანსელებიც კარგად მოგვექცნენ, როდესაც პარიზიდან ტიონვილელი დაბრუნდა და ჩვენი გამართლების ამბავი მოიტანა; მაგრამ ორლენელებმა მეტის-მეტი სიყვარულით მიგვიღეს და ნანსიც დაგვაფიწყეს და ნანსელებიც.

კარგა ხანი დავრჩით ორლენში, რადგან ბრძანება მივიღეთ: შეჩერდით და ჯარი ჯარის კვალობაზედ გააწყეთო. ჩვენი ბატალიონი და პარიზელი შეთქმულები ერთ ბრიგადაში მოგვაქციეს. კარგა ხანი იყო, რაც ათისთავობა მომცეს და ახლამე, მარკოზ დივეს და ჩვენს ივანე სომს ზარბაზნები ჩავგაბარეს. მაინცის სიმაგრეებში ისე შევეჩვიენით ზარბაზნის სროლას და ხმარებას, რომ აღარა ვაგვიჭირდებოდა-რა და მით უფრო სიამოვნებით შევუდგეთ ახალ თანამდებობას, რომ სამივენი ერთად ვრჩებოდით. გარდა ამისა ჩემი და ლიზაც ჩვენს ბრიგადაში იქნებოდა და ყოველ დღე შემეძლებოდა პატარა კას-სიუსის ნახვა და აღერსი. უნდა გენახათ, რა კარგი, ბუთხუზა ბიჭი იყო. დამინახავდა თუ არა, მაშინვე სიცილს დამიწყებდა და ხელების ქნევას. მთელი ბატალიონის საყვარელი და ნებიერი იყო და ისე უაღერსებდნენ ყველანი, თითქო მარესკოს



შვილი კი არა, ყველას შვილი ყოფილიყოს. ღიზაც ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ერთადა ვრჩებოდით.

ეს ამბები მარიამობისთვეში იყო.

ჯერ ისევ ორღეანში ვიყავით, რომ კუსტენის სიკვდილი გავიგეთ; კონვენტს დამნაშავედ ეცნა გენერალი კუსტენი, რომელსაც პრუსიელებთან და ჟირონდელებთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰბრალდებოდა. გარდა ამისა კუსტენს იმაშიც ამტყუვნებდნენ, რომ მიუხედავად საერო კრების ბრძანებისა, მან სრულიად უმწეოდ მიატოვა მინცელი ჯარები და მტერს ვალანსიენი ააღებინა. დიად, კონვენტს დამნაშავედ ეცნა გენერალი კუსტენი და სიკვდილით დასჯა მიესაჯა. მის ნაცვლად გენერლად ჩვენი ძველი ნაცნობი ჰუშარი დაენიშნა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ყველაზედ და შეტადრე აფიცრებზე; მაშინ დარწმუნდნენ ჩვენი წინამძღოლები, რომ ქვეყნის მფარველი კომიტეტი აღარა ხუმრობდა და თვით გამოჩენილ გენერლებსაც კი თავსა ჰკვეთდა. კიდევ ბევრი ამბავი გავიგეთ ორღეანში: ტულონელებს ინგლისელებისთვის დაუნებებიათ თავიანთი ქალაქი არსენალით და ხომალდებითაო; მინისტრს კამბონს ბრძანება გაუცია, რომ ან უსხულ იქმნას და დაბეჭდილი რესპუბლიკის ყველა ვალებიო; კონვენტი, მიუხედავად საშინელ მდგომარეობისა, რომელშიაც საფრანგეთი იმყოფება, ახალი კანონების შექმნას შეუდგა, რომ განწესებულ იქმნან ფრანგთა პიროვნული და ქონებრივი უფლებანი და ვალდებულებანი ურთიერთ შორისაო... უკანასკნელმა ძალიან გვასიამოვნა, რადგან ყველანი ვგრძნობდით, რომ ეს რესპუბლიკური კანონმდებლობა დარჩებოდა საუკუნოდ კონვენტის უაღრეს და დიდებულ სახსოვრად.

რამდენიმე დღის შემდეგ გზას გავუდექით გენერალი კლემბერის წინამძღოლობით. სიცხე, მტვერი, დაგლეჯილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი; უმრავლესობა სულაც ფეხშიშველი... კლემბერი რომ არა ყოფილიყო, იქნება აჯანყებულიყო ჯარი. საშინელი სასტიკი კაცი იყო და სასტიკად გვეპყრობოდა ყველას. მაგრამ ამასთან საკვირველი მართალი კაცი იყო და სულ იმის



ზრუნვაში იყო, რომ ჯარის-კაცი მშვიერი და მწყურვალი არ დარჩენოდა. ისე გვივლიდა ყველას, რომ სხვა თავის შვილებს არ მოუვლის. რაკი შეატყობდა, რომ რომელიმე მამასახლისი კარგად არ ირჯება და საკმარისი ხორაგი არ მოაქვს ჯარის-თვის, ისე შეუტევედა ხოლმე თავისი რიხიანი ხმით, რომ სულ მწყურებს დაუფრთხობდა; ხშირად დაყვირებაც არ დასჭირდებოდა: ერთი კი გადაეხედნა და მაშინვე აგრძნობინებდა, რომ გაუჩენელს გააჩენინებდა და ჯარს კი არ დაამშვეინებდა. ტანი-სამოსი რომ გვექონოდა, სხვა აღარა გვიჭირდა-რა კლებერის ხელში. სადაც კი გავჩერდებოდით ღამე ზანაკად, იმისთანა მხიარული სიმღერა და ხუმრობა ისმოდა, თითქო სასეიროდ წამოსულა ჯარიო. მაგრამ როგორც კი დაიძროდა ჯარი, სრულიად გამოიცვლებოდა კლებერი და ისე სასტიკად გვექცეოდა ყველას, რომ ჩვენი სამსახურის გარდა აღარას ვფიქრობდით და სულ იმის შიშში ვიყავით, არსად მოგვასწროს, თორემ ძვირად დაგვისვამს სულ უბრალო შეცდომასაო. ნამდვილი გენერალი იყო სამსახურში სასტიკი და მრისხანე, სამსახურის გარეშე—კეთილი და ტკბილი, ომში მარჯვე და გამბედავი.

ჯარები სომურში შეიკრიბნენ. იქვე იმყოფებოდნენ ხუთი კამისარი, გარდა ტიონვილელისა, მრავალი აფიცერი და გენერალი, რომელიც, პარიზიდან „უნიფორმებს“ *) მოჰყოლოდნენ. უნიფორმების ძაგება არ მინდა, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მართალი როგორ არა ვთქვა? პარიზმა იმოდენი ხალხი მოგვაშველა ყველა მებრძოლ ჯარებს, რომ ხეირიანი აღარავინ დარჩა; ვანდელებთან საბრძოლველად მოსულები კი მარტო ფულის გულისთვის ჩაწერილიყვნენ ჯარში; ფული აეღოთ იქვე შეეკამათ და ახლა ჩვენთან მყოფთ ჩვენი აღარა მოსწონდათ-რა

*) 1793 წ. მდიდრები რევოლიუციის მომხრეებს „უნიფორმებს“ ეძახდნენ. ბოლიშ ვიზლით მკითხველთან, რომ ამ სიტყვას ვხმარობთ, მაგრამ ისტორიული სიმართლე მოითხოვს ამას და თვით სიტყვაც Sans-Culottes, რომელიც უნიფორმის ნიშნავს.



და, გავარდებოდა თუ არა ბრძოლის ველზედ თოფი, იარაღს
ჰყრიდნენ და გარბოდნენ:

— არიქათ, გვილალატესო!

პარიზელები ჩვენც გვერივნენ, შეთქმულები, მაგრამ გაქ-
ცევას თავის დღეში არ იკადრებდნენ. რაც უნდა ცხარი ბრძო-
ლა. ყოფილიყო, ვაჟკაცურად იბრძოდნენ და უკანასკნელ სისხ-
ლის წვეთამდე ეკვეთებოდნენ მტერს. ეს ახალი მოსულები კი
ყვირილისა და ლაპარაკის მეტს არას არიგებდნენ; ამასთან საში-
ნელი ზარმაცები და უსაქმურები იყვნენ და მთელს დღეს უფ-
როსების ლანძღვაში და განკიცხვაში ატარებდნენ.

სომური კარგი გამაგრებული ქალაქია. ჩვენ რომ მივედით,
ყველა ბინები საფე იყო ჯარებით და ჩვენ მოქალაქეებთან და-
გვაბინავეს. მივედით და აირია ყველაფერი: არც ის ვიცოდით,
საით გაგვგზავნიდნენ იქიდან, არც ის ვიცოდით, ვინ იქნებო-
და ჩვენი წინამძღოლი. ზოგი ამბობდა, გენერალი კანკლო
იქნება, რომელმაც ამ ხუთის თვის წინად უკვე დაამარცხა
ვანდლებიო; ზოგი ამბობდა, როსინიოლი, პარიზელი მესაა-
თე, რომლისთვისაც გენერლობა მიეცათ. კანკლო და როსი-
ნიოლი უფროსი გენერლები იყვნენ და ჩვენი გენერლები
კი, თვით კლებერიც კი, უმცროსნი. ზოგი კიდევ იმას ამ-
ბობდა, რომ ჩვენი გენერალი პარიზელი მელუდე სანტერი
იქნებო, და წამოიდგინეთ, როგორ აამფოთებდა ჩვენს ჯარს
ეს ხმები.

ბოლოს, რამდენიმე დღის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ
მაინცელი ჯარების წინამძღოლად გენერალი კანკლო იქმნა
დანიშნულიო. კლებერი მის თანაშემწედ დანიშნეს და აიყარა
კიდევ ჩვენი ჯარი. იმისთანა სიხარული იღვა, თითქო ერთი
ათად მეტს მტერზედ გაეიმარჯვეთო. ან როგორ არ გაგვხა-
რებოდა, რომ წინამძღოლად ნამდვილი გენერალი დაგვინიშნეს
და არა ვიღაც მელუდე და მესაათე. საუბედუროდ კანკლო
უწინდელი, მეფე ლუის დროინდელი, გენერალი იყო, ძველე-
ბური ჩვეულებებით გატაცებული და თუმცა არ უღალატნია,

მაგრამ ისე მოიყვანა საქმე, რომ... მაგრამ ნუ აჩქარდებით: აჩქარებას შეცდომის და უბედურობის მეტი არა მოაქვს-რა. ეხლა მარტო იმას მოგახსენებთ, რომ კარგი მხედართმთავარი თავის დღეში არ დააქუცმაცებს თავის ჯარს და მით თავის ძალებს არ შეასუსტებს.

მივდიოდით და თან ათასი ფიქრი გვერეოდა; გვაგონდებოდა შიდა საფრანგეთის ხალხის შეუუგებლობა, მრავლის მრავალი ღალატი, დამარცხება ჩვენი ჯარებისა, ყოველი მხრიდან მტრის მოახლოება გულს გვიტეხდა. კიდევ კარგი, რომ ჩვენსავით გულს არ იტეხდნენ მთიულნი და ტალი კლდესავით ებრძოდნენ ამოდენ უბედურებას.

ანჟერში წავიკითხეთ საერო კრების ბრძანება, რომლითაც ქუდზედ კაცი უნდა გასულიყო მტრების გასანადგურებლად. ამ ბრძანებას თავით ბოლომდე ამოგიწერთ, რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ ჩვენი აღტაცება. მერწმუნეთ, ვერც ერთი ერის ისტორიაში ვერ ნახავთ ამ ბრძანებისავით მედგრად და მკაფიოდ გამოთქმულს სიყვარულს თავისუფლებისას. წაიკითხეთ იგი და დარწმუნდით, რომ მის გამოთქმა მარტო თავისუფალს, უკუნითი-უკუნისამდე უძლეველის სიმართლით აღქურვილს, ხალხს შეეძლო. მეფეს კი არა, მეფეთ მეფესაც არ შეეძლო ამგვარი ბრძანება და მარტო რესპუბლიკას, ერის თვით-მბრძანებლობას და თვითმართებლობას შეშვენის მისი აღმაფართოვანებელი რიხიანი სიტყვა.

ბრძანება ანჟერში წავიკითხეს დიდებული ეკლესიის მოედანზე. ხალხით სავსე იყო იქათურობა და როდესაც გააოჯახა გენერალმა ფლავინიმ მის კითხვა, ერთად იგრიალა ჯარმა და ხალხმა: რესპუბლიკას გაუმარჯოს!.. გამარჯვება ან სიკვდილი!.. იმისთანა აღტაცებული იყო ხალხი, რომ ჩვენ აღარც კი გვაცდიდა და თითონ მიიწვედა საბრძოლველად. ზოგს დაჟანგებული ხმალი გამოჰქონდა, ზოგს ჩახმახ-მომტვრეული თოფი და ზოგს ცული და ხელეჩო. გარშემო სოფლებიდან ხალხი ჩამოსულიყო და ისე ათამაშებდნენ ნამგლებს, თითქო მამითაღში მიემზადებინათ.



აი თვით ბრძანებაც:

„იმ დრომდე, ვიდრე მტერი განდევნილ იქნება საფრანგეთიდან, ყოველი ფრანგი, ქუღზედ კაცი, ჯარში მყოფად და მოსამსახურედ იქნება ჩარიცხული. ყმაწვილკაცობა მტერთან საბრძოლველად გავა; ცოლ-შვილიანნი იარაღის და სურსათის მზადებას და ბარგის ზიდვას შეუდგებიან; ქალები-საყერავს და ავადმყოფების მოვლას; ბავშვები დაჭრილთათვის ტილოს ძენძვას და მოხუცებულნი მოედანზედ და ეკკლესიებში ხალხის ჩავგონებას, მემართა გამხნეებას, რესპუბლიკის სიყვარულის და მეფეთა სიძულვილის დამყარებას. ყოველი საერო შენობა ჯარის ბინად იქნება დადებული და მოედნები—იარაღის საწყობად და გასაკეთებლად.

თოფი მარტოდ-მარტო მტერზე გასულთ მიეცემათ: შინ მყოფთ—პოლიციელთ და ჟანდარმებს—სანადირო თოფები-ღა ექნებათ. საჯდომი ცხენები ცხენოსან ჯართათვის იქნებიან გაყვანილი; მუშა-ცხენები—ზარბაზნებისთვის. ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა კისრად იღვა მტერთან საბრძოლველად გასულ საფრანგეთის შვილთათვის საჭირო იარაღის დაუყოვნებლივ შემზადება და დარიგება; განსახორციელებლად ამისა ქვეყნის მფარველ კომიტეტს უფლება ეძლევა დააარსოს ყოველგვარი ქარხანა და ამუშავოს ყოველი ფრანგი, რომელმაც საჭირო ხელობა იცის; იარაღის შესამზადებლად სამხედრო მინისტრს ნება ეძლევა 30 მილიონი დახარჯოს იმ 498 მილიონიდან, რომელიც განსაცდელისთვის ჰქონდა გადადებული სამშობლოს.

უმთავრესი ქარხანა იარაღის მზადებისა საფრანგეთის დედა-ქალაქში, პარიზში, იქნება გამართული. კონვენტი საფრანგეთის ყველა თემებში ამ ბრძანების აღსასრულებლად თავის წარმომადგენლებს გაგზავნის უსამძღვრო ძალით და უფლებით აღჭურვილთ. ყველა თითონვე შეასრულებს თავის მოვალეობას: სხვის გაგზავნა ჯარში ან ქარხანაში თავის მაგივრად არავის შეეძლება. თავთავიანთ ალაგას მარტო მოხელენი დარჩებიან; სხვანი კი, ყველანი, ქუღზედ კაცი გავა სამშობლოს დასახმარებლად. უცოლონი და უშვილო ქერივნი 18-დან 25 წლამ-



დე პირველნი გავლენ მეზობლო ჯარში; დაუყოვნებლად ჩვე-
 ლენ თავთავიანთ მაზრის ქალაქში, ჩარიცხულ იქნებიან სიებ-
 ში და სამხედრო ვარჯიშობას დაიწყებენ, ვიდრე ბრძოლის ველ-
 ზე წასვლის ბრძანებას მიიღებენ. ერის წარმომადგენელნი, რომელთაც მინდობილი ექნებათ ამ ბრძანების ასრულება, ისე განაწესებენ ჯარების მოძრაობას და დანიშნულ ალაგებში შეკრებას, რომ ყველგან საკმარისი სამზადისი დაახვედრონ საქმელ-სასმელისა, იარაღის და ტანსაცმელისა. ჯარების შესაკრებად ადგილების დანიშვნა მინდობილი ექნებათ ერის წარმომადგენელთ—გენერლებს და ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრებს. ყოველი ბატალიონი, რომელიც ამის შემდეგ შესდგება, მიიღებს დროშას ზედ წარწერით: „**მტანგავლთა საქანახადმდეგოდ აშლილა თავასუფადა ერა.**“

იმავე დღეს ისევ გზას გაუდგა ჩვენი ჯარი და ნენკენისთვის ქ. ნანტში მივედით. ქალაქი დიდი მდინარის პირსა მდებარეობს და ისე ირევიან შიგ ხომალდები და ნაეები, რომ ჩემს განცვიფრებას სამზღვარი აღარა ჰქონდა. მთაში აღზრდილს ჩემს დღეში არა მენახა-რა ასეთი და პირლია შეეცქეროდი ზღვასავით გადაშლილ წყალს და შიგ მცურავ ხომალდებს. პირველად მაშინა ვნახე მოვაჭრე ქალაქის აუარებელი სიმდიდრე და გამორჩენა: მთელი ქვეყნის საეაქრო აქეთ მოდის ზღვით და აქედან კიდევ სხვა-და-სხვა საქონელი გადის. ამოდენა აღებ-მიცემას, რასაკვირველია, ძირსაც ბევრი დარჩება.

ქალაქში ჩვენს გარდა ბევრი სხვა ჯარები იყვნენ, მაგრამ მაინც ძალიან კარგად დაგვიხვდნენ მოქალაქენი და პატრიოტული ლხინი გავვიმართეს. ამ მოქალაქეებს უკვე ენახათ ვანდნლების სუსხი—ამ ხუთის თვის წინად, გენერალი კანკლო რომ არა ყოფილიყო, დედამიწის პირიდან აღგვიდნენ ნანტს ვანდნლები—და დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ყველანი კმაყოფილნი და გახარებულნი მოგვეგებნენ. ჩვენმა დაგლეჯილმა ტანისამოსმა ხომ აღტაცებაში მოიყვანა მოქალაქენი და, რადგან სამხედრო მალაზიები ნანტში იმყოფებოდა, ლხინის შემდეგ თითო წყვილი სრულიად ახალი ჩექმები დაგვირიგეს.

მეორე დღეს, 9 ენკენისთვის, ვანდელებთან საბრძოლველად გაგვიყვანეს.

ქ. სომურიდან დაწყებული ჩვენი ჯარი უკვე ვანდეში იმყოფებოდა, — თვალ-გადუწვდენელ ბუჩქნარ ვაკეში, რომელშიაც არც სადმე ადამიანი ჩანდა, არც შენობა, არც ვენახი. აქა-იქ ბუჩქებიდან ამონავალ კომლით თუ შეატყობდით ადამიანის ბინას, თორემ სხვაფრივ სრულიად უდაბურსა ჰგავდა ის მხარე. ეტყობოდა ღვთის ანაბარად იყო იქ ყველაფერი მიტოვებული და, რასაც ღმერთი მისცემდა, იმით ცხოვრობდა იქაური ხალხი, თითონ თავს არაფრისთვის იწუხებდა.

ეს იყო ვანდე — დაბურული, ველური, ადამიანისაგან ხელშეუხებელი ტყე და ბუჩქნარი; შიგ სრულიად გაუნათლებელი, ნადირობით მცხოვრები ბატონები ცხოვრებდნენ და უფრო გაუნათლებელი ყმები, რომელნიც თავის-თავს გლეხ-კაცს კი არა, ბატონის ყმას უწოდებდნენ. მოკლედ მოვჭრი, რომ თავი არ შეგაწყინოთ: როგორც ბუნება იყო ადამიანისაგან ხელშეუხებელი, ისე ადამიანი იყო გაუნათლებელი და ველური.

გზა არსად იყო; იმისთანა ვიწრო ბილიკები იყო გაყვანილი, რომ უღელი ხარი ვერ გაივლიდა. მივდიოდით და ყოველ წამს იმის შიშში ვიყავით, ბუჩქებში ჩასაფრებული მტერი თოფს გვესვრის და ისევ მიიმალებოა. მივდიოდით და თვალწინ გვიდგა, რაც სხვისაგან გაგვეგონა: როგორა ხოცავდნენ ვანდელები პატრიოტებს, და როგორ აწამებდნენ ვანდელი დედაკაცები ტყვეებს. მივდიოდით და თან გულს ვიმაგრებდით:

— ისინი გვესვრიან, ჩვენც ვესვრით! ისინი არ დაგინდობენ, არც ჩვენ დავინდობთ! რესპუბლიკამ გაიმარჯოს, თორემ ჩვენი სიცოცხლე რა სახსენებელია!

ნანტიდან 9 ენკენისთვის გავედით კლებერის წინამძღოლობით. ამბობდნენ შვიდი ათასი ვანდელი გამაგრებულა ერთი ტბის პირას სოფელში, და ძალიან კარგადაც არიან შეიარაღებული, ასე გასინჯეთ ზარბაზანიც კი აქვთო. მტერს ჩვენ უნდა შევბრძოლებოდით და დასახმარებლად, თუ გაგვიჭირდებოდა.



ბოდა, უკან ხუთი ათასი კაცი სხვა მოგვლევდა. მშვენიერი რიდი იდგა.

გენერალი კლებერი და მერლენ ტიონვილელი ერთად მიდიოდნენ ცხენებით, შიგ შუა ბატალიონში. ყველანი გაფაციცებით ვსინჯავდით ბუჩქებს, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. მხედრული სიარული ჯარისა შეუძლებელია იყო და ძალაუნებურად სრულიად ურიგოდ გაფანტულნი უნდა შევრეოდით ქალას. კლებერმა წინ მაროლელეები შევზაენა მტრის დასახვედრად. არ გასულა დიდი ხანი, ქალაში სროლა ატყდა. საშინელ ყოფაში ვიყავით: მტერი არსადა ჩანდა, რომ ბრძოლა აგვეტება და წინ-სვლა კი არ შეიძლებოდა, რადგან ყოველი ბუჩქი სიკვდილს გვიქადდა. რამდენიმე კაცი მოგვიკლეს, ცხენები დაგვიპრეს, მაგრამ რას ვიზამდით? წინ მივიწვევდით ნელ-ნელა და უხილავს მტერს თოფს ვესროდით.

მე და ჩემს ამხანაგებს ჯერჯერობით შიში არაფრისა გვექონდა, რადგან უკან ვიყავით და ჩვენამდე ტყვია ვერ მოაწევდა, მაგრამ ეტყობოდა იმ დღეს ბრძოლას გვიპირებდა მტერი და მაშასადამე ჩვენი ზარბაზნებიც მალე ამღერდებოდნენ.

ერთი საათი მეტი ვიარეთ ასე და თან გაცხარებული სროლა გვექონდა. ბოლოს ტბის პირას გავედით და სოფელი დავინახეთ. დავგინახეს თუ არა სოფლის მისავალში, მაშინვე ზარბაზანი გვესროლეს; იქნება უნდოდათ ენახათ, მართლა ისროდა იმათი ზარბაზანი თუ არა? ჩვენს და სოფელს შუა ტბიდან გამოსული მდინარე დიოდა და ისეთი განიერი და ღრმა იყო, რომ ფეხით გასვლა არ შეიძლებოდა,—სამასი ნაბიჯი მაინც ექნებოდა სივანე. ნაპირი ლელწამით ჰქონდა ამწვანებული და სწორედ ამ ლელწამში ჩამალულიყვნენ ვანდელები და იქიდან გვესროდნენ თოფს.

ცუდად იყო ჩვენი საქმე, მაგრამ კლებერი იმისთანა კაცი არ იყო, რომ ასე ადვილად შეშინებულყო: თავისი ამალით და მერლენ ტიონვილელის თანადასწრებით დაათვალიერა ჩვენი



და მტრის მდებარეობა და საჭირო ბრძანება ვასცა. ზარბაზნები სოფლის პირდაპირ დაგეგმაგებინა და გვიბრძანა, სოფელს დაუწყეთ სროლაო. ზარბაზანს ისინიც გვესროდნენ, მაგრამ ძალიან შორს უმიზნებდნენ და ჩვენს უკან ცვიოდა ყუმბარა. დაუწყეთ სროლა. ჯერ ძალიან მაგრად გვიდგნენ, მაგრამ რაკი სოფელს ცეცხლი წაეკიდა, ღვთის წყალობა გაქვთ, ქალებმა კივილი მორთეს და ლოგინის და სხვა ბარგის ზიდვა დაიწყეს. იმავე დროს ორი მხრიდან მიადგა ჩვენი ჯარი სოფელს და შეჰყვირა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს!

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! — შესძახეს წყალ გაღმა ვანდელებმა.

საშინელი სროლა ატყდა. ისე გაშმაგდნენ ვანდელები, რომ აღარ იმალებოდნენ და წყლის-პირს მდგომნი პირდაპირ გვესროდნენ. არც ჩვენები ჩამორჩნენ უკან და რამდენიმე კაცი შეცურდა წყალში, მაგრამ ცოცხალი არაინ გადარჩა. მდინარე სისხლის-ფრად შეიღება. ბოლოს საიდანღაც გაჩნდა რამდენიმე ნავი და ხალხით გაივსო გაღმა გასასვლელად. ყველაზედ უწინ მერლენ ტიონვილელი ჩახტა ნაეში და იმისთანა ხმით შესძახა: რესპუბლიკას გაუმარჯოსო, რომ იმ სროლაში ვანდელებიც კი გაიგონებდნენ. იმავე დროს ზარბაზნებიც ქვევით ჩავვატანინეს, ზედ წყლის-პირს და გვიბრძანეს: ხალხს ესროლეთო. მაგრამ სად იყო ხალხი? უმრავლესობა ლელწამში და ჩადუნაში იმალებოდა, ისე რომ ზარბაზანს ბალახს ვუმიზნებდით. სროლითაც ეხლა უფრო უკეთ გვესროდნენ და ასე გასინჯეთ, ორი ზარბაზანიც წავგიხდინეს. ცოტა ხანი კიდევ და სულაც დაგვხოცდნენ, ვინც ზარბაზნებთან ვიყავით, მაგრამ ამ დროს ჩვენი ცხენოსნები გავიდნენ გაღმა და იერიშით მივიდნენ სასაფლაოზედ, სადაც ჩასაფრებულები ვანდელების საუკეთესო მსროლელები. რაკი ნახეს ვანდელებმა, რომ წყალმაც ვეღარ შეგვაყენა, შესწყვიტეს ბრძოლა და გაიქცნენ.

გადამწვარი, აოხრებული დაგვხვდა სოფელი, მაგრამ მაინც დიდი იყო ჩვენი გამარჯვება, რადგან ამაზედ იყო თურმე დამოკიდებული ვანდღელების დამორჩილება.

ის იყო ბრძანება მოგვივიდა, შესწყვიტეთ სროლაო, რომ რალაცა მომხვდა შიგ გულში და წამაქცია; სამი-ოთხი კიდეც სხვა წაიქცა ჩემთან. ისე მოულოდნელად მოხდა ეს, რომ ჯერ ტკივილი არც კი მეგრძნო და მიკვირდა—რა ვქნა, რა მომივიდა-მეთქი? მერე უცბად შემცივდა, შემაჟრიალა და ცივი ოფლი დამასხა. კიდეც კარგი, რომ გული წამივიდა და ტკივილი აღარ მიგრძვნია. გონებაზედ რამდენიმე საათის შემდეგ მოვედი, როდესაც ურმით ნანტიდან ანჟერისკენ გაგვისტუმრეს მრავალი დაქრილი: ნანტის საავადმყოფოები სავსეა და ანჟერს წაიყვანეთო.

გული მიმდიოდა, სუნთქვა მებზობოდა, პირიდან სისხლი მდიოდა. მოვსულიერდი თუ არა, მაშინვე სისხლი დაეინახე და—წასულია-მეთქი ჩემი საქმე,—ვიფიქრე იმედ-მიხდილმა. არც ჩემი ამხანაგები იყვნენ უკეთეს ყოფაში: ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს მკლავი, ზოგს ფეხი და ყველანი სისხლით იყვნენ მოსვრილნი, ფერმიხდილნი, დაღონებულნი; ზოგნი ბოდავდნენ. მეურმე კი მიერეკებოდა საქონელს და, თითქო დაქრილი, ტანჯული ადამიანი კი არა, უბრალო, უსულო საბალნე ედოსო, რალსაც ლიღინებდა.

ამ მგზავრობამ უფრო დამასუსტა, მით უფრო, რომ სისხლიც გამომიშვეს თურმე გულწასული რომ ვიყავ. თითქმის გონება-მიხდილი ვეგდე ურემში და ხან რა მეღანდებოდა და ხან რა: მარგალიტა წარმომიდგა, შოველი, რესპუბლიკა... კარგად მარტო ის მახსოვდა, რომ გულში სადღაც ყუმბარის ნაქერი მქონდა და მაწუხებდა. სისხლი რომ გამოეშვათ, მკლავი მაკრად შეეხვიათ და ასე მეგონა, მკლავიც დამსხვრეული მაქვს ყუმბარისაკან-მეთქი. ხომ მოგეხსენებათ, კაცს რომ სისხლი დააკლდება, გონებასაც ვეღარ მოიკრებს, ტყუილად კი არ ამბობენ, სისხლი სიცოცხლეო.



კიდევ კარგი, რომ ანერას საავადმყოფოში ჩვენთვის ალ-
გი აღმოჩნდა და იქიდან სხვაგან აღარსად გაგვეზავნეს, თორემ
ჩვენი დაგვემართებოდა. ერთი მოხუცებული ექიმი მოვიდო-
და ხოლმე ჩვენს სანახავად ყოველ დილას და თან ყოველთვის
ხუთი-ექვსი ყმაწვილი კაცი ახლდა. ისე მქონდა ჩაშავებული
გული, თითქო ნახშირიაო. დამიწყებდნენ სინჯვას, ხან აქეთ
მიმწევდნენ, ხან იქით; ექიმი რაღასაც უხსნიდა თავის მოწა-
ფეებს და მე კი ჩემი მემართებოდა. რამდენჯერმე კიდევ გამო-
მიშვეს სისხლი. წამლობამ და კარგმა მოვლამ, ცოტა არ იყოს,
მომაკეთა, მეტადრე როდესაც მაღა გამეხსნა და ყოველ სადილ-
ვანშამად ხორცსა და ღვინოს მიგზავნიდნენ. ექიმისა რა მოგა-
ხსენოთ, და მე კი იმ აზრისა გახლავართ, რომ იმისმა წამლებ-
მა კი არა, წითელმა ღვინომ წამომამყინა ფეხზე. ზიარებასავით
მიამა ღვინო და, ის იყო და ის, დღითი-დღე უკეთ ვხდებო-
დი, ისევ რესპუბლიკის საქმეებზედ ვფიქრობდი და სულ იმის
ნატრვავში ვიყავ, ნეტავ ჩქარა გამიშვან აქედან, რომ ისევ ჩემს
ზარბაზანს მივხედო-მეთქი.

ჩემს გვერდით ერთი მოხუცებული აფიცერი იწვა, მკლავ-
ში იყო ტყვიით დაჭრილი. ძალიან უყვარდა ლაპარაკი და რაკი
სიარული შევიძელ და ბაღში ჩასვლის ნება მომცეს, ერთად გა-
ვიდოდით ხოლმე ყოველ დღე 9 საათიდან შუადღემდე და, რა
ვიცი, რას არა ვლაპარაკობდით. მოხუცებული იყო, სრულიად
ქალარა, მაგრამ იმისთანა მხიარული კაცი იყო და ამასთან იმის-
თანა მკვირცხლი და სწრაფი, რომ სწორედ თათის წამალსა-
ვით იფეთქებდა ხოლმე. ვანდღელების აჯანყების ამბავი დაწვრი-
ლებით იმან მიამბო, რადგან იმავ თავიოვე ვანდღეში ყოფილი-
ყო და თავიდან ბოლომდე თავისი თვალთ ენახა ყოველი
ბრძოლა. ძველებური წეს-წყობილება რომ გადაეარდა, მრავა-
ლი ხალხი დარჩა ულუკმა-პუროდაო, — მეუბნებოდა ჩემი მო-
საუბრე, — და ვისაც კი რესპუბლიკამ წაართვა რამე, ყველანი

ვანდეში მოგროვდნენ, რადგან იქ უფრო უფიცი ხალხი ეგულეობდათ და ცდილობდნენ აეჯანყებინათ როგორმე, დაემხოთ რესპუბლიკა და კვლავ დაჰპატრონებოდნენ თავთავიანთ ადგილებს, სადაც მით უფრო მეტს ჯამაგირს იღებდნენ, რაც ნაკლებ საქმეს აკეთებდნენ. მაგრამ ვერ გააბრძოვეს ხალხი: მართალია, უფიცი და გაუნათლებელია ვანდელი, მაგრამ იმას კი მაინც კარგადა ჰგონობდა, რომ ვინც აჯანყებას ურჩევდა, თავის საქმეების გარიგებას ცდილობდა და არა ხალხისას.

— შენა ძმავ, იმიტომ ყვირი, რომ მგლობასა ხარ დაჩვეული და დღესკი სდევნიან და ხოცვენ მგლებს. დღეს ღირსეული ის არის, ვინც პატიოსანი შრომა და გარჯა იცის.

ბევრსა ცდილობდნენ ის ვაჭბატონები, ბევრს ქადაგებდნენ ბერები, მაგრამ ვერა და ვერა, ქალების მეტი ვერავინ დაიყოლიეს, და ქალები ხომ არ აუჯანყდებოდნენ რესპუბლიკას. ბევრი, ბევრი წყევლა-კრულვით ეხსენებინათ აწინდელი წესწყობილების შემომღებნი. მეღლებივით დაძვრებოდნენ ხალხში დიდებულნი და ებისკოპოსები, გახშირებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ პრუსიელებთან, მაგრამ მაინც ვერა გააბედვინეს-რა. პრუსიელები რომ შემოვიდნენ შამხანში, ერთხელაც არის რომ დამარცხებულიყო ჩვენი ჯარი, იქნება მთელი ვანდე აჯანყებულიყო; მაგრამ გაიგეს თუ არა, ვალმის ბრძოლა და პრუსიელების დამარცხება, უცბად ჩაყუჩდნენ და თვით ბერებმაც კი შეაყენეს თავიანთი ქადაგება. სამშობლოს უკიდურეს გაჭირებას ელოდნენ ვანდელები, რომ მით გათამამებულნი პრუსიელებთან ერთად იარაღით შებრძოლებოდნენ რესპუბლიკას.

წლეულს მარტში, როდესაც გაჭირებულმა მართებლობამ გამოაცხადა, სამასი ათასი კაცი უნდა მოეკრიბოთ მტრებთან საბრძოლველად, ვანდელებმა ყურიც არ შეიბერტყეს, საცა გენებოთ იქ მოკრიბეთ ჯარისკაცები და ჩვენ კი შინ ყოფნა და გოგოებთან ლაზღანდარობა გვირჩევნია ბრძოლის სიკვდილსაო.



მართებლობამ ჟანდარმები გამოგზავნა, — ძალით წამოასხით, ვისაც კენჭი ერგოსო. სწორეთ ამით ისარგებლეს რევოლიუციის მოწინააღმდეგეებმა და აშალეს ხალხი. ღმერთმა ხომ იცის, რომ ვანდელები არც სარწმუნოების გულისთვის აჯანყებულან, არც მეფის გულისთვის, არამედ მარტო იმისთვის, რომ ჯარში გასვლა არ უნდოდათ.

აიშალა ხალხი და დატრიალდნენ ბერები: თოფ-იარაღი აისხით, ვანდელეობ! რევოლიუციამ ქრისტიანობა შეურაცხყო და თქვენ თუ არ დაიცავთ, დაილუპება ქეშმარიტი სარწმუნოებანო! ტყის ნადირივით უფიც ხალხს ასე ეგონა, თუ არ ჩვენ, დაილუპა ქვეყანაო და აირია იქაურობა. დედაკაცებს ეხლაცა სწამთ, რომ მათი ქმრები და შვილები წამებულ არიან სარწმუნოებისათვის და შინ ინახავენ მკვდრებს: სამს ღღეზედ აღსდგებიანო.

აჯანყება ერთ პატარა ქალაქში დაიწყო. რესპუბლიკის მომხრე მამასახლისს ხელები მოახერხა ხალხმა და მერე თავი ჩაუქეჩა კომბლებით; მღვდელს დედაკაცები დაეხვივნენ და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს; მსაჯული ცულით აკუწეს და სამასი კაცი მოქალაქე დახვრიტეს, — თქვენც რესპუბლიკის მომხრენი იქმნებითო. ეს იყო ომის დასაწყისი.

და მთელს ვანდეში, ხუთას სოფელში ერთად გაისმა საშინელი ზარის ხმა. არ გასულა სამი დღე, სამ-სამი რაზმი შესდგა ვანდელებისა და დაიძრა რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ; ერთს მიუძღოდა კათეღინო — სამაგალითო ურმებს აკეთებდა, ვიდრე მხედართ მთავრობას იკისრებდა; მეორეს სტოჭლე — ტყის-მცველი; და მესამეს სისუ — უბრალო მთხოვარი. საცა კი რესპუბლიკელი მოხელე იყო, ან ხაზინა და თოფ-იარაღის საწყობი, ყველა აიკლეს, მოხელენი შეუბრალებლად ამოხოცეს, ხაზინას და თოფიარაღს თითონ დაეპატრონენ და მით უფრო მძლავრად შეგვებნენ. მთელი ჩვენი ყურადღება პრუსიელებთან ომზედ გვქონდა მიქცეული, მთელი ჩვენი ჯარი სამძღვარზედ იყო გასული და ეს მხარე უპატრონოდ გვქონდა დატოვებული. ეგაც

რომ არა ყოფილიყო, ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ამ გაჭირების დროს უმტყუნებდა საფრანგეთს თავისი ღვიძლი შვილი და ევროპასთან შებრძოლებულს უკანიდან დაუწყებდა ცემას. მთელს ვანდეში ათასი კაცი არ იქნებოდა ჯარი და რა საკვირველია, რომ გამარჯვება იმათკენ ყოფილიყო.

კიდევ ბევრი რამ მიაშობო ჩემმა მოსაუბრემ. იმისთანა საშინელებას ჩაღიოდნენ გამარჯვებული ვანდელები, რომ მარტო გაგონებაზედ მე თმები ყალხზედ მიდგებოდა. დედაკაცებისას ხომ ნულარა ბრძანებთ: მრცხვენთან, თორემ მოგახსენებდით, რას უშვებოდნენ თურმე დაქრილ ჯარის-კაცებს.

რაკი ხალხი ადგა და ვილაცა მეურმეების და მთხოვრების წინამძღოლობით მთელი ვანდე ხელთ იგდო, „დიდებული ბატონებიც“ მიემხრნენ და ახლა იმათ შეჰყარეს თავიანთი ყმები და მხლებლები. და საკვირველიც იქნებოდა არ ესარგებლათ ხალხის არეულობით და დაკარგულ უპირატესობათა მოპოვებას არა ცდილიყვნენ. მართალია, სულ იმას გაიძახდნენ: ჩვენ ჩვენთვის არა გვინდა რა, მეფისა და ეკლესიის აღდგენას ვცდილობთო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მეფის აღდგენა ბატონყმობის აღდგენას ნიშნავდა. იმათ მეფის აღდგენა კი არა, ძველებური თავიანთი ბატონყმობის მოპოვება უნდოდათ, რომ კვლავ ათასობით ყმები ჰყოლოდათ, და მათის ოფლით უზრუნველად გაეტარებინათ წუთისოფელი. ამის გაგებას რა უნდა, ცხადზედ ცხადია მგონი, და ვანდელი ხალხი კი იქამდის დაბრმავებული იყო და არის, რომ ესეც კი ვერ გაუგია.

ღვთისა და სარწმუნოებისათვის ვიბრძვითო, იძახდნენ, და ქვეყანას კი იკლებდნენ. საცა წავიდნენ, თან თავიანთი დედაკაცები დაიდევნეს და—ქმრები რომ ხოცავდნენ, ცოლები იკლებდნენ. ამ ხუთის თვის წინად, ქ. ნანტს რომ მიესივნენ, ათასხუთასი დედაკაცი ჰყავდათ თან და სუყველანი თურმე ოქრომჭედლების ქუჩაში შესვლას აპირობდნენ, იქ უფრო მეტი იქმნება საშოვარიო.

ვიცი, დღეს ძნელი დასაჯერებელია ხალხის ასეთი სიბრძნე, მაგრამ რასაც მოგახსენებთ, სრულ ქეშმარიტებას მოგახსენებთ და იმედი მაქვს დამეთანხმებით, რომ ამაზედ უკეთესს მაგალითს სარწმუნოებისა და ბერებისაგან ხალხის გაბრძნებისას სხვაგან ვერსად იპოვნით.

კონვენტი განცვიფრებული იყო ვანდელების საძაგელი ქცევით, მაგრამ ჯერ ღონისძიებას არას ხმარობდა, დიდი ხანი ვერ გასტანს ეს არეულობა და ხალხი თვითონვე დამშვიდდებაო; ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ დაყოვნება საქმეს ახდენდა, ბრძანება გასცა, ძალაზედ ძალა იხმარეთ და იარაღზედ იარაღიო. ან რა შეგვეძლო? ისინი გვბოცდნენ, გვწვავდნენ, გვიკლებდნენ... ჩვენც უნდა გვეხოცნა და გვეწვა, რომ ჰკუთხედ მოგვეყვანა და ის მაინც გვეფიქრებინა, რომ თუ წმინდანი ის არის, ვინც ადამიანის სისხლ დააქცევს, ჩვენც დავივიწყებლით ადამიანის ყოველ ღირსებას და იმათსავით მხეცურად მოვიქცევოდით. ვანდელები რომ აჯანყდნენ, ჩვენ მაინცში ვიყავით შემწყვდელიანი. ნერვინდენში ჩვენი ჯარი დამარცხებულიყო; დიუმურიე ავსტრიელებს მიმხრობოდა; კობურგი ვალანსიენზედ მოდიოდა; და ვანდელები იმის ცდაში თურმე იყვნენ, რომ რომელიმე ნავთსადგური ჩაეგდოთ ხელში, თავისუფლად შემოეყვანათ ინგლისელები და ძველებური ბატონყმობა შემოეღოთ, ბეგარა და წამება.

მოვიდა ჩვენი ჯარი, მაგრამ იმის მაგიერად, რომ მისულიყო აჯანყებულებზედ და საცა მიესწრო, იქ შებრძოლებოდა, ოთხად იქმნა გაყოფილი და ოთხი გენერლის წინამძღოლობით შეერია ამ დაცემულ ქალებს და ბუჩქნარს. გენერლები ვერ შეთანხმებულიყვნენ და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ და... მარცხდებოდნენ კიდევ. მაინცელი ჯარები რომ მივედით, ორი გენერალი-და იყო. რასინიოლი და კანკლო, მაგრამ ესეც მეტი იყო, რადგან ომში სუყველაფერი ერთს გეგმაზედ უნდა იყოს დაწყობილი, თუნდა საჭიროებისადაკვარად ყოველ დღე იცვლე-

ბოდეს ეს გეგმა; ოპში ერთი უნდა იყოს მბრძანებელი, რომელიც ყველას რჩევას უნდა ისმენდეს, მაგრამ ბრძანებით კი მარტო საკუთარი ნებით უნდა მბრძანებლობდეს; — ჯარი მაშინ არის ძლიერი და უძლველი, როდესაც ყველანა ერთს ბრძანებას აასრულებენ.

ხომ სულ უბრალო შესაათე იყო როსინიოლი, მაგრამ კარგადა გრძნობდა, რომ ვანდელების დამორჩილება მარტო ერთობით შეიძლებოდა და გენერალ კანკლოს თურმე სთხოვა: შევეერთოთ ჩვენი ჯარები, წინამძღოლობა შენი იყოს და ომის გეგმა ჩემოა. როსინიოლის გეგმით შეერთებული ჩვენი ჯარები იმდენი ხანი უნდა ედევნათ ვანდელებისთვის, ვიდრე მდ. ლუარის და ზღვის შუა შეიმწყვდევდნენ, იქ შებრძოლებოდნენ და ერთი ბრძოლით მთლად დაემორჩილებინათ მთელი ის მხარე. საუბედუროდ, კანკლო არ დასთანხმდა ამ მოსაზრებას, სამხედრო საბჭოც იმისკენ იყო და გადასწყვიტეს, ვანდელებს ორი მხრიდან შეევსიოთ—სომურიდან და ნანტიდანაო.

თავდაპირველად ძალიან კარგად წავიდა საქმე. ნანტიდან ოთხ რაზმად შეესია ჩვენი ჯარი ქვემო ვანდეს და საცა მივედით, ყველგან დავიმორჩილეთ ხალხი და კონვენტის ყოველი ბრძანება ავასრულებინეთ. საცა გაბედეს და საბრძოლველად დაგვიხვდნენ, ყველგან დავამარცხეთ, მოსავალი წავუხდინეთ და სოფლები დაუწვიეთ. ძალიან თურმე იამათ მაინცის დანებების პირობები რომ გაიგეს:—მაინცელი ჯარი პატიოსანი სიტყვით შეჰკვრია საფრანგეთის მტრებს, ერთი წლის განმავლობაში თქვენს წინააღმდეგ იარაღს არ ვიხმართ, რადგან ჩვენც საფრანგეთის მტრები ვართო... დიად, ვანდელები საფრანგეთის მტრებად რაცხდნენ თავის თავს და, მაშასადამე, ავ დღეს დაგვაყენებდნენ, რომელსაც კი დაგვიჭერდნენ. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით და, რაკი ორში ერთი უთუოდ უნდა წამხდარიყო, ვიფიქრეთ, ჩვენს წახდენას, ვანდელები წახდნენ, ის ემჯობინე-

ბაო. ერთი სიტყვით, გენერალი კანკლოს ჯარში ჯერ-ჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა.

გენერალი როსინიოლის ჯარიც მზად იყო წასასვლელად. როსინიოლმა ორ რაზმად გაჰყო თავისი ჯარი და გადასწყვიტა, ორი მხრიდან უნდა მიეუხტეთ ვანდელების ბრბოს, რომელიც ქ. შოლემში არის მოგროვილიო. ერთს თითონ მიუძღოდა, მეორე პარიზელ მელუდე სანტერს ჩააბარა. მაგრამ, ვინ იცის, დაუცდიდნენ ვანდელები შოლემში ორივე რაზმის მისვლას და შეერთებას, თუ ცალ-ცალკე შეებრძოლებოდნენ და ჯერ ერთს დაამარცხებდნენ, მერე მეორეს!

სწორედ ამ დროს გამოვედი საავადმყოფოდან და ვითხოვე, ისევე ჩემს ბატალიონში გამისტუმრეთ-მეთქი. მაგრამ ჯარი უკვე წასულიყო და, რადგან კარგად იცოდნენ ვანდელების ხასიათი, რომ საცა კი ჯარის-კაცს მოასწრებდნენ, მოუკვლელი არ გადარჩებოდათ, ნება არ მომცეს მარტო წავსულიყავ და ანჟერის სიმაგრეების უმფროსმა გენერალმა ფლავინიმ სანტერის ჯარში ჩამრიცხა.

სანტერის ჯარში ოციათას კაცამდე იქნებოდა, მაგრამ ნამდვილი, გაწრთვნილი და მხედრულს სამსახურს შეჩვეული ჯარი ძალიან ნაკლებადა ჰყავდა; უმრავლესობას ახლად მოკრებილი, გაუწრთვნილი და გამოუცდელი გლეხ-კაცობა შეადგენდა და იმათთან ერთად პარიზიდან მოსული უნიფორმიანი. არც იარაღი ჰქონდა ამ უმრავლესობას, არც ტანსაცმელი; ზოგს ჯოხი ეჭირა, ზოგს კობალი, ზოგს ცული; ზოგი ქალმნებით იყო, ზოგი სულაც ფეხშიშველი; თითო-ორჯოდა პური წამოეღოთ გუდით და ის იყო მათი საგძალი. საცა კი მივედით, საქმელი ვერა ვიპოვეთ-რა, რადგან ხალხი გახიზნულიყო და ნაცრის მეტი არა დაეტოვებინათ-რა.

მე ხომ ერთი უბრალო ჯარის-კაცი გახლდით, მეც კი დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩვენს გენერალს ლუდის ხდა უკეთ უნდა სცოდნოდა, ვიდრე სამხედრო საქმეები იმისთანა უწეს-რი-

გოდ მიდიოდა ჩვენი ჯარი, რომ ყველა იტყოდა, ამათ უმფრო-სი არა ჰყავთო და მაშასადამე უკვე დამარცხებულნი არიან, რადგან ვანდელებს ვაჟაკობას ვერაფერ უძრახავდა. ისე არეულნი მივდიოდით ქვეითა ჯარი და ცხენოსნები, მსროლელები და ზარბაზნები, რომ დამარცხებულთ და ლტოლვილთ უფრო ვგავდით, ვიდრე საომრად მიმავალთ. უცბად რომ შეგვხდომოდა წინ მტერი და ბრძოლა ატეხილიყო, ჩვენი მსროლელების ტყვია ჩვენს ცხენოსნებს მოხვდებოდათ ზურგში. მერე იმისთანა უგზო უკვლოდ მივდიოდით, იმისთანა გაუვალ ბუჩქნარში, რომ მე სიცოცხლის იმედი აღარა მქონდა:

მშვიდობით ჩემო მარგალიტა! მე შენ ველარა განახავ! და ჩემს თავს ემედურები, რომ მეზარბაზნობა ვიანხოვე და ახლა სრულიად უიარაღოდ, უთოფოდ მთელი ჯარის წინ მე ვიყავ და პირველი ტყვია მე გამომასალმებდა წუთისოფელს. ჩემი ამხანაგებიც ძალიან ცუდ გუნებაზედ იყვნენ, ეტყობოდათ, მით უფრო რომ სრულიად გამოუცდელი ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, და ისეთი სიფრთხილით მიიწვედნენ წინ, თითქო ყოველი ბუჩქის ძირში მტერი ეგულებათო.

სანტერი კი აგვივლიდა და ჩამოგვივლიდა თავისი თეთრი ცხენით, ძალიან კმაყოფილი იყო, რომ იმოდენა ჯარს მიუძლოდა და მგონი მას შემდეგ, რაც ქვევანა არსებობს, არავის ჰყოლია იმ სიგძედ გაქიმული ჯარი: იქნება არც კი დამიჯეროთ, სწორედ ერთი დღის სავალზედ იყო გაქიმული ჩვენი ჯარი.

ვიცი, რომ სანტერი საუკეთესო პატრიოტი იყო და დიდი ღვაწლი დასდო რესპუბლიკას. ოღონდ კარგი პატრიოტი პარიზში იყო, თავის შესაფერ საქმეებში და არა მხედართ-მთაფრად. მაგრამ რას იზამთ? ხალხი რომ შეიყვარებს ვისმე სუყველაფერს იმას მიანდობს და ხშირად მინისტრობას მიანიჭებს ხოლმე იმას, ვისაც თავისი დღენი ლუდის ხდაში გაუტარებია. ამისთანა მრავალი ქირი სჭირს გაუხათლებლობას.



ამ გვარად არეულ-დარეულნი და გაფანტულნი მივიწვევით ნელ-ნელა წინ და, რაც ხანი გადიოდა და მეტად ილაღებოდა ხალხი და საქონელი იმ უგზო-უკვლო ქვეყანაში, მით უფრო მეტნი, რჩებოდნენ უკან. მშვენიერი დარი იდგა. რამდენიმე სოფელი უკვე გავიარეთ და აღამიანი არსად გვინახავს. ხუთი საათი იქმნებოდა, როდესაც უცბად საშინელი ყვირილი მოისმა გზის პირიდან და ყოველი მხრიდან სროლა აგვიტეხეს. ეტყობოდათ, აქვე გზის პირას იყვნენ ჩასაფრებულნი, რადგან დაცალეს თუ არა თოფი, თითონაც გამოხტნენ და მხეცებივით გვეცნენ. იმისთანა ხმით შემოგვძახეს—დაგვენბდითო! რომ თმა აგვეშალა. დამშეული მგელი არ იქნება ისე საშინელი, როგორც ისინი იყვნენ. უმთავრესი მათი ძალა მაშინვე ზარბაზნებს მიელაღა და იმისთანა ხელდახელი ბრძოლა გაიმართა, რომ იმისთანა საზარელი ჩემს დღეში არც რამ მინახავს და ნურც მაჩვენოს ღმერთმა. სულ ნახევარ საათის სავალ მანძილზედ არ იქნებოდა ჩვენი ქვეითა ჯარი და ვიმედოვნებდით, აგერ წამოგვეშველებიანო. ჩვენდა საუბედუროდ, ძველი, გამოცდილი ჯარის-კაცები სულ უკან თურმე მოექცნენ და ჩვენს ახლო სულ ახლად გაყვანილი გამოუცდელი ბიჭები იმყოფებოდნენ, რომელთაც ჯერ თოფის წამლის სუნიც არ იცოდნენ, როგორი იყო. შეიძლებოდა ცხენოსანი ჯარი მოგვეშველებოდა, მაგრამ იმ ტყიან და უგზო-უკვლო ალაგას ვერა გაეწყოთრა და მარტო ჩვენ შევიჩით ვანდებებს და გაშმაგებულნი ვებრძოდით.

ამ დროს ერთი აფიცერი მოვიდა ცხენით და ბრძანება მოგვცა, ზარბაზნები მარჯვნივ ბორცვზედ აიტანეო. მაგრამ საქმე ბრძანება კი არა, ასრულება იყო: ჩვენა და ვანდებები ისე ვიყავით ერთმანეთში არეულნი, რომ მანამ იმათ არ მოვიშორებდით, ადგილიდან ვერ დავიძვროდით. ერთი ქალბრა კაცი მწვდა ყელში და იმისთანა ძალით წამიჭირა, რომ კინაღამ დამახჩო, თან რაღასაც მიყვიროდა. გზის პირიდან ორი



კიდევ სხვა წამოეშველა და ცხენებს სტაცეს აღვირში ხელი. ზედ ზარბაზანზე წამაწვინა ვანდელმა და ის იყო გრძნობა მეხშობოდა, რომ უკანასკნელად მოვიკრიბე, რაც კიდევ ძალღონე მქონდა და, რადგან ხელები თავისუფალი მქონდა, ვიდრე ხმალი და ტარამდე ჩავუტარე მუცელში. სწორედ მხეცივით წამოვხტი, მივეარდი მეორეს, თავი გავუბე და ერთი ნახტომით ცხენზედ შევჯექი, დავკარ დეზები და მარჯვნივ მივაბრუნე ბრძანების ასასრულებლად. სწორედ მხეცივით-მეთქი, რომ მოგახსენებთ, ცარიელი სიტყვა კი არ გეგონოთ, ნუ გამხეცდება ადამიანი, თორემ ყველა მხეცზედ უარესი გახდება. მოვაბრუნე ცხენი, ავაქენე ბორცვისკენ და, ერთმა ღმერთმა უწყის, რამდენს დაჭრილს გადავუარე ზედ და წუთისოფელს გამოვასალმე. ვის ახსოვდა მაშინ დაჭრილები, რომელნიც ჭერებივით ეყარნენ ბრძოლის ველზედ! საქმე ის იყო, ჩემი ვალდებულება ამესრულებინა და მით გავქყლეთღი ვისმე თუ არა, ეგ აზრადაც არ მომდიოდა. დავკარი ცხენებს, უკანიდან ჩემი ამხანაგები მოაწვენენ ზარბაზნის თვლებს და ავაგრიალეთ ბორცვზედ. მაგრამ იქ უფრო მეტი დავგიხვდნენ ვანდელები და უკანიდან ცოტაოდენი ცხენოსნები რომ არ მოგეშველებოდნენ, სწორედ წავკვართმევდნენ ზარბაზანს და ჩვენც ამოგვხოცავდნენ.

ზარბაზანი ავიტანეთ, მაგრამ გატენა არ უნდოდა? და გატენა კი არ შეგვეძლო, რადგან ყუმბარები ქვევით დავკრჩა ზედ გზაზედ. გადავიხედე და, თქვენს მტერს, მე ელდა მეცა, ჩვენი ზარბაზნები ვანდელებს დარჩენოდათ და სასროლად ამხადებდნენ. ამით წახალისებულნი ახლა ჩემკენ გამოქანდნენ, რომ ჩემიც წაერთმიათ, მაგრამ ხომ მოგვხსენებათ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო... ჰეც ვახსენე ღმერთი და ისევ ჩვენი ჯარისკენ გავაქანე ცხენები. ბუზივით ზუზუნებდა ტყვია, ზედ ჩვენივე ზარბაზნების ჩვენზედ ნასროლის გრიალი დაერთო და სწორედ სასწაული იყო, რომ ცოცხალი გადავრჩი და მშვი-

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
ცენტრის
გამომცემლობა

დობიანად ჩავიტანე ჩემი ზარბაზანი. რომ დამინახა გენერალმა თავით ფეხამდე სისხლში ამოვლებული, ოცი ნაბიჯით მაინც წინ გამობრძანდა რაზმიდან, ხელი ჩამომართვა და მკითხა:

- შენი სახელი, მამულიშვილო?
- მიხეილ ბასტიენი, ჩემო გენერალო.

ზარბაზანი სამშვიდობოში გავიტანე, და რადგან ყუმბარა არა გვექონდა და სროლა არ შეიძლებოდა, ჩამოვხტი ცხენიდან, თოფს წამოვაგლე ხელი და დავიწყე სროლა. ალბად ღვთის განგება არის, რომ ამ ჯოჯოხეთს ცოცხალი გადავჩი-მეთქი, ვისროდი თოფს, თითქო ადამიანს კი არა, ქვეყნისთვის მანეც ცოფიან ძაღლებს ეხოცავდი და მიხაროდა მათი ამოწყვეტა. დიად, ვინც ომში არა ყოფილა და მის საშინელება არ უნახავს, ვისაც თავისი თვალით არ უყურებია თავისი ამხანაგების ხოცვისთვის, თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, რა ტკბილია თოფის გატენა, მტრის მიზანში ამოღება და სროლა. ტკბილი კი არა, ტკბილზედ ტკბილია და სანატრელი!

რაკი ზარბაზნის სროლა დაგვიწყეს, უკან დაწვევა ვირჩიეთ, მაგრამ სროლა და ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მისვლაზედ ადამიანი არსად იყო და ახლა, რაკი უკან დავბრუნდით, ყველგან მტერი გვიხვდებოდა და ყველგან გაშმაგებული გვებრძოდა.

დადამდა და ისე უცბად გაქრნენ საღლაც, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო. მთელი ერთი საათი ველოდით, კიდევ მოგვიხტებიანო, ხმალ-ამოღებული და თოფ-გაწვდენილი ველოდით, მაგრამ ამაოდ. ახლო სოფელში საათმა რვა დაჰკრა. მოდიოდა ჩვენი ჯარი, მაგრამ ვაი იმ სვლას: ბრძოლაში მონაწილეობა მარტო ძველ, გაწვრთნილ ჯარის-კაცთ მიელოთ და დანარჩენები, რომელნიც ახლად იყვნენ მოკრებილი და ჯერ ისევ კომბლებით შეიარაღებულნი, აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ და იმ ღამეს და მეორე დღეს ჩვენი ცხენოსნები იმათ ძებნას მოუნდნენ, მთელი ის არე-მარე დაჭრილებით და დახოცილებით

იყო საესე; ყველგან დაჩეხილი საქონელი და ცხენები ეყარნენ და დამტვრეული ურმები. იმ დღეს 18 ზარბაზანი დაეკარგეთ და ათასზედ მეტი კარგი მამულიშვილი. მართალია, ბევრი დაჭრილი ეიპოვეთ და ვანდელი დედაკაცებისაგან სიკვდილს გადაეარჩინეთ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი დარჩა ბრძოლის ველზედ სიკვდილსა და მით ტანჯვისაგან განთავისუფლების ნატურული?

ასე კი დაგვამარცხეს ვანდელებმა. მე ის გიამბოთ, რაც ჩემი თვალთა ვნახე. კიდევ ვიტყვი, იმისთანა ცუდი არა იქნება—რა ქვეყნად, როგორადაც ეს ვაჟბატონები, რომელთაც ჰგონიათ, ყველაფერი ჩვენ ვიცით, ყველაფერი ჩვენ შეგვიძლია—ნო და დაუფიქრებლივ იკისრებენ იმისთანა სამძიმო საქმეს, რომელსაც ვერ გაბედავენ მათზედ ერთი-ათასად მეტად გონიერი და მამაცნი. გამოჩნდება ვინმე ამისთანა უტვინო და თავხედი, ხელთ იგდებს ძალას და უფლებას და ვაი იმათი ბრალი, ვისზედაც ბრძანება გაუვა!

ჩვენი დამარცხება არ იკმარეს ვანდელებმა და—ეს ორი დღის შემდეგ გაეიგეთ—ისე უცბად იმიტომ დაგვანებეს თურმე თავი, რომ შეკრებილიყვნენ და ჩვენი ჯარის მეორე რაზმს დასცემოდნენ. და დასცემოდნენ კიდევ; იმისთანა ალაგას მოესწროთ, რომ ოთხი ათასი კაცი მოეკლათ და რაც კი ჯარს ბარგი ჰქონდა და ზარბაზნები, სულ იმათ დარჩენოდათ. ეს ამბავი რომ გაეიგეთ, მაშინვე ქ. სომურისკენ გავებრუნდით, რადგან ვანდელების ჩვეულებისამებრ, მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ რომელსამე დიდ ქალაქს მიესევოდნენ და აიკლებდნენ.

17-ს ჩვენი რაზმი დაამარცხეს, 19-ს ჩვენი ჯარის მეორე რაზმი და 20-ს სომურისკენ გავწიეთ. რა საჭიროა, მოგახსენოთ, რა შეწუხებულნი და შერცხვენილნი ვიქნებოდით! მით უფრო შერცხვენილნი ვიყავით, რომ სულ უბრალო, ტყის ნადირმა გლეხ-კაცებმა გვაჯობეს, რომელთაც მხედრული წეს-



წყბილებისა არა იკოდნენ-რა და მიუხედავად ამისა სამჯერ შე-
ტი ხალხი დაგვიხოცეს, ვიდრე ჩვენ იმათ.

მივედით სომურში და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება,
მაინცელი ჯარიც დაემარცხებინათ ვანდლებს და ქ. ნანტისკენ
დაებრუნებინათ. ქალაქში იმის მეტს აღარას ლაპარაკობდნენ.
საშინლად შეწუხებული იყვნენ ყველანი. გამარჯვებულნი აჯან-
ყებულნი იყვნენ და ვინ იცის რას იზამდნენ ამით წათამამე-
ბულნი. მე ამ სამარცხვინო დამარცხებას ჩვენს გენერლებს ვა-
ბრალეებ. ეს კია, რომ ცუდი ამბების დაჯერება ყოველთვის
მეძნელება ხოლმე და მაშინაც დიდი ხანი გავიდა, მანამ იმ
ფიქრს შევეჩვეოდი, რომ ჩვენი სახელოვანი კლებერი დამარ-
ცხებული იყო ვანდლებისაგან.



საშინელი არეულობა იყო სომურში; ჯარებისთვის ბინა
არსად იყო; ეკკლესიებში დაქრილები დაეწვინათ, რადგან სა-
ავადმყოფოში ალაგი აღარსად ყოფილიყო. ქალაქს ამაგრებ-
დნენ; გენერლები და საერო კრების წარმომადგენელი კამისრე-
ბი ერთმანეთს აბრალეებდნენ ჩვენს დამარცხებას. გენერალი ფე-
ლიპო როსინიროლს რესპუბლიკის დალატსა სწამებდა; როსინიო-
ლი კანკლოსა და ფელიპოსას იძახდა—ინგლისელთაგან არიან
შესყიდულნიო. თვით ჯარშიც დიდი განხეთქილება იყო და ისე
იყვნენ ჯარის-კაცები აღშფოთებულნი პარიზელ უნიფხოთა სა-
მარცხვინო ქცევით, რომ ათათი და მეტი ღუელი ხდებოდა
ყოველ დღე.

დაწვრილებით გვიამბეს კლებერის დამარცხება: ისიც ჩვენ-
სავეთ თურმე შეიტყუეს ვანდლებმა, რამდენიმე სოფელი სრუ-
ლიად უომრად დაანებეს და დააწვევინეს და როდესაც დანი-
შნულ ალაგას მიიყვანეს, უცბად დაეცნენ და სასტიკი ბრძო-
ლა აუტეხეს. დაიწყო თუ არა ომი, კლებერი მაშინვე თურ-



მე დაიჭრა თოფის ტყვიით, მაგრამ ბრძოლის გათავებამდე ისე-განაგებდა თავისი ჯარის ყოველ მოძრაობას, თითქო თითო გაუკაწრიაო. ცხენზედ ჯდომა რომ აღარ შეეძლო, საკაცურით თურმე დაჰქონდათ ბრძოლის ველზედ ჯარის-კაცებს თავიანთი საყვარელი გენერალი, ვანდელეები იქაც უმთავრესად ზარბაზნების წართმევას ცდილიყვნენ და რაკი ენახა კლებერს, რომ არტილერია წაართვეს, უკან დაებრუნებინა თავისი ჯარი. გამოქცევით არ გამოქცეულან, მაგრამ დაბრუნდნენ და თან ვანდელეები სდევდნენო. ასე იყო თუ ისე, ბრძოლის ველი ვანდელეებს შერჩენოდათ და სრულიად სამართლიანად შეეძლოთ ნიშნი მოეკოთ.

ეს დამარცხება ხომ მაწუხებდა და ზედ კიდევ პირადი სევდა ერთოდა, ჩემი და ლიზა, მარესკო და პატარა კასიუსი კლებერის ჯარში იყვნენ და იმათი ამბავი არა ვიცოდი-რა. ვაი თუ ჩემი ღის ურემი დაიჭირეს ვანდელეებმა და ორივენი დახოცეს! იმისთანა მხეცები იყვნენ, რომ არც ქალს დაინდობდნენ და არც უსუსურ ბავშვს.

ბოლოს ნელ-ნელა ისევ რიგზედ მოვიდა ჩვენი ჯარის საქმე და მეც, როგორც იყო, მივიღე ბარათი, რომლითაც ნება მეძლევიდა ანუერს წავსულიყავ და კვლავ ჩემს ბატალიონში შეესულიყავ. რომ არ შემრცხვეს, ოცჯერ მაინც ვითხოვე ეს ბარათი, მაგრამ ჩემთვის ვისა სცალოდა; ისე რომ აღარც კი მეგონა, რომ კიდევ ვნახავდა ივანე სომს, მარკოზ დივსე და სხვა ჩვენებურებს, რომელნიც ძმებივით მიყვარდა. ჯარის-კაცისთანა უჯიათი სამსახური ხომ არაეის ექნება: დღეს არის და შენთან არის; ამხანაგურად, მეგობრულად გექცევა და შენს მზესა ფიცავს; ხვალ კიდევ გავარდება თოფი, გაჩნდება ბრძოლა და აღარც კი იცის, საწყალმა სადა გძებნოს საყვარელი მეგობარი: საერთო ორმოში, რომელშიაც ერთად დამარხეს ყველა მკვდრები, თუ სადმე ბუჩქ ქვეშა მიფარებულ მგლებისაგან გამოხრული!



მივიღე თუ არა ბარათი, მაშინვე გზას გავუდექე. იქვე გზის პირას კარგი ჯოხი მოვკვერ. თუმცა ჯერ ისევ კარგი დარები იდგა, თუმცა შემოდგომის სიცივე უკვე საგრძნობელი იყო და ფოთოლი ცვიოდა. გზაში ყველგან ქანდარმები ირევოდნენ და თვალ-ყურს ადევნებდნენ მგზავრებს. გზაში ერთ სოფელში ეკკლესიის კარებზედ გაკრული აფიშები ვნახე და ძალიანც ვისიამოვნე, ღვთის წინაშე. ერთი კონვენტის ბრძანება იყო, რომლითაც გამოცხადებული იყო, რომ ღღვის შემდეგ ჯარს მარტო ერთი მხედართ-მთავარი ეყოლებოა. მეორე მიმართული იყო თვის ჯარისადმი:

„თავისუფლების მაძიებელნო! აჯანყებული ვანდელები დამარცხებულ უნდა იქმნენ ოქტომბრის დამღევამდე. ამაზედ არის დამოკიდებული სარშობლოს კეთილდღეობა და ამას გავალვით თქვენ ერი და თქენი ვაჟკაცობა.“

მესამე აფიშა თვით ვანდელებს შეეხებოდა: ნუ დაუჯერებთ დიდებულთ და ბერებს, რომენიც ვითომდა ღვთის სახელით მოქმედებენ და კაცის კვლას და სისხლის ღვრას კი გიქადაგებენ. იცით, რა ნებავთ თქვენს წამქეზებელთ? ძველებური მეფობა, ბატონ-ყმობა და ხალხის დამონავება, რომ თითონ ნადირობის, ქეიფის და ღროს-გატარების მეტი საქე არა ჰქონდეთ-რა და თქვენ კი ყურ-მოჭრილ ყმადა ჰყავდეთ და ძველებურად მეძებარ ძაღლებში სცვალონ თქვენი შვილები. აი რა ნებავთ დიდებულთ და სულიერს თქვენს მოძღვრებს. ჩვენ კი იმასა ვცდილობთ, რომ ყველა გავათანასწოროთ, ყველა გავათავისუფლოთ და ღვთის შექმნილ ადამიანზედ აღარავინ ვაბატონოთ“ და სხ. და სხ.

ძალიან მოგვეწონა ეს აფიშები და მეტადრე კონვენტის ბრძანება, რომლითაც თვის ბოლომდე დამორჩილებული უნდა ყოფილიყვნენ აჯანყებული ვანდელები. ასე ყოფილა და ასე იქნება ყოველთვის ადამიანის შვილი: სწორედ გაჭირებაში და-

ჰკარგავს ხოლმე თავის ძალის იმედს და ისე მოეშვება, როგორც ჩული; თუ მაშინ გულშემატკივარი არავინ შეხვდა და არ გაამხნევა, წასულია იმის სქმე.

მ ღვინობისთვის დილით შევედი ქ. ანჟერში. ქალაქი სავესე იყო ჯარებით, რომელნიც კონვენტის ბრძანებისამებრ მზად იყვნენ ვანდში შესასვლელად. ერთი საათი მეტი ვიარე, მანამ ჩემს ბატალიონს ვიპოვიდი. ჩენი ბაირალი უკვე შევნიშნე ერთ ძველ შენობაზედ, მაგრამ ჯარის-კაცებს ვერა ვცნობდი და ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავ, როდესაც ერთმა ახალგაზდა აფიცერმა შემაყენა:

— შენა ხარ, ბასტიენ?! საიდან გაჩნდი, ბიჭო?! აკი იძახდნენ, მოკლესო?

— სომურიდან გიხსლებით-მეთქი, — მოვახსენე და მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი. გარშემო ჯარის-კაცები შემომეხვივნენ და ძლივს იმათში ვიცანი ხუთი ჩემი ძველი ამხანაგი, რომელნიც გაშტერებულნი მიყურებდნენ:

— ბიჭო, მიხო!... მაშ ცოცხალი ხარ? — და რაკი ნახეს, რომ მართლა ხორციელი ვიყავ, მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს და თან გულიანად გადიხარხარეს. შორიდან ივანე სომი გამოჩნდა, რადგან ხმა გავარდნილიყო, მიხეილ ბასტიენი მოვიდაო. მოვიდა, მომეხვია, გულში ჩამიკრა და თუმცა არა უთქვამს-რა, მე მაინც დავრწმუნდი, რომ წრფელი გულით ვუყვარდი ჩემ მოხუცებულ ამხანაგს.

ბოლოს, როდესაც ყველანი დამშვიდდნენ, მაშინ ამოილო ხმა და, თითქო სხვებთან ლაპარაკი ეხარებაო, იქვე დუქანში შემიპატიყა:

— მოდი, მიხო, ერთი ხელადა ღვინო ჩამოვასხმევინოთ ადამსაო.

ადამის დუქანი იქვე ახლო იყო და კარგა ხალხი იყო შიგ, დაესხედით, ერთი ხელადა წითელი ღვინო მოვატანინეთ და პური გავტეხე თუ არა, მაშინვე ჩემი დია და პატარა კასიუ-

სის ამბავი ვკითხე. ვკითხე და თან გული ამიფანცქალდა, ვაითუ ცოცხალნიც აღარ იყვნენ-მეთქი.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო მიხო! რომ გამოვბრუნდით დამარცხებულნი, შიგ შუა გულ ჯარში დავინახე ელისაბედ ქალის ურემი. ცოტა ხანს უკან ისე დავუახლოვდი, რომ მოვიკითხე კიდეც—პატარა კასიუსი როგორა გყავს-მეთქი. ურემში გატენილი თოფი ელო ელისაბედ ქალს, ერთი კარგი ხმალი და მერწმუნე შიში არაფრისა ჰქონდა. ხომ იცი ჯერ კარგ ვაჟკაცს გაუჭირდება შენი დის ოდენი.

ძლივს არ დავიმშვიდე გული! რაკი ჩვენების კარგად ყოფნა გავიგე, დანარჩენისაც იმედი მომეცა და ვიფიქრე: თვის ბოლომდი ვანდელეები დამორჩილებული უნდა იქმნენ-მეთქი.

სომმა მიამბო, ჩვენი დამარცხების მიზეზი ნიევრელი ბატალიონი იყო; გამარჯვება ჯერჯერობით ჩვენკენ იყო, გავაქციეთ კიდეც მტერი, თან გამოვუდექით და ხოცვა დავუწყეთ. ზარბაზნებთან სადარაჯოდ ნიევრელი ბატალიონი დავტოვეთ. მაგრამ რაკი გაქცეული დაინახეს მტერი, ზარბაზნები უპატრონოდ დასტოვეს და გაქცეულთ გამოეკიდნენ; ამით ისარგებლეს იქვე მიმალულმა ვანდელეებმა, დაეცნენ ზარბაზნებს და სულ ამოხოცეს ძეზარბაზნენი; სხვათა შორის, მარკოზ დივეც მოკლეს, კატრავანელი მათეც, მენალარე ივანეც და ბევრნი სხვანი; ცოტაოდნად მეც დამჭიკნეს, მაგრამ იმ დროს ღრაგონები წამოგვეშველნენ და ვანდელეები ზარბაზნების წაღებასა ჩქაროდნენ და ამგვარად გადავრჩი, თორემ ჯერ მე მომკლავდნენ და მერე დაჭრილებს დაუწყებდნენ ძებნას და ხოცვას. დაჭრილი მკლავში ვიყავ და რადგან საავადმყოფოში სიცოცხლეს გარეთ სიკვდილი მირჩევნია, ექიმს არც ვჩვენებოვარ და ღვთის მადლით კარგადა მაქვს ხელი.

ხელი შეხვეული ჰქონდა, მაგრამ ისე ლამაზად აჰქონდა პირთან ღვინო, რომ ძალიან არ უნდა სტკივებოდა.

სალამომდე იქ დაერჩით და როდესაც ბინაზედ მისვლის დრო მოვიდა, ერთად მივედით და ერთად დავწექით. მეორე დღეს 5 ლენინობისთვის ისევე გზას გავუდქით ვანდელების დასამორჩილებლად.

(შემდეგი იქნება)



„მეფის-მყაონის“ ყალბი აღგილები

LIV

აკთანდილ ფრიდონისას რომ მიკა და გაცნა-ურება, ტარაელის
ყოფა-ცხოვრებას უამბობს (გვ. 220):

992. ქვაბნი წაუბმან დევთათვის, სრულად გამეისისხლება;
მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხვა არვინ უახლებია;
მას მუდამ ძველი ცეცხლი სწევას, არ ახლად არ ახლებია,—
ვაჟ მართებს მისსა გაყრილსა, შავი ზლა თავსა ჰხლებია.

993. ქალი მარტო ქვაბსა შინა სტირს მტირალი, ცრემლ-ნაწითლი;
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა, ვითა ლომი,
მიართმევს და აგრე არჩენს იგი, ერთვან ვერ დამდგომი,
მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.

994. მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელი! ა,
მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა;
რა ჭირნი დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ზელისა;
ჰკლავს სურვილი და ვერ-ნახვა მისისა დამმარხველისა.

995. ვითა მთვარე, დაუდგრომლად იარების, არ დადგების,
მასვე ცხენსა შენეულსა ჰზის, აროდეს გარდახდების.
არა ჰნახავს პირ-მეტყველსა, ვით ნადირი, კაცთა ჰკრთების;
ვაჟ მე, მისსა მგონებელსა, ვაჟ მას, ვინცა მისთვის ჰკვდების!

აკთანდილმა ტარაელ ზირკულად რომ ჰპოვა და მისი ამბავი
შეიტყო, შინ დაბრუნდა და მეფე როსტეკანს და თინათინს ვეფ-
სის-ტყაოსნის თაკვადანსაკალი უამბო. მაშინდელს აკთანდილის
ნაამბობში, თუ მკითხველს ახსოვს, ყველა მართალი არ გამოდგა, —
ზოგმაი რექსიტს რამდენიმე ყალბი ხანა შემოეჭრა, სასულდობრ:



მე-682, 683 და 684 (გვ. 151). ამ ხანების სიყვალის დასაბუთებად მე დავეუბნებოდა ვემოყვანილი ეპიზოდი, რუსთაველისეულის მოთხრობის ნიმუშად (ნახე ამ წერილის მე-XXIX თავი), ამისათვის, რაც მაშინ ეპიზოდის ღირსებაზე მკითხველს მოკახსენე, აქ აღარ გავიმოკრებ. მაშინდელ მოყვანილს ციტატას მე გამოვაკელ მე-993 ხანა, რომელიც უაღბად მიმაჩნდა, ხოლო ამის შესახებ არა მომიხსენებია-რა; ასლა კი, რადგან ვუკრი ამ ხანისაც მოვიდა, საჭიროდ ვრანც მის სიყვალის საბუთები მკითხველს წარუდგინო.

ეპიზოდის მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ადგილი უჭირავს მას ავთანდილის ფრიდონთან საუბარში, ხოლო ამ საუბარის საგანი და გეგმა თვით ავანდილისაგან გასაზღვრულია (გვ. 218):

985. ყმა ფრიდონს ეტყვის: „ისწრაფი, ვიცი, ამბისა თხრობასა, გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინადგან ჰლამი ცნობასა, ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი მშობასა,— იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუმცა ძლივ ვღირსვარ ყმობასა.“

ამ წინასიტყვაობით სჩანს, რომ ავთანდილის საუბარის საგანი მისი კინაობა და მისი და ტარიელის ურთიერთობა; ხოლო რადგან მათი განცობა და დამოუკრება მაშინ მოხდა, როდესაც ტარიელ ფრიდონს უკვე მოშორდა, აუნდალებულია, რომ ავთანდილ თავის მეგობრის ცნოკრების იმ ხანას უამბობდა ფრიდონს რომელიც ამის და ტარიელის გაყრას მოსდევს და მაშასადამე ფრიდონმაც არ იცის. ამიტომაც ავთანდილის ნახობს ტარიელის ყოფაცნოკრების შესახებ მისს საუბარში უმცროსი ადგილი უჭირავს, სხვათა შორის არის მოყვანილი, და ისე მჭიდროდ არის გადაბმული თვით ავთანდილის ამბავზე, რომ მკითხველი ვერც კი გამოარჩევს, რისთვის უამბობს ავთანდილ ფრიდონს ტარიელის ამბავს: თვითონ მოყვრის სკავლახო ყოფნის საცნობლად, თუ უფრო ამისთვის რომ შეატყობინოს ფრიდონს თავისი სიყვარული და გულშემატკეირობა უბედურის მიჯნურისათვის. ავთანდილის ნახობი ისეთი სუბიექტიურია, რომ მასშიგან თანასწოროდ ისატუხანს უღლი და ხანულისაგან ნაშთენი გრძნობა.

რა წილი უნდა ჰქონდეს ასმათს ავთანდილის ნაამბობში? რა-
 დენად სასსენებელი და საინტერესო უნდა ყოფილიყო ამ ქალის
 ყოფა-ცხოვრება ფრიდონისათვის? ასმათ დიად ავთანდილს დობი-
 ლია, ტარიელისათვის გულშემატკეპრობა და სიყვარული მათ აკრ-
 თებს, ორთავემ მის გულისათვის ჭირი და მწუხარება ერთად გა-
 მოაიარეს, და ავთანდილს რამდენჯერმე ჰქონდა შემთხვევა ასმათის
 გულის სიმტკიცე და სულის სიტურობე გამოეცნადა. ფრიდონს კი
 — ასმათ რა? როდის ან სად შეიტყობდა ასმათის მშვენიერს სა-
 სიათს, რომელიც სავსებით გამოცნადა ტარიელის უდაბნოში ცხოვ-
 რების დროს? სანამ ასმათ ფრიდონისას იყო, ტარიელის ამაღაში
 შერეულს, ერთი შემთხვევაც არა ჰქონდა თავი გამოეჩინა; და ტა-
 რიელ მუღღაზნაზნარს თავისს ყოფნას ავთანდილს რომ უამბობს,
 ასმათის სახელს ერთხელაც არ ახსენებს, თითქო იქ თან არც კი
 ჰყოლიაო. საგონებელი, ნესტან-დარეჯანის მოახლე ტარიელის ამაღა-
 ში ფრიდონისგან შეუხსნეული არ დაჩნებოდა, მაგრამ ფრიდონისა
 და ტარიელის დამეგობრებაში ამ ქალს არფერი წილი ჰქონია, რომ
 მისი ხსენება ფრიდონის გონებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილიყო. იქ-
 ნება კიდეც ასმათის ხსენება ფრიდონისათვის იმდენად საინტერესო
 არ იყოს, როგორც ისა, რომ ტარიელ ამსვე ცხენსა მისუფსა
 ჰწის, არაოდეს გარდახდებისა....

თუ ავთანდილს საგნად აქვს ფრიდონის თავისი თავი გააცნოს
 და, რადგან ტარიელის სახელით მოვიდა, მისი აწინდელი მდგომარ-
 ეობა შეატყობინოს და მისს საშველად დახმარება სთხოვოს, —
 რასაკვირველია, ასმათზე გავრცელებული ლაზარაკი უდროა. და მე-
 რე რა ლაზარაკი!... ერთი ხანა ავთანდილ ფრიდონს ასმათის
 ამბავს უამბობს, და რა შეატყობინა? — ქვაბში წის და ტირი-
 სო, ტარიელ ნადირს აჭმევს და იმის მეტი სახანსავად არავინ უნდაო.
 განა ასმათ ეს არის, და ტარიელის ცხოვრებაში სსკა მნიშვნელობა
 არა აქვს? ასე იცნობს ავთანდილ თავისს დობილს? როდესაც
 ავთანდილ თავისს სატროფოს ტარიელის ამბავს უამბობდა, ასმათის
 როლი ესრედ დაახსიათა: «ქალი ახლავს სასურველად, სულთა-
 დგმად და ჭირთა თქენად» (ს. 694, კვ. 154). სხვაგან, თითონ



ტარიელს ასმათის დავიწყებს რომ ზუგდრებს, ავთანდილ მის ღობი-
ლის «გაგლენსა» და სამსახურს მოაგონებს (გვ. 198—199):

892... პირველ გლახ მისი ნაკერტი, თვით მერმე შენი ღობილი,

893. თქვენ შუა მქნელი საქმისა, შენგან ნახობი ღობისა,
თქვენი შემყრელი მსახური, შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა,
მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობასა,
გლახ დაგიგდია, არ ჰნახავ? შაბაშ მართლისა ბეობასა!

ესრედ ცნობილს ასმათს ავთანდილ ასლას უსახავს ფრიდონს
რადაც პირუტყვად, ზნეობრივსა და გონებრივ თვისებათა მოკლე-
ბულად, თოთქო მართლაც ლეკვი იყოსო, რომელიც, სხანამ სანზრ-
დოს მიუტანს, ქვამში მივდებულა და მშიერი წკმუკის.

თუ არა გჳრათ, გადავიკითხოთ მე-993 სანა ლექსითი ლექსად
და ვნახოთ რა გვარად გამოისახვის ასმათის ვინაობა ავთანდილის
ნახობობში.

ქალი მარტო ქვამსა შინა სტირს მტირალი, ცრემლ-ნაწ-
თომია.—ამ ლექსში ავთანდილ სამჯერ ეუბნება ფრიდონს ასმათის
ტირილს და მის ცრემლის მიზეზს ერთსულაც არ იტყვის. ამის
გამო, როდესაც ავთანდილ ამ ლექს დასძენს: «ემა ნადირსა უნადი-
რებს, ღობის ლეკვსა, ვითა ღობია»,—ფრიდონს დიალამც სიმართლე
ქვამსა იფიქროს, თუ ასმათ ქვამში მარტო ტირისო, საგონებელია,
ტარიელ რომ მივა და ნადირს მიუტანს, მაშინ დახუმიდება, —მაშ
ცხადია, შიშხილი ატირებსო. მესამე ლექსი უფრო ამტკიცებს ამ
ეჭვს: «მეორთმეკს და ავრე არჩენს იგი, ერთგან ვერ დამდგომია».
თუ ტარიელ ერთგან ვერ დამდგომია», რასაკვირველია, ქვამსაც
იშვიათად მივა, მაშასადამე ასმათს ნადირს სშირად არ მიუტანს....
მოდა და ნუ იტირებს საწყალი ქალი! მაგრამ არა.—ასეთი ეჭვი
ტყუილია, რადგან მეოთხე ლექსით სხანს, რომ ტარიელს «მისგან
კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომია». თუ ტარიელს ასმათის
მეტი სანახავად არავინ უნდა, «იგი, ერთგან ვერ დამდგომია» მის
სანახავად სშირად მივა და მაშასადამე ნადირსაც სშირად მიუტანს.
მერცხალსაგით წავა—ინადირებს, მოვა—მეორთმეკს, და კიდე წავა



სახანდიროდ. ასე რომ ქალი მშეიერა ან უნდა დაჩხეს. მას რაღა
ატარებს? მინც ვერ შევიტყუო.

გურჯა რას შევიტყუებთ, რადგან ყალბის-მქნელი თვისს თსსკაში
აზრისა და მართალს როდი დაეძებს. იმის მაგიერ რომ ფრადონს
ასმათის ტირილის მიზეზი ვააკებინოს, ავთანდილს ტყუილად
ამოკრებინებს სამკურ: «სტირს მტარალი, ცრემელ-ნაწითლი», —
რასაკვირველია, იმატომ რომ ჰლეონანშემის შესამება უფრო ადვი-
ლია, ვინემც აზრის შეთსვკა. ვირველს ლექსში დასახული «ცრემელ-
ნაწითლი» ქალი მეორე ლექსში ანაზდგუელად «ლომის ლეკვადა»
გარდაიქცევა. — დადი ნასტომია! ზოგიერთის თვალში ქალი იქნება
ლომის ლეკვისა და ჰგავდეს... ვისა და რას ან დაუდარბიანთ ქა-
ლი!?!.. მაგრამ ასმით არაფრით გვაგონებს ლომის ლეკვას, არც
მისი და ტარაელის ურთიერთობა ჰგავს რითმე ლომისა და მის
ლეკვის დამოკიდულებას. ასე რომ მეტაფორა სრულებით ან შეუ-
ფერება ტარაელის და ასმათის ვითარებას.

თუმცა მეორე ლექსის: ფრანა—«ემა ნადირსა უნადირებს» —
ცხადად გვანიშნებს, რომ ეს «ნადირის ნადირობა» ასმათის საჩჩე-
ნად არას, მაგრამ ყალბის-მქნელი მინც იმოკრებს: «მთართმევეს და
აგრე არჩენსო». ეს კიდევ არაფერი, ჰლეონანშემებს დადი ხანია შე-
ჩვეული ვართ, — მაგრამ ასმათისათვის ნადირის მართმეკასა, ნეტა,
რა ვაგშირა აქვს ტარაელის დაუდგრომილად სიარულთან? ამ ორი
ფრანის შეუღლებით აუცილებლად ის აზრი უნდა წარმოსდგეს, ვი-
თომც ტარაელ იმატომ არას ეერთვან ვერ დამდგომია, რომ ასმა-
თის საზრდოსათვის ზრუნავს, და ამის გამო ტარაელის «ველთა
რბენის» მიზეზი სრულებით შეიცვალა: გვირა «ვითა მთვარე დაუ-
დგრომილად» თურმე იმისთვის ვი არ დაიარება, რომ ვულის ურვა
უგუიყაროს, არამედ ასმათისათვის საზრდოს საშოვნელად.

მეოთხე ლექსი — «მისგან კიდე სახასკად არა უნდა კანთა
ტომი» — თავით თვისით მსოფლიდ მისი გამოკრებას, რაც რუსთა-
ველმა მე-992 და 995 ხანებში ტარაელის მიუყვარბულბობის შესახებ
გვითხრა: «მუნ ასმით ახლავს მარტოსა, სსკა არვის უახლებია» და
«არა ჰხასკავს ვირ-მეტყუელსა, ვით ნადირი კანთა ჰქრთების». მაგ-
რამ, რადგან მე-993 ხანის უყანასკნელი ლექსი მისს წინამკავლს



ლექსებზე დამოკიდებულია, მას განსაკუთრებული მნიშვნელობაც მიეჩემა, — ვითამც ტარიელისათვის ასმითის ნახვა სანატრელია. მუდამ თავს ეკლება და მას დასტრიალებს, ამიტომ გაუგებარი რჩება, რად იტრება და დაუდგრომლად რადღა დაიარება ტარიელ, თუ ასმითის მეტი «სანახვად არა უნდა ვაწთო ტომი?»

საუურადღებოა, რა გულისმოდგინებით და გადავიდებით ცდილობს ზოგიერთი ყალბის-მქნელი ჰოუმის მოთხრობა საყოველღეო სინამდვილეს მიუახლოვოს, თუძნა მკაცრი რეალიზმი აქ ყოვლად შეუძლებელია. მწიგნობარს მეტადრე ის აღონებს, თუ რასა სჭამენ და როგორ ირჩენენ თავსა ჰოუმის გმარნი, იმ არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში რომ არიან, იმას ვი ვერ მიმხვდარა, რომ ამ საგანზე ლაპარაკი ძალაან სანიუთოა, და ჰოეტი სშირად სსსს-ცილო და უილაჟო ყოფაში ჩავრდებოდა, გმირების მატრიალური სჭირებისანი თავის ფანტაზიისათვის რომ შეეთანხმებინა. ტარიელ ერთგან ავთანდილს ეუბნება, კეფის ტყავის კაბას ასმით მიეკრავსო. წარმოდგინეთ ახლა რა გამოვიდოდა, ჰოეტი რომ ამ გარემოებას ჩასტეებოდა და იმის გამომიებას შესდგომოდა, თუ სდა შოულობდა ასმით ნემსსა და ძაფს კაბის საკრავად? ასმით თუ ტარიელს კეფის ტყავს უკრავდა, თავისათვის საკაბეს სდა შოულობდა? ან ავთანდილ ტარიელის სძებრად სმის წლით რომ წავიდა, თან რამდენი ხელი ტანისამოსი და სცკალი წაიღო? თუ არა წაუღია-რა, რა დაგლეჯილი და ტურტლიანი უნდა მისულოეო ტარიელისას! დაკარმა რომ ნესტან-დარეჟან გადაკარგა, რამდენი დღის საგზალი გაატანა და რა კაბები ჩაუღაგა კიდობანში? თუ არა და, ქალი რომ ზღვაში იყო, რასა სჭამდა ან რას იცავდა?... რა გახდებოდა «კეფის-ტყავისანი», რუსთაველს რომ მაგისთანებისათვის ენაღვლა და მოცლილიყო?

რუსთაველი იმისათვის ვი არა ზრუნავს, თუ რადუნად და რეკარად იკლავდნენ წყურვილსა და შიმშილს მისნი გმირნი, მას საგნად აქვს მათნი სულის სჯანი და ვნებანი გვიამბოს, საყოველღეო მატრიალური სჭირების დამყოფილებას ვი მხოლოდ სსკათა შორის იხსენიებს, როდესაც ეს მოთხრობის მსგელობისათვის აუცილებელია, ან როდესაც მას რამე დამოკიდებულება აქვს გმირთა



სულის მდგომარეობაზე. ჰოკტი თუ ასმათის სამოსელზე მოგვა-
სსენებს, — «ქებაისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა» (ს. 220
გვ. 47), — რასაკვირველია, იმისათვის კი არა, რომ შეკვატუბინოს,
ასმათს ბეწვეული ენკაო, და მასსადამე სამთარში არა უჭირდა
რათ, თბილად იქნებოდაო, არამედ იმისათვის რომ ქალი მგლოვიარედ
იყო. სხვაგან ტარეულ ათანდილს რომ ეუბნება (გვ. 144):

661. რომე ვეფხი შევნიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;
ესე ქალი შემიყვარავს..... და სსკ.

არა მგონია, ვინმემ იფიქროს, ვითამც აქ უშირატესი სავანი
ასმათის მიკრელობა იყოს და არა სიმკოლო მაჟნურობისა. აგრეთვე
როდესაც რუსთაველი მოგვითხრობს (გვ. 209):

942. თხა მოჰკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შეჰქმნეს ზღვისა პირსა,
ჰსევს და სკამეს, რაცა ჭამა შეჰფერობდა მათსა პირსა;
მას ლამესა ერთად იყვნეს, ერთგან მიწვნეს ხეთა ძირსა,—

იმ განზრახვით კი არა, რომ გვიჩვენოს, თუ როგორ იმსა-
დებდნენ გმირნი თავიანთის საჭმელსა ან უჭკეშაგებოდ როგორ
იძინებდნენო, — ამ საყოველღეო წერილმან ფაქტებს მხოლოდ ის
დანიშნულება აქვს, რომ მოყვარეთ გულის ღვეა და ურვა სვალნი-
დელის გაურისათვის გამოასახნ. ერთის სიტყვით, რუსთაველი
ჩვეულებრივს ნივთიერს ცხოვრების ფაქტებს ეურადლებას არ აქცევს
თუ მათის საშუალებით გმირის სულის მდგომარეობა არ გამოისა-
ტება, ამიტომაც ყოველს ამ გვანს ფაქტს თავისებური, განსაკუთ-
რებული ფერი ადევს, როგორც სურათს — თავისი კოლორიტი.

ხოლო მე-993 ხანში ნამბობს ფაქტს გმირთა სულიერს
ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ აჩვენია. ტარეულ რომ ასმათს
ნადირს «მთართმეკს და აგრე არჩენს», მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ
მათი საჭმელი ერთფერი იყო, და მათს სულის მდგომარეობას
არ შეესება. ამას გარდა, თუ ასმათის გამოკვებაზე ლაშარაკი მაინცა
და მაინც რეალიზმად უნდა მივიჩნიოთ, — მეტად წინდაუხედავი და
ამაო რეალიზმი. მართლაც-და, თუ ასმათ ტარეულის ნანადირევით
თავს ირჩენს, დიდი ხანია შიმშილათ უნდა მომკვდარიყო. მოის-



სენიეთ, რამდენჯერ გავრიალა ტარიელ, თავისი დობილი მარტო დაუგდა და დაეწიება, და დამეთანხმებოთ, რომ საუკუდდლო რელიზის კეფისას-ტეასანში ადგილი არა აქვს.

LV

ავთანდილ, რა ტარიელის ამბავს ფრიდონს შეატყობინებს (გვ. 221—222),

999. აწ ფრიდონ იტყვის სიტყვათა, მის ყმისა ნაუბართა; ორნივე სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა საქებართა, გულ-ამოსკენილი გულითა სტირან ვერ-დამთმობართა, მუნ ვარდთა წყლითა ცრემლთათა ჰრწყვენ, ტვერთა საგუბართა.

1000. ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა; ფრიდონ სტირს, მოსთქვამს ხმა მადლად, გაყრილი წლისა შვიდისა: „უხანობა და სიცრუე, ვაჟ, საწუთროსა ფლიდისა!“

1001. ფრიდონ მოსთქვამს: „რა შევასხათ, ვერ-საქებო, ვერ-სათქმე-
ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო, [ლო!
მოაზლეთა სალხინო, სიცოცხლეო, სულთა-მდგმელო,
ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამამთქმელო!

1002. რა მოგეშორე, მას აქათ სიცოცხლე მომძულეობა; თუმცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებო; შენ უჩემობა ლხინად გჩანს, მე დია მომჭირვებო; ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებო!“

1003. ფრიდონ სთქვა ესე სიტყვანი მოთქმითა შევნიერითა; სული დაიღეს, დადუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა; ავთანდილ მკვრეტთა აშვენებს ტურფითა ჰაერ-ფერითა; მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს გიშრითა ჭერითა.

1004. ქალაქს შვიდეს, მუნ დახვდათ სრა მოკაზმული სრულითა, სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა; მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს სრულითა, შეპფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასულითა.

ფრიდონ ტარიელის მეგობარია და ძიობილია, ამას გარდა მისგან დაჯალბელებიც არის, რადგან მან რამში უშეკლავ, ბიძაშვილები-



სათვის შური ეგო, ამიტომ შეუძლებელია, რომ აკთანდილის ხანძარი იფრინდოსაგან უზის-უსოდ დაჩქინილიყო, მისი გულშემატკივრობა არ გამოეწვიას. ფრინდონის დაშტაჩსაც ესსომებოდა უნსომოემე, რომელმაც მეფის მტერთა ომში ისეთ სიმხნე და მამაცობა გამოიჩინა და ერთი სამეფო მათ ააკლებინა. რასაკვირველია, დაშტაჩიც რომ სავარჯელ გმირის უბედურებას შეიტყობდა, შეწუნდებოდა და ივლოვდა. სწორედ ეს მწუნსარება ჰატრინისა და დაშტაჩის მათის მეგობრისა და მშველელისათვის გამოთქმულია ზემოეკანინილს ეპილოგიში... მაგრამ საქმე ის არის, როგორაა გამოთქმული?

არა მგონია, ბერი ლაშარავი უნდოდეს იმას, რომ მე-999 და 1000 ხანა ფორმით ძლიერ სესტია. ნუ კი დამემდურება, მეთხველო, რუსთაველის ნათქვამი ბერი ამისთანა დუხჭირი და ამხედურარესიც მოიხეობა. «ილიადაში» სესტის ხანას რომ შეჭსკლებინა, იტყვიან, «ჰომიროსის სმინავსო». — რუსთაველსაც არა ერთხელ ჩასმინებია ზოემის განმომავლობაში! მაგრამ რაც უნდა უმნოდ იყოს დაწერილი ის ორი ხანა, მისი აზრი მანც შეუმდლარი არის, მოთხრობის კითარებას ეთანსმება, მასშიგან გამხატული ფაქტი წინამავალის ფაქტის აუცილებელი შედეგია, და ზოეტს რისიც თქმა უნდოდა, სავსებით გამოსოქვა: ფრინდონ და მისი დაშტაჩი ტარიელის საცოდობით გულ-განგმირუფნი სტირინან და ჰგლოკენო.

სულ სხვას შეკვსწობით, შემდეგს სამს ხანსე რომ გადავალთ. ზირველსავე სიტყვას სივალბე ახნეკია: «ფრინდონ მოსოქვამსო», — რისთვის არის ეს შესავალი, თუ მე-1000 ხანაში ზოეტმა უკვე სოქვა: «ფრინდონ სტირის, მოსოქვამსო» და სხვ.? ფრინდონმა ძლივს ერთი ამოიოხრა, — აუნანობა და სიცრუე, ვაჲ, სავუთროსა ფლიდისაო! — და იმას მაგიერ რომ მოთქმა გაკრძელებინა, მელექსე სიტყვას აწვეკტინებს და მოთქმას ახლად აწვებინებს.

მე-1001 ხანა ტარიელის ქებათა-ქებით სავსეა, წარმოადგინეთ, კანს მოყვრის უბედურობის მოამბე მოუვიდა და გულმდურდარე მისს ტანკვას მოუთხრობს, ეს კი მოცლილს და თავისს მეგობარს ხოტბას აფრქვეს: «რა შეკასხათ, ვერ-საქებო, ვერ-სათქმელიო!»... არა მგონია, ამასე უდროო და უგუნური ქება სხვას



მოამბეობდეს, და პირიქით, — რადეც მოსწრებულა და წიგნელო
 რუსთაველის ლექსი: «უხანობა და სიცრუე, ვაჲ, საწუთროსა ფლი-
 დისა!» ფრიდონ რომ თავის მოყვარის უბედურობას შეიტყობდა,
 რასაკვირველია, საწუთროს დაჭმობდა და დასწუეკლიდა, იმისა-
 თვის რომ უბრალო გმირი და მიჯნური, მედამის ბედნიერების
 ღირსი, უსამართლოდ ისჯება... დასტურ, საწუთროს უხანობა და
 სიცრუე!

«რა შეგასხათო?» — და ახლა მოსმინეთ რაგებს ასხამს ფრი-
 დონ თავისს მეგობარს: «ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა
 გარდამსმელთა... ტყუილად ნუ ისჯებით, ამ აღმაფრენას მისჯდეთ,
 ისეკ სჯობს თეიმურაზ ბატონის შვილის განმარტება მოსმინათ:
 «ხმელთა მზენი ქვეყნისა მშვენიერი არიან, და რომელიცა მათგა-
 ნი აღმატებანი მშვენიერებითა, მზეზედაც უმჯობესნი იქნებანი
 რეცა, და თავისი ეტლი, ესე იგი საჯელი ურემი, მზეც უნდა
 დაანებოს ამის მშვენიერებას. რეცა მზესა ესე ვითარნი მშვენიერი
 თავის ეტლიდამ გარდასმენ და თითონ მზის მაგიერად მზისა ეტლ-
 სა ამხედრდებიან». თუ ამ განმარტებამ ლექსის აზრი კერ განანათლა,
 დ. ჩუბინაშვილის კომენტარის მიუხარეთო: «შენ ხარ ხმელეთის
 მზეო, რომელიც მშვენიერებითა მზეს თავის ეტლიდამ (გზიდაძე)
 გარდასვამო». გასაკვირადიც არ არის, თუ ზოეტერს ნიჭს მოკლე-
 ბულმა შეითხველმა ლექსის აზრი კერ შეიგნო, თვით რუსთაველიც
 კერ მოახსენებდა ამისთანა სანოეზიო სურათს. რუსთაველს რომ
 მაგ აზრის გამოხატვა ჭნდომოდა, იტყოდა მხოლოდ: «მზეს სჯობ-
 და», ან «მზესა სწუნობდაო», და სხვას ვერას მისჯდებოდა.

მესამე ლექსში შეგაწიწებულა ჩუულებრივი სააღერსო ეპი-
 ტეტები: «მოახლეთა საღსინოო, სიერცხლეო, სუფლთამდგმელო».
 გესლომებათ, ტარიელ რომ ზეთანდილისათვის თავის ამის სათარობ-
 ლად ემზადებოდა, ერთმა ყაღბის-მქნელმა ასეთი სატრფოს ქება ათ-
 ქვეყინა: «იმედო და სიერცხლეო, გონებაო, სუფლო, გულო». და
 სსგ. (ს. 306, გვ. 64). მართლდა, ამანუ აღვილი არ იქნება რა,
 როგორც მაგისტანს ლექსების თხზვა. სხვა რამ ბრძანეთ, თორემ
 სააღერსო სიტუებები ქართულიდან ურმობით მოიზიდება, და რამ-
 დენსაც გინდათ, იმდენს ლექსს მაგ სიტუებით აავსებთ. ლექსი

დიად «ტკბილი» გამოვა და საზანდრის სამღერლად ბარაქიანი, მაგ-
რამ, საუბედუროდ, მაგას ზოეზია მანინ გერ დაერქმის.

ტარიელის ქებას ფრიდონ ასე ათავებს: «ცისა ეტლთა სინათ-
ლო, დამწველო და დამამქმელო!» ლექსის შირველ ნახეკარში თითქ-
მის იგივე აზრია, რაც მეორე ლექსში იყო თქმული, — «სმელთა
მზეო» და სხვა, ასე რომ ტყუილი-ღა გამოერება გამოდის. საუც-
ხოვო აქ ლექსის ბოლოა: «დამწველო და დამამთქმელო!» რუსთავე-
ლი კაცსა თუ ქალს «დამწველს» რომ უწოდებს, ეს ეპიტეტი სიყვა-
რულის აღის ამგზნებელს ნიშნავს. აქ კი, თუ «დამწველი» სიყვა-
რულის აღის ამგზნებელია, ნეტა, «დამამთქმელი» რაღა უნდა იყოს:
სიყვარულის აღის გამჭრობელია, თუ სხვა რამ? ან იქნება ეს სიტ-
ყები უმეტეფოროდ უნდა ვიგულისხმეთ, და ტარიელ დამამქმეველ-
სა და მამმუსურელს ძალად არის დასახული, როგორც გველქშია
ან სხვა ავი და მანე მხეცი?

მე-1001 ხანში შეწყობილს ტარიელის ქებაზე ერთობ უნდა ით-
ქვას, რომ მაგისტანს ქება მეგობარს კი არა, — უფრო სატროფოს
შეშვანის. კაცი კაცს ეგრე როდი აქებს. ამას გარდა, თუმცა ტარიე-
ლის შესხმა უკიდურესს გაზვიადებას არის მიწეული, მაგრამ მანინ
უფერულია და საუკველთაო, ერთი ეპიტეტიც არა აქვს, რომელიც
საკუთრად ტარიელის შიროვნობას ან მდგომარეობას შეესებოდეს
და ახასიათებდეს. ეტ ქება ყველს საყვარლისათვის გამოდგებოდა:
ტარიელს რომ ნესტან-დარევის ეგრე ექო, უფლის-წულს დიად
მოუსდებოდა; ავთანდილსაც შექმლო იგივე ხოტბა თავის სატროფო-
სათვის შეესხა, და ვერ ვიტყვი, რომ თინათინის შესაფერი არ
იქნებოდა; არცა რას ფატმან დააშაკებდა, ავთანდილ რომ იმავე
ლექსებით შექმო, რადგან სხასშეტისათვისაც უკადრისი არ იქნე-
ბოდა.

გაბერილის და ფუჭი ქების შემდეგ, მე-1002 ხანში, ფრი-
დონ აცხადებს თავისს სიყვარულს ტარიელისათვის. ფრიდონ იძა-
ნის: «რა მოგეშორე, მას აქათ სინოცნლე მამმულებიაო!» ვერ
ერთი, რომ ფრიდონ კი არ მოჰშორებია ტარიელს, არამედ ეს
მოეშორა, რადგან ფრიდონ თავისს სამეფოში იყო და იქვე დარჩა,
ტარიელ კი მუღლანსანსარით წამოსული უდაბნოში გადაიარგა. მა-



გრამ «მოგეშორე» ფრიდონს რომ შენდამად ჩამოკართვით, «სინ-
ცოცხლის მოძულეებსა» კერას გზით ეარ გაამართლებს. რაზედ ეტ-
უობა, ვითამც სინცოცხლე მოსძულეობდეს? მას აქეთ, რაც ტარიელ
გაუყარა, ფრიდონ არ გვინახავს. ახლა კი, რა ავთანდილ მოკვიდა,
მეგუფის ნადირბაში შესწრო. თავისის ღაშქრით (გვ. 216)....

972.... ყოვლგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა,
ისვრიან და იხახდიან, მხეცსა სჭრიან, ვითა მჭელსა.

და როდესაც თავისს სსასხლეს მიიუყანა (გვ. 223),

1007. მას დღე ჰხვეს, სტამეს, გარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა...

ეს ნადირობა, «სმა ზათქისა და ზარისა», სმა და ნადიმობა
სრულეობით არ მოასწავებს სინცოცხლის სიმულეილს.

იგივე სინცოცხლე დანარჩენს სამს ლექსშიც გამოკრულა: «თუ-
ცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურებია», და სსვანი.
თითქო ტარიელ ღსანსა და განცხრომაში იყოს, ფრიდონ კი, გულ-
გრილის მეგობრისაგან დაგვიწყებული და უარყოფელი, მისთვის
იტანჯება, და ვითამც, მას აქეთ რაც ტარიელს გაუყარა, სულ ამ
ჩოფაშია. თუ მართლა ფრიდონს უტარიელად სინცოცხლე მოსძუ-
ლებია, მისთვის მოსურებია, დია მისჭირებია, სინცოცხლე ოხრად
გაჭხდომია და სოფელი გაარმება, — ნეტა, ამდენს ჭირს როგორ
უძლებს და რატომ არ გაიჭრება ეგოდენ სანატრელის მეგობრის
სანახავად?! მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყალბის-მჭნელის მოგონი-
ლი ფრიდონის მოთქმა ცარიელი სიტყვებია, გრძნობასა და სიწრ-
ფელეს მოკლებული, უგულო რატორული კარჯიშობა, რომელიც
არც ფრიდონის გუნებას ეთანხმება და არც მოთხრობის ვითარებას.

ფრიდონ რომ თავისს მოთქმას დაასრულებს, ყალბის-მჭნელი
დასძენს: «ფრიდონ სთქვა ესე სიტყვანი მოთქმითა შეგნაურითა».
ეს ლექსი ცხადი მიბამკაა რუსთაველის ნათქვამისა: «ორნივე
სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა სთქვამითა», განსხვავება მხოლოდ
ის არის, რომ ზოკტი ბაქობას მოკვიდა და ნაქები მოთქმა არ
წარმოსთქვა, რადგან ვის არ ეცოდინებოდა, რომ ავთანდილისა და
ფრიდონის მოთქმა მისივე მოგონილი იქნებოდა? ყალბის-მჭნელს კი

მორცხობა და თავდაზლობა როდი სჭირს, თითონ მოსწმისა ღან მოთქმა და ხსლა ფრიდონს ხბრალებს, იმან სთქვა ესე სიტყვანიო!... ჩვენც თავი უნდა მოვისუფლოთ და დავიფეროთ, ვითომც მელექსე ფრიდონს აქებს და არა თავისს თავს!

«სული დაიღეს, დადუშდეს, მივლენ არ თურქ მღერითა», განაგრძობს ყაღბის-მჭნელი. ამ ლექსის პირველი ნახევარი სიტყვითი სიტყვითად მე-916 ხანიდან (გვ. 204) მოხარულია: «სული დაიღეს, დადუშდეს, ორთავე წესელი სდებოდა; სოლო მეორე ნახევარი, თუმცა იმავე აზრისაა რაც დედანშია, ცოტად გადასხვაფერებულია: იქ წესელ-ნადებნი გმიწნი, აქ არ თურქ მღერითა» მიდიან, და, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კაცი, თუ მოთქმის შემდეგ დაწუშდა, არცა მღერის.

ყაღბის-მჭნელმა თავისი შეთხზული მოთქმა აქო, მერმე მოყმენი დაწუშა და უიმისოდაც წამოსულნი კვლავ წამოიყვანა, — ორი ლექსი, როგორც იყო, აკოსო. ხსლა რა ჰქნას, სათქმელი რომ აღარა აქვს, «დაუწყო ლექსიან ძვირობა», ხანას ვი მაინც ორი ლექსი აკლია? მაგაზე ზღვილი რა იქნება? აბა, რუსთაველმა რა სთქვა, ფრიდონ და ავთანდილ რომ ნადირობით ქალაქს წამოვიდნენ (გვ. 218)?

984. ცენტა შესდეს, გაემართნეს, ფრიდონისას მივლენ სრასა; დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მხეცსა სრვასა; ავთანდილის ჰერეტად სპანი იქით-აქათ იქმან ჯრასა, სთქვეს: „ასეთი ზორციელი შეუქმნია რაგვარ რასა!“

თუ წამოსკლისას ფრიდონის სპანი ავთანდილს ასე ესეკოდნენ და მისს შეკნიერებს გაკვირებულნი შესტყროდნენ, — რა დაუშლის კვლავაც უფროს, როდესაც ფრიდონ და ავთანდილ «მივლენ არ თურქ მღერითა? ყაღბის-მჭნელმაც ისეღთა ავთანდილს შეკნიერებს და დაჭკრს კვირი; «ავთანდილ მჭკრეტთა აშკენებს ტურფითა ჰქერ-ფერითაო». ამას იქით გინდა შემოიტანს ეჭას, ვითამც მე-1003 ხანას რუსთაველის დაწერილი არ იყოს, თუ ზოეტმაც ამგვარსავე შემთხვევაში თითქმის იგივე სთქვა?

უკანასკნელს ლექსად, ავთანდილის «ტურფა ჰქერ-ფერისა» დასამტკიცებლად, ყაღბის-მჭნელი დასძენს: «მელნისა ტაბათა მიჯარითო



ჭბურავს გიშრითა ჭკრითა», ე. ი. შავს თვალებს სშირი და შავი წამწამი ჭთარავდაო. თუ გგონიათ, ვითამც მეტაფორა ყალბის-მქნელის მოგონილი იყვას,—ესეც ნათხოვარია და მწიგნობრულ გემოვნებისამებრ დაუშნობელი. რუსთაველი იმავე ავთანდილზე სხვაგან ასე ამბობს: *კვარდისა ზადსა უწრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა*» (ს. 1254, გვ. 280). ახრი ერთია, განსხვავება მხოლოდ სტილითა: ერთ მხრივ, რუსთაველის ენის ზომიერება და მეორეს—მწიგნობრული გასვიადება. ქოხი რომ ზადს აჩრდილებდეს—შესაძლებელია, ტბასედა კი ჭკრი არავის გადაუფარებია. მაგრამ, მეტაფორა როგორიც უნდა იყოს, რა კავშირი აქვს ავთანდილის შავს თვალებსა და წამწამის ფრიდონის «შეენიერს მოთქმასთან», მოყმეთ ქალაქისაკენ სვლასთან ან სხვა ამბავთან?—არაფერი. ლექსის მხოლოდ ერთად ერთი ყოფნის საბაზი აქვს,—სანა შეასრულოს.

შეამჩნევდით, რუსთაველს უყვარს თავის გმირების სიტუაციის ქება, და სშირადაც აქებს სოღმე, მაგრამ ისე წარამარად და შეუსაბამოდ კი არა, რომ მსმენელს მოაბეზროს ან ქება უაზრო და ან უადგილო გასდეს. გმირის შეენიერებას მამინ ასსენებს, როდესაც იგი პირველად ვისმე დაენახვება, ან დიდი ხნის უნახავი თავის მოყვარეს შეეფრება, ან კიდევ როდესაც გმირის მდგომარეობა რითიმე შეიცვლება და მისს შეენებს დაეტყობა, განახლებს ან დაჩრდილებს. მაგალითების მოსაყვანად, შორს რომ არ წავიდეთ, ამავე «ავთანდილისაგან ფრიდონისას მოსვლის» ამბის გადათვალეობებზე კმარა: მენახენი ავთანდილის შეენიერებამ ისე გააკვირვა, რომ პირველი მათი სიტყვა, რა დაელაზარებენ, მის სიტუაციის ქებას (გვ. 214)—

964..... ტურფაო სახით და ანაგებითა,
გვეუტხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებით ქებითა!

მულაზანზარს რომ მიკახლას, მეფური ნადირობა ნახს და შეიტყო, რომ ფრიდონ ნადირობსო, ეს სასიამოვნო ამბავი მამინვე დაეტყობა არა მხოლოდ ავთანდილის გუნიებას, არამედ მისს შეენებისასაც (გვ. 216):

973. მათ ლაშქართაქენ წავიდა მით უსახოთა ქცევითა;
გამხიარულდა, შევენება მის ყმისა ვთქვიმცა მე ვითა!
მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწევს მზე ვითა,
ჰნახოს, მკრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს, ხე ვითა.

ამ დროს «მათ ლაშქართა ეოლბესა შუა ორბი სითმე კარდო-
ფრინდა», აკთანდილმა ისარი სტუოცა და ჩამოაგდო. ამის მნა-
სკეღნი—

975..... მსროლელნი სროლასა მოეშლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,
იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,
ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო“? ვერცა რას ეუბნებოდეს.

ფრიდონის მიგზავნილმა მონამ, რა ნახა აკთანდილ (გვ. 217)—

977. სარო, ნორჩი ტანი,
დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი,
და თაგისს ჰატრონთან აშბის თხრობად რომ მივიდა,

979. უთხრა: „მზე ვნახე მოსული, ჩანს მნათობელად დღისისად,
ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ჰნახონ ისი სად“....

თვით ფრიდონმაც აკთანდილს (გვ. 218)

981. რა შეჰხენდა, ესე სთქვა: „თუ არ მზეაო, ისი ვინ ა“?
მას მეტობდა, რაცა ჰება მონისაგან მოესმინა.

როგორ მოხაზლა ფრიდონის სზანი აკთანდილის თვალადობამ,
ამას წინ განხეთ, მე-984 ხანაში. მის შეკნების ძალას კერ წაუკიდნენ
კერც ფრიდონის შინა-ყმანი, რომელნიც (გვ. 222)

1004. შეჰფრფინდნიან ავთანდილს გულითა სულ-წასულითა,
და კერც დიდებულნი, როდესაც ფრიდონ და აკთანდილ

1005..... ერთგან დასხდეს, ვინცა ვინ სთქვა ჰება მათი!
ბროლ-ბადაშხსა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.

ამ მრავალ მაგალითებით სჩანს, რომ ეპეღან, სადაც კი რუს-
თაეკელი აკთანდილის შეკნებას იხსენიებს, ეპეღა შემთხვევაში მისს

ქებას რაიმე სახაბი აქვს. რუსთაველისათვის გმირის სიტუირფის ქება მოთხრობის ცარიელი მოკაზმულობა როდია, თვით მოქმედებითი ძალაა, რომელიც ამბავს მიმართულებას აძლევს, გმირის შეგნებით მისნი მჭკრეტელი მოსიბლუღნი და განსტკვალუღნი არიან და ამ გრძნობის-და გვარად მეტყუელობენ და მოქმედობენ. ამიტომაც გმირის შეგნების ქებას რუსთაველის მოთხრობაში ყოველთვის თავისი დანიშნულება და აზრი აქვს, ამბავზე დამოკიდებულია. მე-1003 ხანში კი ავთანდილის «ტურთვა ჭყერ-ფერისა» ხსენება უადგილია. მას აქეთ რაც ფრიდონ და ავთანდილ ნადირობით წამოკიდნენ და სანამ ქალაქს შეკლენ მათნი მხლებელნი იგივე ფრიდონის მონანი, მსროლელნი და სხანი არიან, რომელთაც უკვე ნახეს ავთანდილის სიტურთვე, მისთვის უკვე დაზნდნენ, თვალნი გაურტდათ და დაშმაგდნენ; გზაში ახალი მჭკრეტელი არავინ შესკვდრია და ავთანდილის მდგომარეობაში არა შეიცვალა-რა, რომ მისს შეგნებაზე ემოქმედნა, მაშასადამე მისის «ჭყერ-ფერისა», შავის თვალებისა და წამწამის ქება უსახაბოა და უშედგოა ღ უქმს ყებდობად რჩება.

LVI

ავთანდილ და მისი ახალი მეგობარი სამეფო დარბაზს რომ მივიდნენ (გვ. 222—223),

1005. შევიდეს და დიდი შეჭმენეს ჯალაბობა, არ ხალვათი, იქით-აქით დიდებულნი წარიგებით ათჯერ-ათი! თვით ორნივე ერთგან დასხდეს, ვინცა ვინ სთქვა ქება მათი! ბროლა-ბადახშა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.

1006. დასხდეს, შეიქმნა პურობა, გამარავლებდნენ მახალსა, უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მძახალი მძახალსა, მოიღებდიან ჭურჭელსა, ტურფასა, ახალ-ახალსა, მაგრა მის ყრმისა მჭკრეტელთა გული მიეცა გალან ალსა.

1007. მას დღე ჰხვეს, სტამეს, გარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა; გათენდა, ჰბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა, შესამოსელი შეჭმოსეს დრაცნისა ბევრ ათასისა; შეარტყეს წელსა სარტყელი, დაუღებელი ფასისა.



მე-1007 ხანის ზირკულ ლექსის ასეთი დასაწყისი, როგორც ეს ჩვენი აქვს, რომ არ ექნება, მაშინ დავიკვირებდით, რომ მე-1006 ხანაში ნამბობი ნადიმი რუსთაველის დაწერილია; ესეა კი, რა პოეტმა სთქვა: მძის დღე ქსეკს, სჭამესო, წინა ხანაში აღწერილი „პურობა“ ამ სიტყვების ტყუილი გამოარებაა. შეუძლებელია, რომ რუსთაველს ნადიმობა დაწერილებით აქვროს და მეომე ზედ დაემატოს: მძის დღე ქსეკს, სჭამესო, — რადგან რაღა ნადიმი იქნებოდა, თუ არ ექნათ და არ ესკათ? ასეთი მოთხრობა მეტად უთავბოლო იქნებოდა. პოემის განმომავლობაში რუსთაველმა რამდენიმე სსკადა-სსკა ნადიმი გვიამბო: ნადიმი თინათინის გვირგვინის გურთხევის დროს (ხ.ხ. 56—71, გვ. 13—16), ნადიმი ტარიელის ხატაელთა გამარჯვების გამო (ხ.ხ. 479—484, გვ. 104—105), ნადიმი მეფე როსტეკანისა, ავთანდილმა რომ გეფხის-ტყაოსნის იმპონა და არაბეთს დაბრუნდა (ხ.ხ. 680 და 681, გვ. 15), ნადიმი სოკრატ კეზარისა ავთანდილისათვის გამართული (ხ. 764, გვ. 168) და სსკანი, და კერც ერთს ამ ნადიმების ამბავში არეულს მოთხრობას კერ ნახათ. ყველა ნადიმების აღწერის მოყვანა აქ მეტად გავრძელებოდა, და მოვიხსენიოთ მხოლოდ ერთი, სამაგალითო (გვ. 16):

680. მძის დღე დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭმა;
 ყმასა მეფე ასე უტვრეტს, ვითა შვილსა ტუბილი მამა,
 მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნა, ვარდსა ნამა;
 უხვად გასცეს საბომცარი, მარგალიტი ვითა დრამა.

681. სმა გარდახდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა, და სსკ.

ამ მაგალითით ცხადად სჩანს, რომ რუსთაველს ფრიდონის ნადიმის აღწერა რომ ნდომოდა, კერ იტყოდა: „მძის დღე ქსეკს, სჭამესო“, — მეომე რაც ამ სმა-ჭამის დროს მოხდა იმას გვიამბოდა და ბოლოს, დაასრულებდა: „გვარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა“, — რადგან ასეთს მოთხრობის გაწეობას მოითხოვს გრამატიკა და გონიერობა. ესეა კი ფრიდონის ნადიმი ამ რიგზე ნამბობი: შეიქმნა პურობა, ე. ი. სმა და ჭმა, ავთანდილს უმასპინძლებდნენ, ახალ-ახალი ჭურჭელი მოიტანეს, ავთანდილის მჭკრეტელთ გული აღს



მიეცა, კვლავ სვეს და სჭამეს და ნადიმი გარდახდა. საყურადღებოა აგრეთვე ხანის დასაწყისი: «დასხდეს», რომელიც სრულიად მეტია მოთხრობისათვის, რადგან პოეტმა ეს-იუო სთქვა: თვით ორნივე ერთგან დასხდესო. ეს არის პირველი ნიშანი მე-1006 ხანის სიყალბისა, რომ მოთხრობას ლოგიკურად არ ერთვის და მისს სხუელს ხორციელისაგან აწის. მაგრამ გარეგანი ნიშნების უმეტეს ხანის სინტრუქს ამხელს მისი მოთხრობის შეუსაბამო შინაარსი და უშნო სტილი.

პირველი ლექსი—«დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებენ მახალსა»,—როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ჰბამავს ზემოყვანილის მე-680 ხანის ლექსს: «მის დღეს დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭამა», და შესანიშნავი განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ ყალბის მქნელი «სმა და ჭამის» მაგიერ რაღაც «მახალს» ამრავლებს. ახლა საქმე ის არის, თუ ეს უცნაური სიტყვა რას ნიშნავს? ვახტანგ მეფის განმარტებისამებრ, «მახალი» ხურჯინია; «საბა-სულხან ორბელიანის ლექსიგონშიაც სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს. ამისდა გარდა ფრანზა «გაამრავლდებენ მახალსა» იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფრიდონის ნადიმზე პური (საგონებელია, მხოლოდ პური) ხურჯინებით მოჭქონდათო, ასეთი სისულელე თეიმურაზ ბატონისშვილმა იუცსოვა და ენადა სიტყვა სსკაფრიო აქსნა. მისის თქმით, «მახალი სსსმელია, რომელიცა მისცემს მხარელებსა და დათრობს. (მახალი თეიმცა ხურჯინსაც ეწოდება, მაგრამ აქ ხურჯინის თქმა ყოველითურთ უშესაბამო არის, და არც რუსთაველს ხურჯინი უთქვამს). მახალი საუკეთესო სსსმელი არის, ღვინო თუ ოტკიიერი რამე. მახალი ხლასაც ნიშნავს, ესე იგი ორი სსსმელი დოსტაქანი ორთა მოყვასთა რა აღიდონ და ერთმანეთის სადღეგრძელო შესვან ჭ დოსტაქნები ერთმანერთსა მახალონა. ეს დახლათული და განუსაზღვრელი განმარტება უცილობელი საბუთია მისის უსაფუძვლობისა. პირველს ფრანზაში «მახალი» ერთგვარს სსსმელსა ნიშნავს, შემდგომ კი იგივე მახალი ღვინოც გამოდის და «ოტკიიერიც», მხოლოდ საუკეთესო. მაშ რაღას ჰქვიან «მახალი»: ერთს გვარს რომელსამე სსსმელს, თუ ერთობ საუკეთესო ღვინოსა ან არაყს? «ოტკიიერი რამე» რუსთაველის დროს საქართვე-

ლოში ცნობილი არ იყო, და, თუ «მასალი» ერთობ საუკეთესო ღვინის სახელია, შეუძლებელია, ღვინის მსმელთა ქვეყანაში იმდენად დავიწყებულა ყოფილიყო, რომ ქართული ენის ზედმიწევნით მტოდნეთ ვასტანგ მეთეს და საბა-სულხანს არა სტოდნოდათ. ამათვის ასეთის მნიშვნელობის მოხსენება მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ სიტყვა სსკაფორიკ ცნობილი იყო. არც მეორე განმარტებაა მასალები, ვითამც «მასალი» სტატუნების მიხლა იყოს, რადგან ეს კერძობული ჩვეულება მხოლოდ ამ საუკუნოში შემოვიღეთ, და თვით კერძობიანც ეს ჩვეულება ძველი არ არის. მე მგონია, რომ თეიმურაზ ბატონისშვილი ტყუილად მოსტდა «მასალის» განმარტებით. დიად კეთილი განზრახვა ქმნდა თავისის მოგონებით ლექსი უკუნურობისაგან გადაურბანა, რადგან რუსთაველი სრული ეტონა, მაგრამ «მასალი», როგორც იყო სურჯინი, ისევე სურჯინად დარჩა, და თუ ყალბის-მქნელმა წამორომა ეს სიტყვა, იმიტომ მოუვიდა, რომ სადარბაზო ნადიმის წესი და რიგი არ იცოდა. ამისთანა უვიტობას ამის ქვეითაც ვნახავთ.

მეორე ლექსი—ეუმაწინძლებდეს ავთანდილს, ვითა მძახალი მძახალსა—ავრეთვე მიბამვა მე-ნ80 ხანის ლექსის: ეუმაწა მეფე ასე უჭკრეტს, ვითა შვილსა ტბილი მამა. ხოლო რამდენად მიუმსდარია ყალბის-მქნელი ფრიდონის და ავთანდილის ურთიერთობისა, იმით სჩანს, რომ მძახლებად სახავს, როდესაც რუსთაველის თვალში ესენი «გაუერულნი მძად-ფიტნი და ვითა მძინა არიან (ს. 1018, გვ. 226). ვინ იცის?—იქნება ყალბის-მქნელსაც ფრიდონის და ავთანდილის მძობა სწამს, მაგრამ რა ქმნას, თუ «მასალს» მხოლოდ «მძახალი» ეთანხმება?!...

რიფმის უზოგნელობის გამო, თუ დარბაზის წესისა და რიგის უცოდინარობისაგან, ყალბის-მქნელი ერთს სისულელესაც წამორომაჰს: «მოიღებდიან ჭურჭელსა, ტურფასა, ახალ-ახალსაო». ლექსის იდეა ნასესხია რუსთაველისაგან აღწერილას ფარსადან მეფის ნადიმიდან, სადაც «ჰამა და ჭიქა ყოველი ფირუშისა და ლაღისა» იყო (ს. 479, გვ. 104), მაგრამ ყალბის-მქნელს მგონია, რომ მეფურის სუფურის შესაფერი ჭურჭელი ახალ-ახალი უნდა იყოს. თითქო ფრიდონ გამდიდრებული ბურჯუა იყოსო, რომელიც საშა-

ნაოდ დაჟეჟილ-დამტკრეულს ჭურჭელსა ხმარობს, სსსტუმროდ კი
 ახალ-ახალს მოალებენებსო. იმის აზრით, სამეფო ჭურჭელის ღირ-
 სება სიტურფესა და ფასსე კი არა, — სიასლეზე ჰქვიდა.

უკანასკნელი ღეჟსი ისე უცნოდ არის მიბმული, რომ ასეთი
 აზრი გამოდის: ახალ-ახალს ჭურჭელს მოალებდნან. ძეგრა მის
 უმისა მჭკრეტელთა გული მიეტა გლახ ალსაო. მაშასადამე ახალ-
 ახალი ჭურჭელი რომ არ მოკლათ, აკთანდილის მჭკრეტელთა გული
 აღს როდი მიეტემოდა....

აღ. ს — შვილი.



ხელოვნება სოხიუმლოგიურის აზრით

(ე. გიულისი)

XIII*)

ხელოვნების მხატვრობრივი მხარე

მწერლის ხელოვნებას შეადგენს ის, რომ იგი მკითხველის სულს თითქმის საესებით იმონავებს და ამ რიგად აიძულებს თავის საკუთარ იდეათა სფერაში შეიყვანოს; ამავე დროს გრძნობათა ორგანოთაც სრულიად უხშობს, რომ სხვა-და-სხვა გარეშე მოვლენათ მკითხველზედ გავლენა არ იქონიონ და არა აგრძნობინონ-რა. თუ რომ მწერალს აზრად აქვს მკითხველი რომელსამე სრულიად უცნობს ქვეყანაში გადაიყვანოს, ან ისეთს რასმე მოუთხრობს, რაიცა მისთვის უცნობია; ამ შემთხვევაში ხომ საგანი ერთი-ორად გაადვილებულია: მწერლის-მიერ ნათქვამისა და ნაჩვენების გარდა მკითხველი ვერც რას გაიცნობს, ვერც ჰნახავს და ვერც გაიგონებს; იგი მხოლოდ მწერლის სურვილისამებრ შერჩეულ იდეათა შორის ტრიალებს და მათ ითვისებს: ამ რიგად მომზადებულს ნიადაგს, ანუ ეფექტს, როგორც ჰხედავთ, ხელს ვერა შეუშლის-რა და მკითხველი თითქმის მაღლად მწერლის გავლენის ქვეშ იქნება. შესაძლებელია, მხატვრობრივის ნაწარმოების მომჯადოებელი მოქმედება სწორედ აქაც იფარებოდეს. მხატვრობა შესაძლებელ-ჰყოფს ესა თუ ის საგანი ჩვეულებრივ გარემოება-მდგომარეობიდან გამოყოფილ იქმნეს

*) იხ. „მოამბე“ № II.



და ჩვენი მათ შესახებ უმკვეხი წარმოდგენანიც ჩამოვიტოლოთ.

ამ შემთხვევაში მხატვრობის უმთავრესი აზრი ის არის, რომ ჩვენი იდეები განაკერძოვოს და ჩვეულებრივი მოლოდინი გავვიტოლოთ. მაგალითად, წარმოიდგინეთ პროვანსის ლერწამი, რომლიდანაც ბავშვები სალამურს გამოსჭრიან ხოლმე, ანდა თევზის ქერის დროს ხმარობენ ნემს-კავზედ და დააკვირდით, რა აზრი დაგებატებათ: ეჭვი არ არის, იგი უფერულად და ჩვეულებრივად გჩვენებათ, რომელიც თქვენს ყურადღებას სრულიადაც არ მიიზიდავს. მაგრამ აბა დროებით პროვანსს თავი დაანებეთ და ფიქრით საბერძნეთში გადადით, სადაც გლუხებს ერთი ქოხიდან მეორეში ამავე ლერწმით გაღვიებული ნაკვერჩხალი გადააქვთ. მარტო ეს ერთი გარემოებაც კი, რომ თქვენი წარმოდგენა მანძილით დაშორებულია, გაუცხოქვეყნებულია, ლერწმის სახეს პოეტურს ხასიათს აძლევს. აბა ახლა ეს თქვენი წარმოდგენა დროითაც დააშორეთ და გაიხსენეთ ის უძველეს დროის ლერწამი (nartex), რომელსაც გეზიოდი იხსენიებს და რომლითაც პრომეთეოსმა ზეციდან ცეცხლი მოიტაცა: თქვენ ახლა სავსებით კლასიკურს პოეზიაში გადახვალთ. თუ ამ რიგად დროითა და მანძილით დაშორების შემდეგ თქვენს ბაღში მდგომს პროვანსულს უბრალო ლერწამს დააკვირდით, იგი უთუოდ სულ სხვაგვარად შეცვლილად გჩვენებათ, რადგანაც ამ ზემოდ აღნიშნულმა სივრცესა და დროში მოგზაურობამ, ერთის წამითაც არის, სრულიად მოსპოა ჩვეულებრივ იდეათა წარმოდგენანი.

არ უნდა დავივიწყოთ ის ქეშმარიტება, რომ ცხოვრება და მისი კანონები ყოველს ქვეყანასა და ყოველს დროში თავისს წვრიმალ მხარეთი თითქმის ერთნი არიან: ძუძუ-მწოველი ყველგან ძუძუ-მწოველია, მცენარე მცენარეა; სინამდვილე აღმოსავლეთსა და დასავლეთში, წარსულსა და აწ-მყოფში, ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს სინამდვილე, რომელსაც ჩვენი სხვა-და-სხვაგვარი წარმოდგენა სჩრდილავს, ამ მეზანიზმს მოვაცილოთ და თავისს ნამდვილ სახით წამოვაყენოთ; ეს არის მუდმივი საგანი ხელოვნ-

ნებისა. მაშასადამე, გოტიეს სიტყვისა არ იყოს, თუ რომ შარ-
თლა „საყვირ რქასავით ტკბილად მოწკრიალე“ სიტყვები არ-
სებობს, საჭიროა ამ რქამ კიდევ სხვა რაღაც გვაუწყოს, ლაშ-
ქრობად მიმავალს ცოცხალს მხედრობას წინ უძღვოდეს, საჭი-
როა — ძალა იღეთა, გრძნობათა და მოქმედებათა მუდამ თან
ახლდეს და ყოველივე ეს გვაგრძნობინოს. აი, აქ უნდა ვე-
ძიოთ რომანტიკოსთა და ვიქტორ ჰიუგოს დიდი შეცდომა,
როდესაც უზეციურ მაღლად ჰქმნიდნენ რასმე და ჰუიქრობ-
დნენ — ძალა და აზრი მთლად თავბრუ-დამსხმელ სიტყვებშია,
ხელოვნების საფუძველი მხატვრობრივობაშიაო. ამ რიგად თა-
ვიანთისავე სიტყვებით განცვიფრებულნი და დაბრმავებულნი
იგინი „ქარიშხალში“ აღწერილს იმ მემამოხე მონებს ემზავ-
სებოდნენ, რომელნიც გამოქვამულ კლდის შესავალში ჩამო-
კიდულს ოქრომკედის ნაფლეთებს შეპყურებდნენ და სტკბეო-
დნენ. მაგრამ მხატვრობრივს ნაწარმოებს აზრი სრულად დაკარ-
გული აქვს, თუ ნამდვილს არ ეთანხმება. მხატვრობრივობა თა-
ვისთავად მხოლოდ ერთი საშუალებათაგანია და საკმაოდ უშვერი
საშუალებაც; იგი უფრო წინააღმდეგობისა და უთანხმოების გა-
მომხატველი საშუალებაა და მოგვაგონებს აი რას: ზოგიერთს
ნახატში უაზროდ ნახმარს მხიარულს ფერადს, ულამაზო ქალის
მდიდრულს სამკაულს, უსახო და ულამაზო ქალის პირზედ შეთი-
თხნილს ფერ-უმარილსა და სხე. ყოველივე, რაც კი მსწრაფლ-
წარმავალი და იშვიათია, მხოლოდ მაშინ შეიქმნება ხოლ-
მე ხელოვნების საგნად, როდესაც იგი ღრმა აზრით არის აღ-
მოჩენილი და ფილოსოფიურის აზრით ადამიანის ბუნების კანო-
ნებთან დაახლოვებული, შესისხლხორცებული; აი, ეს გარემოე-
ბა გარდაჰქმნის ხოლმე ამ გვარს იშვიათს რასმე „სამარადისოდ“.
გარეგან და ზეზეურ მხატვრობრივობაზედ მოსაწყენი და აუტა-
ნელი არა არის-რა. თუ ჰსურთ, რომელსამე დაშორებულსა
და უცხო დროსა და გარემოებაში გადაგვიყვანონ, საჭიროა
უთუოდ ის იმ დროის ცხოვრება აგვიწერონ, გავაცნონ, რო-
მელსაც თავისს საკუთარ ხასიათთან ერთად ჩვენს ცხოვრებას-
თანაც ბევრი რამ ექნება საერთო. ასე იქცეოდნენ მაგალითად:



ბერნარდენ დე სენ-პიერრი, ფლობერი, პიერრ ლოტი. აღნიშნულ პირთა ნიჭი იმითია აღმტაცებელი, რომ არა-ჩვეულებრივს ცხოვრებასა და მოვლენას თანაგრძნობის ღირსად ჰხდიან, შორეულს ამბავს გვიახლოვებენ, ჩვენგან უცნობსა და უცხო ცხოვრებაში თუ რამ უცნაურია, ადვილად და უბრალოდ განგვიმარტვენ, — არა იმ რიგად, როგორც მაგალითად რომელსამე მანქანას, მისს საიდუმლოს აუხსნიან და განუმარტვენ ხოლმე, არამედ გრძნობითა და გულით გვაგებინებენ ყოველივეს. ამ რიგად ახსნილი საგანი და მოვლენა ჩვენთვის სულადვილი გასაგები ხდება, თითქოს ხორც-შესხმული ტრიალებდეს ჩვენ თვალ-წინ. აი ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი საზოგადო წარმოდგენა ცხოვრების შესახებ თანდათან ფართოვდება, ფაქიზდება, როდესაც ჯერედ უცნობს საკაცობრიო ტანჯვასა, ან სიხარულს განიცდის ხოლმე ჩვენი გული, — ტანჯვასა, ან სიხარულს, რომელთაც ჩვენ საკუთარ გრძნობებზედ ნაკლებ ღირსების მქონედ არ ვაღიარებთ და რომელთაც უფლება აქვთ ეგრედ-წოდებულს ერთა გონებრივს ნაწარმოებში — მწერლობაში, ადგილი დაიჭირონ, ნათლად ვგრძნობთ როგორ მდიდრდება იგი.

XIV

სამწერლობა ენა (ახუ კილა). რა ზრის უბრალოება ხელოვნებაში

უპირველეს ყოვლისა ლაპარაკით ადამიანი თავისს მზგავსთ აზრს უზიარებს და ამ რიგად კაცთა შორის უბრალო გონებრივი კავშირი მყარდება; მაშასადამე, ხელოვნებათა, მწერლობისა და პოეზიის ენა ეს სულ სხვა რამეა, რომელიც სწრაფად და ნათლად აზრის გადასცემ რალაც ტეგლერაფის მაგვარს უბრალო მანქანას სრულიად არ წააგავს; ჩვენ წინ აქ სამი საგანია: 1) იდეალი, რომელიც ხელოვანს შეუგნია და შეუყვარებია; 2) ენა, რომელიც მას შეუმუშავებია და, დასასრულ, 3) მთელი ის საზოგადოება, რომელსაც ხელოვანი უპირობს თავისი მწე-

ნიერობისადმი სიყვარული გაუზიაროს. სამწერლობო ენა, კილო მწერლობისა სიტყვაა, ორგანოა საზოგადოებრიობისა, რომელიც თან და თან მეტყველდება, გამომხატველობითსა და შთამკონებლობითს ძალას იძენს, იმ ძალას, რომელიც მას საზოგადოებრივობის იარაღად ჰქმნის. სამწერლობო კილოს თვისებად უნდა ჩაითვალოს ჯერ ერთი გამომხატველობითი ძალა, რომელიც ყოველივეს ნათლად და ცოცხლად დაგვანახვებს ხოლმე; მეორე — შთამკონებლობითი ძალა, რაიცა მტკიცდება იმითი, რომ იდეათა ასოციაციით (შემოკრებით) იგი კიდევ გვაფიქრებს და კიდევ გვაგრძნობინებს. თვითეული გრძნობა ხმის ინტონაციითა (des accents) და მასთან შეთანხმებულ და შეხამებულს მოძრაობით გამოიხატება. ინტონაცია ყველა მათგანისა თითქმის ერთი და იგივეა, ასეთია მაგალითად ინტონაცია მოულოდნელობისა, ელდისა, სიხარულისა და სხვ. მიმოხვრა და მოძრაობაც ერთი და იგივეა; აი, სწორედ ამიტომაც შესაძლებელი სხვა-და-სხვა გვარს ნანიშნებსა და მოვლენას აზრი გავუგოთ; ხელოვნებამ ეს ინტონაცია და მიმოხვრა სავსებით უნდა აღადგინოს, რომ „შთაგონების“ საშუალებით მათ მიერ გამოხატული გრძნობა ადამიანს სულში ჩაჰბეროს. მაშასადამე, ეს კიდევ არაფერია, რომ კილო მწერლობისა, ანუ სამწერლობო ენა, — როგორც ბიუჟონიც ფიქრობდა, — „აზრთა გაწესრიგებასა და მოძრაობაში“ გამოიხატება; ამას მხოლოდ ერთი რამ კიდევ უნდა მიემატოს, — სახელდობრ, ის რომ გრძნობათა წეს-რიგზედ დაწყობა და მოძრაობა ერთად-ერთი საშუალება თანაგრძნობის გასაღვიძებლად და მოსაპოვებლად. თუ მართალს ვიტყვი, ჩვენ მხოლოდ ადამიანს თანავეუგრძნობთ; ამიტომაც, ყველა სხვა მოვლენანი და საგნები იმდენად იზიდავენ ჩვენს ყურადღებასა და თანაგრძნობას, რამდენადაც ადამიანის გულისა და სულის თვისებათა ამხსნენი არიან, რამდენადაც მის სულის მოძრაობასა და ხატებას გადმოგვცემენ. აი, სწორედ ამისათვის „სამწერლობო კილო, ანუ ენა იგივე კაცია, ადამიანი და სხვა არაფერი“. მაშასადამე ნამდვილი სამწერლობო ენა იმავ გრძნობათა და აზრთაგან იშო-



ბების; იგია ამ აზრთა და გრძობათა დამთავრებულად და სრულიად გამომეტყველი, ერთსა და იმავე დროს პირადისა და საზოგადო აზრის გამომხატველი სწორედ იმავე რიგად, როგორც საყოველთაოდ სახმარებელს და მიღებულს სიტყვებს ხმის ინტონაცია თავის განსაკუთრებულს აზრს აძლევს. ამ ქემარიტ სამწერლობო კილოს მოკლებულნი სალიტერატურო ნაწარმოებნი იმ „მექანიკურ პიანო“-ს ემზავსებიან, რომლებიც მაშინაც კი არას გვაგრძობინებენ, როდესაც საუკეთესო არიებს უკვრენ; იგინი გულს არ გვილხვობენ, ვერ ვგრძობთ, რომ დამკვრელის თითებიდან და საკრავის მთრთოლვარე სიმებიდან სხვა-და-სხვი სულიერი მოძრაობა და ადამიანის სიცოცხლე, რომლებიც ვითომ-და ამ მუსიკაში უნდა იხატებოდნენ, ჩვენს არსებას უახლოვდებოდეს, ჩვენზედ გადმოდიოდეს.

სამწერლობო კილოსათვის საჭირო გემოვნება ეს ის ღრმა კანონებია, რომელნიც ერთის მხრივ სიცოცხლეს ჰქმნიან და მეორე მხრივ განაკებენ მას. გენიოსის ზეშთაგონებას უმეტეს ნაწილად ეს ზემოდ აღნიშნული გემოვნება განაგებს, მისგანვე აღიარების რა არის ღირსი გენიოსის ყურადღებისა; ურიცხვ ასსოციაციათა შორის, რომელსაც ერთი რომელიმე შემთხვევა აღუძრავს ხოლმე გენიოსს, გემოვნება ამათგან მხოლოდ ერთს რომელსამე არჩევს და მას შესასებ ქსჯას. მწერლობა, ხატვა, ქანდაკება და სხვ. ყველა ეს შერჩევის უნარია. მწერალი, მემუსიკე, მხატვარი და სხვ. თავის ბუნდოვან იდეათა შორის უცბადა სცნობენ მას, რაიცა სწორე მელოდიური და კარგია: რომელსამე წინადადებაში, მაგალითად, პოეტი ლექსის ნაწყვეტს, ჰარმონიულს სიტყვათა წყებას უცბად მიჰხედება.

გარდა ამისა, სამწერლობო ენის საზოგადო კანონების ხმარების დროს თვითეულს ხელოვანს ნაწარმოების შესაფერი და მისადგომი ცვლილება შეაქვს. ასე, მაგალითად, თუ ცალკე აღებული დისსონანსები მუსიკაში კეთილ-ხმოვანებას სრულიად არღვევენ, აკკორდებთან შეთანხმებულნი იგინი ყურს სულ სხვა რიგად ეჩვენებიან, ატკობენ. მართალია, ზოგიერთი კანონი უცვლელი და უმოძრაოა, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ იძლევა,

რომ ყოველივე შესაძლებელი განკარგება ადრევე გამოყოფილ და დადგენილ იქნეს. ის, რაც ხანდახან კანონისა და წესის დარღვევად გვეჩვენება, ხშირად მხოლოდ მისი გავრცელება, გაფართოვება და განაყოფიერებაა სხვა-და-სხვა გვარ ახალ-ახალ ცვლილებათა შეტანითა და გამოკეთებით. ხშირად ისაც გვეჩვენება ხოლმე, ვითომ სხვებზედ უკეთესად თავისს ხელოვნებისა და მის წვრილმალ წესთა მკოდნე ამ წესს არღვევდეს, მაგრამ საქმე ასე როდია. ასე, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს ბრალსა სდებდნენ ფრანგული ლექსთა-წყობა დაარღვიანო, მაშინ, როდესაც დიდებულმა პოეტმა იგი ბევრად გააუმჯობესა, განავითარა და გარკვეულს წესსა და რიგს დაუმორჩილა.

ძველი სარიტორიკო ტრაქტატები მხოლოდ ორს სამწერლობო ენას აღიარებდნენ: უბრალოსა და განვითარებულს, მაღალ-ფარდოვანს; უბრალო სამწერლობო ენასა და ფიგურალურს (მხატვრობრივს) ერთი მეორის წინააღმდეგად, ერთი მეორისაგან განსხვავებულადა სთვლიდნენ. მაგრამ მაღალ-ფარდოვანი და გამშვენიერებული ენა ხშირად მხოლოდ ფორმაა უბრალო ენისა: აბა, შექსპირის ამ დიდებულ და ტრაგიკულ ფრაზაზე*) უბრალო ან ბიბლიისა და სახარების უმეტეს ნაწილთა უმაღლესი რაღა იქნება! მეორე მხრივ, უბრალო სამწერლობო ენა იმიტომაც უმეტეს ნაწილად მხატვრობრივი, რომ აღნიშნულ ნიჭთათნა და საგანთან მჭიდრო კავშირი აქვს, წარმოდგენა თვით საგანს გვიხატავს: რამდენადაც ენა ხალხურს უახლოვდება, იმდენად მეტად არსებითი და გასაგებია, იმდენად მხატვრობრივია; გარჩევა აქ მხოლოდ იმაშია, რომ მის მიერ შემუშავებული წარმოდგენა და სიტყვის შესაფერი სახე შეთხზული კი არა, ცხოვრებიდანა და ბუნებიდან არის აღებული. ენის შემუშავების დროს მეტაფორა (იგავი) და მითი აუცილებელნი, არსებითნი არიან; იგინი ოცნების პირველს ნაბიჯს შეადგენენ. ვინც ბუნებრივს იგავებსა ჰხმარობს და ამ იგავებს იმ დროდანა და ხალხისგან იღებს, რომელსაც ეკუთვნის და რომელშიაცა

*) «სისხლი, იაგო, სისხლი!» და სხვ.



სცხოვრობს (ჩვენის დროის ადამიანისათვის კი დრო და სივრცე მინი დღითი-დღე ვითარდება), იგი უბრალო სამწერლობო ენას ჯერ კიდევ არ დასცილებია. ჩვეულებრივი ენა თავისს განვითარების დროს სიტყვებს მხოლოდ იმდენად უცვლის ხოლმე ფერს, რამდენადაც ეს თვით მათდა ადგილისა და გარემოების მიხედვით სახმარებლად საჭიროა; პოეზია კი იმიტომ შესცვლის ხოლმე, რომ უფრო მეტი საცოცხლე და თანაგრძნობითა წარმოადგენს ჩაასახლას; პირველს მიზნად სასარგებლო იგავები აქვს რომელთაც ყურადღების ეკონომია უნდა დაიკვან და გონების სამუშაო გააადვილონ; მეორეს კი (პოეზიას) გრძნობათა და ურთიერთ შორის დამახლოვებელ ძალის გამძლიერებელი ესტეტიური იგავები შეუყვარებია. ამას მხოლოდ ის უნდა დავძინოთ, რომ ძალიდაუტანებელ და ძლიერ გრძნობათა საუკეთესო გამოჩხატველი უბრალო ენაა; უფრო ცოცხალი სულიერი მოძრაობანი ყველაზედ უკედ მიმოხვრით ან-და იმგვარ სიტყვებით გამოიხატებიან, რომელნიც უბრალო ძახილს, ყვირილს ძალიან წააგავენ და თითქმის ყველა ერის ენაში მოიპოვებიან. ამისათვისაც პოეზიაში სულ უღრმესი აზრი უბრალო სიტყვებით გამოიხატება ხოლმე; საქმე ის არის მხოლოდ, რომ ესეთი უბრალო სიტყვები არამც თუ არ აბრკოლებენ, პირიქით აზრს უფრო მდიდრულადა და რთულად აჩენენ, თუმცა გარეგანი ფორმა მეტად მარტივი და შეზღუდული აქვს. ამ რიგად აზრს მეტი საცოცხლე დაეტყობა და უბრალო სამწერლობო ენა კიდევ იმისი მაჩვენებელი იქნება, თუ რთული შინაარსი რამდენად შეიძლება შემუშავდეს. ამავე რიგად პატარა ცვარსაც ზღვისა და ზეცის სიღრმე სჭირია, რომ ღრუბლებიდან ჩამოწვეთდეს.

მითხარით, ლუვრელ პოლიმნიას ტანთსაცმელზედ უბრალო კიდევ იქნება რამე? ამ ღმერთას არავითარი სამკაული ტანს არ უმშვენებს და მხოლოდ თხელი, იფრიფანა რალაც აგდია ზედ. მაგრამ ეს ტანთსაფარი ტურფად არის დანაოქებული და მისს ღვთიურ ნაწილთა სიტურფესთან შეთანხმებული. აი, ეს დაუსრულებელი უბრალო სხვა-და-სხვაობაა სწორედ სამწერ-

ლობო კილოს იდეალი. სამწუხაროდ, ამ სხვა-და-სხვაობის დიდხანს დაცვა უბრალოსა, ბუნებითა და უმაღლესს გრძნობაში ერთგვარად ძნელია. სულის სიღრმეში უბრალო და იმავე დროს უდიდესი ხელოვანი ის არის მხოლოდ, ვინც ქვეყანას მუდამ გაახლებულის გულითა და გრძნობებით ეგებება. ასეთი ხელოვანი თავისი ნიჭით, რომელიც ყოველს ჩვეულებრივსა და დაძველებულს წარმოდგენას მთლად არღვევს და სპობს, წარმოდგენათ, რომელთა წყალობითაც ხალხს ქვეყნის მოვლენანი სულ რამდენსამე მზა-მზარეულს ჩარჩოში მოუქცევია,—ასეთი ხელოვანი-მეთქი—ბავშვს მეტად წააგავს და გვაგონებს. იგიც ბავშვივით თითქოს ეს არის ეხლა იწყებდეს ცხოვრებას, არსებობის თვითნებური მხარე გამოურკვეველს განცვიფრებას აგრძნობინებს, ყოველივე მისს ყურადღებას იზიდავს, ყოველივეს აღტაცებაში მოჰყავს. ხელოვანის იდეალი ის არის, რომ ცხოვრებას მუდამ განახლებული უმზერდეს: იგი თავისი აზროვნებით ბავშვის ბუნებას, მისს გულუბრყვილობას უნდა უახლოვდებოდეს.

XXV

პოეზიისა და ხელოვნების მომავალი თანამედროვე
 მეცნიერების წინაშე.

I. ამ ორმოცის წლის წინად, ინგლისელ მხატვრის ჰაიტონის-მიერ გამართულ წვეულებაზედ, პოეტმა კიტსმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „შერცხვენილ იყოს ნიუტონის სახსენებელიო!“ ამ სადღეგრძელომ ყველა იქ დამსწრე დიდად გააკვირვა და ვორდსვორტმა, ვიდრე სადღეგრძელოს დაღვედა, კიტსს ამ აზრის განმარტვა მოსთხოვა. „იმიტომაო,—მიუგო კიტსმა,—რომ ნიუტონმა ცისარტყელას პოეზია მთლად დაამხო და მთელი მისი მომხიბლველი სილამაზე პრიზმაზედ დაამყარა.“ ამ რიგად „ნიუტონის ხსენების შემარცხვენილი სადღეგრძელო“ ყველამ დალია! მაგრამ მართალია განა, ვითომ



ბუნების მოვლენათა პოეზიას ძალა ეკარგებოდეს იმ გარემო-
 ბით, რომ მეცნიერება თავის მხრივ საქმეში ერევა და ცდი-
 ლობს აღნიშნული მოვლენანი ჯეროვანად განმარტოს? ნუ
 თუ მართლა პოეზია იმ მრავალ-ფეროვანსა და სუბტუქს აჩრდალს
 ჰგავს, რომელიც ზეცისა და დედამიწის შუა დაკიდულა, ან იგი
 ნათლის სხივებისაგან ჩაქსოვილი სარტყელია, რომელსაც ძვე-
 ლათგანვე ხალხი ღვთაებრივად აღიარებდა და ნიუტონმა კი
 ამხილა—უბრალო გეომეტრიული და ქვეყნიური სახე და თვი-
 სებანი აქვსო? ჯერ ისევ მე-XVII საუკუნეში ამბობდა პასკა-
ლი, რომ პოეტის ხელობასა და ოქრომკედლის მკერავის შორის
განსხვავება არ არისო. პოეზიის შესახებ პასკალის-მიერ წარ-
 მოთქმული ზიზღით სავსე აზრი შემდეგ მონტესკიემ უარესად
 დაამლაშა: „პოეტების ხელობაო,—ამბობს იგი,—მხოლოდ გო-
 ნებასა და ბუნებას ამძიმებს თავისის თითხვნა-გალამაზებით იმა-
 ვე რიგად, როგორც ძველად სამკაულს ქვეშ ქალებს ჰმაღავ-
 დნენო.“ ეს სიტყვები ვოლტერს საშინლად აღელვებდნენ და
 პოეზიის „დიდების წინაშე დანაშაულად“ მიაჩნდა (თუმცა იმ
 დროს ამ სიტყვებს ყურადღებას არავინ აქცევდა); სამაგიე-
 როდ დღეს ეს სიტყვები მრავალის სწავლულისა და მოაზ-
 რის თვალში სრულიად ნამდვილად ჰხატავენ ქეშმარიტებას.
 პოეზიაო,— გვარწმუნებენ იგინი,— რომელსაც მე-XVII და
 მე-XVIII საუკუნოებში უმეტესობა პატივს სცემდა, მალე მხო-
 ლოდ უმცირესობის საკუთრებად შეიქნებაო. ჩვენის ეპო-
 ქის „სასწაულო-მოქმედებად“ მეცნიერება უნდა ჩაითვალოს;
 ჩვენ ყველანი რაღაც ღვთაებრივს ჰპატივს ვსცემთ მას, თუმცა
 ხშირად ვერც კი შეგვიგნია ნათლად, თუ რაღა ვჩაიღვიართ
 ამას; იგი კულტად გადაგვიქმნია; სამაგიეროდ, პოეზია კი, თუ
 მთლად არა, ერთ მხრივ მაინც გვძულს. სპენსერი მეცნიერებას
 ნაზს სანდრილონას (ქალის სახელია) ადარებს, რომელიც სამ-
 ზარეულოს ბნელა კუთხეში იმალებოდა დიდ ხანს. ამ დროს
 მისნი დანი ყაღბის შეთითხნილობით და გარეგნულ ღირსებით
 ამყობდნენ და ყველას თავს აწონებდნენ. გამარჯვებას ახლა
 სანდრილონა დღესასწაულობს: „დადგება ის დღეც, როდესაც



მეცნიერება უმჯობესად და ულამაზესად იქნება აღიარებული და უმაღლესი ძალა და ბატონობა მის ხელთ იქმნება“. „ის დროც დადგებაო, — ამბობს თავის მხრივ რენანი, — როდესაც სულ უდიდესი ხელოვანი ძველად და უსარგებლოდ, უვარგისად ჩაითვლებოა; სამაგიეროდ, სწავლული თან-და-თან ძალას მოიხვეჭს, გაბატონდება“. თითონ რენანს ბევრჯელ დაუნანიია, რომ იგი მხოლოდ ცოდნისა და სწავლის მოყვარული იყო და არა ნამდვილი სწავლული. ვინ იცისო, ხშირად გვეუბნებიან, გიეტე რომ მკვდრეთით აღსდგეს ამ ჩვენს დროში, იქნება პოეზიას მეცნიერება ამჯობინოს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლას შეუდგესო. იქნება ვოლტერსაც ანგარიში ემჯობინებინა, რომელშიაც ძალა გამოიჩინა და თავისი დრო მთლად მისის შესწავლისათვის მოენდომებინათ. ვინ იცის, იქნება უდიდესს ფსიხოლოგოსს შექსპირსაც, ამ ძლიერის ოცნების მქონე ბრწყინვალე ჭკუისა და სწავლულის ტემპერამენტით ბუნებითად მდიდრად დაჯილდოვებულს, რაღაცა საკაცობრიო ღირებულებისათვის დადებული მსოფლიო ღრამა არ ემჯობინებინაო? დარვინის პაპამ ერთი ნაწილი თავისის სიცოცხლისა უხეირო პოემების წერას მოანდომა; მისი შვილის-შვილი რომ ერთი საუკუნით ადრე დაბადებულყო, ამასვე იქმდა; მაგრამ, საბედნიეროდ, დარვინი მთლად თავისს საუკუნეს შვილი იყო და უხეირო პოემების ნაცვლად ბუნებითის შერჩევის სამეცნიერო ეპოპეია შეჰქმნა. პოემები ენასთან ერთად იკარგებიან და დღე, პოეტებს იმაზედ მეტი იმედი ნუ ექნებათ, რომ მათნი ნაწარმოებნი „შეყვარებულთა გულში მხოლოდ ერთს ღამეს“ გამოიჩინენ სიცოცხლესაო, ამბობს ერთი მათგანივე; მხატვართა ტილო მალე ცვდება და რამდენისამე საუკუნის შემდეგ კაცობრიობას მხოლოდ სახელილა შეპრჩება რაფაელისა; ძეგლები და ქანდაკებანიც მტვრად იქცევიან. ამ რიგად, როგორცა სჩანს, მხოლოდ იდეა უკვდავი და გამძლე. მაშასადამე, ვინც საკაცობრიო საღაროს ერთს ახალს იდეას მაინც არის შესძენს, იგი კაცობრიობას შეაბერდება, უკვდავ იქმნება.



II. ზოგიერთა სწავლულისა და ფილოსოფოსის აზრით მეცნიერების გაძლიერებასთან ერთად პოეტურ ოცნებობას ფრთა შეეკვეცება, შესწყდება იგი. ლუკრეციომ რომ ცრუ-მორწმუნეობის წინაშე მეცნიერების ძლევა-მოსილობა აღიდა, ამითი თვით თავისი გამარჯვება იღღესასწაულაო პოეზიაზედ, ამბობენ იგინი. შილლერისა, შტრაუსისა, შელლინგისა და ეაგნერის პირით გერმანელები მუდამ ერთსა და იმავე საყვარელს აზრს იმეორებენ, — რომ ქეშმარიტს პოეზიას განუყრელად საადუმილთ თან ახლავსო; გიეტეს აზრით კიდევ ქეშმარიტი პოეზია შეუძლებელია, თუ ცრუ-მორწმუნეობას სუნმა არ დაჰკრა. და, მართლაც, პოეტურს ოცნებობას თითქოს უსათუოდ სჭირია მეტ-ნაკლები ცრუ-მორწმუნეობა (როგორც ძველად ესმოდათ ამ სიტყვის აზრი), რომელიც ნებას აძლევს აღნიშნული მოვლენა სურვილისა-მებრ სათამაშოსავით ხელში ატრიალოს და საჭიროების-და მიხედვით გამოიყენოს. შეიძლება სთქვან — რა აქვს აბა პოეტური უშველებელს შარა-გზას, რომელიც არც ხვეულია, არც კლაკნილი და მზის სხივები პირდაპირ დაჰფენიაო. პირიქით, ჯაგნარი, ველი და დაჩრდილული ადგილები, ყოველივე, რასაც კი პირველად თვალი დაჰკრავს და რაიცა შემდეგ, ვხედავთ, რომ გვშორდება, სოფლის პოეზიასა ჰქმნის, გვაგონებს. თვალგადუწვდენელ სწორის უდიდესი ნაკლთაგანი ის არის მაგალითად, რომ აქ ყოველივე გულ-ლიაა და გაეახლოთ თუ არა თვალს, ყოველივესა ვხედავთ, ლარივით გაშლილი მინდორი თავსაც და ბოლოსაც პირდაპირ გვაჩვენებს და ჩვენ კი აა, სწორედ ეს პირდაპირი ხაზები არ გვიყვარს. სადამოს მიჭუჭთომელს მომხიბლველს ძალას ის შეადგენს, რომ იგი თვითოეულს საგანს ნახევრად გვიჩვენებს. მთვარის შუქზედ, რომელსაც ბეთხოვენმა და მასთან ერთად მთელმა გერმანიამ ქება შეასხეს, საგნები ფერ-შეცვლილად გვიჩვენებიან; ჩვეულებრივს, სულ უბრალო გზებს პოეზიის სხივები ჰფარავს, საგნები, რომლებიც უიმისოდ არავითარს გარკვეულს სახეს არ ატარებენ, მთვარის შუქზედ განსპეტაკ-განაზებულნი არიან: ჩრდილი საგნების სამკაულია.

მთვარის შუქზე ყველა საგანი თითქოს ნაზსა და სპეტაკს ღრუბელში დასცურავს: ეს ღრუბელი თვით პოეზიაა; პოეტისათვის ეს ნაზი და სუბუქი ღრუბელი ის დუბინდია, რომლითაც იგი მთელს ბუნებასა ჰხედავს. აბა, სცადეთ და ეს ღრუბელი გაჰფანტეთ; ვინ იცის, იქნება ამ ღრუბელთან ერთად მთლად თქვენი ოცნება, ღვთაური ძალი და სილამაზეც გაჰქრეს; ვინ იცის, იქნება მხოლოდ ისიც არის პოეზია, რაიცა მისახვედრია, მაგრამ უხილავი. აღფრედ მიუსსე ღმერთს ევედრებოდა—ცანი განახვნი, ჴვეყანას საბურველი ახადე და გვეჩვენეო. მაგრამ ღმერთს რომ ეს თხოვნა შეესრულებინა, დარწმუნებული იყო მიუსსე, რომ კვლავ თაყვანს სცემდა მას? ვინ იცის, იქნება იმ წამსვე მთლად მსოფლიო პოეზიაც მოსპობილიყო. ზეცას რომ თავისი საიდუმლო არ ჰქონდეს, მაშინ ხომ დედამიწისაგან აღარაფრით განირჩეოდა, დედამიწისგან, რომელსაც აღამიანი ფეხითა სთელავს? ეს „ქჰუნვა დაუსრულებლობის შესახებ“, რომელიც მრავალს სულს სანთელივით ადნობს, ამავე დროს სულ უდიდესს სიხარულსაც იძლევა და, ვინ იცის, ესრედ მჭმუნვარენი ამ თავისს წუხილს საყოველთაო მეცნიერებაზედ გასცვლიდნენ კია. ამ ჟამად ეს ერთი მაგალითი ვიკმაროთ და გავიხსენოთ, თუ თანამედროვე მეცნიერებამ, რომელმაც ვარსკვლავებზედ დამდნარი ლითონები აღმოაჩინა, რამდენად ჩააქკნო და ჩაახმო ის „ციური ყვავილები“, რომლებიც უძველეს დროში ღვთიურ და უკვდავ არსებებად მიაჩნდათ! აი, რა რიგ უსპობს მეცნიერება სიცოცხლეს ყოველივეს, რასაც კი იგი შეეხებაო,—ამბობენ ესტეტკოს-მისტიკოსნი. ბუნება მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, როდესაც პირბადე აფარია; ამისათვის, ხელოვნებასაცა და სიყვარულსაც ორივეს თვალახვეულები უნდა წარმოვიდგენდეთ ხოლმეო. სილამაზემ რომ თავისი სახელი გავვაგებინოს, თავისი ისტორია მოგვითხროს და საიდუმლონი გავვიმჟღავნოს, ვინ არის თავდები, რომ იმავე წამს თითონაც არ გაჰქრება სამუდამოდ. ცთომილებსაც კი თავისი პოეზია აქვთ. „გაკადნიერდი-შესცდი და იოცნებეო“,—ამბობს შილლერი. ხელოვნების დევიზიც ეს არის.



III. ჩვენის აზრით, პოეტურს ოცნებობასა და მეცნიერებას შორის არც ისეთი უფსკრულია, როგორც ჰგონიათ; ეს წინააღმდეგობა უფრო ზეზეურია. ამისათვის, პოეზიას მუდამ უფლება ექნება მეცნიერების გვერდით თავისი დროშაც აშალოს. მატტიე არნოლდი თავის „ეტიუდში მორის გიუერენის შესახებ“ აი რას ამბობს: „პოეზიაც მეცნიერებასავით ქვეყნიერობის განმარტვა-ახსნას მისდევს, მაგრამ ერთი-მეორისაგან განირჩევიან: პოეზია სავით საგანთა და ნივთთა შინაგანსა და საიდუმლო აზრს გვაცნობს, რასაც მეცნიერული განმარტვა სრულიად მოკლებულია. აი რად: მეცნიერება საგანთა ასახსნელად ადამიანის განსახდერჯულ ნიჭიერებათ მიჰმართავს ხოლმე და არა მთელს ადამიანს, როგორც პოეზია; ამისათვის პოეზიას თავისი ადგილი არასოდეს არ დაეკარგება. სწავლულნი მუდამ იმასა ცდილობენ, დაკვირვებით შესასწავლად მიზანში ამოღებულს საგნებს თავისი საკუთარი პირადობა სრულიად შორს დაუყენონ; მაგრამ ადამიანის გული ხომ მაინც ქვეყნიერობის ერთს უმთავრესს ნაწილს შეადგენს; ადამიანის გულსა და თვითეულ ნივთს შორის უთუოდ თანხმობა, ჰარმონია უნდა არსებობდეს: როდესაც პოეტს ეს ჰარმონია შეგნებული აქვს, იგიც ისრევე მართალია ჭ არა სტყუვდება, როგორც სწავლული; პოეტისათვის გრძნობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც—სწავლულისათვის შეცნებასა (ощущение) და შეთვისებას. „ობიექტიური ღირსება და ფასი“ მარტო ხილულ საგნების კუთვნილებას როდი შეადგენს; იგი თვით მხილველის თვალსაც ეკუთვნის. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი გული ქვეყნიდან გავაძეოთ, ან-და გულს ქვეყანა ამოვგლიჯოთ. სხვა-და-სხვა ღმომოჩენანი უთუოდ ახალს საიდუმლოს ჰბადებენ და ამ რიგად ოცნების საპირობასა და მისს გაფართოვებას ხელს უწყობენ. კლორიჯმა სთქვა: განცვიფრებით დაწყებული მეცნიერება განცვიფრებითვე ათავებს, განცვიფრებით, რომლიდანაც იშობების როგორც პოეზია, ისე ფილოსოფიაო. მაშასადამე, მეცნიერებაში შთაგანებას მუდამ ადგილი ექნება და ამ რიგად პოეზიაც სამარადისო იქნებაო.

მაგრამ საქმე ამით როდი თავდება: „ადამიანის ოცნებიდან განუშორებელი საიდუმლოისა და უცნობის მოთხოვნილე

ბა რომ ბოლომდის გავარკვიოთ და ნაწილ-ნაწილად განვიხილოთ, მაშინ იგი თვითონ შეიქმნება ცოდნის წყურვილად, მხოლოდ ახლა აგი ჩვენის გონების წინ სხვა სახით წარსდგება. ცოტა ზევით ჩვენ, მაგალითად, იმის შესახებ ვლაპარაკობდით, რომ ვიწრო ხვეული, და ქალებ-ნაპირიანი გზები მომხიბლველნი არიანო; ამ მომხიბლველობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ აქ ადამიანი თვითოეულ ფეხის გადადგმაზედ ახალს სურათსა ჰხედავს და ამ რიგად ჩვენის გონების ცოდნის-მოყვარეობას მუდამ ახალს მასალას უჩენს; პოეზიას ამ გვარის გზებისას მარტო ის კი არ შეადგენს, რომ ათიოდ ნაბიჯს იქით ყოველივე დაფარულია, არა!—ჩვენის აზრით, აქ მეტი მნიშვნელობა უფრო იმას აქვს, რომ თვითეული ნაბიჯი ახალს რასმე გვიქადის. იმის უარს ვერავენ იტყვის, რომ მეცნიერებაც შეხედულებას იცვლის ხოლმე, შეხედულებას, რომელიც ხალხს შეთვისებული ჰქონდა და რომლითაც იგი საქვეყნო მოვლენათ სწონად-ზომავდა; ამ შემთხვევაში მეცნიერებას სულ ახალი და უცნობი ნათელი შეაქვს საქვეყნო შეხედულებაში, რაიცა ხან გვანცვიფრებს, ხან გვაწუხებს; პოეტებს მაინც ეს გარემოება სრულიად არ უნდა აშფოთებდეს! უნდა გამოვტყდეთ—ხან და ხან ჭიანჭველა რა არის, ჭიანჭველას ბედიც კი მშურს, რომელსაც იქამდის იწრო თვალთახედვა აქვს, რომ იძულებულია ხოლმე კენჭზედ ან ფოთოლზედ შეცოცდეს, რომ ნახევარ ნაბიჯის სიშორეზედ გაარჩიოს რამე; სამაგიეროდ ჭიანჭველასათვის ამ შემთხვევაში ბევრი ისეთი საუცხოვო სანახავია თვალ-წინ გადაშლილი, რომელსაც ჩვენ ვერ ვარჩევთ; ქვიშით მოფენილი გზა, პატარა გუბე, ანუ ხის ქერქი ყოველივე ეს მისთვის პოეზიით სავსეა, ჩვენთვის კი იგი უჩინარია, გაუგებარია. ჭიანჭველას რომ თვალთახედვა გაუფართოვდეს, იგი პირველ ხნობით სრულიად დაიბნევა: ჩვენი ტყეები და მთები, მათის მუდამ მმოძრავის აჩრდილებით მხოლოდ უზომოდ დაანადვლიანებდა მას. ჭიანჭველას ამ შემთხვევაში იგივე დაემართებოდა და მასვე იგრძნობდა, რასაც ჩვენ, ადამიანები, ვგრძნობთ, როდესაც თვალ-უწვდენ სიმაღლეზედ მოვხვდებით ხოლმე: ნა-



ღვლიანად ვმზერთ, წვრიმალ ხაზებისა და მოყვანილობის პოეზია თან და თან როგორა ჰქრება, პატარა საგნები ერთი მეორეს როგორ უერთდებიან, ჩვენი საყვარელი დედამიწის კუთხეები, რომლებიც უამისოდ მთლად შთანთქავენდენ ჩვენს ფიქრს, ოცნებად გარდაგვექმნიდნენ, როგორ გაუსწორდებიან დედა-მიწის პირს, როგორ მინაელდებიან, ყველა ხვეულები როგორ გასწორდებიან. პირველის შეხედვით ადამიანს ასე ჰგონია მის თვალ-წინ უჩრდილო და უარარაო მოტიტვლებულ სანახაობის მეტი არა იყოს-რა; მხოლოდ ძლიერი ნათელი და ერთფეროვანებაა ირგვლივ, მაგრამ აბა დააკვირდეს ადამიანი რა უსაზღვრობაა ამ ერთფეროვანებაში! და ამ სანახაობას ჩვენ მალლიდან დავცქერით! ჩვენ წინ თვალ-გადუწვდენელი სივრცეა, რომელსაც გული უნდა გაეუშალოთ, თან და თან შევაჩეიოთ. ამ განათებულ ქვეყნიერების იქით კი კვლავ რა მშვენიერი და უსაზღვროდ მომხიბლველი, ჩრდილ-უხვი სანახაობანია; კვლავ რა მოთხოვნილება გვებადება, რა რიგ ძლიერდება იგი და რა რიგ გვსურს—ყოველივეს ვხედავდეთ, ყოველივე ვიცოდეთ, ვმოქმედებდეთ.

თვითონ პოეზია ერთგვარი უნებლიეთი მეცნიერებაა. ქეშმარიტად დიდებული ხელოვნება უშინაარსო და უნაყოფო ოცნებობისაგან როდი შესდგება; პოეტთა მაღალი აზრები ან აწმყოს ჰფენენ ნათელს, ან მომავალსა; ეს აზრები რომ განუხორციელებელნი იყვნენ, ნამდვილს ცხოვრებას არ უდგებოდნენ, მაშინ იგინი არც თუ ვისსამე ყურადღებას მიიზიდავდნენ. მაგალითად, ის სიმართლე, რომელსაც სოფოკლი თავისს ლექსებში უმღერდა — „ვრცელია იგი, ვით ცის კამარაო“ — ეს სისულელე და გუდაფუტობა როდია. ჩვენ დღემდისაც ამ სიმართლეს ვეძებთ და იმის ცდაში ვართ, რომ იგი ამ ჩვენს დედამიწაზედ დამყარებულ იქმნას, განმტკიცდეს. სწავლული ქვეყნიერობის შესახებ დაწვრილებითსა და ნამდვილს ისტორიასა სწერს, პოეტი კი ამ ისტორიიდან ლეგენდასა ჰქმნის. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ლეგენდას ისტორიისათვის საბუთის ძალა ეძლევა და ხშირად — როგორც არისტოტელმა სთქვა — იგი



უფრო მართალია და „ფილოსოფიური“, ვიდრე ისტორია. ისტორია მხოლოდ უბრალო და შეუმუშავებელს ფაქტებს იძლევა, რომელნიც ხშირად საკამათონი არიან, პოეზია კი ამ ფაქტების წარმომშობელს ღრმა და მტკიცე გრძობებს. ნუ თუ უძველეს ერთა ლეგენდებში მათსავე საკუთარს პირადს ხასიათს, მათს ბუნდოვანს აღმაფრენას არ ვხედავთ და ამ რიგად იმავე დროს მთელს კაცობრიობას არა ვცნობთ? დიდის გონებრივ შრომისა და კულტურულ ცხოვრების შემუშავების დროს, რომელიც ჩვეულებრივ ჩუმად ხდება, როგორც მაგალითად ინდოეთსა, საბერძნეთსა და ევროპაში მოხდა გონებრივად აღორძინებისა და აღდგენის ხანაში, პოეტებს უნდა მივმართოთ ხოლმე და იპათ შევეკითხნეთ მომავალი რას გვიქადის; და პოეტი ბუნდოვანად მაინც არის გაგვაცნობს იმ ღრმა აზრებს, რომელთაც მხოლოდ შორეულს მომავალში მოეფინებათ სრული ნათელი. პოეტს იგივე ეთქმის თავის თავის შესახებ, რასაც პოეტურ გენიოსობის მქონე ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ამბობდა ხოლმე: „მე იმ ქადაგ (წინასწარმეტყველ) ქალებსა ვგვევარ, რომელნიც ზეშთაგონებით ლაპარაკობენ და რომელთა ხმაც მთელ საუკუნეთა განმავლობაში ღვთიურ ქეშმარიტებათ ახარებს ქვეყნიერებასაო.“ და მართლაც, ჰერაკლიტეს ანუ პარმენიდეს ზოგიერთი სიტყვები, მიქელ ანჯელოს ზოგიერთი ქანდაკებანი, ბეთხოვენის ცნობილი სიმფონიები იმგვარს იღვათა კრებას წარმოადგენენ, რომელთაც მხოლოდ დრო განმარტავს და გაარკვევს; პოეტების ძალას კი სწორედ ეს წინად-ნაგრძობი იდეები შეადგენენ. ამ შემთხვევაში თვით მხატვრობრივ ნაწარმოების ბუნდოვანობა გარემო ჰორიზონტისებრ ვრცელთა: ასე მაგ., მაღალ მთებზე გადმოფენილი ცაყ შავად გვეჩვენება ხოლმე იმის გამო, რომ მთელ თავისს უსაზღვრო სივრცეთა ნათელს პირდაპირ ჩვენ გვაფენს.

IV. მეორე მხრივ, უგენიოსოდ ვერც მეცნიერება იბოგინებს. გონების ნამოქმედარში მუდამ მოიპოვება ისეთი რაღაც ინსტიქტიური და გონებისთვის მიუწვთომელი, რაიცა ნებას არ იძლევა თვითეული ნაბიჯი გონებისა წინაღვე გარკვეულ იქ-



მნას; გარდა ამისა, მეცნიერებაც ხელოვნებასავით მუდამ უწყის სხვა-და-სხვა აღმოჩენათ იშეელოებს, მათითა სკოცხლობს, უმეტეს ნაწილად კი იქ და იმ შემთხვევაში, როდესაც მისს ნაყოფს შედარებით მეტი ფასი სდევს. ერთი და იგივე ნიჭიერება უნდა ჩაითვალოს მიზეზად, რომ ნიუტონმა ვარსკვლავთა კანონები აღმოაჩინა და შექსპირმა ფსიქოლოგიური კანონები, რომელნიც ჰამლეტისა და ოტელლოს ხასიათს განაგებენ. სწავლულნიცა და პოეტიც იმის ცდაში უნდა იყვნენ, რომ გონებით თავისი თავი ბუნების ადგილას წარმოიდგინონ; ამ შემთხვევაში ერთს თუ მეორეს საშუალება ეძლევა გაიგოს, ბუნება როგორ მოქმედობს, ან-და წარმოიდგინოს, როგორ იმოქმედებდა იგი, სამოქმედო პირობანი რომ შესცვლოდა; სწავლულისა და ხელოვანის ხელოვნებას უპირველეს ყოვლისა აი რა შეადგენს: ბუნების თვითეულს მოვლენასა და საგანს შეძლებისამებრ ისეთი ადგილი მიუჩემოს, რომ ცოცხალს მომქმედს პირს დააგვანოს და ამ რიგად ბუნება განაახლს, ხელოვნულად და მეორედ შექმნას. გიპოტეზებს დიდებულ რომანის ადგილი უჭირავთ, იგინი სწავლულის პოემას შეადგენენ. კეპლერს, პასკალს, ნიუტონს ნამდვილი პოეტის ბუნება ჰქონდათ, მომავალს პოეტივით ნათლად გასჭვრეტდნენ ხოლმე. ფარადეი თავისს სამეცნიერო ჭეშმარიტებათა განმსჭვრეტელობას „ზინაგანს ნათელს“, რალაც ექსტაზის მაგვარს მდგომარეობას ადარებდა, რომელსაც სულ მალლა და მალლა აჰყავდა იგი ამ დროს. ერთხელ, ძალისა და ნივთიერების შესახებ ხანგრძლივის ფიქრის შემდეგ, ფარადეის ეჩვენა, ვითომ მთელი ქვეყანა „სხვა-და-სხვა ძალის ხაზებით მთლად დასერილი იყო“ და ამ ხაზების თრთოლვით უსაზღვრო სივრცეში სითბო და სინათლე ვრცელდებოდა. და აი, ჟეს ინსტიქტიური ჩვენება შეიქმნა პირველ მიზეზად, რომ ფარადეიმ შეიმუშავე თეორია—ძალა და ნივთიერება ერთნი და იგივენი არიანო. მაშასადამე, უცნობ მოვლენათა შესახებ მეცნიერება უმეტეს ნაწილად ისრევე იქცევა, როგორც პოეზია, ე. ი. შემოქმედებითს ინსტიქტს იშველიებს. მეცნიერების წინ წასაწევად საჭიროა უთუოდ ეგრედ

წოდებული გონების განმსჯერეტელობა, რომელიც მთელ საუკუნეთა განმავლობაში წვრილ-წვრილად უნდა იყოს შედუღებული; საჭიროა ის „შინაგანი ჩვენება“ (insight), რომელსაც კარლელი იხსენიებს და რომელიც ქეშმარიტებასა და მშვენიერებას ადრევე ჰგრძნობს, ვიდრე დაახლოვებითა და საფსებით გაიცნობდეს მას. გენიოსობის ინსტიქტი, თუ რომ პირდაპირ ამ აზრით ვიგულისხმებთ მას, იგივე გონებაა, მხოლოდ უფრო ღრმა საფუძვლით, რომელიც იმავე დროს თვით მეცნიერების სათავეშიაც მოიპოვება.

ან-ანი

(შემდეგი იქნება)



ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

თადა გრ. ორბელიანი

1801—1883

წერილი მეორე

მეორე დიდი პოეტი საქართველოსი მე-XIX საუკუნეში გასლდათ
თი გრიგოლ ორბელიანი.

მეტად დიდი ბედნიერი კაცი იყო, ბევრად უფრო ბედნიერი
ყველა მის თანამედროე მწერლებზე. ეს ბედნიერება კი იმაში ისა-
ტება, რომ პირადად მეტად დაკმაყოფილებული კაცი იყო და
საზოგადოებისა, კიდევ მეტი, მთელის ერის სიყვარული და თაყვანის-
ცემაც მოიპოვა. ყველას ჩვენგანს კარგად ახსოვს ის საერთო გლჳა
და მწუხარება, რომელიც გამოიწვია 83 წლის მოსუცის 1883 წლ.
21 მარტს გალდაცვალებამ. მთელას ერის დიდი ხნით შეგუბეულმა
გრძნობებმა ერთად იფეთქა და დიდისნის დამალულმა გრძნობამ
ჭირსა და ლხანში გაერთიანებასამ თავი იჩინა. თ. გრიგოლ ორბე-
ლიანის ბედნიერებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ საერო გრძნობების
გაღვიძებაც კი მას დააბრალეს—მაშინდელი ყურნალ-გაზეთობა თ.
გრიგოლ ორბელიანის სიკვდილს აწერდნენ ერის ერთი წუთით
გამოფხინებებს. მაგრამ ეკ კი გადაჭარბება იყო და მეტის მეტიც.
სიკვდილი და ისეთი სიკვდილი, როგორიც ეღირსა გრ. ორბელიანს
კაცის ნებაზე დამოუკიდებელია, მის სურვილის გამოწვეული როდი
აჩის და ამიტომაც სასაცილოა, რომ კაცს ღირსებაში ჩაუთკალო
მისი სიკვდილის გამო მომხდარი რამ კარგი. სხვა მხრეაიც რომ

საქართველო
საბჭოთაო

შეკედლოთ საქმეს და მართლაც რაიმე გვარად დაკავკავშიროთ თ. გრ. ორბელიანის სიკვდილი და ამ სიკვდილასაგან გამომწვეული ნატიონ-ნაღურის გრძნობის საერთო აფეთქება, მანც თ. გრ. ორბელიანის სიკვდილი კი არ იყო მიზეზი ასეთის საერთო გრძნობების გადავიძებისა. არა, ბედი თ. ორბელიანისა კიდევ იმაში იყო, იმ დროს მოკვდა, როცა ქართველი ერის გრძნობა მზად იყო პირველ შემთხვევაშივე თავი ეჩინა... ამ შემთხვევად გარდააქცა თ. გრ. ორბელიანის სიკვდილი. 80-იანის წლებიდან დაუდგა ქართველ ერს, არ გაკავივრდეთ კი, ბედნიერი ხანა. 80 წლის ძაღის შემდეგ თავლები გამოატყუიტა, თავის გარეშდომი მიასედ-მოასედა, ეს ხანა დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენის ერისა და ჩვენის ისტორიასათვის. ამის მიზეზად ერთის მხრით ის უნდა მივილოთ, რომ მართლაც საუკუნოების ომით წელში გაწვეტილმა ერმა მოასვენა, ამდენი ხნის ძაღს უჩვეულებს ერს თავი მოაწყინა სულ სკრინკამ და თავლები გახსნა, გაიხმორა და თუ არ წამოდგა ტანტიდან, გაიგო მანც რომ ფიცრულზე დიდი-ხნის წოლამ გვერდები ატკინა და დაუჟაჟა. მეორეს მხრით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შესამოცრე წლებში აღორძინებულს ლიტერატურას, რომელსაც ერთი მხარე—და მხარე არსებითი—ჩვენის ცხოვრებისა შეკნებული ჰქონდა და ყოველს დღე ჩასჩინებულა ჩვენს ერს, რაგვარი იყო მისი მდგომარეობა. 20 წლის განმავლობაში ეს არსები ჩვენის ქვეყნის ერთის კუთხიდან მეორეში გაისმა, საზოგადოების უმაღლესის საფეხურიდან უმაღლესამდის მისწვდა მაშინდელ მოღვაწეთს სმა და 20 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ჰანგზე მდურამ საღსი გონებაში ჩანგდო, გამომარკვია თავის გარეტებისაგან. დიდად შეუწყო სელი ამგვარს მდგომარეობას, იმანც რომ ბატონეობა გადაკარდა და საღსს მიეცა შექლება თავის-უფლად ამოუნთქვისა, იგრძნო თავისი ადამიანობა, ახლის დროის მოთხოვნილება გაიგო და ახლს ცხოვრებაში ფეხი შესდგა. საღსი ახლად გახსნილს სკოლებსა და სსკა-და-სსკა გვარ სანწავლებლებს დაქსარბა, საღსმა განათლების სუნი იგრძნო, ეს სუნი მეწონა... საღსში განათლებამ ფეხი ჩანდგა, საღსმა განათლების პირველ ეპოქაში შესდგა ფეხი... გადავიღდა მისკლა-მოსკლა, გადავიღდა ალებ მიცემობა, —საღსის სსკა-და-სსკა ნაწილი ერთმანეთს უურო დაუნაღოვდა, საერთო



ჭირი და მწუხარება იგრძნო, საერთო უბედურებაზე ერთად და მოთქმა გამართა....

ხალხი, 80 წლის ძიადის შემდეგ, ძლივს თავისი ნაკლულეკანების განხილვას შეუდგა, ძველ შენობაში გასწორების მიუხედავად იგრძნო. წარსულ ბედ-შეგების ტირილს ზედ ისიც დაუმატა, რომ ცდილობდა ყოველივე შემთხვევისათვის ხელი ჩაკეცილი და განუცხადებინა თავისი გულის ტკივილი, თავისი უკმაყოფილება, და სურდა თავისი სინოცნდის უნარიც გამოეჩინა, ეჩვენებინა ქვეყნისათვის ჩვენც ერთი ვართ, ჩვენც გვექონა წარსული და აწმყოშიც გვაქვს რაიმე საიმედო, ასეთის წარსულის მჭახეულს მომაკვლიც ექმნება. ამიტომაც ამ დროიდან დაიწყო მეტის-მეტი გაზვიადება ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენელთა: ყოველი მათგანი მზედა და მთვარედ იქმნა აღიარებული და ის კი დაავიწყდათ, რომ თუ მზე ერთი არ იყოს და მთვარე ორი იყოს, მაშინ არც ერთს მათგანს ისეთი ფასი აღარ ექმნება. შეიქმნა ჩვენის ისტორიის გაღმერთება, და ყოველივე ფაქტის წინაშე თავის მოხრა. ესლაც არ მოგახსენეთ, ამგვარად გაწყობილს საზოგადოებას ეპატავებოდა ამგვარი ქცევა. კრიტიკასა და დაწინაურებულს, მშვიდობიანს მსჯელობას ადგილი არა აქვს იქა, სადაც ცხოვრება ჩვეულებრივად არ მიმდინარეობს, არამედ არა-ნორმალური მსჯელობა აქვს. ეს განწყობილება ჩვენის ერისა 1883 წლიდან თითქმის ყოველ წელიწადს, ყოველივე ცოტათი მაინც არის მნიშვნელოვან მოკლენაში ჩვენდა თავს. 83-ში თ. გრ. ორბე ლიანის დასაფლავებაზე მთელმა ქართველმა ერმა გამოხატა თავისი მწუხარება და დახანჯვა ყველას თავისი გართიანება... ამით ქართველს ერს უნდოდა ერთი აზრი გამოეთქვა, ის, რომ თავისს მოღვაწეს ერთი ჰატოვს სტუმს, ერის ძალის მახეებულს ღირსეულად აფასებს, თავისი თავისი ჰატორნიობისა და თავისი შინაურის საქმეების მოწყვრილების უნარი აქვს... აქ ერის დანაწილება შეუძლებელი იყო, ერთი ჰატოვად ვერ დაიყოფოდა იქ, სადაც მხოლოდ ერთი პრინციპის გამოძისხველი იყო ყოველი ამგვარი მოქმედება; სურდა დაენახებინა სხვისთვის და თვითონაც დაწმუნებულიყო, რომ საერთო ინტერესი შეგნებული აქვს, რომ ჰატართველს სხვა-და-სხვა ნაწილი, დიდის ხნიდან განშორებული, დღეინდელს საერთო ჰირ-გარამს შეუერთებია და შეუკავშირებია...

თ. გრ. ორბელიანის ბედი იყო ისა, რომ ასეთს დროს მსგავსად თითქმის უღირსი ზატივი მიუძღვნა ქართველმა ერმა. მასინდელმა გასუთმა რუსთველს ამოუყენა გვერდით და სრულიად დაივიწყა, რომ თანამედროვეს ბარათაშვილისას არ შეეძლო რუსთველის გვერდით პირველი ადგილი დაეჭირა. აღარაფერი ნაკლი აღარ დაინახეს მასში და ღირსებათა შორის სომეხებს იყო ჩამოთვლილი. ადგილი მისასვენებლად ესა-მეთქი, კამბობ, თუ მივიღებთ მსგავსელობაში, რომ ქართველ ერს სურდა ამით ეთქვა, ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენც გვეყვან დიდებულნი წარმომადგენლები, ისეთები, რომლებსაც სსკებიც კი აფასებენ.

დღეს კი შეგვიძლიან უფრო კრიტიკულის თვლით შევხედეთ თ. ორბელიანის მოღვაწეობას. ჩვენ სახეში გვექმნება მარტო მისი სალიტერატურო მოღვაწეობა.

1

მთელის მისი თანამედროვე სასლ-გაზდობის ცხოვრებას გვერდს ისე ვერ აუუღლით, თუ 1832 წლის შეთქმულება არ მოვიხსენიებთ. ამ შეთქმულებაში ეკვლა მათგანმა მიიღო ცოტა თუ დიდი მონაწილეობა და ამ შეთქმულებამ მისცა მიმართულება მთელს მათ შემდეგი დროის მოღვაწეობას...*)

ასე იყო თუ ისე, შეთქმულთა წესდება დაიწერა, წერს «ფარული მეგობრობა» ეწოდა სახელად და უმთავრესი როლები თ. ალ. ორბელიანმა, ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაკმა და ფილადელფოს კიკნაძემ იკისრა. ამათ მიიმხრეს 17 წლის ასაკგანდა გიორგი ერისთავიც.

ანულობის დღემ რომ მოაწია ბევრი შიშის ზარმა მოიცვა. თ. ალ. ჭავჭავაძემაც გონიერული რჩევის მიცემა დაუწყეო, უმტიკინებდა, რომ საქართველოს არა თუ ძალი არ შესწევს რუსეთის მთავრობის განდევნისთვის, არც სიძარბოლე აქვს. და შეთქმულთაც თავი მიანებეს აჯანყების საქმეს... მაგ

*) აქტები, ტომი VIII, გვ. 391 და სხვ. Дѣло о грузинскомъ заговорѣ.



რამ 9 დეკემბერს ია ფელანდოკმა ეგელა ივინი გასცა და 10 დეკემბერს ეგელა დამამშკენებელი ჩვენის ლიტერატურისა ცისე-ში იქმნენ დამწვედულები. უმთავრეს დამნაშავეთა კათოკორიაში იყვნენ მოქცეულნი: ალ. და კას. კასტანგისძე ორბელიანები, გიორგი დავითისძე ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, რომელნიც სამსედრო სამართალში იყვნენ მიცემულნი; უფრო ნაკლებ დამნაშავედ იცნეს დ. ყიფიანი. რაიცა შეეხება თ. გრ. ორბელიანს, ის იყო მოქცეული უკანასკნელ კატეგორიაში დამნაშავეთა შორის და როგორც როზენი ამბობს თავის მოხსენებაში: лица сего разряда, бывшія подъ арестомъ, освобождены; полагаю вообще достаточнымъ имѣть ихъ подъ строгимъ надзоромъ...

და მართლაც, როგორც საქმიანსა სჩანს, გრ. ორბელიანს არავითარი მსურველი მონაწილეობა არ მიუღია, გარდა იმისა, რომ იცოდა უთოდ ეს ამბავი. აქტებში, სადაც გრ. ორბელიანსუკა ღაზარავი, მოხსენებულა მხოლოდ, რომ ამან სთარგმნა რაღუკის „Исповѣдь Наливайки“.

ყოველს შემთხვევაში ისიც სავმარისია, რომ გრ. ორბელიანიც სხვებთან ერთად იტანჯებოდა თითქმის ერთ წელიწადს ცისეში... რომ იქ მათი ცხოვრება კარგი არ იყო, ამასე აქტებშიც კბოგულობთ საბუთს. თ. ორბელიანებს გაკვსავანთ უმადლესს მთავრობასთან საჩივარი—გკტანჯვენ და კვაწამებენ საზურობილეშიო. სხვა რომ არა იყოს—რა, ის სუღიერი ტანჯვაც სავმარისია, რომელსაც იტანდა ჩვენი ზოკტი და მასთან ეგელანი ამ დროს. აი როგორ აღგვიწერს ამ ყოფას თ. გრ. ორბელიანი:

„უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ, რომ ცა, მომფენი ჩემად ნათლისა ჰფარა ღრუბელთ ქვეშ; სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ და დამცა უფსკრულს ვაებისას, უმწოდ, უნუგემ, სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით, არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის! სადაცა სწვავდნენ, ვითა ცეცხლი, დაწვთ ცრემლნი დენით და მათ არ სწყვეტდა არავისი ხელი ნუგემის; სადაც ვერ ვსცნობდოცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა, სად დღე უნათლო იყო დამედ, დამე—უვარსკვლავ

და საღ სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,
 თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ

• • • • •
 უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით
 დღენი და თვენი და ვერ ვსთვლიდი მე მათსა დენას.
 შემაშრენ ცრემლნი, მაგრამ კმუნვით არა განქარვით,
 არა თუ ვისგან მე ვისმენდი ნუგეში-ცემას,
 არა, წყვილიადა მას საღღურსა სხივნი ნუგეშის
 ვერ მოეფინენ საშვებელად გულსა უბედურს...

დაიღ, იტანჯებოდა ჰოეტი... ტანჯვა კი დიდი რამ არის
 კაცისათვის... ტანჯვა სშირად სულის ამამღლებელია და განმასპეტ-
 კებელი, თუ შეამღება ითქვას, სულის გამოძწყულია... ტანჯვა კაცს
 ცხოვრების სიმძიმეს აგრძნობინებს და აგებინებს... ჰოეტის არ
 იყო, იგი ეუბდურის სასუნჯად ღრმად ბეჭდავს თვის კვალს; მასველი
 გულით ვერ აღტკვლიჯონ შეამღეგ სისარულთა და ამ ტანჯვას ჩვენს
 ჰოეტსედაც დიდი გაკლენა ჰქონდა, თუმც ამ საქმეში მისი მონა-
 წილეობის სიმძირემაც იჩინა თავი შეამღეგს მის ცხოვრებაში....

II

ესღა გამოკარკვიოთ ის, თუ რა სკოლას ეკუთვნოდა თ. გრ.
 რბელიანი, ერთად თ. აღ. ჭაკვაძემსთანა, ნ. ბარბთაშვილთან და
 თ. კ. რბელიანთან, რადგან კლასსიფიკაციის როგორც ბუნების
 მეცნიერებაში, ისე ლიტერატურაში მიუცილებელია, რათა უფრო კარგად
 გაითვალისწინო თვისებები ერთისა და მეორის ჯგუფისა, უფრო
 კარგად შეიგნო მისი ღირსებანი და ნაკულეკანებანი. მერე კიდევ
 ლიტერატურაში, როგორც ბუნების მეცნიერებაში, არსებობს კანონები
 და შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს, რომელიმე ჰოეტი ციდან
 ნამოკარდეს, ისე რომ რაიმე კანონს არ ექვემდებარებოდეს მისი
 მოქმედება. როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში არსებობს
 გვარი, უნარი ლიტერატურის ნაწარმოებისა და მწერლობის რომელ-
 სამე გვარში თავს იხენს სოღმე ესა თუ ის მწერალი. იმან არ უნდა
 გაგაკვირვოს, რომ ზოგიერთი მწერალი ხელს მოტკიადებს სოღმე
 თითქმის ევეღა გვარს მწერლობისას. ეს იშვიათი არ არის არც

ჩვენში და კერძაში კი თითქმის ჩვეულებად არის გარდაქცეული. საფრანგეთში მოხასხანმა და ბურჟუა ლექსებით დაიწყო წერა, მერემ სავრიტიკო წერილებიც დასწერა; ლემეტრმა და ფრანსმა რომანებითაც გაითქვეს სახელი. ძველთაგან ვიქტორ ჰიუგო, მიუსესე და ლამარტინი, მოთხრობებსაც სწერდნენ, დრამატოულს თხზულებებს, სავრიტიკო და საისტორიო წერილებს და სალირიკო ლექსებსაც, შექსპირი დრამებსაც სწერდა და ლესჰესსაც; ბაირონი დრამებსაც სწერდა და სალირიკო ლექსებით ხომ უკვდავების სახელი მოიპოვა. საქართველოში გ. ერასთავი მამა არის ქართულის დრამატოულის მწერლობის, მაგრამ სალირიკო ლექსებსაც ეწეობოდა; ილ. ჭავჭავაძე და ჯაკა წერეთელი მოთხრობებსაც სწერენ, დრამებსაც და ლექსებსაც. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ შექსპირი დრამატოული მწერალია, ბაირონი მეფე მენხრამეტე საუგუნის სალირიკო პოეზიისა, მიუსესე და ლამარტინი ლირიკოსი პოეტები, ჰიუგო სალირიკო რომანის შემქმნელი, მოხასხანი და ბურჟე რომანისტები, ლემეტრი და ან. ფრანსი კრიტიკოსები; გ. ერასთავი დრამატოულ თხზულებათა ავტორი, ილ. ჭავჭავაძე რეალურის სალირიკო პოემების მწერალი, რეალურის მოთხრობების დამწეები და ჯ. წერეთელი კი — რეალურ-სალირიკო ლექსების დამწერი.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყოველი გვარი ლიტერატურის ნაწარმოებისა იზრდება და იფურჩქნება მხოლოდ იმ გარემოებაში, რომელიც მისთვის ხელ-საყრელია, დრამატოული მწერლობა ყვავებულა ხოლმე იმ ხანაში, როცა საზოგადოებაში განმტკიცებული იყო მონარქიული წეს-წყობილება, როცა მონარქიული პრინციპები თსოვილობდა მწერალს თავისი პირადობა მიეჩქმალა და თავისს გრძობასევედებსე კრინტი არ დაეძრა, და რადგან მონარქიის გაძლიერება ხშირად იყო ნაციონალურის გაერთიანების ეპოქა, ნაციონალურის ტერრიტორიის საზღვრებთა შემოფარგვლა და საერო სახელისა და პატივის სსვა ერთა შორის განდიდება, ამიტომ დრამატოული მწერლებიც ცდილობდნენ თავგანწირულის გმირების ტიპი დაეხატათ, სამშობლოსა და მეფისადმი მოკალეობა დაუყენებიათ ყოველთ უსენახსად, პატიოსნება და რანდული თვისებები გაქსადათ იკალად ასადის საზოგადოებისათვის. ამ დროს დაიბადა შექსპირის დრამა,

რომელიც ამ მიმართულებას გამოქმნისკველიც იყო და თუ სხვაც უფრო ბევრი და უფრო დიდი გამოქმნა, ეს იმიტომ, რომ შექსპირი გასწავსთ გენიოსთა გენიოსი და ამითთვის არ არსებობს ისეთი შემსდღედავი პირობები, როგორც სხვა ნაკლებას გენიოსობითა და ნიჭით აღჭურვილის აღმანებასათვის. ჭამლეტი სჯის მეფის მოლა-ლატეს, რინარდ III და მკებეტი ისჯება საბეფო გვარეულობის მოლაღატეობისათვის, მეფის შეურაცხმეფეულნი ისჯებან მეფე ღირშინც... რასაკვირველია, ვიმეორებ მარტო ეს არ საზღვრავს შექსპირის დრამებსა შინაარსს, მაგრამ შექსპირი ხომ შექსპირი იყო.

სამაგიროდ საფრანგეთში ლუი XIV მეფობის დროს, როცა ახლოღატეურმა მონარქამ იყენი მოვიდა, მონარქიულ პრინციპების გამოქმნატეულნი შექსპირი რასინი და კორნელი და თუ მოღიერი სარკასტიულის დიდიღით საფლავს უთხრიდა ამ პრინციპებს თავის ტარტიუფში, „les femmes savantes“, „les precieuses ridicules-“ში ეს კადევი იმიტომ, რომ მოღიერიც გენიოსი იყო და დროსა და გარემოების ზედგავლენის ბრჭყალებს გაექცა, მაგრამ დრო და გარემოების ძალამ, როგორც მასზედ, ისე შექსპირზედ იმაში იხინა თავი, რომ დრამატიულს გვარს მიჭეკვს ხელი და ეს გვარი ვი ისეთი გვარია, საცა «მე» შწეღლისა უფრო დამაღულია და გამოუმეღანებელი... ეს გვარი ღიტერატურულის ფორმისა დროს შექმნო, მაგრამ ამ უღიქსმა მწერლებმაც ვი დრო შეიშენეს, ფორმა შეითვისეს და შინაარსი ვი უფრო მდიდარი დაჭბადეს.

საღირვიკო ლექსი, საზოგადოდ, გრძნობათა გამოქმნატეულია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არის გრძნობა, რომელიც მეტის-მეტად პირადღიენულია (სიუჟარული და ამისაგან გამოწვეული სეკდა, გინდ სისარული; გრძნობა ბუნების ზედგავლენისა, შიში, გინდ საზოგადო-ბო მოღლოდინი სიკედილისა) და აგრეთვე გრძნობა, რომელსაც არა აქვს მეტად პირადღიენული ხასიათი. ეს მეორე დარგი გრძნობისა უფრო თანაგრძნობაა: პოეტი თავის სეკდებსა და დარდებს ვი არ გვისატავს, თავის სამოგნებასა და მხარულებას ვი არ გავჩვენებს, სხვისას და უფრო ხალხის ვარამს, ხალხის ბედნიერებას დაგვანახებს სოღმე და იწეკვს ჩვენში ერის, ხალხის, საზოგადოების მიმართ თანაგრძნობასა და სიბრალულს. საღირვიკო პოეზიაში გამოი-



თქმის ეს გვარი გრძნობათა, მაგრამ ექვი ან არის სალირიკო პოეზიის უფრო კერძო, პირადი განწყობილების გამოხატულება, თუ არ დაკვირვებთ, რომ ამგვარი პოეზიის მთავური იყენებს ბაირონი და შელლი, ლამარტინი, მიუსესე და ბარათაშვილი.

როგორღა გარემოება იყო საჭირო მისთვის, რომ შექმნილიყო რომანტიული პოეზია? ვინემ ამას განკმარტავდეთ, განსახლვართ, რა არის თვით რომანტიული პოეზია. რომანტიული პოეზიის განსახლვარში ჩვენ ერთის საფრანგეთის გამოჩენილის კრიტიკისას აზრით ვხედავდებულვართ, რადგან ჩვენს გვერდს, მას საუკეთესოდ აქვს გარკვეული თვისება რომანტიულ სალირიკო პოეზიისა. ისეთი მწერალი არა ყოფილა, — ამბობს იგი კრიტიკოსი, — რომანტიზმის მნიშვნელობის თავისებური განსახლვარ არ ეცდნოს, მაგრამ ყველა განსახლვარ ცალმხრივი იყო. ზოგიერთის აზრით, რომანტიზმი არის კლასიციზმის წინააღმდეგი რეაქცია; იგი არის უარის-ყოფა ყოველისავე იმ სალიტერატურულ განზრახვას, რომელიც კლასიციზმის-ძიერ იყო საკვლავთადაც ცნობილი; მისი თვისება სხვა-და-სხვა სალიტერატურულ გვართა, ფორმათა ერთმანეთში არეუ-დარეკაა. ზოგიერთის აზრით, რომანტიული ლიტერატურის განსაკუთრებული აზრი და საწადელი უცხოელთა და ძველ საშუალო საუკუნეების სამშობლო ლიტერატურის მიბაძვაა; მისი ერთი უშირველეს პრინციპთაგანი ბუნებისა და ტიპების აღწერაში «ადგილობრივის კლფერის» დატყა (couleur locale), მაგრამ ყველა ეს მხლდად აღნუსხვა იმ საშუალებათა, რომელთაც ხმარობდნენ წარმომადგენლები რომანტიული ლიტერატურისას თავისის უმთავრესის სურვილის მისაღწევად. ეს სურვილი იყო პირვნების განთავისუფლება ლიტერატურაში. ისე როგორც სწადდათ განთავისუფლებინათ თავი საზოლიტერკო დესპოტიისაგან. ამიტომაც, რაც უწინდელ კლასიკურ ლიტერატურისას და მის წარმომადგენელთაგან პრინციპად მიხნუელია, იმას, თუ ვინდ კარვინ იყოს, მანინ უარ-ყოფენ, რომ უფრო ნათლად დასტკიცდნ თავიანთი დამოუკიდებლობა. ასე რომ რომანტიზმი არის საზოგადო მოკლენა, რომლის განსაკუთრებული თვისება ინდივიდუალიზმისააგენ მიასწრაფება*).

*) იხილეთ „საფრანგეთის სალირიკო პოეზია“ „მომამბე“ № XII—94 წლ. და № I, II—95 წ.

ნამდვილი რომანტიული ლირიკოსი იმასა ცდილობს, თავისი პირადი გრძნობები დაგვიყენოს თვალწინ, მუდმივ თავის თავზედა ჭიფიჭობს; გატარებულია თავისი პიროვნებით, ხან თავყანსა სტუმს მას, ხან აკვირვებს მისი თვისებანი, ხან ებრალება თავისი თავი. რიგინალობა დანაშაულად კი არა, ღირსებად მიანხანა. ამგვარი პოეზია, შესაძლებელი იყო, დაზადებულიყო, სემოდან მოკისსენიეთ, მაშინ, როცა დამყარდა საზოგადო ცხოვრებაში ინდივიდუალიზმი, როცა რევოლუციის ქარმა დაჭებრა, ძველი შემოკველი გარემოების დაიმსხვრია და პირადი თავისუფლება საქვეყნოდ განაცხადა.

ამ გვარს პოეზიას მხოლოდ მაშინა აქვს ადგილი, როცა პოლიტიკური წყობილება პირადს ინდივიდუალურს თავისუფლებას ხელს უწყობს, თავისს პრინციპად ინდივიდუალური თავისუფლება გაუხდია, ანა და როცა ამ პოლიტიკურს წყობილებას არ ენოთირება პირადის გრძნობების გამოთქმის გაგონება, ხელს არ უშლის ამგვარ გამოთქმას ინდივიდუალურ გრძნობათა, როცა პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება დესპოტიურად გარკვეულს გზას არ ადგია, გზას, რომლის თავსა და ბოლოს აწერია ერთი კაცის და გინდა უმეტესობის სურვილი და ლტოლვილება: «სამეფო მე ვარა» და სხვათა გრძნობა და გონება ამ მისი «მე-ს» ყურ-მოჭრილ მონად მიანხანა, მისი წადილების მოწინააღმასრულებლად. სალირიკო პოეზიას აქვს ადგილი კიდევ იმ დროს, როცა პოლიტიკურსა და ეკონომიურს წყობილებაში ანარქია სუფევს. კერ შექმნილა კერც სასტიკად განსაზღვრული მთავრობა, რომლის პრინციპებიც სისტემატიურად გატარებულ იქმნებიან ცხოვრების ყოველივე მოკვლენაში და ან ინდივიდუალიზმის განმასრვლებელს პოლიტიკურს წყობილების პრინციპებს კერ მოუკიდებია ფეხი, ესე იგი ცვალებადი ენოქა, კერ გაურკვეველია, საითკენ გადაისრის ცხოვრების მიმართულება. ამ გვარი დრო იყო საფრანგეთის ცხოვრებაში ამ საუკუნის პირველ ნახევარში. ძველი მონარქიული წყობილება დაიმსხვრა, თავისუფლების, ძიების და ერთობის სიტყვები ჭარში გაიშა და თავისუფლების სუნი იგრძენეს ნაწ-ყნოსიანმა ადამიანებმა. ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის სალირიკო პოეზიას კერედ წოდებული ოქროს ხანა იყო 52-დის, ესე იგი იმ დღემდის, როცა საფრანგეთის ძველმა

ტრადიციებში კიდევ ერთსულ და უკანასკნელად წამოყვას თავი და ვო-
 ველიკე თავისი საზიზღარი ნაკლულეკანებით აღიჭურვენ. უკანას-
 კნელად 71-ს სული დაღია საფრანგეთის ძველმა წესწეობილებამ და
 ახლამ აქ ხანში უკვე გზა გაიკვლია და სრულის ძლიერებით აღჭურ-
 ვილი შეუდგა ცხოვრებას. მთავრობა მესამე რესპუბლიკისა დაბრუნდა
 და რესპუბლიკის მთავრობამ, რასაკვირველია, ერთი კაცის «მე» კი არ
 წამოაყენა და დროშასედ ერთის დადამანის სურვილების თავყანის-
 ტემს კი არ დაიწერა—უმეტესობის სამსახური, უმეტესობის და სა-
 ზოგადოდ მთელის ხალხის ბედნიერებისათვის თავის განწირვის
 აზრების გაგრძელება დაიწყო. ამიტომაც სალიბერო ლექსები რეა-
 ლურს ნიადაგზედ გადავიდა, შირად გრძნობათა გამოხსენებას თავი
 მიანება, საზოგადო ჭირისა და მწესარების გამოხატვა დაისახს
 იდგადა; აგრეთვე შინცნივად აღიარა პოეტის «მე»-ს განმეკება
 პოეზიიდან, მისი შირადის მოთქმა-სიცილის უკუ-გდება (ლეკონტ
 დელილი, კაზზე და სსკ.).....

საქართველოშიაც ამ დროს სრული ანარქია სუფიქვდა. მე-
 ცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ერის ცხოვრებამ სულ
 სხვა მიმართულება მიიღო. ერს თავისი პოლიტიკური წეს-წყო-
 ბილება აღარა ჰქონდა, თავისი მთავრობა მოესპო.....

ჩვენს მწერლობას შეეძლო გარკვეულს გზას დასდგომოდა მხო-
 ლოდ მაშინ, როცა ან მთავრობის პოლიტიკა გამოძულავნებოდა
 ან და თვით საზოგადოების აზრი გამოიკვეთოდა, განმტკიცდებოდა
 და ისეთს ძალს მოიპოვებდა, რომ მწერლობაზე გაკლენა ექონია.
 ამიტომაც შესაძლოდ შეიქმნა ჩვენის პოეტებისათვის შირადის გრძნო-
 ბების გამოთქმისათვის დაუთმოთ დიდი ადგილი, კიდევ მეტი, უმთავ-
 რესი ყურადღება მისთვის მიექციათ. თუმცა, რასაკვირველია, ამ ში-
 რადს გრძნობის გამოხატვაში უსათუოდ თავს იჩენდა საზოგადოდ
 ერის სულის განწყობილება, რაცა ჩვენ გვცნადეთ გვეჩვენებინა, როცა
 თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსების შესახებ ვილაშარაკეთ. სწორედ ამ ხანში
 აღუვაკდა ჩვენში რომანტიზმი... საზოგადო აზრის გამოურკვევლობა
 ჟერ იმაში გამოხატა, რომ რომანტიული სალიბერო ლექსები დაი-
 ბნდა, საცა საზოგადოების მოთხოვნილებანი თითქმის უყურადღებოდ
 დაჩნენ და შირად გრძნობათა გამოთქმას მიაღიეს თავის ძალ-ღო-

ნე მსშინდელმა ლირიკოსებმა; მერე იმაში, რომ რადგან ეს მწერ-
 ლები ნიჭიერები იყვნენ, მინც ჭკობნობდნენ მომავალ მიმართულე-
 ზას ერის აზრისას, მისი სულის კნესა და ოხვრას ესმოდათ, რად-
 გან სძენა ნაზი ჭქონდათ და ამან ან მათ შირადის გრძნობების გა-
 მოხატვას სსკა ელფერი მისცა და ან კილოკავად, გაკვრით თვით
 ამ აზრებისათვისაც მიატყვეინა ურადლება. უკვლახედ უფრო ძლიე-
 რი განურკვევლობა საზოგადო აზრთა მიმართულებისა ეტყობა ალ.
 ჭავჭავაძეს, შემდეგ გრ. ორბელიანს და წარმოადგინეთ, ამ გზას
 კერძ ბარათაშვილის გენიოსობა ასცდა. ჩვენ შემდეგში, როცა ბა-
 რათაშვილზე ლაპარაკი გვქმნება, ვიტყვით, რომ ეს უდიდესი ჩვენი
 ლირიკოსი, კერძის ლირიკოსთა მხარის დამამშვენებელი, იყო უკა-
 ნასუნელი წარმომადგენელი რომანტიულ ლირიზმისა და უკანასკნე-
 ლი გამომხატველი საზოგადოების განურკვევლობისა. მხოლოდ ბა-
 რათაშვილის გენიოსობას შეეძლო დაესტა ისეთი სინამდვილით,
 ისეთი სიღრმითა და სავსებით იმ დროინდელი ფსიხოლოგია სა-
 ზოგადოებისა თავისს უკვდავ პოემაში. იმსაც დაგანახებთ, რომ
 უკანასკნელი მწერალი ამ ჯგუფისა, თ. ვას. ორბელიანი, აკტორი
 იმედისა, იყო ერთადერთი მათგანი, რომელიც სწორე გზას ადგა,
 ერთხელეუ აჩეული და სრულად გარკვეული აზრის მოძღვარი იყო.
 რომანტიულმა ლირიზმმა მის ლექსებში იერი იცვალა და საზოგადო
 მწერსარებს თითქმის შირად ტანჯვად ატყვევდა და, ამგვარად, ერთი-
 ორად უფრო დამწვარი და დადაგული თავის ქვეყნის ბედით, გავრძ-
 ნობინებდა მომავალ მიმართულებას ჩვენი სალირიკო პოეზიისას.

ეს არის, ვსთქვამთ, რომ თუ საზოგადო კენესას მოსთქვამ-
 დნენ ეს პოეტები, ამ საერთო ოხვრას შირად გოდებდა სცვლიდნენ
 და, თუ შეიძლება ასე ვსთქვამთ, გააზირადებდნენ ხოლმე, ინდივი-
 დუალური სამოსლით შემოსდნენ. ეს ემხნევა ამგვარად თ. გრ. ორ-
 ბელიანის ლექსებსაც. თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსებს საერო ტანჯვამ
 გმინვისა და კენესის იერი დასდო. თ. გრ. ორბელიანის ლექსებში
 თუ საზოგადო ოხვრის ნაშთი სხანს, ეს ოხვრა კერძ არის საკმაო
 სისასტიკით დანული და ბოლოს თ. ბარათაშვილმა მოგვცა ნამ-
 დვილი რქალური სურათი საზოგადოების აზრისა და გრძნობის რე-
 ვისა, თ. ვ. ორბელიანის ლექსებს კი მარტო განსაკუთრებული კი-



ღო საზოგადო კენესისა ჭქონდა, საზოგადო კენესისა, რომელიც თითქმის კერძო შირად სკვდებდა და ტანჯვა-ვაებად გარდაქმნილა. ამის კანონიერი შედეგი უნდა ყოფილიყო ის რეაღორ-სალირიყო ზოგნა, რომელიც იღ. ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა შეჭქმნეს ჩვენში.

ერთის სიტყვით, ღირიზმის აღფრთხილებას ჩვენში ნიადაგს აღფრთხილებდა ის ანარქია, რომელიც სუფიერს და ჩვენს საზოგადო აზრის მიმართულებაში, საზოგადოებას არ შეუქმნია ძლიერი აზრი, რომლის სიმტკიცეს და სიდიადეს უნდა გაეტარებია ჩვენი ზოგნები ღრმა ბეჭედი დაესვა მათ ცხოვრებაზე... საზოგადოების გარეშე ძალებსაც ვერ გაუტყვიან გზა, რომ თავისებურად მოემართა ქნარი ზოგირითა მანინ. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, რომ მთელს ევროპაში ღირიზმი აღფრთხილდა, ევროპაში რუსეთზედ იქონია გავლენა და რუსეთის რომანტიკოს-ღირიკოსებმა ჩვენები გაიტაცა. თუ აღ. ჭავჭავაძეში ისე ნათლად არა სჩანს ეს გავლენა, სამაგეროდ თ. გრ. ორბელიანს თვალსაჩინო საბუთები მოუწია ამისი.

არა ერთხელ უთარგმნია რუსული ლექსები ყუკოვსკისა და ზუშკინისა და თვით საუკეთესოდ მიხეუელი მისი ზოგნა კი ყუკოვსკის მიბაძვითა აქვს დაწერილი.

ჩვენგან რჩეულის გზის მიხედვით ვერ უნდა გავითვალისწინოთ, რა აზრი გამოუთქვამს თ. გრ. ორბელიანს სამ უდიდესს საგანზედ საღირიკო ზოგნიისა: სიყვარულისა, ესე იგი აღამიანთა შორის უწირველესს დამოკიდებულებათა შესახებ, ბუნების კაცზედ ზედ-გავლენის შესახებ და ჩვენის ცხოვრების დასასრულზედ რა ფიქრები აღძვრია დიდად ნიჭიერს მწერალსა. უნდა ესთქვით მართალი, რომ ხორციელი მხარე სიყვარულისა არც თ. გრ. ორბელიანს დავიწყებია და სმარსეთისა და ჩვენის ბოლოს ხნის ღიტერატურის გავლენა ამ მხრით თავიდან ვერ მოუწილებია. «სიყვარულსა ვერ არს, რათა მარად სურვა დაჭბურვიდეს, თვარა ვით ცუცხლს უნიერთოდ არ უძს დიდ ხანს ენთებოდეს.» სატროფოს «დაწვზედ აღფრთხილებულ ვარდს დამღერს, თმა ღაღანის დასუნვა და სატროფოს კანაროზ წელის შესება» ნეტარება და იდეალად მიაჩნის, ბედნიერად იმას სთვლის, ვინც შესძლებს «ხილფებ გველთ, ვარდ-ღაწვითა მცველთ

და ზედ დაკდომით, სულ ამოხდომით, დაწკებზე გამიღვს კარდს დაეკრებოდა. რასაკვირველია, აქ მარტო ერთი მხარეა სიუჟარულის აღებული, მარტო ხორციელი თვისებაა მისი გალექსილი და მარტო ამ ხორციელს მხარეს სიუჟარულისას მოჭეპვს აღტარებაში თ. გრ. ორბელიანი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას არ შეეძლო ასე ადვილად განშორებოდა ძველ ტრადიციას სწარსულ-ქართულის სიუჟარულისას. მაგრამ ახალი სულიც იგრძნო მაღალ-ნიჭიერმა ზოკტმა, ახალი მხარეც დაინახა სიუჟარულში. თუ მისი მოწინავე ზოკტი (აღ. ჭავჭავაძე) მხოლოდ ამგვარობებს ამჟობინებს ყოველ თვისებათ ციოთ მოვლენილთა, გონებასაცა და მშეენებას, რომელთაც იგი ასულადგმულებს», თ. გრ. ორბელიანიც სწირად «შთაფლულა სიტკბობისა ზღვათა შინა გრძნობა დამთვრალია. მგრძნობელობასა და სურვასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ ახალ ელემენტსაც ჰზობს სიუჟარულში, მის იდეალურს წნეობრივს მხარეს, მას,

რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა, რომლის შუქი ასპეტაკებს კაცს, რომლით სული გვიმაღლდება, რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება.

ზოკტს უმაღლესი სიუჟარულის გვარიც უგრძნია, ისეთის სიუჟარულის, რომელიც თავგანწირულებით არის აღსავსე, რომელიც იდეალურად უანგაროა, ისე უანგაროა, რომ სიუჟარულის არსებობა ურთიერთობასაც არ თსოულობს; კიდეც მეტი, ეს არსება მას სტოკებს, უურადდებასაც არ აქცევს, გულ დათოთქული მისი მიწნური კი შორიდან ესაღმება უგანასკნელად და ეუბნება:

მიღიხარ, სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მეღევა

აწ დავშიო მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰზორდეს მშვიდობა.

ანა და ის ლექსი საცა ზოკტი თავისს გულგრილ სატრფოს ეუბნება, «შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე და მე თუ გინა საფლავმა მიფაროს.»

ეს უმაღლესი სიუჟარულის გრძნობა თან და თან ფებს იდგამს და მტკიცდება თ. ორბელიანში, უფრო და უფრო თავსაჩენი ხდებ-



ბა და ბოლოს ხნის ლექსებში, ამ გრძნობას ღვთაებრივ გრძნობად უწოდებს, საუკუნო დაუსრულებელ, უკვდავ გრძნობად. სატრფოას ხმა სიკვდილის ჟამის დამატებობელია, მისი სიყვარულით იგი «უკვდავებს სცნობს», რომ მოკვდეს, მისი სიყვარული თან წაჭეუება, რადგან იგი არს უკვდავება, სულის დატკობა, რომლის დასასრულ არა ექნების და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლეს თანა არა დაპშრტების, თვარა სიყვარულს თუ დავპარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომტეს? უსიყვარულო სასუფეველი, ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს.

რუსთველიც «სიყვარული ადგამაღლებს» სწერდა. თქვენ მეტეხნახეთ, სანამდის მიაღწია სიყვარულის ამკვარად გაღმერთებამთ. ბრატაშვილის ლექსებში, უკვდავების წყაროდ სიყვარულის აღიარება, სიყვარულის «უკვდავების ცნობის ხედ» განცხადება საფრანგეთში ღამატრინის პოეზიამ წამოაყენა. მაგრამ მეტად დიდი რთიგინაღობა ჩვენის პოეტისა მათი მდგომარეობს, რომ მან შეიგნო რთივე მხარე სიყვარულისა—იდუღური და ფაზიოლოგიურ-რეალური და სავსებით გამოხატა ეს გრძნობა, კიდევ მეტი, სავსებით გამოხატა ფსინოლოგია შეუვარბეულის ადამიანისა და სავიკრეკლია ის, რომ ამ ფსინოლოგიაში უფრო ფაზიოლოგიურს მხარეს მიაჭცია უწინაღება:

მნათობო, თვით შენ აღმიხენ, რა მემართების, რასა ვგრძნობ.

და სხვ. (გვ. 9.)

და აი კიდევ უფრო მეტად მკაცრად და სავსებით დასატული ხორციელი მხარე ამ გრძნობისა. სავარელი ელის სატრფოას, ამ დრას შეიძლება ვართ ბუჩქი—გული რად ესრე მიკვდება?

ვიდრე თვალთ ნახეს, სულმან სცნა საყვარლის მოახლოება;

ჯერ თვალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დაფუყვ ბაგება...

ჩვენ ორთა აზრნი, თვით სულნი, ერთად შეერთდნენ, შედუღდნენ, და სიტკბოების ზღვას შინა გრძნობათ დამთვრალთან შთაფელნენ!

ველარა ვგრძნობდით გულ-ძვერას, ვერცაღას თვალნი ხედიდნენ,

უენოდ ქმნილნი, უგონოდ, განვედით ამა სოფლით ჩვენ!...

სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველს მხარეს?

ცნობა გვეკარგა წამს, მარა სამოთხე იყო წამი ეს!...

ჭფრინვიდნენ წამნი და ჩვენ კი მათ ფრენა არა გვსმენიეს:

ესრედ გონება მარადის ტრფობის აღს აუხოციეს! (გვ. 12)

სიყვარულის ყოველი ელემენტის და თვისების კერძოდ სახსრების
 შტოდნე ზოგის ან გამოკვანჯარა, რასაკვირვებელია, ისიც, თუ რა აქვს ამ
 გრძნობას სახეტარო და მტანჯი. ზოგის იმდენზე გადნასკულებად მია-
 ხნია ეს ორი გრძნობა სიყვარულისგან აღძრული — ტანჯვა და ნეტარება,
 რომ უერთი-მეორედ არც კი მიანნია შესაძლოდ სიყვარული და თუმც
 შესაძლო იყოს, არ მიანნია სულ-საყრუად, მიტომ, რომ ტანჯვა
 არის მზრდელი ტრფობისა, დამბურველ ეშის ცეცხლისა, ტანჯვა
 არის ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა. ამიტომაც «სატრფო-
 უნდა გიტანჯავდეს, ხან უწყალოდ გულის გვიკვავდეს, ხან ღმობითა
 ნუგემ გვრემდეს! და ან კი რა ხასოა «კეთილ უგრძნობიან ტრფობისა
 მხელთა ჭირებთა? მიჭსედეთ ვარდსა, მაშინ ჭიფის უმეტეს სუნსე-
 ლებათა, რდეს ნიაკი შესებით შეარყევს მასთა რტობთა!» ასე რომ
 შეყვარებულის კაცის გული ვარდი არის, რომელიც მაშინ უფრო
 უმეტეს სუნსელებას მოჭიფის არე-მარეს, როცა სატრფოსგან მოკ-
 ლენილი ტანჯვა (ნიაკი) შეარსებს. ტანჯვა არის მიუცილებელი
 პირობა სიყვარულისა და სიყვარულისგან შექმნილის ნეტარებისა.
 ასეთი გაგება სიყვარულის სიმწარისა და სიტკბობისა ორანგ-ღირი-
 კოსთა შორის დე-გინიმა და მიუსსემ გამოიჩინეს, მაგრამ კიდევ
 და კიდევ ორიგინალობა ჩვენის ზოგისა იმაში ისტება, რომ
 ზემოხსენებულნი მწკრალნი სიყვარულის ნეტარებას მოშსამულად
 და მოწამლულად სთკლიან ამავე გრძნობისგან გამოწვეულის ტანჯვა-
 ბის გამო, და ამიტომ სკვდითა და კენსით უფურებენ ამ გრძნობას.
 ჩვენი ზოგისი კი თვით ამ ორ-მხრობას სიყვარულისს დაჭმდე-
 რის, მისგან გამოწვეული ტანჯვა-სიამე მიანნია მომხნებულ რამედ,
 ამიტომაც ეს გრძნობა მას სიცოცხლის მომშსამველ საგნად კი არ
 მიანნია, «მისგან მოგვეტემის იმედა, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი.»

ერთის სიტყვით, თ. ორბელიანმა ჩვენს ზოგისაში სიყვარულის
 სსკა რიგი განმარტება შემოიტანა, ძველი სოციალური სიყვარულის
 გალობა თუმცა ვერ დაივიწყა და არა თუ დაივიწყა, მეტად კარგად
 შეიშენა, მაგრამ დანტესა და პეტრარკოსი, ბარათაშვილისა და ლა-
 მარტინის არ იყოს, მისი აზამლლებელი, იდეალური თვისებებიც მეტად
 კარგად შეიგნა, შეიგნა, რომ კაცი, რომლის გულიც სიყვარულით
 არის აღსავსე, წინა-საბრკელად რაი აღუდგეს, რას არა აღასრულე-



ბდეს? ესეც კი უნდა შევნიშნათ, რომ ხორციელება სიყვარულის თითქმის უფრო ძლიერადა აქვს გამოხატული, ვინემ მისი სულიერება... სოლო ისიც არ უნდა დაგვაპიწოდეს, რომ უკვდავება ამ გრძნობისა, იმისი ძალა, სულის ამაღლებული და სინტონის განმანდისკრებელი ეგრედ წოდებული პლატონური სიყვარული მან გვაგრძნობინა პირველად ჩვენს ლიტერატურაში და მანვე დაუტოვა სამკვიდროდ ნ. ბართაშვილსა და სხვა ჩვენს პოეტებს.

და ეს იმიტომ, რომ ბ. ნიკოლაძის არ იყოს, ხალხის ცხოვრებაში ყოველი კერძო მხარე, ყოველი მცირე მოვლენა თითქმის ყოველთვის საზოგადო სასიამოვნოსა და მდგომარეობისაგან წარმოებს და ამ საზოგადო მდგომარეობის ახსნას და გაგებას აადვილებს. სიყვარულზე შესჯდულებაც, ამ კანონის ძალით, საზოგადო მდგომარეობის შედეგია და ხალხის ცხოვრების და ბედის შენჯღისა დაგვარად სხვაგვარად. როცა ხალხში ან მოწინავე საზოგადოებაში სულით დაკარგნა ბოლოვდება, როცა იმედი ბრუნდება და დაღაღულება თავდება, ხალხის უკეთესს პირებს გრძნობაც უშატიოსნდებათ, სასიამოვნო უმაგრდებათ და სიყვარულიც მათში იმათ მარტო მატრიალური საიმპონების წყაროთ კი არა, უფრო ძალიან ლტოლვილების და მისმარე ძალად ეჩვენებათ. (გრ. ორბელიანის კარჩევა, «გრ.» 73 წ.)

ორმაგობა სიყვარულის გრძნობის გამოხატვაშია სწორედ ჩვენ იმდროინდელის საზოგადოების რნულობრივის მდგომარეობის სარკე არის... ერთის მხრით ცხოვრებაში მეფობს «ცნობრების მებრძოლთა» გუნდი, რომელნიც პირადის პირუტყულის გრძნობების დაკმაყოფილებას ანაცვალბენ ყოველთვის ანა და სასოწარკვეთილებაში ჩაკარდნილნი მიჯნურობის პირუტყუელ მხარეში იძიებენ განსვენებას, მოკრეს მხრით კი იწოდება ახალი აზრი, ახალი შესჯდულება, ახალი იდეალები ებდება საზოგადოებას... მამულისათვის თავის განწირვა, ერისთვის სამსახური, პირად ქვენა გრძნობათა დატუქსვა და სულიერის მხარის ამაღლება.

მეორე გრძნობას კაცთა ვაჟშირისა, მეგობრობას ჩვენს პოეზიაში, არც გრ. ორბელიანამდის და არც მერე არ მოუპოვია ისეთი საპატიო ადგილი, როგორც თ. გრ. ორბელიანის პოეზიაში და ერთ საუკეთესო მის ლექსად უნდა ჩაითვალოს ამ გრძნობის

გამომსატველი ლექსი, ჩემს დას ეფემიას», რომ ცოტა გაჭინუ-
 რებული არ იყოს, ცოტა რიტორიკით არ იყოს ატყვევებული.

პოეტს, რომლის გულს ძმისეული ჭმუნვათა დასნი გლეჯენ
 შეუბრალებლად, რომელსაც «ჭმუნვისა ცეცხლით დამწვარს შავ-
 რენ ცრემლნი» და ეს უგანასენელი შებანე მოაკლდა, რადგან დამ-
 წვარს გულს აგრილებს ცრემლი, პოეტს, ესდენ დატანჯულს, რომ-
 ელსაც გონება შეჭმნია ჩლუნგად და ქვად გული, რომლის უსა-
 სობა და უნუგეშობა იქამდის მიდის, რომ «სიყვარულისა სურვი-
 ლი ვერ დაუთრებს გულს, მისი სიცოცხლე კვლავ დასტებს სი-
 ხარულით, რადგან სოფელს მუსთაღს, საამურიც ოცნებით აღუ-
 სიღს უმწერს მიუნდობელ გამოცდილ თვალთ, რომელსაც სვალე
 აღარა სწამს, ვით ღამეში მაცდურნი სსიავი. ესდენ გაქმნებით აღ-
 საკსე პოეტს ერთი ნუგეში დაშთენია ამა სოფელს—დის მეგობ-
 რობა ძმისად ნუგეშად, მისდა შებანად სასიხარულად, ღსენად გუ-
 ლისა, უდროოდ მწარ-დამტკენარისა, განმასვენებლად კვეთებათგან ბო-
 რტ-მხვედრისა! ცხოვრების ბნელს გზას იგი უნათებს შებანის
 კარსკვლავით, მისი ღამილით შეჭმუნვილ სასეს ნათელი ეფინება,
 მისი აღერსი მშვიდი, წყნარი, გულ-დატანჯულს ენატრების.» და
 მისთვის ვლადკოვა ცას,—ამბობს პოეტი,—შანი დღენი ჩემთვის
 შთომიღნი, არ შესწუდნენ, ვიდრე კვლად ჩემთა თვალთ არ გისი-
 ლონ, და მაშინ ოდეს საუკუნოდ მიეღულეო თვალნი, მშობლიურ
 მიწს სელთა შენტა გულს დამაყარონ. და არათუ მარტო ამ ლექს-
 ში, პოეტს სშირად უმღერია მეგობრობისათვის, სშირად აღუ-
 მადლებია იგი გრძნობა ლეთებრიობამდის, «მეგობრობისაგან ვით
 სიცოცხლისგან ჩვენი ცხოვრება არს ტურთვად აღყვავებულიო,
 მწუნარებაში მათ მივეყრდნოთ, მყისვე განკვიტენ სევდები, მოგვცენ
 იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღამილი.» «მეგობრობა შებანის კარსკვლავ-
 ვია, ცხოვრების გზის განმანათლებელი, ყვავილით ცხოვრების გზის
 მომფენელი.» ამიტომაც პოეტი აღტაცებით გაიძისის: «მეგობრო-
 ბისა წმინდასა შეესწიროთ სრულად, რაც გვაქენდასო.»

ადმიანთა შორის განწყობილებაზედ თუ სხვაგვარი გრძნობა
 და აზრები აღგვიძრს თ. გრ. ორბელიანმა, ბუნებისა და კანის და-
 მოკიდებულებაც სხვათრევე გამოგვისასა. აღ. ჭავჭავაძე თუ ბუნებას



იმ თვალთ უყურებდა, როგორ განწყობილებასედაც მიჰყვანდა სსსრ ტროფოს ალექსის ან რისისკას და თუ თავისდა თავად ბუნებას აზრითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, გრ. ორბელიანმა სულ სსსრფორიკ შესებად საქმეს და აქაც ნ. ბარათაშვილის წინამორბედი გახდა და ლამარტინთან ერთად ბუნება გაცის ნუგეშ, კეთილ თანამგრძობლად მიანდა. როცა სატროფოს ელის და ზოკტის გული საამოკნებით არის აღკესებული, ბუნებაც მის თანაგრძობს, განწყობილების სასამოკნო ნიადაგს შექმნის, შესასამებულ დეკარანციას უკეთებს: «მთოვარე აშოკო მოწამე, საამოთ ნათელს მოჰყენდა, ნიაკი სუნნელთ ევაკილთაგან ჰკრეფდა და ქროლთ მოჰბერდა, ბულბულიც ბუნქში დამალვით ვარდას გალობით შესტროფოდა და მით გულს რეცნლი ტროფობისა უმეტეს აღკესებოდა. ვასნი ფურცელთა გადაშლით ჩემსედ კამარას შექსდგინდენ.» როცა სატროფონი სიტკობების ზღვას შთაეფლენ გრძობით დამთვრანნი, მასინ «მთოვარე, აშოკო მოწამე, საამოკნებით დამზურდა, ნიაკი სუნნელთ ევაკილთაგან ჰკრეფდა და ქროლთ მოგებერდა.»

როცა სატროფოს შორლების, ბუნებაშიაც თითქო რაღაცა მსგავსი ხდება, «მზე ჩაკსკენა, მის შუჭი გამოსაღმების უამს ვაკვასსა თავსა ესკევა აღერსით, ვით ქალი მამას მოხურესა; ხოლო ბუმბერაზ მთანი მდუმარედ წათამდას აუღებულნი, სხედან, ვით დენი სხეტაკის უინულ კვირკვიანით შემეულნი. «სხედან» დუმილით მოცულნი, ვითა ზოკტი, რომელიც შეწესებული უმზერს გზას და «მასზე ეტლსა მიმსროლსა, მიმტანსა ყოვლის კეთილის». «მთათ კლდოვანთ გვერდით შავდა ღრუბლნი ზე დასწოლიან და მრისხანებით ქვეუნას წარღვანითა ემუქრებიან», ისე როგორც ზოკტის თავი მოცულა შავისა და ხალკიანის ფიქრებით, რომელიც მზად არის წყევაკრულვად იქცეს, მაგრამ ქვეკით «მთის კალთები შეუმკვია გაზაფხულისა ტეეს, შემოსილსა სიმწვანით, და შეამკობს მათ სატკობო სუნნელებითა მიყნით» და თითქო ამას ბუნების მრისხანებაც მოულობილება და ზოკტის გულიც გაულსკია. მისი წყევაკრულვა, თავგანწირულ სიტყვებად იქცევა, სატროფოს გზას ულოცავს და მარად დღე კურთხევას უსაგძლებს. სატროფო დიდი ხანია თვალდან მიემალა გოასანს. მისთვის სიცოცხლე დაბნელდა, მარტო სკვდა აწკება

მის გულის და ცრემლი თვალებზედ ადგება და «ბუნებაშიაც შელამაჯდა... დაფრუდა აჩუ... მხოლოდ სჩანს, მთანი მდუმარედ აუუდებულან ცათამდის და უსიბეგეს საამოდ ზედა კარსკვლაჳი დაჭნათის.» მაგრამ კერც კარსკვლაჳი გააღწიოს მთის უნულთ დაფარული, კერც ჩაუწვდინოს გულის სიღრმემდის სითბოს სხივი და კვლარც ზოეტის გაჭკვებული გულა დანამოს ცრემლებმა, კერც ექმნეს სანუგეშოდ მართლ ერთი მჭრალი წარმოდგენა და სსოგნა თავისი სატროფოსი.

როცა სატროფოს ესაღმება, როგორც მზე კაკვასიის მთებს, მისი აზრიც ამ სატროფოსკენ მიისწრაფვის, ისე როგორც წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს სცვივიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კვდენი ბანს ეუბნებიათ,» მის დამალულ აზრთაც მისი მზე სატროფო ისე ამელანებს, ისე აზრწინვალებს, როგორც მზე დაქანებულ წყალს აღმასებრ აზრწვიანებს... სატროფო მოშორდა, მისი აზრებიც განიფანტა, სადღაც სიბნელემ და წყვდიადმა მოიგვა, ისე როგორც მზეს მოშორებული წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულს იკარგებიათ, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კვდენი ბანს ეუბნებიათ.» ეს ზოეტური სერხი სურათთა დაზირდაზირებისა სწორედ დიდის ნიჭის მომასწავლებელია და მჩვენებელი იმისაც, რა ნაირად სწამდა ზოეტს ბუნებასა და კაცს შორის კავშირი. ბუნების დეკორაცია ერთი და იგივეა, სოლო კინემ ზოეტს სატროფო არ დაჭკარგვია, თვალისაგან და ბუნებაში «მზე არ ჩასვენებულა», წყალნი მთით დაქანებულნი აღმასებრ უფსკრულს სცვივიან, და, ჭგავს, აქაც კიდევ არ განშორებია ბუნებას, რადგან უფსკრულში ჩაცვივიული წვეთებიც კი იხილებიან, სოლო სატროფო მისტაცა ეტლმა ზოეტს; მზე ჩაესკენა, უკანასკნელი შექაც მზისა მოშორდა კაკვასიონის და ბუნებაც შეიცვალა, წყალი აღარა სჩანს, წყალნი მთით დაქანებულნი უფსკრულს იკარგებიათ.»

სუვევლგან ბუნება ცდილობს კაცს-მგოსანს თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს, საიმე და ნუგეში მიავლინოს. «შესწუდა ომი, დადუმიდა აჩუ. აჭა, მთოკარეც ნელაიდ შექსა კითა ნუგეშისა მოჭყენს საშველად.» და, რასაკვირველია, თუ «ბუნება განმაცნოველი, გულისა ჭმუნვის გამჭარველი, სიცოცხლის დამატებობელი აღტაცებითა და

მადლობით აღაკებს ჰოქტს და აღფრთოვანებულ საიტყვებით მიჰმარ-
 თავს ყოვლის შემქნელისადმი:

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილის, მის ვერ უცვალავ შევნებას?
 სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ბადავ ცხოვრებას!...

მხოლოდ ბუნების ამგვარი ჭარბონიის, ბუნების ამგვარი დიდუ-
 ბულების დამრღვევი თვით განიკე სდება თავის ზიროტეულების სურვი-
 ლებითა და ლტოლვილებით. «ამ მშენიერს დილას მარტო კაცსა
 სურს სისხლი კაცისა» და ჰოქტსაც გავეიროებით აგებს ეს დის-
 ჭარბონია ამ ჭარბონიულს სურათში, ეს დისონანსი ამ მშენიერს
 სიმეონიაში.

როგორც თ. ალ. ჭავჭავაძე ცნობილი იქნება ჩვენს ლექსებ-
 ში, როგორც დიდი ნიჭით აღსავსე მგონი სიყვარულისა, ისე
 თ. გრ. ორბელიანის უზიარტეს ღირსებას შეადგენს მისი ამგვარი
 შეგნება ბუნებისა და ამ შეგნების, შესედულების საუცხოოდ გა-
 მოხსატვა. მართლდა, ორ-სამ ლექსში და ისიც რამდენიმე სტრი-
 ქონი აქვს მიძღვნილი ბუნების აღწერილობას, მაგრამ თ. გრ. ორ-
 ბელიანამდის ისეთი ძლიერებითა და მხატვრულის ხელგნებით არც
 ერთს ჩვენს ჰოქტს ბუნების სურათი არ დაუხსტავს და ამში, მარ-
 თადა, იგი მალღა სდგას რუსთაველზედ... მაგრამ ის უნდა მივი-
 დოთ მსჯელობაში, რომ რუსთაველი ეპიკოსია, ეპიკოსს კი თა-
 ვისი გრძნობების გამოხსატვის ნება და სურვილი არა ჰქონდა, და
 თუ ამს მოინდომებდა, თითქმის შეუმჩნევლად და მიმალულად უნ-
 და გამოეთქვა. სსკა დრო იყო, სსკაკვარი ლიტერატურის ნაწარ-
 მოები შეეფერებოდა ამ დროს და ამიტომაც სსკა ხერხსაც მი-
 მართავდა ხოლმე ჰოქტი. თ. გრ. ორბელიანი კი ლირიკოსი იყო
 და მისი ზირდაზირი დანიშნულება იყო ასეთი სავნის შესასებ თა-
 ვისი გრძნობები გამოეჭეუებინა. ხოლო თ. ორბელიანის მომდე-
 ვარი მწერლები—თ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და მოხუბარ-
 ძე—არ ჩამოუვარდებიან და კიდევ მეტად უფრო მალღაცა სდგანან
 იმაზედ. ყოველს შემთხვევაში თ. გრ. ორბელიანის დამსახურება ის
 არის, რომ როგორც რუსსომ და ბერსანდენ-სენპიერმა საფრანგუ-
 თის ლიტერატურაში, ისე მან ზირკულად შემოიტანა ქართულს სა-

ლირიკულ ლექსებში ბუნების აღწერა და, კიტყვი, უსწრაფად აღწერა და აზრს, პირველად მან გამოხატავს პოეტი-ლირიკოსის აზრი ბუნების კარგე შედგენილების შესახებ, ბუნებასა და კაცთა შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ.

რაცა შეესება მესამე მთავარ საგანს სალირიკო ლექსებისას, ცხოვრების დასასრულზედ თქმისაგან გამოწვეულ გრძნობების აღწერას... ამში ჩვენი პოეტები ძალიან ქვეითობენ. ნუ თუ ჩვენი ცხოვრების მხედველს პოეტს სძირად არ უნდა მოსდიოდეს თქმის სიტყვებისა და ცხოვრების მოსპობას, არ ვინც, რას უნდა მიეწეროს: უღარდელსა და უსრუნველს ბუნებას ქართველისას, მის სინდრატს და სინდრატს, თუ გონებისა და გრძნობის სიმხატვრის, რომ ასეთი საგანი თითქმის უფურცლებოდა აქვს მიტოვებული ჩვენს სალირიკო პოეზიას, მაშინ როდესაც უმეტესობას კერძობის ცნობილ ლირიკოსთა უფურცლებოდ არ დაუტოვებია იგი... ლამაზი სიკვდილს «მსხველს» უწოდებს და კარგ მკობრად მიაჩნია, ჭიუჭიას სიკვდილი საშიში რამა ჭგონია, ყოველივე კეთილის მომხმობი. დევიანის სიკვდილი არაფრად არ მიაჩნია, არაფრად აწუხებს იგი, რადგან ამ ბილწისა და საზიზღარის წუთისოფლის მოშორებაც არაფერ დასაკარგად მიაჩნია. აღ. ჭკუჭკამემ ერთ ლექსში მანც გამოჭსატა ეს საგანი, სიკვდილს «სისხლის მწუფრავლად», უწოდა და შეუბრადა, ხელში ბასრი ხმლით აღჭურვილად მიიჩნია. გრ. ორბელიანმა კი განამეორა დიდებული ეპიკური ლექსი რუსთველისა; მანცამ ბევრად უფრო ნაკლების მხატვრულის ნიჭით გამოხატავს იგი. ამ სენს სჯულსა, ამბობს პოეტი თავისს ეპიტაფიაში, «ვერ არსი ვერ ასცდეს, ვერც ხელმწიფე დიდებისა კვირგინით, ვერც გლახაკი შემოსილი ძონძითა, ვერც სიჭაბუკე მშენებთა შემკული და ვერც მოხუცი დაღაღული სიტყვებით! ყველა იცავლის ყველა მოჭკვდეს, დამიწდეს». შედარეთ ეს ლექსი უკვლავ სტრქმენებს რუსთაველისას: «ვერ დააჭირვეს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერც კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ გულოვანი; ბოლოდ შეჭყარნეს მიწამან ერთგან მყოფე და მსცოვანი». თქვენ ხედავთ, რომ პოეტმა ეპიკოსმა, პოეტმა, რომლის მოკვლეობა იყო ყოველი პირადი გრძნობა და აზრი განუკლებინა



თავისი თხზულებიდან და მხოლოდ საზოგადო სენტენტრიებით გამოკეთება თავისი აზრი ამ თუ იმ საგნის შესახებ, უფრო მხატვრულად, უფრო კარგის სურათებით შესძლეს და გამოხატა თავისი აზრი. თ. გრ. რაბულიანის ლექსი კი უფრო სპეკულაციონ მკერმეტყველებს მოგაგონებთ, ვინემ საღირიეო ლექსისა.

საზოგადოდ უნდ ესთქვათ, რომ ბეერია რიტორიკა რბულებინის ზოვიერთს ლექსში და უფრო იმ ლექსებში, რომლის აზრებიც ჰოეტს კარგად ვერ შეუთვისებია და ვერ შეუგნია... ბეერია ეს სპეკულაციონ მკერმეტყველური ამ ლექსებში... ეს ლექსები კი ის ლექსებია, სანა რომანტიკოს-ღირიკოსი, შირად სკედათა და ურკათა გამომხატველი, ცდილობს საზოგადოდ დარდი და კაქმანიც გამოსთქვას, ჩონგურს სამგლოვიარო და საზარო ხმები გამოცემინოს და ეს იმიტომ, რომ არც საზოგადოება იდგა გარკვეულს და გაკაფულს: გზაზე, რომ ჰოეტის აზრი და გრძნობაც ერთის წერტილისაკენ მიემართა და არც ჰოეტს ჰქონდა გენიოსობა, რომ წინამორბედობა და წინამძღვრობა ეთავა. მერმე კიდეკ ერთს რასმე მოგასსენებთ და ნუ გარცდებით, ნურც გაკვივრდებთ, რადგან ამ აზრის გამოთქმა შირველი მე არ მეკუთვინის, არამედ იმავე კრიტიკოსს ფრანგს, რომლის კოლიუტის თეორიით ლიტერატურაში ჩვენ ვსემძღვანელობთ ჩვენის ღირიკოსების გარჩევაში. ჰოეზია და საღირიეო ჰოეზია არის ერთი გვარი ფილოსოფიისა. როგორც ფილოსოფია, ჰოეზიაც უნდა ელტოდეს მოკლენათა შორის დაფარულს კავშირს, საუკუნო დაუსაბამო გრძნობებთა შინააზრს, ნუმენს, როგორც ფილოსოფოსები ეძახიან. ჰოეზია თუ სიადუმილებს არ ელტვის, ჰოეზია არ არის, ჰოეზია თუ მათემთიეურ თეორემებდ გარდიქვა, ლოგიკის ტენისებდ და ჰუბლიცინსტიკის დალაგებულ, სტატისტიკასკედ და ეოკელ-ღლიურს ფაქტებსკედ აღგებულ მსკულლობდ, თავისს მომხიბლველობას დაჰკარგავს... არის საგანი, რომელიც ჰუბლიცინსტიკის საქმეა, ეს განლაგს მამულის მდგომარეობის დანახება ამ თუ იმ ისტორიულს ხანაში, აღნუსხვა ზომებისა ამ მდგომარეობის გაუმკობესობისათვის და ამკვარისა თუ იმკვარის მოკალეობის დასახვა ერისათვის... მამულის სიყვარული, მამულის საფრთხიდან დასხნა მეტად გარკვეული რამ არის, მეტად ცხადი და

შესაგნები, ძლიერ ცოტას აქ ფარული — დამალული და ამიტომ მის მულის სიყვარული ვერ აღეკვს საღირსიო ზოგადის შინაარსს. ამ შემთხვევაში ეს გრძნობა უნდა სიმბოლურიად გამოიხატოს (მაგ. აკ. წერეთლის ლექსები), უნდა სხვა რამ ხერხი იხმაროს, რომ ჩაგრულისა და დამონაგებულის ერის სულის განწყობილება დაგვანახოს, ერის ვაჟების კენესისა და გოდების სიდიადე და საიდუმლოება გვაჩვენოს, თორემ განს ეს მხურვალე გამოსატყაას რაიმე გრძნობისა და არა რიტორიკა:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულს შესწირა მსხვერპლად
 დავნატრი დროთა, რომს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს.

აბა რა არის, თუ არ ქადაგება, თუ არ საეკეკლესიო კათედრის
 შესაფერი მჭკრმეტყველობა.

ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს რომ მის გული
 არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
 ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხოვოს თვისი სისხლი,
 არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი.

სოფელი ამად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ეამს გრძელსა,
 თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
 მის საღიღებლად ჩვენც შეგვხედეთ უშიშრად ათას მახვილსა
 და მოვჰკვდეთ, თუ კი სიცოცხლით ვადიდებთ მისსა სახელსა.

ეს ლექსი «სადღეგრძელოდან» გახლავთ. ერთი ნაწილია ამ ლექსში კარგი და ეს სწორედ ის სიყვარა, სადაც თ. გრ. ორბელიანი ძლიერია: ეს ბუნების აღწერილობა, ბუნების ძალთა შედგაგაგენა, სამშობლოს სიყვარულის აღორძინებაში, «სადა შეჭსართით ღაყვარდად ცისა კამარას მოართულსა, მისზე მავალსა ხელმწიფებრ მსეს ბრწყინვით განსხიგებულსა, დამით ვარსკვლავსნს ფირფისა, მთავართთ განათებულსა, სიცოცხლის მომეენს ჭარსსა, სუნუნლებრ შეზავებულსა! სად მთანი ყინვის გვიარგვინით არიან ცადმდე ასულნი და მდინარენი ზახილით სვიართის სვიართებზედ მსროლენნი, უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალგაღწევენენი, სად მოხადირე ჭსდევს ჭვისვსა და მის ქვეშ გლენან დრებენი, სად კელნი ფერით სურმუხტნი ნაწიდა აღ-



მწვანეებიან, მათზე გასკასით წყარონი გასარებულნი მოიბრძან, მათს სიკამპამეს ვეპაილნი თავ-დასრით განცვიფრდებიან, გულს მათი სიღვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან!» მაგრამ ნუ თუ მწვანე კელი და უინგით მოსილი მთები გააყვარებს სამშობლოს, ნუ თუ ინგლისეულსა და ჩრდილოელ ხალხს სამშობლო არ უყვართ, თავისი მიწა-წყალი საუკეთესო ედემად არ მიანინათ, მთიულს ხალი კლდეები უკვდავებისა სის დაჩადა არ აქვს აღიარებულნი? არა, სიუკარული სამშობლოისა შეიცავს უფრო სხვა გვარს კავშირს, ისტორიულსა და ზნეობრივს ნადაგზედ დამყარებულს, კავშირს წარსულთან და მომავალთან, კავშირს ერისას, რომელსაც გამოუსახავს იდეალი ცხოვრებისა და იდეალის განსახორციელებლად ის აარალი მოუხმარია, რაც მისთვის ბუნებისა და ისტორიას მიუცია. ამისათვის, თუ გინდა საღირიკო ზოეზია შეურიგო ამ ტემს, ამ საგანს, უნდა ან ისეთ რეალურ არსებად გარდაქციო იგი, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი შერება, ოცნებით სატროფოდ გამოუსახავს და ამ სატროფოს ბედ-იღბალს დასტირის თუ დასცინის; ერთის სიტყვით, უნდა მიჭმართო იმ სერს, რომელსაც სამშობლოშიმე ქვეთა ზოეზიაში, ანა და ყოველთვის მშრალი გამოვა რეტორიკული ფრანგები, რომელიც გრ. ორბელიანს უყვარს სოლმი. თვით გარგად გრძნობდა, რომ ეს ფრანგებია. თვითვე ამბობს ერთ ადგილს თავის «სადღეგრძელოში»: «კმარა მოძღვრება». დიალ... თვითვე გაიგო შეგნებულმა ზოეტმა, რომ ეს მოძღვრება, მეტი არაფერი.

სასოგადოდ უნდა მოგასსუნოთ ის, რომ ეს «სადღეგრძელო», დღემდის ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღიარებული, უნდა მივიზინოთ უსუსტესად... რადგან მოკლებულია მრავალს ღირსებებს. ორი სამი ადგილი გარგია, მაგრამ ეს ვერ გამოიყიდის ამ თხზულების ნაკლებუკანებას. უსერსულია ფორმით, უსერსულია მსატორიულის მსრითაც... არ არის ზოემა, რადგან არაა აქვს; არ არის საღირიკო ლექსი, რადგან ამ გვარისთვის არის სამარტივე, მოკლე თქმულება და მკვეთრად გამოხატული აზრი, ეს კი მეტად გაჭიანურებულია. ეს არის მუსლები მოძღვრებისა, ... მცნებისა, გალექსილი: მუსლი ზირკული «წინაშართ მოსსენება», «რომელთა დასადკეს სიტაცსლე მამულის სამაღლებლად» და ამ დიდების მოძიენელ,

გამამხსნეველ სახსნოკართა შორის ურეკია ისეთებიც, რომელთაც, ან უნდა ქქონდეთ აქ ადგალი; მეორე მუხლი გვიქადაგებს მამულის სიყვარულს; მესამე მეგობრობის კანსკვლავს გუნდრუეს უკმეკს; მეოთხეში სიყვარულის ამძაღლებელს შუქს მისს უკვდავებას უგალობს; მესუთეში ბუნების მშვენაერებას გვისატავს და სწორედ ეს მესუთე მუხლი ანის აღსაკვე შოეზიითა და მშვენაერებით (გვ. 73).

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შექლება,
 ცას სიხარული მოჭფინა და ქქუყანასა შევენება!
 აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი;
 ცა მშუჭნიერობს, ნაოლდება... მასა შევნატრით მზილველნი!

იელვა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
 ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
 მოჭქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
 ფშვინვა დაიწყეს ყჩავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებულო!
 დაჩუმიდით... ყური მიუგდეთ... არ გვისმისთ, ჰგალობს ბულბული?
 ირაკლის თაფაც გამოჩნდა... აჰა მთაც კიდობანისა!...
 აი მყვირალა ზანგიცა ჯა ბურჯნი ერევიანისა!...

მამულის სიყვარულის გასაძლეერებად სშირად შოეტება და შქერდება ისტორიას მიმართავენ სოღმე და იქიდან უჩვენებენ იდეალურს ტიპებს, სამშობლოსა და ერისათვის თავდადებულ გმირთა, იდეალურ შირს, საზოგადოების კეთილდღეობის მოსურნეს და ამ კეთილდღეობისთვის თავდადებულს, ან-და რომელსამე ეშოქის საზოგადოების ენტუზიაზმისა, როცა ერში ღვთაებრივი დიადი გრძნობები იღვიძებენ, რათა დაუშირდაშიროს ესლანდელს გათასირებულს ცხოვრებას ერისას... გერც ეს სერსი იმმარა კარგად თ. გრ. ორბელიანმა... მართალია, წინაშართ მოსახსენებლად აიღო თასა ხელშია, მაგრამ უბრალო ფაქტებისა და სახელების ჩამოთვლას მონადრამა მთელი ათი გვერდი. თქვენ თვადის-წინ გუშლებათ ფურცელი სასულწოდებათა: ფარნაოზ, ერთ-მთავრობის შემქმნელი, შირიან ჰვარისა ძალით გარემორტემული, გორგასლანი, რომლის შესეღვით სშარსელნი თრთოდნენ, დაგიო (აღმსვენებელი) უძლეველი მხედართმთავარი, გულ-მოწყალე მსაჯული, თამარი, რომლის წინაშე ძლევა



და მუხნი განდიდებენ მისსა მეფობას, დიდი ორბელი, შოთა უკვ-
დავი, ბრძენი ჭყონდიდი, მხედართ-მთავარი დიდი მხარგმელი და გ-
მრეკელი ღომებო გულადი, ქეთიკან ნაზად აღზრდილი, კასეთის
მსსული გმირები ელიზბარ, შალვა, ბიძინა, კასტანკ სვე დამწარ-
ბული სჭულდისა წიგნით, მეფე ირაკლი, რომდის დღენი ემსგავსეს
ჩასვენებულსა ბრწინებით მესეს და სსკა და სს...

პოეზია უნდა გასაგები იყოს უმეტესობასთვის; პოეზია აზრს,
კადეკ ვამეორებ, ფილანოფია სურათებით გამოთქმულია, თუ გენ-
ბავთ ფილანოფიის პოეზიანობისა, ისტორიის მსატრეულად
გამოხატვა და აზრ უბრალო მშობლა, ტრანკტატი ან-და სწონოლო-
გიური ფურცელი... ჩვენ ვეცდებით, დავანასკოთ მკითხველს შემდეგ-
ში, როგორ მოხმარა ისტორიული ფაქტი ბარათაშვიდმა «ქართ-
ლის ბედში», რომელიც უნდა ჩაითვალოს შედეგად რეალურ პოე-
მისა, რა სამსახური გაუწია ისტორიულმა სიუჟეტმა იღ. ჭავჭავა-
ძეს თავისი «დებიტრი თავდადებულში».

ამას თან დაურთეთ ისიც, რომელიც მე ერთხელ ვიდეკან
მოგახსენეთ, რომ თ. გრ. ორბელიანს ვერა ჭქონდა გამორკვეული
აზრი სამშობლოს შესახებ. იგი ვერ იყო წარმომადგენელი, შემგნე-
ბელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის გრძნობისა და ეს მით
უფრო გასაკვირველია, რომ ისეთს წრეში ტრიალებდა, რომელმაც
1832 წელიწადი ჩვენის ახალის ისტორიის დასაწყისად შექმნეს.
თვით მისი სადღეგრძელო ნათლად გვიჩვენებს, რომ სულ სსკა
წრეს ეკუთვნოდა, აღ. ჭავჭავაძისა და მისის მსგავსების გუნდს.
ხოლო ნიჭიერი პოეტი ვერ გაქვდა დროს, აღძრულსა და გან-
მტკიცებულს აზრს საზოგადოებაში დაბადებულს ზურგი ვერ შეა-
ქვია და ამიტომაც ძველი დიდების ტირილიც მოართო, რაიცა
შეინჯდა აწმყოთი უკმაყოფილებას, ხოლო მთლად ვერ შეეწყო ამ
აზრს და აწმყოს დიდებაც დაწყო («სადღეგრძელო»). ამ შემთხვე-
ვაში მისი «აზრალი» მხოლოდ უფრო გარკვეულის აზრის გამო-
მთქმელი, რომ მეტის მეტი ადგილი აზრ ჭქონდეს დათმობილი
«მოთაღს, თევს, მწვანალებს,» რომ წარსულში «ცხენთა თქრალი,
შუბთა ტრალი, ჳირითთ სრალი, უფრთაჳთ ბრალი, უზანთა
ცემი, ცხენითგან სტომი, კვლად წესტომი და სმალო კრალი» მეტის

მეტად არ იტაცებდეს. თუმც ეს ორი სტრატეგია საუფროსად და თითქმის საუკეთესოდ მისს ლექსებში გარეგანის ტენსიკურის მხრით. საოცარია აქ სტილი ზოეტისა, რომელიც საგანს ასურათებს უოკელ-მხრივ და თვით სიტყვათა ხმარება, მუზიკალურს მხარესაც კი გაგრძობინებთ სურათისას.

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი, უზანგთა ცემა, ცხენთაგან ხტომა, კვალად ზენტომა და ხმალთ კრიალი...

მაგრამ ზოეტის აზრის დამახასიათებლად მარტო ერთი ლექსი როდი ვმარ, მთელი მისი თხზულებაა სააქირო.

რატომ მოხდა ეს, გიდეკ და გიდეკ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვით საზოგადოებას ვერა ჰქონდა მტკიცედ გარკვეული, საკუბით შეთვისებული ეს აზრი, არ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც შესძლებოდა, ჰქონოდა ძლიერი გავლენა ზოეტზე. სოლო როცა ეკ აზრი გამომიარეკა, როცა ლიტერატურამ გამოარეკია პროგრამმა ჩვენის ცხოვრების შესახებ, როცა განმტკიცდა საზოგადო აზრი მაშინ ზოეტმაც უფრო შეიგნო საერო კენესა, უფრო შეისისხლნო როცა იგი და ამიტომაც მისი საუკეთესო ლექსი ამ საგნის შესახებ 1877 წელშია დაწერილი, სანც თამარის სასახა წინაშე, გულ ამოსკენილი და თვალზე ცრემლით, დამცირებულსა, ხმა-მიღებულსა ბედ-დაკარგულის იკერიას ძეს, სადაც გულ შემუსერილი, ეჭვით აღვსილი, უსახოდ ქმნილი, გულ-უმიდო, გაუსარბელი ზოეტი გოდებს; ვა თუ რაც წახდეს კელარა აღსდგეს, კელარ აღუკადეს ახლის შეკნებით და რაც დაეცა, ის წარიტაცა შაკმან უორანმა, ვით უმწე მსხვერპლი?.. მაგრამ ეს მაშინ იყო დაწერილი, როცა ილია ჭავჭავაძისა და ავაგი წერეთლის საუკეთესო ლექსები უკვე დასტამბული და გაბრუნებული იყო. სახლს ლიტერატურის ზედ-გაკლენასაც უნდა მიეწეროს ის, რომ 1874 წელში მუშა ბოჭელამე დასწერა, სწორედ 14 წლის შემდეგ იღ. ჭავჭავაძის მუშისა, მაგრამ მართალი უნდა ვსთქვათ, ვერ არის სინამდვილე დაცული, მთელი ეს ტირადა გრ. ორბელიანის ნათქვამია და არა მუშის, მუშის იშვიათად კერეთი აზრი წარმოსცდეს, თუმც შეიძლება გულში კი გრძობდეს რაღაცა მაგ-გვარს, მაგრამ სატკეოა შეგნებული ჰქონდეს უბრალო მუშის, რომ



მის შეზღუდვად ღარები, წვერ-უფლავი უდაროდ გათეთრებული ნიშნისა გუფში ღრმისათა ტეივილთა, დიდთა შრომით, ღრმით ფიქრებითა მწარეთა, უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!» და ისეთი იდეალიზაცია მუშისა, მის გრძნობა, ახრთა განდიდებით წარმოდგენას იმ დროის ჰუმანიტარული და ლიტერატურის ნაყოფია.

სამაგეროდ იქ, სადაც დარდმანდულის არშეიშობის და ქეიფ-მიჯნურობის გრძნობების შეგნება იყო საჭირო მდაბიო ხალხისა, სსკისა, ვიღაც ბეჟანს მკერვალისა, აქ გრ. ორბელიანმა დიდი სელა-ვნება გამოიჩინა. და მე ამ ლექსებს იქ მოვიხსენებდი, სადა მსურდა დამენახებინა გრ. ორბელიანის ახრი სიყვარულის მატერიალურ-ხორციელ მხარის შესახებ, მაგრამ აქ მიტომ მოვიტოვე, რომ ამით გრ. ორბელიანმა ახალი ელემენტი მისცა ჩვენს ჰოეზიას, რეალური ჰოეზიის სათავე დასდგა—თუ ვი რეალურ ჰოეზიას ახრად აქვს ჰოეტის «მე-ს განდევნა, სხვის გრძნობათა, ახრთა, სეკდა და ფიქრთა გამოსატყა... თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყეთ, რომ «ბეჟანს მკერვლების» გრძნობა ცოტა ერთმხრივად გაიგო ჰოეტმა, თითქო ბეჟანებსაც არა ჰქონდეთ შეგნება ციურის, ამამდლებელის გრძნობისა და მარტო ელანდებოდეთ თვალში ზოგის წელი, ზოგის ხევენა, ზოგის ალერსი ტებილი!» საოცარი ისაა, რომ ჰოეტს ამკვარი ლექსები ყაზარმაში ჰერობის დროს დაუწერია. შეიძლება ეს უდარდელი, ქეიფისა და ღზინის მოსურნე ბეჟანის დასატვით უნდოდ კონტრასტი შეექმნა თავის ცხოვრებისა და ან ცხოვრების გუფ-ქვარობა და გუფ-გრძნობა დაესატა, მით, რომ, მაშინ «როცა ბედმა დაამსო დიდ-კაცნი, ბეჟანს დარჩა ბურთი და მოედანია.» ეს სელს არ უშლის სელაგ-ურის სინამდვილით ბეჟანის გრძნობის გამოხატვას.

რაცა შეეგნება ერთ ლექსს ჰოეტისას, რომელსაც ეწოდება «ზას-უხი შვილებთა» და რომელიც ლექსთა კრებაში გადაკეთებულია— ეს ჰუმანიტარული ლექსია და დამსახურებული თ. გრ. ორბელიანის საზოგადო მოღვაწეობისა. იმის მეთაურობით მაშინდელმა რეტრო-გრად ვაჟბატონებმა ომი გამოუცხადეს ახალთაობას, პლ. იოსელიანი იმისა სწესდა, რატომ მთავრობა არ ალამკავს ახალ-გაზდობასო, ახალ-გაზდობას, რომელიც საუკეთესო იდელების დასაცველად გამოვიდნენ ცხოვრებაში. ყოველივე ახლის კეთილის საქმის წინააღმდეგი შეი-

ქმნა, ყოველივე ხსალის აზრის დამტუქსავი და მოძულე შეიქმნა და ამა-
 შიაც გამოისატა მისი ძველი, დინჯი, «გონიერა», ნამეტნავად გონიერი
 კონსერვატიული ბუნება, თორემ ხსალ-გაზდობას ისეთი არა წამოუ-
 ეყნებია-რა, რომ ყოველ საუკეთესო ძველს სისარულით არ მიეღო
 იგი, და ასეც მოხდა. მაშინ როცა ალ. ლაგას. ორბელიანი, გ. ერის-
 თავი და დ. ყიფიანი ხსალ-გაზდობას სიამოვნებით ეპყრობოდნენ,
 იგი ჩვენის ერის ძველს დასაკსებულ და ნიადაგ აშმორებულ აზრე-
 ბის მქადაგებლად შეიქმნა...

მაგრამ ეს არ შეადგენს ჩემის წერილის შინაარსს. მე მინდოდა
 მხოლოდ მეჩვენებინა ჩვენის ხსალის ლიტერატურის ეკოლიუციაში
 რა შემოიტანა გრ. ორბელიანმა, რა ადგილი უკავია ამ ეკოლიუციაში
 მას. მსურდა დამენახებინა, რომ შირველად მას შემოიტანა ჩვენს
 სალირიკო ჰოეზიაში ბუნების აღწერილობა, ბუნების სურათთა
 განცხოვლება, ამ სურათისათვის სულის ჩადგმა... მან შეიტანა
 ხსალი აზრი სიყვარულზე, მიაქცია ყურადღება იდეალურს მხარეს ამ
 გრძნობისას: მან მიაქცია უფრო დიდი ყურადღება ალ. ჭაკვაძემზე
 ქართველის ერის დარდას და მწუხარებას, თუმცა გარკვეული აზრი
 კერ შექმნა ამ საგნის შესახებ და ბოლოს მან მისცა სათავე
 ჩვენს რეალურს ლირიკას... ერთის კაცისაგან, მე მგონია, ეს სრულიად
 საკმარისია, რომ მისი სახელი საუკუნოდ აღბეჭდილ იქმნას ჩვენის
 ღირბის ლიტერატურის ფურცლებზე...

კიცა ახაშიძე



ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი

II *)

გადავლახეთ ქედი თუ არა, ერთ მთაგრეხილს დავადექით. მთაგრეხილი განიერია, მშვენიერ ნოყიერ ბალახით არის (ოფენილი და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრზე. შთაბეჭდილება უფრო მდიდარი იქნებოდა, დღე რომ მოწმენდილი ყოფილიყო. ამ მთიდან კარგი გადასახედავი ეშლება კაცს თვალ-წინ, მაგრამ დღე ღრუბლიანი იყო, მაღალი ხეესურეთის თოვლიან-კლდიანი მთები ნისლ-ბურუსით იყო დაფარული, მხოლოდ ხან და ხან გამოჩნდებოდა ნისლში ხან აქ, ხან იქ რომელიმე თოვლიანი წვერი მთისა. დიდებულ მყინვარს ვერა ვხედავდით. თუმცა არ იყო შედარებით შორს, მაგრამ მთელი დღე ნისლში იყო გახვეული. ერთ წუთას აღმოსავლეთისკენ გაიფანტ-გამოიფანტნენ ღრუბლები და მზის სხივებზე ალაპლაპდნენ თუშეთის მთები, რომელთა შორის მედიდურად მოსჩანდა თოვლით შემოსილი ნაროვანის მთა (ამ მთაზე მუდმივი ყინულებია, 12,000 ფ. აღმატება).

მთაგრეხილზე ფშავლების ცხვარი გვხვდებოდა. ძირს ხევში მოსჩანს არაგვი. მოდის ნელის ქუხილით; საკმაო განიერს უფსკრულში და იღებს აქეთ-იქიდან პატარ-პატარა მჩქეფარე წყლებს. გზა არ არის ისეთი დაკიდული, როგორც თუშეთის მთებში, ტყის პირამდინ შეიძლება კაცი არ ჩამოხტეს ცხენიდან... ნახევარ წელთას ჩავცილდით თუ არა, დაბინდდა. გადავუხვიეთ მარჯვნივ გზას და ერთ ფშავლის ცხვრის და ძროხის ბინის

*) იხ. „მოამბე“ № IV.

ახლოს ჩამოეხდით ლამის გასათევად. იმ დროს მოვიდა ცხვარიც და დაბინავდა ქოხის ახლო ნაწილარში*). ძროხები ქოხის მეორე მხარეს დააბინავეს. ბლომად ჩანდა. როგორც შემდეგ გავიგე, ოც ფურსა სწველავენენ, რძიდან აკეთებდნენ ერბოს და ხაჭოს. ერბოს თიანეთში და ტფილისში ასაღებდნენ. ათი ფუთი წმიდა ერბო უკვე ჩაეტანათ ტფილისში გასასყიდად.


იმ ალაგიდან, სადაც ძროხა იდგა, მოვიდა ჩვენთან ერთი ფშავლის დედაკაცი და გვთხოვა ბურნუთი. საინტერესო რამ იყო ფშავლის ბებერი. არა იმისათვის, რომ ბურნუთს ეწეოდა, არა. არა მგონია, რომ მას ოდესმე ხელ-პირი დაებანოს, ან ფეხებს ხომ სად დაიბანდა—ეს ნამეტანი იქნებოდა. არცა მგონია, რომ ტანისამოსი გამოეცვალოს. პერანგი ისეთი გამოჩანდა, რომ გეგონებოდათ განგებ ქონში გაზელილი ტალახი წაუსვამთო. პერანგი და ყელი არ განირჩეოდნენ თითქმის პერანგის ქუქყისაგან. ტანთ ეცვა გაყვითლებული და ქონისაგან გაშავებული ტყავი და ზედ პტყელი თეთრი, მაგრამ ქუქყისაგან გაშავებული, ქამარი ეკრა. თავსახურ მანდილის მაგივრად რალაც შავი ჩითის ნაკონკები ეხურა. არც ეცო ფეხსაცმელი. ფეხებზე ტყავის კანი აღარ ჩანდა ქუქყისაგან და თვით კანიც უფრო მუხის ქერქს მოგაგონებდათ. ლაპარაკიდან და საქციელიდანაც ჩანდა, რომ თავშიაც მამა-პაპური სიბნელე მყუდრობდა... მოხუცი ქისტე ეწეოდა ბურნუთს და გაუმასპინძლდა კიდევ. დედა-კაცმაც ჩაჰყო ბურნუთის კოლოფში თავის ორი ნეხვით მოსვრილი, ქუქყისაგან გაშავებული თითი და ხარბათ ამოიღო ბურნუთი. მიიტანა ცხვირის ნესტოებთან და ერთი ორჯერ ზედი-ზედ მადიანად მოსწია. შუბლი დაეკმუხვნა ლე თვალები დაუცრემლიანდა. ერთი მოწვევით გაათავა აღებული ბურნუთი. სთხოვა კიდევ. ქისტმა მიართო. გადაუხადა დედა-კაცმა ქისტს მადლობა და კმაყოფილი გასწია თავის ქოხისკენ. მე და ჩემმა ბიძაშვილმა ვინახულეთ ქოხიც და შევედით თუ არა, ბოლისაგან კინალამ დავირჩეთ. თვალე მოვაველეთ: ქოხს ყავარი ეხუ-

*) ნაწილარი—ალაგი, სადაც მწყემსები ღამ-ღამით ცხვარს აყენებენ.

რა და ზედ ყვარზედ ფოთლებითურთ ხის შტოები ეხურა. შტოებზე მიწის ბელტოები დაეწყოთ. ქოხში ცეცხლი შუაში ენთო და ბოლი, როგორც ორმოში, ისე ბრუნავდა. ცეცხლზე ბაწრებით ხის ქერქი ეკიდა და ზედ ხაქოს გუნდები ელაგა. როდესაც ვკითხე, ხაქოს რისთვის ახდენთ ბოლით, ხომ მწარე გემოსა და ცუდს სუნს მისცემს-მეოქი, გაუკვირდათ და სიცილით მიპასუხეს, რომ წაახდენს კი არა, ბოლი უფრო აკეთებსო. ბოლი აკეთებს იმითი, რომ მისგან ზემოთა ქერქი ხაქოსი ხმება, რის გამოც მაგრდება და შუაში ახალი რჩება. სუნს და გემოს აღარ დაეძებენ. შიგნით ქოხი ბოლისაგან მთლად დამქვარტულიყო და ყველა ნივთი გაყვითლებულიყო. აქაიქ კარაქის გუნდები ზოგი პირდაპირ მიწაზე დაეწყოთ, ზოგი კასრებზე, ზოგს ზედ მქვარტლისაგან გაყვითლებული ტყავის ნაქრეები ეხურა. ერთი სიტყვით, დიდი უსუფთაობა სუფევდა ქოხში. დიად, დიდი ბოროტებაა სიბნელიე!...

გათენდა. განვაგრძეთ გზა. ჩავედიოთ ტყის პირამდის და იქ შევასვენეთ ცხენები. ლაშარის გორაზედ უბალახობას ამბობდნენ, რადგანაც ბევრი მლოცავნი იყენენ და ამისათვის ცხენები კარგად უნდა მოგვეჯერებინა. შუადლისას გზა ისევ განვაგრძეთ. გზა ტყე-ტყე ჩადის, ზოგან ყანებიანი ველები გვხვდებოდა. სანამ ძირს ხევში ჩავეშვებოდით, პატარა წყალში გავედით. ხევის ნაპირას ერთი პატარა შენობა დაეინახეთ; ეს შენობა ფშავლების წისქვილი ყოფილიყო. წისქვილი ისეთი პატარა იყო, რომ ორი კაცის მეტი არ დაეტევოდა. გავედით წყალს—არაგვს. არაგვი ცხენებს მუხლამდის სცემდა. ხევიდან ვიწრო ბილიკით ლაშარის გორაზე ავედით.

ლაშარის ჯვარის სალოცავი უკანა-ფშავში ერთ ვიწრო მთის შტოს ცხვირზე სდგას, არაგვის მარჯენივ. ეს მთის შტო არაგვისკენ ძალიან დაკიდულია და კლდიანი. მეორე მხარე კი ტყით არის დაბურული. რამდენიმე შენობაა. შენობები ქალაშია (роща), გარშემო, მარცხენა მხარის გარდა, ქვის დაბალი გალავანი ავლია. ზემო მხარეს გალავნის პირს ლაშარის ჯვარის სალოცავი სდგას. სალოცავი უფრო სამრეკლოს წარმოა-

დგენს, ძირი ოთხკუთხიანი აქვს, ბითუმი ქვით აშენებული. ძირიდან ოთხი სვეტია აყვანილი. სვეტებზედ გუმბათი ახურავს. გუმბათი გადაკრულია თუნუქით. გარშემო ზოლებია გაყვანილი, ზოლები დაყოფილია ხაზებით, რომლებ შუა სამ-სამი ბუშტია ამოყვანილი და ბუშტებ შუა რკინის ჯვრები. ეს გუმბათი თავდება თუნუქით გადაკრულ დიდი ბურთით. ზედ აყვანილია დიდი ჯვარი. ჯვრის სამივე შტოზე თითო პატარ-პატარა ჯვრებია მიკრული, სამივე პატარა ჯვარს ჯაქვზე ეყვები ჰკილია. თვით დიდ ჯვარსაც მარჯვენა და მარცხენა ტოტის ჯაქვებზე, რომელნიც გუმბათამდის სწვდებიან, უფრო მოზრდილი ზარები ჰკილია. სალოცავის სვეტები და ძირი ქვითკირისაა და კირით გალესილი. სალოცავის წინ გალავანს გარედ დიდი ორმოა ამოთხრილი. ამ ორმოს პირას ჰკლავენ სამხვეწროდ მოყვანილ კურატებსა და სისხლს ორმოში უშვებენ. სალოცავის გარდა, გალავანში, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, სხვა შენობებიც არის. მათ შორის ერთი პატარა სამრეკლოა იმავე ქვითკირის სვეტებზე აშენებული. შიგ სამი ზარი ჰკილია, ერთი ზარი უფრო დიდია შედარებით და ორი კი თანასწორები—პატარები. დიდ ზარზე ფიგურაა გამოჭრილი , რომელშიაც ხუთი მამაკაცია გამოსახული, მწკრივადა დგანან და მეომრებს უფრო წააგვანან, ვიდრე წმიდანებს. გარკვევით არ ეტყობა. ზარის მეორე მხარეს არის მეორე ფიგურა, რომელშიაც სამი ასოა ამოჭრილი: ZPL. დიდი ზარი ერთ ალაგას გახეთქილია და გარშემო მხედრული ასოებით შემდეგი წარწერაა (ღრმად არის ამოჭრილი მშვენიერი ასოებით და გარკვევით): „ქ: ესე: ზარი: შემოგწირე: მე: ერისთავმა: რევაზ: შენ: წმინდა: გიორგის: ლაშარის: ღმერთ: აღღვგრძელე: მისი: დამწერი:“. სხვა ორ პატარა ზარებზედაც არის წარწერა, მაგრამ საუბედუროდ, ვერ გავარჩიე, სად იწყებოდა და სად თავდებოდა, თავი და ბოლო გადაბმული იყო ერთიერთმანეთზედ. სამრეკლოში პატარა ქვევრებია მიწაში ჩაფლული. სარქველის ქვებიც ზედვე აქვთ. შიგ ბაყაყები ბუდობენ. სამრეკლოს კედლებში უჯრებია გა-

კეთებული, სადაც ერთიერთმანეთზე გადაბმული ეყვნები აწყვია. საზოგადოდ ეყვნები ყველგანა ხვდება კაცს, არა მარტო შენობებში, არამედ ხეებსაც კი ჰკრდია შტოებზედ. თვით ხატის სალოცავ შენობიდან გალავანს გარედ მდგარ ხეზედ გადაბმულია ეყვნები, ხელსახოცები, ჩითის და ფარჩის პატარა პატარა ნაჭრები. ეყვნები, ჩითის და ფარჩის ნაჭრები მლოცავებისაგან არის შეწირული. სხვა შენობები ჩვეულებრივ სახლებს წარმოადგენენ, უფრო ქვით აშენებულებს და სიბი ქვით დახურულებს. შენობებზე, როგორც ყველგან მთის სალოცავებში, სხვა და სხვა ნადირის: ირმის, ჯიხვის და სხვ. რქები აწყვია. შიგნით არა არის-რა ეყვნების მეტი.

საზოგადოდ ხატში წმინდა ძველი ნივთი არა არის-რა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ლაშარის ჯვარი ორჯერ არის განადგურებული: ზურაბ ერსთვიშვილისაგან და ჯოყალასაგან. როგორც ივ. ცისკარაშვილმა მითხრა, კიდევ გადარჩენილა მის შემდეგ ამ ჯვარში ძველი ნივთეულობა, როგორც ქიქები, აზარფეშები, ჯვრები საქართველოს მეფეების შეწირულნი, ზედ სახელის და წელის აღნიშნვით, მაგრამ ცარცავდნენ მთავრობისაგან გამწესებული და სხვა და სხვა კერძო პირები. ერთმა მღვდელმაო, მითხრა ცისკარაშვილმა, აზარფეშა გაიტანა იქიდან პიტალო ვერცხლისა. იმავე ცისკარაშვილის თქმით, დადიოდნენ ეს პატიოსანი მელეები და ცარცავდნენ მთის ხატებს. რაღა დარჩებოდა.

გრათინია უვაროვისა, რომელიც 1895 წ. მოგზაურობდა ფშავ-ხევსურეთში, მოგვითხრობს, რომ უკანა-ფშავის ეკლესიის მღვდელმა სამი ჯვარი, რომელიც, მღვდლის თქმით, ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა, მაჩვენაო. ერთი ჯვარი, ამბობს უვაროვისა, ხისაა ვერცხლის ფოთლით გადაკრული. ზედ ძალიან ცუდად ამოჭრილია წმ. გიორგის სახე. წმ. გიორგი ცხენზე ზის. მეორე ჯვარიც ხისა იმავე ვერცხლის ფოთლით გადაკრული, ჩუქურთმით მოჭედილი. ჯვარზე შუაში რაღაცა გაუგებარი სახეა გამოსახული, რომელიც კერპთაყვანისას (ЯЗНАЕ-СКОЕ) წააგავს. ჯვრის მარცხენა ტოტზე გამოსახულია ღვთის



მშობელი, ზემოდ და ქვემოდ ორ-ორი ანგელოზი ან წმიდანები, მდგომარე. უკანასკნელებს შუბები უჭირავთ. უკანა გვერდზედ ქართული წარწერაა (არ მოჰყავს წარწერა. თუ თვითონ ვერ ამოიკითხა—არ იცოდა, მღვდელი ხომ იქ იყო, ის მაინც, როგორც ქართველი, ამოიკითხავდა). ჯვარი ექვს ვერშოკიანი ყოფილა. მესამე ჯვარი პატარაა, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი. ერთ მხარეს გამოსახულია იესოს ჯვარსცმა და მეორეზე ღვთის მშობელი შვილით ხელში. ეს ჯვარი, ამბობს უვაროვისა, არ უნდა იყოს ძველი, რადაც რომანტიული ხასიათი აქვს. ხატი ქვეშ ჭახრაკით თავდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სხვა რომელიმე ნივთის ნაწილს შეადგენდაო. მღვდელი კი გვარწმუნებსო, უმატებს უვაროვისა, რომ ეს ხატი შეწირულია ლაშარის ჯვარისთვის თამარ მეფის მიერ და დასამტკიცებლად გვითითებს ხატზედ გამოხატულ ღვთის მშობლის სახეზე და, რასაკვირველია, მღვდელი ურევს ერთი ერთმანეთში ღვთის მშობელს და თამარ მეფესაო. საკვირველია, ნუ თუ მღვდელი ისეთი უფიცი იყო, რომ თამარ მეფის და ღვთის მშობლის გარჩევაც ვერ შეეძლო—ძნელი დასაჯერებელია.

თამარ დედოფალი, ლაშარის ჯვარი (ლაშარის წმიდა გიორგი), კოპალა და სხვა მთის წმიდანები, მ. კავალევსკის ფიქრით, არიან ხალხის მიერ გაღმერთებული ისტორიულნი პირნი. თამარ დედოფალი—ეს, აშკარაა, რომ ისტორიული პირია და რაც შეხება ლაშარის წმიდა გიორგის, ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ესეც ისტორიული პირია.

საზოგადოდ, წამებული წმ. გიორგი, რომელიც იგივე ისტორიული პირია, ნათესავი წმ. ნინოსი, როგორც ბარის ქართველებში, აგრეთვე მთიელ ქართველებსაც ძალიან მიჩნეული ჰყავთ. ყველა მთის ხალხს აქვს სალოცავი ამ წმინდანისა და, როგორც ბარში, მთაშიაც წმ. გიორგის იმ სახელს უწოდებენო, რა სახელიც აქვს იმ ალაგს, სადაც სდგას სალოცავი, თუმცა წმიდანი ერთია. მაგალითად, ბარში: წყაროს თავის წმიდა გიორგი, აწყვერის წმიდა გიორგი და სხვ.



„ტბათანიდან წოვათამდინ“-ში*) მქონდა მოყვანილი თუშების დეკანოზის ქადაგება, რომელშიაც შეიღოცდა ათი წმ. გიორგი ითვლება: წმ. გიორგი ლაშარისა, სპეროზისა, მაგვახისა და სხვ. წმ. გიორგი აწყვერისა, წყაროსთავისა, სპერმოზისა, მაგვახისა, რასაკვირველია, ერთი და იგივეა—წმ. წამებული გიორგი. სპეროზი, მაგვახი, წყაროსთავი—ეს ყველა იმ ალაგების სახელია, სადაც სდგას წმ. გიორგის სალოცავი, მაგრამ „ლაშარი“ არ არის, ალაგის სახელი. „ლაშარი“ არის წარმომდგარი სიტყვა „ლაშა“-დან. გომოდის ლაშა გიორგი. ლაშა გიორგი ხომ ნამდვილი ისტორიული პირია—საქართველოს მეფე, შვილი თამარ მეფისა. მაშასადამე, „წმიდა გიორგი ლაშარისა“-ში უნდა ვიგულისხმოთ არა „წმიდა გიორგი წამებული“, არამედ მეფე ლაშა გიორგი.

რით უნდა აიხსნას, რომ ლაშა გიორგის და თამარ მეფეს წმიდანებად აღიარებს მთის ხალხი? ჩვენი ფიქრით, არ უნდა იყოს ძნელი ამის ახსნა. საქართველოს ისტორია გვაუწყებს, რომ საქართველოს მეფეები ძალიან ცდილობდნენ, ეკლესიები და მონასტრები აეშენებინათ სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში. სწორადღენ აგრეთვე ეკლესიებსა და მონასტრებს წმ. საეკლესიო ნიეთებს. იმასაც გვაუწყებს ისტორია, რომ თამარ მეფე და მისი შვილი ლაშა ამ მხრივ ყველაზედ უფრო ცდაში იყვნენ, რომ ეკლესიები და მონასტრები ბლოძად ყოფილიყო მათ სამფლობელოში. მათი დრო იყო დრო საქართველოს აღყვავებისა და დიდებისა; მტერი ვერას აკლებდა, პირიქით ცდილობდა, რგორმე დაკავშირებოდა საქართველოს. ამ მშვიდობიანობის დროს მეფეებიც აშენებდნენ ეკლესიებსა და მონასტრებს. ისტორია იმასაც მოგვითხრობს, რომ თამარ მეფე ცდილობდა, უმთავრესი ყურადღება მიექცია, რომ წმიდა ქრისტეს სჯული გაეგრცვლებინა მთის მცხოვრებლებში; არამც თუ ქართველ მთიელებ შორის—თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და მთიულ-გუდამაყარში, არამედ დაღესტანშიაც კი. ექვს გარეთ

*) იხილე „მაკაბე“, 1897 წ. № IX

უნდა იყოს, რომ თამარი ააშენებდა უკანა-ფშავში რაიმე პატარა სალოცავს, დედის მაგალითს მიჰყვებოდა შვილიცა და ისიც ააშენებდა. თამარ-დედოფალისა და ლაშარის ჯვარი ერთიერთმანეთის პირდაპირ არავის ხევის აქეთ-იქით მთების ცხვირებზე დგანან, ისე რომ ერთიერთმანეთს უყურებენ.

თამარისა და ლაშა გიორგის მეფობის დროს მღვდლებიც იქნებოდნენ გამწესებულნი სალოცავებში, რომ აქედან ექადაგნათ და მით მკვიდრ ქრისტიანულ ნიადაგზე დაემყარებინათ სარწმუნოება მთაში; მაგრამ შემდეგ, როდესაც საქართველოს გზაკვალი აერია, ეს სალოცავები დავიწყებულ იქმნებოდნენ საქართველოს მეფეების მხრივ, მღვდლებიც აღარ გაიგზავნებოდნენ, მათ ალავს დეკანოზები დაიქვერდნენ და ნახევრად ველური ხალხი, რომელსაც ქრისტეს სჯული და ძვალ-რბილში ჩამოგდარი თავისებური კერპთაყვანისმცემელი სჯული არეული ჰქონდა ერთმანეთში, რასაკვირველია, საუკუნეების განმავლობაში ვერ შეინახავდა იმ სალოცავებს პირველ სახით და დროთა ვითარებით სულ სხვა წარმოდგენასა და შეხედულობას იქონიებდნენ და ხალხის ხსოვნაში მარტო ის დარჩებოდა, რომ სალოცავები აგებულია თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის-მიერ. აქედან დაერქვა ამ სალოცავებს „თამარ-დედოფალი“ და „ლაშარის ჯვარი“ და თვით ეს პირნიც აღიარებულნი არიან წმიდანებად.

კოპალის შესახებ შემდეგს ხალხის გარდმოცემას გვაუწყებს მ. კოვალევსკი*): „წმ. ნინო, საქართველოს განმანათლებელი და ნათესავი წმ. გიორგისა, მოსულა ფშავში და ნდომებია ფშავლების გაქრისტიანება. ფშავლებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და ბოლოს კიდევ გადასულან თუშეთში. თუშეთიდან ფშავლები ისევ დაბრუნებულან. მეფე მირიანს ძალით ნდომებია მათი გაქრისტიანება, მაგრამ წმ. ნინოს დაუშლია მეფისთვის. ნინოს რჩევით, მირიანს ბერძენი ბერი კოპალა გაეგზავნა ფშავში საქადაგებლად. ბერი კოპალა დასახლებულა არავის ძირზე სოფ. ჩარგალის მახლობლად. ეს ალაგი ეხლაც წმიდა

*) Законъ и обычай на Кавказъ—М. Ковалевскаго.



აღაგად არის აღიარებული ფშავლებისა და ხევსურების-მიერ. წმ. აღაგს დევს ერთი დიდი ოთხკუთხიანი ზემოდან ჩაღრმავებული ქვა. მასთან უბრალო ქვით აშენებული სამრეკლო დგას, რომელშიაც ზარი ჰკიდია. ქვა წმიდანად ითვლება. ქვაზე ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. ამ ქვას, ხალხის გარდმოცემით, საჯდომად ხმარობდა კოპალა. კოპალა მივიდა თუ არა ფშავში, დაიწყო ქადაგება. აქ ბერს მოუხდა ძლიერი ომი დევებთან. კოპალას ეშველებიან სხვა მის-მიერ მოყვანილი ბერები, რომელთა შორის, როგორც ქვემო მოყვანილ სიმღერიდან დავინახავთ, პირველი აღაგი იახსარს უჭირავს. ერთხელ, როდესაც კოპალა საქადაგებლად გასულა ხევში, ერთი დევი მისულა, შეუკრავს კოპალას ქვა თოკით და, რომ უფრო მაგრად ყოფილიყო მოქერილი, დაუჭერია ორივე მუხლი ქვაზედ, რის გამოც ქვა ჩაღრმავებულა, აუკიდნია ზურგზედ და მოუტაცნია. შეუტეგია კოპალას და დასდევნებია უკან. როცა ვერ მისწევია, უსროლია ისარი და მოუკლავს დევი. ქვა კოპალას ისევ თავის აღაგას წამოუღლია.“ აი რას გვაუწყებს კოპალას-მიერ დევის მოკვლის შესახებ ფშაური სიმღერები:

მშვილდ ქაიბური ბერისა
ქუდიელზედა ხვიოდა,
წამაუქადლავ მუზასა ¹⁾
გულის ფიცარი სტკიოდა;
ამდენი სისხლი ეღინა,
წყალივით ჩამოსდიოდა....

ან კიდევ:

ქარი იყო და ხვიოდა
ფოთოლი ჩამოდოდა;
ხმა ჩემის ქაიბურისა
ქუდიელს შემოჰხვიოდა,
მუზას მივარტყი ისარი,
ბედელას²⁾ გული სტკიოდა.
წყალი არ იყო იმდენი,
რაც იმას სისხლი სდიოდა!....

¹⁾ ქაიბურ-ბერი—კოპალას უწოდებენ, ²⁾ მუზა—დევის სახელი ³⁾ ბედელია—მუზას ცოლი.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, კოპალასა და მის ბერებს წინააღმდეგობას უწევენ დევები. ბერები და დევები ებრძვიან ერთიერთმანეთს. დევები ცდილობენ, როგორც ქვემოდ მოყვანილ სიმღერიდან დავინახავთ, როგორმე მოკლან კოპალა. ამისათვის მათ ყრილობა აქვთ, რომ „ერთურთს“ მხარი დაუჭირონ:

შიყრებიან დევები, სადაც დიდ მეედანია,
გაარიგებენ იმასა—ერთს-ურთს უჭირონ მხარია,
ღვთის შვილი მოვკლათ კოპალა დავცნეთ ქვანია
გაიგეს ეს ღვთის შვილთა, ჩავზავენეს იახსარიო,
ცხრა დევს რომ დევი ჰყოლიყო ცხრა თავ გამზღელი არიო;
ცხრანიც ამაში ჩაზოცნა, თავს დააქცია ბანიო!
მეათე თავქვე გაიქცა, თან ჩაჰყვა იახსარიო,
იმასაც კარგა სცოდნიყვენ საბაზალეთო გზანიო.
უძირო ტბაში ჩავარდა, თან ჩაჰყვა იახსარიო,
იზიდნა, ვერ ამოვიდა, სისხლის გაებნეს გზანიო.
მიიყვანეს და ჩაუვლეს ამოვა იახსარიო...

როგორც ვხედავთ სიმღერადან, კოპალა და იახსარი ბერებად იწოდებიან. ეს ზემო მოყვანილი თქმულება სრულებით ამოწმებს, რომ კოპალა და იახსარი ბერები იყვნენ. მაშასადამე, როგორც გარდმოცემა და სიმღერები გვაუწყებს, კოპალა და იახსარი ყოფილან ბერები—ისტორიული პირნი და სხვა მთის წმიდანებიც, როგორც პირქუშა, ფიწალა და სხვანი, ჩვენი ფიქრით, აგრეთვე უნდა იყვნენ,—როგორც თამარ-დედოფალი, ლაშარი, კოპალა და იახსარი,—ისტორიულნი პირნი, მხოლოდ ხალხის-მიერ წმიდანად აღიარებულნი და გაღმერთებულნი.

საზოგადოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში ერთი და იგივე სარწმუნოებრივი კულტი აღიარებოდა. წმიდანები ერთი და იგივე ჰყავდათ. კოპალის სალოცავი ფშავშიაც არის; ხევსურეთში ხომ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ყველგან აღიარეს და მისი სალოცავი ყველგან სდგას. როდესაც წოვა-თუმები წოვათიდან აღვანში ჩამოვიდნენ სამუდამოდ და საზაფხულოდ ტბათანაში იწყეს დენა, მათ ტბათანაში სალოცავი არა ჰქონდათ. ამისათვის ერთი თუში—ფოცხვერა ცისკარაშვილი—გადასულო-



ყო ფშავში და ლაშარის ჯვრის ნიში გადმოეტანა. გადმოტანილი ნიში დასდეს ტბათანის ერთ გორაკზედ, მასზე ააშენეს ქვის პატარა ყორე (ზღუდე), ზედაც ჩვეულებრივ დააწყეს ნადირის რქები და მას შემდეგ წოვებმა ამ ყორესთან დაიწყეს ლოცვა. ტბათანის სალოცავი წმ. გიორგის ეკუთვნის, რადგანაც ნიში ამ წმიდანს ეკუთვნოდა. ამ რიგად აშენებდნენ მთაში სხვა სალოცავებსაც. ნიში ან ქვა იქნებოდა, ან ქვიანი, ან სხვა რამ ნივთი, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ ხატს. მთის სალოცავები თითქმის ყველა მაღლობზედ სდგას, ვაკეზედ ვერ შეხვდებით. თუ ალაგი ტყიანია, უქვევლად ხატს თავის წმ. ქალა აქვს, რომელსაც ზოგან, როგორც ლაშარის ჯვარის აღწერაში დავინახეთ და დავინახავთ ქვემოთ, როდესაც თამარდედლოფალს აღვწერავთ, ქვის პატარა გალავანი არტყია. სადაც ტყე არ არის, იქ, რასაკვირველია, არც ქალაა. ქალები ხელუხლებლად ინახება და ფშავ-ხევსურეთში არც კი შედიან გალავანს შიგნით იმ მოსახრებით, რომ არ გაარისხონ წმიდანი.

ყოველ მთიელებს თავ-თავიანთი მფარველი და უფრო მიჩნეული ხატი (წმიდანი) ჰყავთ, როგორც, მაგალითად, ფშავლებს—თამარ-დედლოფალი, უფრო ლაშარის ჯვარი, ხევსურებს—კაკმატის ჯვარი, წოვებს—სპეროზის წმ. გიორგი. მაგრამ ლაშარის ჯვარი, თამარ დედლოფალი ხახმატი—ეს სამი ჯვარი საერთოდ მიჩნეული ჰყავთ. წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე თუშის ოჯახი (წოვები) სახვეწროდ არ წავიდნენ ლაშარის და თამარ დედლოფლის დღესასწაულობაში. წოვა ლაშარის ჯვარს ფიცულობს „ლაშისა მათარ“—ლაშარის მადლობას ამბობს იგი. თუშების მიერ ლაშარის ჯვრის მიჩნევას ნათლად ვხედავთ იქიდან, რომ თილისძე თუშებითურთ ხოშორის დაწვის შედეგ, მიდის ამ ხატის დღესასწაულში. მან კარგად იცოდა, რომ ფშავლებს იგი მტრად აღიარებულნი უნდა ჰყოლოდათ. ეგრეც მოხდა. მივიდნენ თუშები დღესასწაულში თუ არა, ფშავლები გარს შემოერთყნენ და ხოცვა დაუწყეს:... „გარ შემოერთყნენ ფშავლები, როგორც რომ ბატონს ყმანია—შენ აქ არ მოგესვლებოდ, თილისძე, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრაღია....“

დასწვი, დადაგე ხოშარა, ცამდის აუშვი ალია“.... და სხვ. ლაშარის ჯარი მარტო თუშებს არა ჰყვანდათ მიჩნეული. მის დღესასწაულში დადიოდნენ აგრეთვე ბარის ქართველები, როგორც კახეთიდან და ქართლიდან (არაგვიდან). ასე გასინჯეთ მოქალაქე და სხვა სოფ. მცხოვრები სომხებიც კი დაღიან სალოცავად კურატებით. წრეულ რომ ვიყავი ლაშარის ჯვარის დღესასწაულში, სამი ოჯახი მოსულიყო ხატში სოფ. მატანიდან (თიანეთის მაზრა, კახეთი). თუ არა ეცდები, თუ სამივე ოჯახი არა, ერთი სომხისა იყო (ვიცნობდი). აგრეთვე დადიან ქისტებიც. თუშები გადადიან აგრეთვე ხევსურეთში სალოცავად ხანმატის ხატში. ხევსურეთში არის ერთი სალოცავი—გუდანისა. ამ სალოცავის დროშებს ატარებდნენ ხევსურები თავიანთ დეკანოზებთან თუშეთში. ბორბალოს დელეზ კადმოქონდათ ალაზნის თავში და დგამდნენ ჯოყალის გორაკაზე*). აქ იკრიფებოდნენ ალაზნის თავიდან თუშები, სწირავდნენ მსხვერპლს და მართავდნენ დღესასწაულს. ამ დღესასწაულებში დოლიც იციან. ხატობაში დოლი სარწმუნეობრივი ჩვეულებაა თუშ-ხევსურებში და რაც შეეხება ფშავლებს—ვგონებ მათ არ უნდა ჰქონდეთ ეს ჩვეულება. ალაზნის თავიდან ხევსურები მთელ თუშებს (ფარსმის ხეობა და ჩაღმის ხეობა) შემოვივლიდნენ და ისევ ხევსურეთში ვადადიოდნენ. ეხლა აკრძალულია მთავრობის მიერ დროშების ტარება მთაში.

ხატი ჰფარავს თავის ხევს-საყმოს ყველა განსაცდელისაგან, წინ უძღვება ჯარს, იღებს მონაწილეობას მტერთან შეტაკებაში, მტაცებლობაში. იგი იარაღშია ჩამჯდარი, ერთი სიტყვით, მოგვეგონებს ამ მხრივ ბერძნების ღმერთებს. ძველი საბერძნეთის ყველა ქალაქს თავისი მფარველი ღმერთი ჰყვანდა. ეს ღმერთი იღებდა მონაწილეობას მტერთან ბრძოლაში, ამისათვის ბერძნები ომის დროს თან ატარებდნენ თავიანთ ღმერთების ანდრიატებს. თუ გაიმარჯვებდნენ მტერზე, მაშინ იმ ღმერთის დღესასწაულს მართავდნენ, სწირავდნენ მსხვერპლს, მართავ-

*) იხილე ჩემი „ტბათანიდან წოვათამდინ“, მოამბე № IX 1897 წ.



დნენ ხელ-თამაშობას და თუ დამარცხდებოდნენ—სწყევლოდნენ და ხან-და-ხან იქამდინ მილიოდა საქმე, რომ ქვეს ესროდნენ და ჰქოლიავდნენ ღმერთებს. ამას არ აკმარებდნენ—ანადგურებდნენ ბევრჯერ მის სალოცავ-ტაძარს. ომის დროს ბერძნები ცდილობდნენ მათი ღმერთი არ მოეპარა მტერს ან თვითონ არ გაქცეულიყო. თუ მოჰპარავდნენ, მაშინ ყოველი იმედი გამარჯვებისა უნდა დაეკარგათ. ბერძნების რწმუნებით, ღმერთს თვითონაც შეეძლო, რამე მიზეზის გამო, მტრის ბანაკში გაპარვა, ამისათვის ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ, როგორმე გული მოეგოთ ღმერთისათვის: მართავდნენ დღესასწაულს ბრძოლის წინ, ჰკლავდნენ მსხვერპლებს და სხვ. ხან და ხან, რომ არ გაქცეულიყო, სხვილი ჯაჭვით მიაბმდნენ ბოძზე*)

ჩვენი მაიელებიც ძველ დროს, სანამ სალაშქროდ წავიდოდნენ, ლოცულობდნენ ხატებში, სწირავდნენ მსხვერპლს, ერთი სიტყვით, ცდილობდნენ, რომ პატივი ეცათ, რომ მით გული მოეგოთ წმიდანისა. რომ წმიდანი დაეკომავებოდა თავის საყმოს, ამას გვაჩვენებს ფშაური სიმღერა, რომელიც ფშაელების მიერ თუშების დახოცვის შესახებ გვაუწყებს: სანამ სალაშქროდ გავიდოდნენ, თუშები სამხთოს შვრებიან, ჰკლამენ ცხვარს და ევედრებიან ჩაასწავლოს მათ ხორშორის გზანი:

თუშთა ქნეს სამხთო წოვათა, საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო;
ღერთო, შენ ჩავგასწავლნოდი ფშავში ხოშორის გზანიო...

ფშავეთის უმთავრესი მფარველი ხატი—ლაშარის ჯვარი—იღებს მონაწილეობას მტერთან შეტაკებაში, ისხავს იარაღს, აგროვებს ფშაელებს სალაშქროდ, უძღვება წინ ჯარს, როგორც ნამდვილი ბელადი, და გადადის ქისტეთში, რომ ცხვარძროხა მოიტაცოს:

ვინა სთქვა—ენამც გაჰხმება—ქისტეთში ბევრი ცხვარია,
გავო ლაშარის ჯვარმა, მალლა შაირტყა ხმალიო,
შამოუარა საყმოსა, შაყარა მძიმე ჯარიო,
გამარჩინა თარეშნი, ღმერთო, დასწერე ჯვარიო.**)

*) Древняя гражданская община—Фюстель—де-Буланжъ.

**) ფშაური ლექსები—შეკრებილი დავით ზიზანაშვილის მიერ.

ამ ზემოხსენებულის მხრივ ლაშარის ჯვარი, მართლაც, მოგვაგონებს ძველ ბერძნების ღმერთს; მთიელების ლაშქრობის წინაღ მსხვერპლის შეწირვა, წმიდანების ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება ბერძნების სარწმუნოებრივ კულტის გავლენას, ჩვენს მთიელებზე, უნდა მივაწეროთ. მოიგონეთ მითი პრომეთეოსზე, სადაც პრომეთეოსი მიჯაჭვულია უმთავრეს კავკასიონის მთებში, ერთ კლდეზედ; არგონავთების გამოლაშქრება ოქროს კრავისათვის კოლხიდაში (დასავლეთ საქართველო), მათი კოლონიზაცია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე, ვაქრობა, სცილაქსი, ბერძნების მწერალი, — ამბობს მ. კოვალევსკი, როდესაც ჩვენს მთიელებზედ ბერძნების გავლენის შესახებ ლაპარაკობს, — რომელიც მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინაღ სცხოვრობდა, სამს ბერძნების ახალშენს (КОЛОНИА) გვიჩვენებს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედ: თანაგორი, კეპი და პატუ (სტრაბონით — ბატუ)*). ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო საქართველო მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინაღ, დააყენა თავისი ჯარები, მმართველად დასვა აზონი და უბრძანა, გაევრცელებინა ქართველებში მზისა, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა. გარდაიცვალა ალექსანდრე დიდი და აზონმა დაიპყრო მთიელები, ოსეთიდან დაწყებული დაღესტანამდის**). ყველა ეს ზემოხსენებული გვიჩვენებს, რომ ბერძნებს გავლენა უნდა ჰქონოდათ, როგორც ქართველებზე, აგრეთვე მთიელებზე.

მთაში სარწმუნოების წარმომადგენლები იყვნენ ზოგან ხევის ბერები და ზოგან დეკანოზები. მაგალითად, ფშავსა და მთიულ-გუდამაყარში იგინი იწოდებოდნენ ხევის ბერებად, თუშეთსა და ხევსურეთში — დეკანოზებად. ხევის ბერები წარმოსდგებიან იმ ქრისტიან ბერებიდან, რომელნიც ავრცელებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას ხევებში. ეს ბერები, როგორც ზემოდ დავინახეთ, სცხოვრობდნენ ხევებში და დადიოდნენ აქეთ-იქით საქადაგებლად. აქედან უწოდა მათ ხალხმა „ხევის ბერი“. მას

*) Законъ и обычай на Кавказѣ — М. Ковалевскаго, т. I.

**) საქართველოს ისტორია — მ. ჯანაშვილისა.

აქეთ სარწმუნოების წარმომადგენლებს დაერქვათ ხევის ბერი. ხევის ბერები პირველად მარტო სასულიერო პირნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ სასულიერო უფლებასთან მათ შეაერთეს საეროც. ესენი თითქმის ყველა ხევის საქმეს განაგებდნენ: ჯარს აგროვებდნენ, ხანდახან თითონ უძღვებოდნენ წინ, არჩევდნენ იურიდიულ საქმეს. ამ ნაირს გვიხატავს ალ. ყაზბეგი ხევის ბერს. მისი „ხევის ბერი გოჩა“, როგორც მმართველი ქვეყნისა, აგროვებს ჯარს, უძღვება წინ და მიჰყავს ნუგზარ ერისთავთან საბრძოლველად. გოჩას სიტყვა წმიდა მოხვეწათვის, მას შეუძლიან დასაჯოს და მოჰკლას კიდევ კაცი. ნუგზართან ომის დროს გამოჩნდებიან მოლალატე ოსები. გოჩა ადგენს ყრილობას; ოსების გამოაშკარავების შემდეგ გოჩა ბრძანებს: „ორნივ ჩაქვედნენ.“ თქმა და ასრულება ერთი იყო. შემდეგ ერთ მოხვევს გუგუას სწამებენ ლალატს. საქმის გარკვევის შემდეგ გამოჩნდება, რომ გუგუა კი არა, თვით ხევის ბერის ერთად-ერთი შვილი ონისე გამოდის დამნაშავე ნუგზარის-მიერ მოხვევების დამარცხებაში. ონისეს თვალ-ყური უნდა ედევნებინა მტრის მოძრაობისთვის, მაგრამ ძიძიას სიყვარულმა დაავიწყებინა მას მოვალეობა. იმ დროს, როდესაც იგი ეტრფიალეობდა საყვარელს, მტერი შეუშინველად თავს დაესხა მის მოძმეებს და ყათლანი უყო. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა, „თემის თავნი“, არ ამტყუნებენ ონისეს, „გოჩავ, შენს შვილს ხევი არ გაუყიდნიაო“, ხევის ბერი გოჩა ბრძანებს: „უნდა მოკვდეს, მოკვდეს, შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ, სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ...“ მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა: მოძმეთ მოლალატე სიცოცხლის ღირსი არ არის! ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა და ონისემ მიწაზე ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო*). ვაჟა-ფშაველას ხევის ბერიც აგროვებს ჯარს, აძღვეს თავდარიგს და გზავნის თათრების წინაშე საბრძოლველად ალვანში (ბახტრიონი).

*) ხევის ბერი გოჩა—ალ. ყაზბეგისა ტ. IV.

სარწმუნოებრივი მოვალეობა ხევის-ბერებისა მდგომარეობა და შემდეგში: ქორწინებაში ჯვარს სწერდნენ ნეფე-დედოფალს, აზიარებდნენ მძიმე ავადმყოფს. წმიდა საიდუმლოდან ორს ასრულებდნენ: ზიარებას და ნათლობას; ზიარება იმაში მდგომარეობდა, რომ ხევის-ბერი ჩააწებებდა პურის ნაჭერს სახატოდ გამოხდილ ლუდში და აქმევდა ავადმყოფს. ნათლობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აბანდნენ მშობელს და შობილს ძროხის შარდით. ერთი სიტყვით, როგორც ალ. ხახანაშვილი ამბობს, ხევის ბერი იყო კერპთაყვანების დეკანოზი (Языческий жрец), ქრისტიანი მღვდელიც, მსაჯულიც, ბელადიც და ხალხის მმართველიც.

ხევის ბერი უმაღლესი სასულიერო პირი იყო. მას ყოველ ხატში ეყენა ქვეშევრდომი დეკანოზი. ფშავში და მთიულ-გუდამაყარში დეკანოზი ქვეშევრდომია ხევის ბერისა, ხევსურეთში და იკშეთში კი მას ხევის ბერის ალაგი უქირავს. ხევსურეთში დეკანოზებს ჰყავდათ დაყენებული დასტურები. დასტურები მუდამ ხატთან უნდა ყოფილიყვნენ. მათი მოვალეობა იყო ხატის სადღესასწაულოდ ლუდის გამოხდა. ლუდის ხდის დროს დასტურს უქედოდ, უქამროდ და ფეხშიშველა უნდა ეარნა. ყველაფერში სიწმინდე უნდა შეენახა და არავისთან არ უნდა ელაპარაკნა.

ფშავის ხევის ბერების და ხევსურების დეკანოზების წოდება არ გადადიოდა საშვილიშვილოდ ერთ საგვარეულოში. ხევის ბერად და დეკანოზად შეეძლო ყოფილიყო ყველას და აი რა გზით და როგორ შეეძლო მსურველს მიეღწია ამ ხარისხისათვის. პირველი რომ იმ პირს, რომელიც ეძიებდა დეკანოზობას, უნდა გაეთქვა თავის ხევში წმიდა ცხოვრების სახელი. ეს კიდევ არა კმაროდა. მკითხავს ქადაგობის დროს უნდა წამოეთქო მისი სახელი და ამასთან უნდა ეთქვა, რომ ის კაცი სურს თვით იმ ხატს, რომელმაც ამოარჩია იგი თავისთვის დეკანოზად. უარის თქმა ამ შემთხვევაში აღარ შეიძლებოდა. ხალხის ჩვეულება ამას არ კისრულობდა. შეიძლებოდა კიდევ აი როგორ: როდესაც დეკანოზი მოკვდებოდა, ვისაც სურდა მისი ალაგის



დაქერა, მივიდოდა ხატთან, დავარდებოდა მუხლებზე და წყებდა ქადაგებას. ხალხიც დარწმუნებული იყო, ის პირი თვით ხატს სურდაო და ამისათვის აღიარებდნენ დეკანოზად. აქ რომ ვინსენიებთ სიტყვა „ქადაგებას“, ეს სიტყვა არა ნიშნავს სასულიერო პირის წარმოთქმულ სიტყვას (проповѣдь), როდესაც მკითხავი, ან დეკანოზობის მაძიებელი, ქადაგობს, იგი ვარდება მიწაზე, იკრუნჩხება, ათას ნაირად ღმეკავს სახეს, თვალებს აბრიალებს, პირიდან დორბლი გადმოსდის. მაღალი ხმით ლაპარაკობს რომელიმე წმიდანის მაგივრად, როგორც მაგალითად: „მე ვარ წმ. გიორგი, აწყვერისა, (ან სპეროზისა) რატომ არ მოდიხარ ჩემ ხატში, სალოცავში, რატომ არ მოძიყვან დაბირებულ კურატს. არ მოხვედი და დაგტანჯავ...“ და სხვ.*) მაჰამედსაც სჭირებია ამ ნაირი ქადაგება. ის ლაპარაკობდა ალლაჰის პირით: „მე ვარ ერთი ღმერთი ალლაჰი და მაჰამედი არის ჩემი წინასწარმეტყველი!“ ამ ნაირ ქადაგებას უნდა უფრო მიეწეროს არაბების ყურადღების მიქცევა მაჰამედზე. მაჰამედის ქადაგების შესახებ აი რას გვაუწყებს მენზისი: „У него была своеобразная натура; умственное возбуждение вызывало въ немъ внутреннія потрясенія, которыя,—называть-ли ихъ эпилепсіей или истеріей,—заставляли его видѣть видѣнія и вѣрить, что извѣстныя слова были обращены къ нему послѣдителями съ небесъ“ (**).

მეფე საულის დროს, მოგვითხოვს ექიმი შვალლი, წინასწარმეტყველნი წარმოადგენდნენ გონება-დაკარგულ ადამიანებს, რომელნიც არწმუნებდნენ ხალხს, რომ იეგოვის სული მათზე გადმოდიოდა. დახეტიალობდნენ ეს წინასწარმეტყველნი ქვეყნებში ლიტავრებით, დაფდაფებით, ფლეიტებით და სალამურებით, დროთი-დრო ექსტაზში მოსულნი ეცემოდნენ მიწაზე და ამ დროს პირიდან დორბლებს ისროდნენ (1-ლი წიგნი სამუილისა, თავი 10). სახიფათო იყო მოგზაურისათვის მათი შეყრა, რადგანაც ეს სენი გადამდებად მოქმედობდა კაცზე. თვით სამუილიც გაიტაცა ერთხელ მათმა

*) იხილე თუშის დედაკაცის ქადაგება—„მოამბე“ 1897 წ. № X.

***) Исторія религій—А. Мензиса.

ექსტაზმა. აშკარაა ჩვენ საქმე გვაქვს აქ იმ წმინდა სატკივარ-თან, რომლითაც იყვნენ შეპყრობილნი დიონიის მსახურნი. ქრისტიანობის დასაწყისშიაც ზოგიერთ ქრისტეს მიმდევარ კრებულთა ორატორების და აგრედვე აწინდელ ისლამის დერ-ვიშებ შორისაც ვხედავთ იმ ნაირ მოვლენას. ეს მოვლენა ჯერ საქმარისად არ არის შესწავლილი არც პსიხოლოგიურად და არც ფიზიოლოგიურად, მაგრამ სრულიად საქმარისია ვსთქვათ, რომ მათი მოქმედება იყო თავისებური ღვთის სამსახური. არ არის ნათლად გამორკვეული: ეს ეპიდემია თვით გაჩნდა ურიას-ტანში თუ სხვა ქვეყნებიდან იყო შემოტანილი. რაც უნდა იყოს აქ შენიშნულია ერთი ფაქტი: ამ მოვლენას, როგორც გვაჩვენებს ჩვენი წყაროები, ეხედავთ საულის შემდეგაც, რომ აგრედვე ვაალს და ასტარტას ჩრდილოეთის სამეფოში ჰყვან-დნენ თავიანთი წინასწარმეტყველნი, რომელნიც დახტოდნენ და დაკუნტრუშობდნენ საკურთხევის ირგვლივ. ამავე დროს იკაწრავდნენ თავიბრს და ტანს დანით, ისე რომ სისხლი გად-მოსდიოდათ.

მაგრამ ტიზბიის ილიის სახით მათ მოველინათ სასტიკი მღვენელი.*)

როგორც ეხედავთ, ჯერ გაუგებარი ეს სენი მარტო ჩვენს მთაში არ ყოფილა. ეს მოვლენა ყოფილა ძველადვე აზიაში და გვებადება აქ აზრი, ხომ არ გადმოვიდა ეს სენი ჩვენს მთა-ში სპარსეთიდან? უფრო აგრე უნდა იყვეს. ადვილი შესაძლე-ბელია, ურიებიდან გადავიდოდა სპარსეთში და სპარსეთიდან კი ძლიერ ადვილი იყო ჩვენის მთებისაკენ გადმომგზავრება!

ახალი დეკანოზი ჰკლავს ხატში კურატს და ჰპატიეობს მოხუც კაცებს, რომელნიც ართმევენ მას ფიცს, რომ წმი-დად აასრულებს თავის მოვალეობას—იცხოვრებს და იმოქმე-დებს ისე, როგორც თხოულობს ჩვეულება. არ უნდა ექამა დედალი საქონლის ხორცი, თუ არ მამლისა. დეკანოზი ცდი-ლობდა წმიდანად ეჩვენებინა ხალხისათვის თავი. არ გამო-

*) Исторія культуры—Гельвальда. იხილვ: „Семиртческая культура въ Передней Азии, сост. д-ръ Ф. Швалли, გვ. 440.



დიოდა ისე ხშირად ხალხში, ერიდებოდა და განცალკევებულად ცხოვრობდა. რაფ. ერისთავი მოგვითხრობს, რომ დეკანოზებს არა ერთხელ გამოუშვიათ სალოცავიდან დამალული მტრედები იმ მიზნით — აჩვენოს ხალხს, რომ წმიდანები, მტრედად გარდქცეულნი, მასთან სცხოვრობენ.

თუშების დეკანოზები განირჩევიდნენ ხევისურეთის და ფშავლების დეკანოზებისაგან: თუშეთში დეკანოზის წოდება ეკუთვნოდა რომელსამე საგვარეულოს, რომლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მხოლოდ მინიჭებული დეკანოზობის უფლება. ფშავ-ხევისურეთში, როგორც ზემოდ დავინახეთ, ეს წესი არ იყო. წოვათაში, მაგალითად, ორი საგვარეულო იყო, რომლის წარმომადგენლებს შეეძლოთ დეკანოზობა. თუშების დეკანოზებს არა ჰქონდათ მინიჭებული იმნაირი დიდი უფლება, როგორც ფშავ-მთიულს-გუდამაყრელების ხევის ბერებს. თუშების დეკანოზები მარტო სასულიერო პირნი იყვნენ — არ ერეოდნენ საერო საქმეში. თუშების დეკანოზებს აგრეთვე უნდა შეენახათ სიწმინდავე, არ უნდა მიჰკარებოდნენ მკვდარს, არც ახალ შობილ ბაბლს რამდენსამე ხანს. მას არ შეეძლო საქმელად ეხმარა არც ღორის ხორცი, არც ქათამი, არც კვერცი; შეეძლო ექამა მარტო ხატისათვის შეწირულ კურატის ხორცი.

საზოგადოდ, ხევის ბერები, დეკანოზები და დასტურები, ერთი სიტყვით, მთის სასულიერო პირნი, ხატის შემოსავლით სცხოვრობდნენ, ხატობაში მრავალი კურატები იხოცებოდა: მსხვილფეხი საქონელი (მამალი) და ცხვარი (მამალი). ამას გარდა იწირებოდა აგრეთვე ვერცხლეული ნივთები და ნაღდი ფულიც საკმაოდ შემოდებოდა. თითო დაკლული კურატისაგან ერთი წინა მხარი და ტყავი დეკანოზისა იყო.

ასეთი რყო და ეხლაც არ მოსპობილა სრულებით ჩვენი მთიელების სარწმუნოებრივი კულტი. მკითხველი დაინახავდა დიდ მგზავსებას ჩვენი თუშების და ძველი სპარსეთის (ზარო-ასტრის) სარწმუნოებრივ კულტურას შორის, ზემოდ გვქონდა მოყვანილი ფშავლის ორი ლექსი და გარდმოცემა, რომელნიც გვაუწყებენ დიდ ბრძოლას ბერებსა და დევებს შორის. ეს

ბრძოლა არის ის ბრძოლა, რომელ ბრძოლასაც გვაუწყებს ზაროასტრის სწავლა (ყუენიე). ზაროასტრის სწავლით არის ორი დასაწყისი, რომელიც ერთიერთმანეთს წინ უდგებიან და თავის მოქმედებით დამოუკიდებლები არიან; ეს ორი დასაწყისი არის სიბოროტე და სიკეთე. ქვეყნიერობა, როგორ არის იგი, იყო შექმნილი ამ ორი დასაწყისის შეერთებული ძალით. ქვეყნიერობის შექმნის შემდეგ ეს ორი დასაწყისი გაიყარნენ. სიბოროტის დასაწყისმა ამოიჩია ბოროტება და ბოროტი საქმეები, სიკეთემ კი—სიმართლე. დევები, რომელთაც არ ძალედათ ამ ორი დასაწყისის გარჩევა, მიემხრნენ სიბოროტეს. მას შემდეგ ჩამოვარდა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიკეთის წარმომადგენლად არის ასური—ღმერთი მოწმენდილ ცისა, სიმართლისა და ყოველ სიკეთისა. მეორე მხრივ არიან დევები, რომელნიც ავრცელებენ ქვეყნიერობაზე სიბოროტეს და უბედურობას. ასურს ჰყავს ექვსი მორჩილნი მომხრე, ამოდენივე არიან დევები, რომელთა წარმომადგენლად შემდეგ არიან იყო. ამ ნაირად ხდება საშინელი ბრძოლა დევების (სიბოროტის) და ასურის (სიკეთის) შორის. მოვა დრო, როდესაც დამარცხდებიან დევები და მით მოისპობა ყოველი ბოროტება ქვეყნიერობაზე *).

რომ შევადაროთ ორი ბრძოლა: ბერებას და დევებ შორის, და ასურსა და დევებს შორის—ისეთი მსგავსებაა, რომ ყოველი ექვი ეკარგება კაცს. თუ მთიელების სიმღერებში და გარდმოცემაში ასურის და მისი მომხრეების მაგივრად ბერები გამოდიან, ეს ქრისტეს სარწმუნოების გავლენას უნდა მიეწეროს.

ხატების დღესასწაული სპარსეთში იმართებოდა მინდვრად, ცის ქვეშ; არც ტაძარი, არც რამე სხვა შენობა. მლოცველნი მოდიოდნენ, მოჰყვანდათ მსხვერპლი, თვითონ ლოცულობდნენ, ჰკლავდნენ კურატებს, ხარშავდნენ ხორცს. როცა მოიხარშებოდა, ამოიღებდნენ დაფენილ ბალახზე (სამყურა); შემდეგ მოდიოდა დეკანოზი (жрѣцх) და წაიკითხავდა ლოცვას. მის შემდეგ დანარჩენ ხორცს მლოცავი, როგორც სურდა, ისე იხმარდა. ყველა

*) История религии—А. Мензиса



ამას განა ვერა ვხედავთ მთაში? სპარსეთის დეკანოზები (იწოდებოდნენ მაგებად, მაგი*). მსხვერპლის დაკვლა სპარსეთში არ შეიძლებოდა უმაგოდ, ესევეა მთაშიაც. შარშან წოვათაში რომ ვიყავი, დეკანოზი არ იყო დღესასწაულში, ცხვარში ყოფილიყო**). სანამ ის არ მოვიდა ცხვირიდან, არავინ არ დაკლა კურატი. მაგები ისევე, როგორც მთის დეკანოზები, განუშორებლივ სალოცავებში უნდა ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, სპარსელების მაგებისა და ჩვენი მთიელების დეკანოზების მგზავსება ისეთი დიდია, რომ, ვიტყვით მ. კოვალენსკის სიტყვებით: „... что всякое дальнѣйшее настаиваніе на немъ является излишнимъ“.

მთის ხატებში რომ ვხედავთ ნადირის რქებს, შეწირულ ზარებს, სხვა-და-სხვა განძს, როგორც აზარფეშებს, ჭიქებს, ხელსახოცებს, მაუდის ნაჭრებს, ექვნებს—ეს ჩვეულება არის გადმოსული სპარსეთიდან, სადაც აგრეთვე სწირავდნენ განძეულობას (Мензисъ). მთიელების ლუდი არის იგივე ინდოელების სომი, სპარსელების გომი. ინდოელების ერთ სამხთო გალობაში, რომელსაც მღეროდნენ ღმერთის ინდრის დღესასწაულში, იხსენება: „пѣна сомы выше края, и въ шипѣнїи влаги слышны звуки радостнаго гимна. სომა იყო ინდოეთის ერი ღმერთთაგანი. სასმელს ხდიდნენ მცენარე სომისაგან. ინდოეთიდან სპარსელებმა გადაიტანეს. ეს სასმელი აუცილებელ კუთვნილობას შეადგენდა ხატისას. ამ სასმელს ღმერთად აღიარებდნენ და თაყვანს სცენდნენ. გომის გარდა ხმარობდნენ აგრეთვე ჩვენ არაყის მგზავს ერთ სასმელს, რომელსაც ერქვა სურა. მთაშიაც ყოველ ხატში ხდიან ლუდს. ხევსურის დასტურის (შეადარეთ „დასტური“ და „ასური“) საქციელში ლუდის ხდის დროს:—უქუდო, უქამრო, ფეხშიშველა, იმავე ლუდის თაყვანის

*) „მაგი“ პირველად ხოლდეაში იწოდებოდნენ დედაკაცები, ხოლდეიდან მილიაში გადავიდა და იქიდან კი სპარსეთში.

**) თუშებში ეხლა, როგორც ქვემოდ დავინახავთ, დეკანოზები აღარ არიან. მათ მაგიერათ მღვდლები არიან. ხატობაში, როდესაც მღვდლები არ დეესწრაფიან, ერთი იმ სავარაუდლოს წარმომადგენელი, რომელ სავარაუდლოსაც აქვს შინიჭებული დეკანოზობის უფლება, ასრულებს დეკანოზის მოვალეობას.

ცემას, გაღმერთებას არ ვხედავთ? წოვათაში ერთი დიდრონი ქვაბია, რომელშიაც სახატოდ ლუღსა ხდიან. დღესასწაულში, სანამ მლოცავების მიერ კურატების ხოცვა დაიწყებოდეს, დეკანოზი ლოცავს ლუღს. მანამდინ არ შეიძლება მისი სმა. ლოცვის შემდეგ ვინც მივა და დაღვეს, ქუდი უნდა მოიხადოს. ამასვე გვიმტკიცებს ლაშარის ჯვარის სამრეკლოში მიწაში ჩაფლული ქვევრები. რასაკვირველია, ამ ქვევრებში ერთ დროს ხატის რამე სასმელი იდგმებოდა. იმ სასმელს, რომელსაც ხდიდნენ სპარსელები, ერქვა „გოგი“. წოვა თუშები ლუღს ეძახიან „ეგ“ — არის მგზავება.

რომ მთიელებზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდ ზაროასტრის კულტს, აგრეთვე გვიჩვენებს ზოგიერთი მთიელების რწმუნებანი და ჩვეულებანი, რომელნიც უსათუოდ, როგორც ვხედავთ ზაროასტრის სამხთო წიგნიდან „ავესტიდან“, ზაროასტრის კულტს ეკუთვნიან, მაგალითად, ეხლაც მთაში დედაკაცი, როდესაც რიგში დგას, ოჯახის მოშორებით, ცალკე გამურში ცხოვრობს (ხევსურები). მას არ შეუძლიან ოჯახში შესვლა, უწმიდურად სთვლიან. მის ოჯახში შესვლა — ოჯახის გაბილწებად ითვლება, იგი მარტოკაა, არავინ ეკრება, სჭამს, სვამს ცალკე. როდესაც დედაკაცი შობს, მას სახლის მოშორებით ქოხს უკეთებენ. ორმოცი დღის განმომავლობაში მას არავინ არ ეკარება, როგორც უწმიდურს, უვლის მხოლოდ ბებერი დედაკაცი, რომელსაც ყვეელი იმედი დაკარგული აქვს, რომ შეიღოს აღარ შობს. ქოხს პატარა კარები აქვს, ამ კარებიდან აწვდიან დედაკაცს წყალს, საჭმელს. ქურჭელიც მისთვის ცალკეა. არავინ არ ელაპარაკება იმ მოუხც დედაკაცის მეტი. ზოგი მთიელები, როგორც ხევსურები, ორმოცი დღის შემდეგ ქოხს სწვამენ. ორმოცი დღის შემდეგ აბანენ როგორც მშობელს, აგრეთვე შობილს ძროხის შარდით. მაშასადამე ძროხას შარდი სწმენდავს. საზოგადოდ შარდი აშორებს კაცს ყველა მანენ სულს, ეშმაკებს. მთის ქალები ეხლაც ძროხის შარდით თავს იბანენ, მითამ სისუფთავისთვის, რომ ქუქყი მოიშორონ, მაგრამ ამის დასაბამი „ავესტა“-ში უნდა ვეძიოთ.



ფრჩხილებსა და თმას მიწაში ინახავენ ხევესურები იმისათვის, რომ ეშმაკებმა არ დაისაკუთრონ. ხევესურების წარმოდგენით, კატა უწმინდური ცხოველია და ამიტომ ხევესურეთში ძვირად შეხვდებით კატას. ხევესურები არც ქათამსა სჭამენ, არც კურდღელს. როდესაც ხევესურს დაწყევლა უნდა კაცისა, კატით სწყევლის: „შე მკვდარ-ციცავ!“—ამბობს ხევესური.

„1881 წელს,—მოგვითხრობს ხუდადოვი,—მე, როგორც ექიმი, წავედი პირიქით ხევესურეთში, სოფ. გულისში. აქ მომიხდა მენახა გასაკვირველი სანახავი: გორაკზე, სალოცავის ახლო იდგა ხევესური ჯოყალა, რომელსაც ქურდობას აბრალებდნენ. იდგა გაფითრებული და აღელვებისაგან მთლად კანკალებდა; მარცხენა ხელში კატის კნუტი ეჭირა და მარჯვენაში—ჯოხი. მქეხარე, მაგარი ხმით ხევესური სწყევლიდა იმათ, ვინც იცის, რომ ის არ არის ქურდი და არ ჰმოწმობს: „აი ამ ციცამ,—იძახდა ხევესური და ამ დროს მიიღო ჯოხი კატის თავისკენ,—წაბილწოს თავის დასწრებითა და კნავილით მისი მკვდრის ქელეხი, ვინც ქურდს არ ამხელს, შემოუჯდეს მას საიქიოს მხრებზე და თავზე!“ წარმოსთქვა ეს წყევლა თუ არა, გადაავლო კატა და თამამად მივიდა ხალხში. წყევლამ თავისი გავლენა იქონია ხალხზე: „არა, ეგ არ არის ქურდი!“—წამოიძახა ყველამ*). კატას უწმინდურ ცხოველად მარტო ხევესურები არა სთვლიან, ამნაირივე წარმოდგენა აქვთ კატაზე ფშავლებს, ჩეჩნებსა და ყაბარდოელებს. ფშავლები,—ამბობს მ. კოვალევსკი,—ფიქრობენ, რომ მას, ვინც მოჰკლავს კატას და მის ფეხებს ქუდში შეინახავს, ყველა ცოდო ეპატიება“.**) „Чтобъ мертвый братъ тебѣ на плечи окровавленной кошкой сѣлъ и къ безднѣ гналъ тебя нещадно—“***) აი როგორ სწყევლის მამა ქისტი (ჩეჩენი) თავის შვილს, რომელმაც ვერ შესძლო, უფრო არ ინდომა, თავის ძმის მკვლელის მოკვლა, შურისძიება.

მკვდრების დამარხვა დიდ გაჭირვებას შეადგენდაო,—მოგვითხრობს მენზისი ძველ სპარსელების შესახებ,—რადგანაც

*) „Замѣтки о Хевсуретин“—Худадова, стр. 20.

**) „Законъ и обычай на Кавказѣ“—М. Ковалескевича, т. I.

***) Галубъ—А. Пушкина.

გვამებს უწმინდურად სთვლიდნენ და ამისათვის ვერც ცეცხლს მისცემდნენ, ვერც წყალსა და ვერც მიწას. გატიტვლებულ გვამებს სდებდნენ ამისათვის აშენებულ შენობის ჰერზე. ამნაირი შენობები იდგნენ სოფლის, ან ქალაქის მოშორებით მაღლობზე, რომ ფრინველებს თავისუფლად შესძლებოდათ გვამებზედ ნადირობა*).

„ხევსურეთში,—მოგვითხრობს ექიმი ხუდადოვი,—როდესაც კაცი კვდება, შეიკრიბებიან ხოლმე ნათესავები და ნაცნობები. რამდენიმეს, უფრო შორეულს, რომელთაც „ნარევი“-ს ეძახიან, გამოაქვთ მომაკვდავი გარედ და სდებენ დანიშნულს ალაგზედ; ნარევების მეტი მომაკვდავს არავინ არ ეკარება: არც შინაური, არც ნათესავი და არც სხვა ნაცნობთაგანი; მოკვდება თუ არა, გვამს ახვევენ ჯერ თეთრსა და მერე წითელ ტილოში. 5—7 დღე ისე უნდა იყოს. ნარევები დღე და ღამე სდარაჯობენ, შემდეგ მიაქვთ გვამი სასაფლაოზე და დამარხვის დროს არავინ ნათესავთაგანი არ აცილებს. ნარევებს ერიდებიან: არც ხელს აძლევენ, არც სჭამენ მათთან ერთ სუფრაზე და არც იმ ნივთს ახლებენ ხელს, რა ნივთსაც მათი ხელი შეეხო. შემდეგ ნარევები თავის გასაწმენდად იბანენ ან ძროხის, ან ცხვრის და ან (იშვიათად) განსვენებულის უფრო მახლობელის შარდით. ხევსურებას მკედრისა და ნარევებისაგან რიდება განა იმას არა ნიშნავს, რომ მათი წარმოდგენით, მკედრების გვამები უწმინდურები არიან?

ხევსურეთში არის მაღლობებზე სიბი ქვით აგებული ოთხკუთხიანი შენობები. შიგნით მიწის მოშორებით ტახტები არის გამართული, ტახტებზე ადამიანის ძვლები ყრია. ამნაირივე შენობები ხედება კაცს არა მარტო ხევსურეთში, არამედ თუშეთსა და ქისტეთშიაც. წოვათიში, სოფ. წაროში (ეხლა აღარავინ არა სცხოვრობს ამ სოფელში) არის ამნაირივე შენობა. ძვლები ზოგი ტახტზე ყრია, ზოგი იატაკზე. როდესაც ვკითხე შენობების დანიშნულება თუშებს, მიპასუხეს: ძველ დროს „ცუდი ჭირი“ ყოფილიყო თუშეთში (ცუდ ჭირს თუშები შავ

*) История религии—А. Мензиса, стр. 314.

ჭირს ეძახიან (чума) და მაშინ ვინც ავად გახდებოდა ამ ჭირით, იცოდა, რომ აღარ მორჩებოდა, მივიდოდა ამ შენობაში, მკვდარს ჩამოაგდებდა ძირს და თვითონ დაწვებოდა მის ალაგზე ტახტზე, სასიკვდილოდ მომზადებული. მოდიოდა აქ იმისათვის რომ არავინ არ მოუვლიდა, ჭირის შეყრის შიშის გამო ვრიდებოდნენ ერთიერთმანეთს.

ყველა ეს შენობები განა ისევე ის შენობები არ არიან, რაც ჰქონდათ სპარსელებს? მთიელები საძვლეებში (усыпальницы) *) ასვენებდნენ მკვდრებს, რომ მითარ მიეცათ გვამი არც მიწისა, არც წყლისა და არც ცეცხლისათვის. საძვლეებში იატაკი ყველგან ქვით არის მოფენილი, რომ მკვდრის გვამი ტახტიდან ჩამოვარდნის დროს მიწას არ მიჰკარებოდა. დიდი ხანია, რაც მთავრობის აკრძალვით მთიელები ასაფლავებენ მკვდრებს და საფლავსაც მჭიდროდ ქვებით ჰფენენ, რომ გვამი მიწას არ მიეკაროს. საძვლეებს შესასვლელი აქვთ და არ იხურებოდა აღზად იმისათვის, რომ ნადირს და ფრინველებს შესძლებოდათ თავისუფლად ენადირნათ...

დიად, ზაროასტრის სარწმუნოებრივი კულტი მეფობდა ჩვენს მთებში და ეხლაც, სრულებით არ მოსპობილა. И такъ, амбობს მ. კოვალევსკი,—на протяжении всего Кавказа религиозныя вѣрованія иранцевъ являлись одно время господствующимъ (**). ქრისტიანობამ მარტო თხელი ქერქი გადააკრა მთიელების სარწმუნოებრივ კულტს, რომლის გული ზაროასტრისაა. დეკანოზების ქადაგებაში თუმცა იხსენებიან „ღმერთი“, „ღვთისმშობელი“ და ძვირად „ქრისტე“, მაგრამ ეს სიტყვები ჯერ გარკვეული არა აქვთ, ბინდ-ბუნდათ ესმით, ნამეტნავად ხევსურებს. მთის წმიდანები და ანგელოზები უფრო მიაჩნიათ, უფრო წინ აყენებენ, მათ უფრო ევედრებიან და უფრო მათი ძალა სწამთ, ვიდრემ ღმერთისა. ქრისტიანული დღესასწაულები: აღდგომა, შობა, ნათლისღება და სხვა ჯერ არ შეუთვისებიათ.

*) ამ ტერმინსვე ხმარობს ქუთათელაძე თავის „წყაროში“ და ჩვენც მასვე ვხმარობთ, რადგანაც უკეთესი ვერ მოვნახეთ.

**) Законъ и обычай на Кавказѣ—М. Ковалевскаго

ღრმა კვალი გაიყვანა ზაროასტრის კულტმა არამც თუ მთა-ში, არამედ მთელ კავკასიაში; მიზეზს ამისას ისტორია გვიხსენის:

საქართველოში, სანამ ქრისტეს რჯული შემოვიდოდა, ზაროასტრის (არმაზის) კულტი აღიარებოდა. მიიღეს ქრისტეს რჯული ქართველებმა 318 წელს, მაგრამ კარგა ხანი კიდევ გაეიდა, სანამ ეს რჯული დამკვიდრდებოდა. ბრძოლა ამ ორი კულტის შორის ხანგრძლივი და სასტიკი იყო. სპარსელები დაიპყრობდნენ საქართველოს თუ არა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ აღედგინათ ცეცხლის თაყვანის-ცემა. ამ მიზნის განსახორციელებლად სპარსელები თავიანთ დეკანოზებს, მაგებს ნიშნავდნენ, რომ თავის სარწმუნოება გაეცრცელებინათ. განთავისუფლდებოდა საქართველო და მაშინ სდევნიდნენ მაგებს. ასე იბრძოდა ეს ორი კულტი. ბრძოლამ მეშვიდე საუკუნემდინ გასტანა. მეშვიდე საუკუნეს არაბებმა დაამხეს სპარსეთი, მოსპეს ზაროასტრის კულტი და მის მაგივრად გააფრცვლეს ახალი, მაჰმადის კულტი. შემდეგ დაიპყრეს საქართველო და განდევნეს მაგები. მაგრამ ზაროასტრის კულტი ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართველებს და მით უმეტეს მთიელებს, სადაც ქრისტეს რჯული, თუ ჯერ სრულებით არა, ძალიან სუსტად კი ვრცელდებოდა.

ეხლა მთავრობა ებრძვის, რომ მოსპოს სრულებით მთაში ეს კულტი. სდევნიან დეკანოზებს და მათ მაგივრად მღვდლებს ნიშნავენ. თუშეთში და ფშავში ეხლა მღვდლები არიან. არის ეკკლესიებიც, რომლებშიაც ბედნიერ დღეებში წირვა-ლოცვა სრულდება. მარტო ხევსურებს, ხალხს უფრო სხვა მთიელებზე უფრო ჩამორჩენილებს გონებრივ და ქონებრივაც, უფრო მტკიცედ მიმდევარებს მამა-პაპის ჩვეულებისა და რჯულისა, ჰყავთ კიდევ დეკანოზები, მაგრამ იქაც მღვდლები შედიან და სდევნიან დეკანოზებს.

მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურეთში ეკკლესიებიც არის, მღვდლებიც, მაგრამ ხალხი ჯერ არ შეჩვეულა. ისინი უფრო ძველ ჩვეულებებს და სარწმუნოებას მისდევენ. ეკკლესიებში



არ დადიან და მღვდელსაც მაგდენად არ მისდევენ და კურს არ უგდებენ. პირიქით, თითქმის სასაცილოდაცა ჰყავთ აღებული. ლაშარის ჯვარში რომ ვიყავი, უკანა ფშავის მღვდელმა მითხრა, რომ სხვა ბედნიერ დღეებში კი არა, აღდგომის დღეს და შობის დღესაც ეკკლესია ცარიელიაო. ეკკლესიაში მარტო მე და დიაკვანი ვართო. ესეც მითხრა, რომ წრეულ აღდგომის დღეს, როდესაც წირვას ვასრულებდი, დაეინახე, რომ ერთ ფშაველს მარხილით შეშა მოჰქონდა, დაეყენებინე მარხილი და ვკითხე: —დღეს რად ეზიდები შეშას? —რატომაო? —რატომ და აღდგომაა დღეს? მე არ ვიცოდი, თუ დღეს აღდგომა იყო და განა აღდგომას არ შეიძლება შეშის ზიდვა?! —ერთი სიტყვით, მღვდელი არ იყო თავის მრევლის მაღლიერი. საზოგადოდ, ამგვარი ჩივილი სხვა მთის მღვდლებისაგანაც ხშირია.

დეკანოზებს, რომელნიც თავისუფლებას თანდათან ჰკარგავენ, რასაკვირველია, არ მოსწონთ მთავრობის საქციელი მათ წინაშე და ამისათვის ცდილობენ, წინააღმდეგობა გაუწიონ. ამისათვის მიზნის მისაღწევად ისინი ავუღიანებენ ხალხს, რომელსაც უფრო დეკანოზები ჰყავს მიჩნეული და მათი უფრო სჯერათ, ვიდრე მღვდლებისა, რომელნიც არ მისდევენ მათ ჩვეულებებს და სხვა ნიადაგზე აფუძნებენ სარწმუნოებას. აქ ტრადიციასთან უხდებათ მღვდლებს ბრძოლა და, რასაკვირველია, დიდი სიფრთხილე, დახელოვნება და, ამასთან, უეჭველად განათლება ეკირვებათ მათ მიზნის აღსრულებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, მთის მღვდლები ამ ღირსებას მოკლებულნი არიან. იმნაირ ალაგას ისეთი მღვდელი, რომელსაც შეუძლია რამ, არ მიდის, ის უფრო ქალაქებსა და ბარის სოფლებს ეტანება. მთებში კი გაუნათლებელი მღვდლები სხედან, დიაკვნებთაგანნი და, რასაკვირველია, ისინი ბევრით არ განირჩევიან გონებრივ თავიანთ მრევლის მთიელებისაგან. ზოგიერთ უფრო მიყრუებულ ალაგებში ისეთები სხედან, რომ მას ანაფორის მეტი მღვდლობისა არა ეტყობა-რა. რა ქნან, მათი გონებრივი ნიადაგი მჩატე იყო პირველადვე და, სიბნელეში შთაცვივნულებს, ისიც გა-

მოეცალათ, რაცა ჰქონდათ. ამისათვის დიდი უსიამოვნება მღვდლებსა და მთიულებ შორის, ნამეტნავად ხატობის დროს. მაგალითად, ერთმა მთავრობის-მიერ დანიშნულმა ახალმა მღვდელმა ისე გააბრაზა ხევსურები ხატობაში, რომ უკანასკნელებმა დაიჭირეს პატიოსანი მამა, მოჰპარსეს ძირიანად თავი, წვერ-ულვაში, შესვეს უკულმა ჯორზედ და ისე გაგზავნეს თიანეთში...

ამნაირად იბრძვიან მღვდლები, რომ მოსპონ ძველი სარწმუნოებრივი კულტი და მის მაგივრად შეიტანონ წმ. ქრისტესი, პოსპონ მამა-პაპური ზნე-ჩვეულებანი და რწმუნებანი. ბრძოლას კიდევ საკმაო დრო დასჭირდება. ბრძოლა გონებრივი უნდა იყოს, ძალადობა აქ ვერას გახდება, მიზანს ვერ მიახწევს. იქამდის უნდა მივიდეს მთიელი, რომ თვითონ თავის ფიქრით შეეძლოს თავის ცხოვრების, თავის რწმუნების, ჩვეულებების გარკვევა, აწონ-დაწონა. იქამდის მივა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აუხელონ თვალებს და სვალეებს აუხელოს მას მხოლოდ განათლება. საშუალება ამაშია, სხვა არსად!..

კვირა დღეს ლაშარის ჯვარში მაგდენი მლოცავები არ შეიკრიბნენ. ფშაველი ორი-სამიოდე კომლის მეტი არ იყო დღეობა მეორე დღეს—ორშაბათს—ყოფილიყო. თუშები შაბათსავე იყვნენ მოსულები, ამისათვის ვერ დაიცადეს ორშაბათამდე, კვირას დახოცეს კურატები, ხატს სანთლები აუთთვის და ორშაბათ დილით წავიდნენ: ზოგი თამარ-დედოფლის ხატში გადავიდა და ზოგი პირდაპირ ხევსურეთში, ხახმეტის ჯვარის სალოცავში.

მლოცავების სადგურის თავში ვაჭარ სომხებს კარავი დაედგათ და ვაჭრობდნენ, თეთრსა და წითელ ღვინოსა ჰყიდდნენ. როგორც თვითონ მიაბძეს, ექვსი ცხენის საპალნე მოეტანათ კახეთიდან, სოფ. შილდიდან (თელავის მაზრა); არაგვზე გამოსულიყვნენ და გზა-და-გზა ხატებში ასაღებდნენ. ორი ცხენის საპალნე კიდევ დარჩენოდათ და ისიც ლაშარის ჯვარსა და თამარ-დედოფალში გაასაღეს. თუნგს რვა აბაზადა ჰყიდდნენ. ჰქონ-



დათ აგრეთვე ყოველგვარი საწვრილმანო და ფარჩა-ჩითეულ ბა, მაგრამ, ვინ იცის, რა ფარჩა, რა ჩითეულობა, მკითხველი თვითონ მიხვდეს! ასაღებდნენ საქონელს ნაღდ ფულზე და უფრო ერბოზე. ფშავლის დეკანოზებს გულებით მოჰქონდათ ერბო და წონითა სცვლიდნენ მაუდ-ჩითეულობაში. მართლაც და, გასაკვირველი ხალხია ეს სომეხები; მათმა ენერგიამ არ შეიძლება არ გააკვიროს კაცი. საიდან სად დადიან, მათ არ აშინებს არც სიციფე, არც სიცხე, არც მთა-კლდე და არც უცხო მხარე, მერე იმისთანა, როგორც არის მთა. გროშისთვის სომეხი არ დაიზარებს გადალახოს თოვლიან-ყინულიანი მთის ქედი მარტოკა, გამხდარ ცხენზედ ხურჯინებ-გადაკიდებული, არშინით და სასწორებით ხელში, ხანდახან დაფლეთილი ახალუხით. წრეულ თუშეთში მალალ ქედზედ დამხვდა ორი ვაჭარი სომეხი, რომელნიც ერთი ხევიდან მეორეში გადავიდნენ. საზოგადოდ, თუშეთში ვაჭრობას ეწევიან სომეხები. აქა-იქ დიდ-დიდ სოფლებში საზაფხულოდ დუქნები აქვთ გამართული. ამ დუქნებიდან დადიან სოფლიდან სოფელს და ასაღებენ საქონელს ერბოზედ, ყველზედ და ტყავზე. დიად სომეხს დიდი ენერგია აქვს და სიმართლე გვაძიებებს ვთქვათ ისიც, რომ ნიჭთან ერთად იმ ენერგიით სომეხი არ მოიშვიებს არაოდეს თავს და პირიქით ცოლ-შვილსაც შავი დღისთვის უიმედოდ და უნ-უგეზოდ არ დასტოვებს!..

გათენდა ორშაბათი თუ არა, ფშავებმა იწყეს დენა. ჩქარა აივსო ლაშარის გორა მლოცავებით. აქ დაინახავდით ფშაველს, ბარის ქართველს, თუშს (ორიოდე ოჯახი დარჩა), სომეხს და ქისტს. მოვიდა მღვდელი და მლოცავებმა დაიწყეს კურატების ხოცვა: კურატებს ზედ ხატის გალავნის პირს ხოცავდნენ და იქვე ხის შტოებზე ჩამოკიდულებს ატყავებდნენ, სისხლს ზემოაღნიშნულ ორმოში უშვებდნენ. ორმოს ახლო არ იდგომებოდა—მყრალი, გულ-დასაბნედი სუნი ამოდიოდა. კურატის ერთს მხარს და ტყავს მღვდელს აძლევდნენ. ვისაც ტყავი თავისათვის უნდოდა, ის ტყავის მაკვირად ფულს აძლევდა—ექვს შაურს (დაღებული ფასია). მოჩინენ კურატებს



და ცეცხლები გააჩაღეს. გაიმართა ლხინი, ტაშ-ფანტური და სიმღერა. ლხინმა სალამომდინ გასტანა. სალამოზე მლოცავები ძირს არაგვის ხევში ჩაეშენენ. ღამე ხევში გაათიეს და მეორე დღეს ღიღით თამარ დედოფლის ხატში ავიდნენ.

თამარ დედოფლის სალოცავი დგას, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, არაგვის მეორე ნაპირას, ტყიან მთის ცხვირზე, ღამიარის ჯვრის პირდაპირ. სალოცავს გარშემო გალავნი არტყია. გალავანი უბრალოდ ერთი ერთმანეთზე დაწყობილი ქვისაა. გალავანში ქალაა, რომელიც ხატის კუთვნილებაა და სამღვთოდ ითვლება. არც ერთი ფშაველი და სხვა მთიელი (გაუნათლებელი) გალავანს არ გადავა—ეს ხატის შეურაცყოფა იქნებოდა და მისი რისხვისა ეშინიან, მაგრამ სომხები-ვაჭრები არ ერიდებოდნენ. თვითონ ხომ შედიოდნენ და ცხენებიც შეჭყვანდათ ბალახისათვის. ხორცის მოსახარშად ტყემალსაც ჰკრეფდნენ, ტყემალი ბლომად იდგა და ბლომდაც ესხა. გალავნის აღმოსავლეთის მხარეს გრძლად მთის ფერდოზე სწორე ალაგია. ეს ალაგი ხელოვნურად არის გავაკებული. მლოცავებისათვის უნდა იყოს გასწორებული. ზემო მხარეს სიგძეზე ქვის ყორვა გაყვანილი, ჩვენის ფიქრით, მისთვის, რომ მიწა დაიჭიროს. ყორვაში სწორე პტყელ-პტყელი ქვებია გამოშვერილი, აღბად ხალხის დასახლდომი. გალავნის სამხრეთ მხარეს ქვის სახლია, რომელშიაც დროშები ინახებოდა და დეკანოზი სცხოვრობს. დასავლეთის მხრივ შესასვლელი აქვს გალავანს. შიგნით გალავანში ორი სამრეკლო დგას. ერთი ქვისაა, კირით გალესილი, ოთხ სვეტზე, გუმბათიანი. ორი საკმაო დიდრონი ზარი ჰკიდია. მეორე ხისაა. ზარების ენას ხელსახოცი აბია. გალავნის შესავალში ხატები ასვენია. გარედ შესავალთან კურატებს ხოცავდნენ. გალავნის შიგნით სხვა ქვის შენობებია, შენობებში არა არის რა შესანიშნავი. იქაც ეყვნების სიმრავლეა და ნადირის ქერბი. დეკანოზთან ინახება ხატის ზედაში-ღვინო. აქაც ისევე კურატების ხოცვა, სმა-ჭამა და ტაშ-ფანტური. სალამოზე მლოცავები აიშალნენ და თავ-თავიანთისაკენ გასწიეს. ჩვენც გავწიეთ ტბათანისაკენ.



რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1. ლექსები განდევლისა, ავტორის სურათით. — ტფილისი 1898 წ. ფასი ათა შაური.
2. ქართული საერო და სასულიერო კილოები. — ისტორიული მიმოხილვა, მლ. პოლივეკტო კარბელაშვილისა. ტფილისი 1898 წ. ფასი ათა შაური.
3. რა ანის ხარკი და ან რისთვის ჰქრევენ. — თარგმანი ი. ვ.—რისა, გამოც. ი. იმედაშვილისა № 8. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
4. შარო, — დრამის ნაწყვეტი (მონოლოგი) დ. მაჩხანელისა, გამოც. მ. ლალიძისა. ქუთაისი 1898 წ. ფასი სამი კაპ.
5. ლექსთა კრება დღაურ ვანამზე. — თქმული სოკრატ ხუსკივაძის მიერ. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
6. ცხოვრება დინსისა და ნეცარისა თეოდორასა. — გადმოდებული მ. შარაძის მიერ, გამოც. მორჩილის რ. ბარამიძისაგან, ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
7. ცხოვრება შვიდთა ვრძათა ეფესელთა. — თარგ. მ. შარაძისა, მეორე გამოც. მ. შარაძის და აშხ. სტამბისა. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
8. ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა ჰანტელეიმონისა — თარგ. მ. შარაძისა, მეორე გამოც. მისივე. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
9. ცხოვრება წმიდისა და დინსისა მოწამისა თებრანესა. — გადმოდებული მ. შარაძის-მიერ, გამოც. უდაბურ წყალწმინდის ძმობისა № 8. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
10. ცხოვრება ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკელსა. — გადმოდ. მ. შარაძის-მიერ. გამოც. მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.
11. ცხოვრება წმიდისა დიდისა ქალწულ-მოწამისა ჰარსკევასა. — გადმოდ. მ. შარაძის-მიერ, გამოც. უდაბურ წყალწმინდის ძმობისა № 9. ტფილისი 1898 წ. ფასი ერთი შაური.



„მ ო ბ მ გ მ“

წელიწადი მგზუთე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

ზანი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თკით 3 თკით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.
სახლდვარ-გარედ 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакция „Моамбе“** ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოაკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერა, დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ მურწალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლარი უნდა გაეგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმოზრჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმონ უგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ-ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი გამომცემელი
აღკესანდრე ჭყონია აღკესანდრე ჯაბადაჩია